



**სულიბიძის ისტორია
და
კულტურა**

7

რედაქცია თვარაძე

რელიგიის ისტორია და კულტურა

ნაწილი პირველი
ქრისტიანული მოძღვრების შესავალი

მეშვიდე კლასის სასწავლებლად

გამომცემლობა
„საქართველოს მაცნე“

თბილისი
2003

საქართველოს საგარეო ურთიერთობების მინისტრის
საქართველოს საგარეო ურთიერთობების მინისტრის
საქართველოს საგარეო ურთიერთობების მინისტრის



დაამტკიცა საქართველოს განათლების სამინისტრომ

საგარეო ურთიერთობების მინისტრის

69

რედაქტორები:

გია მურღულია, საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და
გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის რექტორი.

დეკანოზი გიორგი (ზვიადაძე), თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექ-
ტორი.

თავმჯდომარე

თავმჯდომარე

515.101.513

საგარეო ურთიერთობების მინისტრის

საგარეო ურთიერთობების მინისტრის



ახალი აღთქმა

ჩვენ უკვე ვიცით, რომ „ბიბლია“ ორი ნაწილისგან შედგება – „ძველი აღთქმისა“ და „ახალი აღთქმისგან“. ისიც ვიცით, რომ „ძველი აღთქმა“ მოგვითხრობს სამყაროს შექმნიდან იესო ქრისტეს შობამდე მომხდარ ამბებს, „ახალი აღთქმა“ – იესო ქრისტესა და მისი მოწაფეების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, გადმოგვცემს ქრისტეს მოძღვრებას. შარშან „ძველი აღთქმის“ შინაარსი ვისწავლეთ, წელს „ახალ აღთქმას“ უნდა გავეცნოთ.

„ახალი აღთქმის“ უმთავრესი ნაწილია სახარებები, ოთხი წიგნი, ოთხი სახარება – მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებები.

სიტყვა „სახარება“ სასიხარულო, კეთილ ამბავს ნიშნავს. ეს სასიხარულო ამბავი არის ქვეყნად ქრისტეს მოვლინება კაცობრიობის გამოსახსნელად, რასაც მოგვითხრობენ სწორედ სახარებები.

სახარებას ზოგჯერ „ევანგელესაც“ უწოდებენ ხოლმე. „ევანგელე“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს იმასვე, რასაც ქართული „სახარება“ – სასიხარულო, კეთილ ამბავს.

ზოგიერთ თქვენგანს შესაძლოა გაგონილი ჰქონდეს სიტყვა „ოთხთავი“. ოთხთავი ქართულად ჰქვია ოთხივე სახარებას ერთად, მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებებს ერთად აღებულს.

მაშასადამე, „ახალ აღთქმას“ რომ გადავშლით, ვერ ოთხთავს ვნახავთ, ოთხ სახარებას. სულ პირველად მათეს სახარება შეგვხვდება, მერე – მარკოზის სახარება, შემდეგ – ლუკას სახარება, ბოლოს – იოანესი.

სახარებათა ავტორებს ქართულად მახარებლებს ვუწოდებთ: მათე მახარებელი, მარკოზ მახარებელი, ლუკა მახარებელი, იოანე მახარებელი. ალბათ მიხვდით, საიდან განჩნდა ეს სახელწოდება: მათ გვახარეს სასიხარულო, კეთილი ამბავი – ქვეყნად ქრისტეს მოვლინება კაცობრიობის გამოსახსნელად.

ოთხთავს, ანუ ოთხ სახარებას მოსდევს „ახალი აღთქმის“ წიგნი „მოციქულთა საქმე“ (ძველი თარგმანით – „საქმე მოციქულთა“). ამ წიგნში მოთხრობილია იესო ქრისტეს მოწაფეების ანუ მოციქულების თავგადასავალი, მათი ცხოვრება და საქმიანობა მაცხოვარის ჯვარცმის შემდეგ – როგორ ავრცელებდნენ ისინი სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა ხალხში ქრისტეს მოძღვრებას, როგორ აფუძნებდნენ

ეკლესიებს და როგორ მომდგრავენენ მორწმუნეებს.

„ახალი აღთქმის“ მომდევნო ნაწილია ეპისტოლეები ანუ წერილები. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა ეკლესიებისადმი, მორწმუნეთა კრებულებისადმი ან ცალკეული მორწმუნეებისადმი მიწერილი ეპისტოლეები ქრისტეს მოციქულებისა. ეპისტოლეებიდან ანუ წერილებიდან ერთი ეკუთვნის იაკობ მოციქულს, ორი – პეტრე მოციქულს, სამი – იოანე მოციქულს, ერთი – იუდა მოციქულს, თითხმეტი – პავლე მოციქულს. სულ ოცდაერთი ეპისტოლე ანუ წერილია.

„ახალი აღთქმის“ ბოლო წიგნია „გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა“ ანუ „აპოკალიფსი“, რომელშიც აღწერილია ქრისტეს მიერ დაფუძნებული ეკლესიის მომავალი და ქრისტეს მეორედ მოსვლა.

მამასადაბე, „ახალი აღთქმა“ შედგება ოთხი სახარებისგან, „მოციქულთა საქმისგან“, ოცდაერთი ეპისტოლესგან ანუ წერილისგან და „გამოცხადებისგან“. მწელი გამოსათვლელი არ არის, რომ სულ 27 წიგნისგან შედგება „ახალი აღთქმა“.

გახსოვთ ალბათ, რომ „ძველი აღთქმა“ თითქმის მთლიანად ძველ ებრაულ ენაზე დაიწერა. „ახალი აღთქმა“, გარდა მათეს სახარებისა, მთლიანად ძველ ბერძნულად არის დაწერილი, რადგან მისი შექმნის ხანაში, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, ხმელთაშუა ზღვის აუზში, წინა აზიასა და ახლო აღმოსავლეთში ბერძნული საერთაშორისო ენა იყო. ამასთანავე, „ძველი აღთქმა“ უმთავრესად ებრაელებისთვის იწერებოდა, „ახალი აღთქმა“ კი – მრავალი სხვადასხვა ხალხისთვის, და მათთვის ბერძნული უფრო ხელმისაწვდომი იქნებოდა, ვიდრე ებრაული.

ახლა ცოტა რამ ვთქვათ იმ ავტორთა შესახებ, წელან რომ ვახსენეთ, ესე იგი გავვეცნოთ იმ პირებს, ვისი დაწერილიც არის „ახალი აღთქმა“.

როგორც უკვე ითქვა, „ახალ აღთქმას“ რომ გადავშლით, ვნახავთ მის პირველ წიგნს – მათეს სახარებას. ვინ იყო მათე მახარებელი, ამას თავადვე მოგვითხრობს თავის სახარებაში: „იესომ დაინახა საბაჟოში მჯდომარე კაცი, რომელსაც მათე ერქვა სახელად, და უთხრა მას – გამომყევით. ისიც ადგა და გაჰყვა“ (მათ. 9,9).

ვიდრე უმთავრეს სათქმელს ვიტყვოდეთ, ერთი რამ ჩავურთოთ. ზოგიერთ თქვენგანს იქნებ აღარც ახსოვდეს, მეხუთე და მეექვსე კლასებში რაც ვისწავლეთ. სახელდობრ – „ბიბლიის“ ამა თუ იმ ადგილის მითითებისა და მოძებნის წესი, რომლის თანახმადაც, მითითებისას აღინიშნება მხოლოდ წიგნის სახელწოდება. შემდეგ – ესა თუ ის თავი და მუხლი. ამასთან, წიგნის სახელწოდება, ჩვეულებრივ, შემოკლებულად იწერება ხოლმე.

დაუუკვირდეთ აქვე ზემოთ მოტანილ ციტატას: სახარების ტექსტის შემდეგ ფრჩხილებში წერია: „მათ. 9,9“. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ მითითებულია მათეს სახარების მე-9 თავის მე-9 მუხლი. ესე იგი „მათეს სახარება“ (ან „სახარება მათესი“) სრულად კი არ არის დაწერილი, შემოკლებულად წერია „მათ.“, რასაც მოსდევს შესაბამისი თავისა და მუხლის აღმნიშვნელი ციფრები.

ოთხთავის შემადგენელი სხვა სახარებებიც ასევე აღინიშნება. კი არ იწერება „სახარება მარკოზისა“, „სახარება ლუკასი“, „სახარება იოანესი“, არამედ შემოკლებულად იწერება: „მარკ.“, „ლუკ.“, „იოან.“, რასაც შესატყვისი თავისა და მუხლის აღმნიშვნელი ციფრები მოსდევს.

„ასალი აღთქმის“ სხვა წიგნთა სათაურების შემოკლებულ დაწერილობებს აქვე ქვემოთ გავეცნობით. ამჯერად ეს დავიმახსოვროთ და ჩვენს სათქმელს მივუბრუნდეთ.

მამასადაბე, მათეს სახარების მე-9 თავის მე-9 მუხლი გვაუწყებს, რომ იესო ქრისტემ „დაინახა საბაჟოში მჯდომარე კაცი, რომელსაც მათე ერქვა სახელად, და უთხრა მას — გამომყევიო“.

ეს კაცი, მათე, საბაჟოში იმიტომ იჯდა, რომ მებაჟე იყო. მებაჟენი ბაჟისა და გადასახადის ამკრებნი იყვნენ, რომაელთა მიერ დაყენებული მოხელეები, ცნობილნი თავიანთი სიხარბით, მექრთამობით და მატყუარობით. ებრაელები მებაჟეებს ხშირად ტაძარში სალოცავადაც არ უშვებდნენ, რადგან მათთვის „მებაჟე“ და „ცოდვილი“ ლამის ერთი და იგივე ცნებები იყო.

აი, ასეთ ცოდვილ კაცს უხმო თავისთან იესო ქრისტემ და თავის მოწაფედ აქცია, მათე ერთ-ერთი იყო მაცხოვარის თორმეტ რჩეულ მოწაფეთაგან. და ეს ცოდვილი კაცი შემდგომში ისეთ სულიერ სიმაღლეზე ავიდა, რომ წმინდანად იქცა და ერთ-ერთი სახარების დაწერის პატივიც ხვდა წილად.

აქ ის დავსძინოთ, რომ სახარების ძველ ქართულ თარგმანს ვინც წაიკითხავს, უნდა იცოდეს შემდეგი: ძველ თარგმანში საბაჟოს ეწოდება საზვერე, ხოლო მებაჟეს — მეზვერე. მათე მახარებელი, ვიდრე იესო ქრისტეს დაემოწაფებოდა, მეზვერე იყო.

ისიც აღვნიშნოთ, რომ, ებრაელებში გავრცელებული ჩვეულებისამებრ, მებაჟე ანუ მეზვერე მათეს მეორე სახელიც ჰქონდა, ლევი ერქვა.

მომდევნო სახარება მარკოზს ეკუთვნის. მასაც ორი სახელი ჰქონდა — იოანე და მარკოზი. ის იყო პეტრე და პავლე მოციქულების დაახლოებული პირი, ქრისტეს მოძღვრების მქადაგებელი და ამ მოძღვრებისათვის წამებული და მოკ-

ლული. თავისი სახარება იმის მიხედვით დაწერა, რასაც მისი მოძღვარი პეტრე მოციქული მოუთხრობდა მსმენელებს იესო ქრისტეს ცხოვრებისა და სწავლების შესახებ.

ლუკა მახარებელი არის ავტორი „ახალი აღთქმის“ მესამე წიგნისა — „სახარება ლუკასი“. მისივე დაწერილია „მოციქულთა საქმე“. ის იყო პავლე მოციქულის მოწაფე და მეგობარი. ძველი გადმოცემის თანახმად, ლუკა მხატვარიც ყოფილა და მაცხოვარისა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელის ხატები შეუქმნია.

„ახალი აღთქმის“ მეოთხე წიგნია „სახარება იოანესი“. მისი ავტორი იოანე ხელობით მეთევზე, ერთ-ერთი იყო იესო ქრისტეს თორმეტ რჩეულ მოწაფეთაგან, ასაკით ყველაზე უმცროსი, შესაძლოა იესოს ნათესავიც. გარდა სახარებისა, იოანეს დაწერილია ზემოხსენებული სამი ეპისტოლე (წერილი) და „გამოცხადება“. მას მოიხსენიებენ იოანე მოციქულად, იოანე მახარებელად და იოანე ღვთისმეტყველად. „სიყვარულის მოციქულსაც“ უწოდებენ მას. თუ გახსოვთ, მესამე კლასის სახელმძღვანელოს „საკითხავში“ შეტანილი იყო ერთი პატარა მოთხრობა „უმთავრესი სათნოება“, რომელიც გვამცნობდა, როგორ დაჟინებით უმეორებდა წმინდა იოანე ღვთისმეტყველი მორწმუნეებს — შვილნო ჩემო, ერთმანეთი გიყვარდეთო, და თან განმარტავდა — ამ მცნებაში გამოიხატება შემოკლებით მთელი სწავლა სახარებისაო. აი, ამ მოთხრობაში ნახსენები იოანე ღვთისმეტყველი არის იგივე იოანე მოციქული, იოანე მახარებელი.

მამასადამე, ჩვენ ვნახეთ, რომ ოთხი სახარებიდან ორი — მათესი და იოანესი — იესო ქრისტეს მოწაფეთა მიერ არის დაწერილი, დანარჩენი ორი — მარკოზისა და ლუკასი — ქრისტეს მოწაფეების მოწაფეთა მიერ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში შექმნილი სახარებების სახით ჩვენს წინაშეა თვითმხილველთა უტყუარი მოწმობა მაცხოვარის ცხოვრების, მოღვაწეობისა და მოძღვრების შესახებ.

„ახალი აღთქმის“ მომდევნო ნაწილი „მოციქულთა საქმე“, როგორც ზემოთაც ითქვა, ლუკა მახარებელის დაწერილია.


„ახალი აღთქმის“ შემდეგი ნაწილი, ეპისტოლეები ანუ წერილები, ვიცით უკვე. ეკუთვნით მოციქულებს — იაკობს, პეტრეს, იოანეს, იუდას და პავლეს. ამათგან იოანე უკვე გავიცანით, ეს არის იგივე იოანე მახარებელი. პეტრე და პავლე მოციქულების სახელი ყოველ ქრისტიან კაცს ისედაც ხშირად სმენია. თქვენც გაგონილი გექნებათ საეკლესიო დღესასწაული პეტრე-პავლობა, რომელიც სწორედ ამ ორ მოციქულს ეძღვნება. რაც შეეხება დანარჩენ ორ მოციქულს — იაკობსა და

იუდას, ისინი იესო ქრისტეს ახლო ნათესაეები და მისი მოწაფეები იყვნენ. ოღონდ ამ ორთაგან ერთი — იუდა მოციქული არ უნდა აგვერიოს ქრისტეს მოწაფე იუდა ისკარიოტელში, რომელმაც, ალბათ ვიცით, გასცა თავისი მოძღვარი.

„ახალი აღთქმის“ ბოლო ნაწილი, ბოლო წიგნი — „გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა“ ანუ „აპოკალიფსი“ იოანე მახარებელის, იგივე იოანე მოციქულის მიერ არის დაწერილი.

ყოველივე ზემოთქმულის უკეთ დასამახსოვრებლად თანმიმდევრობით ჩამოვწეროთ „ახალი აღთქმის“ წიგნები და იქვე ფრჩხილებში მიუწეროთ ამ წიგნთა შემოკლებული დასახელება:

1. სახარება მათესი (მათ.).
2. სახარება მარკოზისა (მარკ.).
3. სახარება ლუკასი (ლუკ.).
4. სახარება იოანესი (იოან.).
5. მოციქულთა საქმე (საქმე), ავტორი — ლუკა მახარებელი.
6. ეპისტოლე იაკობისა (იაკ.).
7. პირველი ეპისტოლე პეტრესი (1 პეტრ.).
8. მეორე ეპისტოლე პეტრესი (2 პეტრ.).
9. პირველი ეპისტოლე იოანესი (1 იოან.).
10. მეორე ეპისტოლე იოანესი (2 იოან.).
11. მესამე ეპისტოლე იოანესი (3 იოან.).
12. ეპისტოლე იუდასი (იუდ.).
13. პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ (რომ.).
14. პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ (1 კორ.).
15. პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ (2 კორ.).
16. პავლე მოციქულის ეპისტოლე გალატელთა მიმართ (გალ.).
17. პავლე მოციქულის ეპისტოლე ეფესელთა მიმართ (ეფეს.).
18. პავლე მოციქულის ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ (ფილიპ.).
19. პავლე მოციქულის ეპისტოლე კოლოსელთა მიმართ (კოლ.).
20. პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ (1 თეს.).
21. პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ (2 თეს.).
22. პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ (1 ტიმ.).
23. პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ (2 ტიმ.).
24. პავლე მოციქულის ეპისტოლე ტიტეს მიმართ (ტიტ.).



25. პავლე მოციქულის ეპისტოლე ფილიმონის მიმართ (ფილიმ.).

26. პავლე მოციქულის ეპისტოლე ებრაელთა მიმართ (ებრ.).

27. გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა (გამოცხ.).



ქრისტიანული სარწმუნოება დააფუძნა იესო ქრისტემ, რომლის ცხოვრება და მოძღვრება სწორედ „ახალ აღთქმაში“ არის გადმოცემული. აქედან ცხადი უნდა იყოს, რაოდენ დიდია „ბიბლიის“ ამ ნაწილის, „ახალი აღთქმის“ მნიშვნელობა კაცობრიობის მთელი ისტორიისათვის – ამ დიდებული წიგნის მეშვეობით გავრცელდა მთელ ქვეყნიერებაზე ქრისტიანული რელიგია. ამიტომ არის, რომ „ახალი აღთქმა“ ყველა ქრისტიან ხალხს თარგმნილი აქვს თავ-თავის ენაზე.

„ახალი აღთქმის“ წიგნებიდან ქართულად პირველად, ცხადია, ოთხთავი ითარგმნა. ეს მოხდა უკვე მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში. „ახალი აღთქმის“ დანარჩენი წიგნები მეხუთე-მეექვსე საუკუნეებშივე გადმოუღიათ ბერძნულიდან ქართულად. ეს თარგმანები მრავალჯერ გადამუშავდა, გასწორდა, დაიხვეწა.

მეთერთმეტე საუკუნის შუა წლებში დიდმა საეკლესიო მოღვაწემ და ცნობილმა წმინდანმა გიორგი მთაწმინდელმა (გიორგი ათონელმა) შეასრულა ოთხთავის სწორუპოვარი თარგმანი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე, ჩვენს დრომდე, შეუცვლელია. ამ თარგმანის მრავალი ხელნაწერი და ბეჭდური გამოცემა არსებობს.

„ახალი აღთქმის“ ბოლო თარგმანი, ჩვენს ხანაში შესრულებული, დაბეჭდილია 1989 წელს გამოცემულ ქართულ „ბიბლიაში“.

შობა უფლისა

ვინც რელიგიის ისტორიისა და კულტურის მეექვსე კლასის სახელმძღვანელო გულდასმით ისწავლა, უნდა ახსოვდეს: „ძველი აღთქმის“ წინასწარმეტყველთა მონათხრობის თანახმად, ღმერთმა აღუთქვა თავის რჩეულ ერს, რომ მოუვლენდა მხსნელს, მესიას („ცხებულს“) და ეს მესია ცოდვებით დამძიმებულ, ჭეშმარიტების გზას გადაცდენილ კაცობრიობას კვლავ შეარიგებდა უფალთან.

ვინ უნდა ყოფილიყო კაცობრიობის გამოუმხსნელი მესია? ამის თაობაზე რელიგია და კულტურის მესამე კლასის სახელმძღვანელოში ნათქვამი იყო:

საძნელო მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანები თვითონვე ვეღარაფერს შევლოდნენ თავის თავს. ამიტომ ადამიანთა უსაზღვროდ მოყვარული ღმერთი თავად მოევლინა ქვეყნიერებას კაცობრიობის საშველად და გამოსახსნელად. ამ მიზნით ქვეყნად გამოცხადებული ღმერთი იყო იესო ქრისტე.

იესო ქრისტე – სრული ღმერთიც და სრული კაციც, ჩვენი უფალი და მაცხოვარი.

იესო ქრისტეს შობის ამბავს ორი მახარებელი მოგვითხრობს – მათე და ლუკა. ახლა ჩვენ უნდა გავეცნოთ ამ საღვთო ამბავს.

ამბავი იწყება პალესტინაში, სახელდობრ, გალილეაში, კერძოდ – ქალაქ ნაზარეთში.

გალილეა ძველი ქანაანის ქვეყნის ანუ მერმინდელი პალესტინის ჩრდილოეთ მხარეს ეწოდებოდა, ხმელთაშუა ზღვასა და გალილეის ზღვას შორის მოქცეულს. ეს ის პატარა ზღვა ანუ ტბა არის, რომლიდანაც მდინარე იორდანე გამოედინება. გალილეის ზღვას (ტბას) კიდევ გენესარეთის ანდა ტიბერიადის ზღვა (ტბა) ეწოდებოდა.

ნაზარეთი გალილეის პატარა ქალაქი იყო. აქ ცხოვრობდა ღმერთისთვის შეწირული წმინდა ქალწული მარიამი, სწორედ ის, ვინც შემდგომში ღვთაებრივი მისია აღასრულა და შვა უფალი იესო ქრისტე, რის გამოც მარიამს ღვთისმშობელს ვუწოდებთ. აქვე ისიც ვთქვათ, რომ შემდგომში იესო ქრისტე გალილეველად და ნაზარეველად მოიხსენიებოდა იმ მხარისა და იმ ქალაქის სახელწოდებისდა მიხედვით.

გადმოცემის თანახმად, მარიამის მშობლები იყვნენ იოაკიმე და ანა, წმინდა,

მართალი ადამიანები. მათ დიდხანს არ ჰყავდათ შვილი და აღთქმა დადეს — თუკი შვილი შეგვეძინა, ღმერთს შევწირავთო. რაღა თქმა უნდა, ძველი დროისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში შეწირვა ნიშნავდა საუფლოდ აღზრდას და საუფლო ცხოვრებას და არა სიცოცხლის გამოსალმებას. მარიამი რომ იშვა და სამი წლისა შესრულდა, მშობლებმა, აღთქმისამებრ, იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს, სადაც ის იზრდებოდა უფლისთვის შეწირულ სხვა წმინდა ქალწულებთან ერთად (უნდა ვიცოდეთ, რომ მარიამის ანუ ღვთისმშობლის ტაძარში მიყვანას, ტაძრად მიყვანებას მართლმადიდებელი ეკლესია ყოველი წლის 21 ნოემბერს, ახალი სტილით — 4 დეკემბერს აღნიშნავს).

ღვთისმშობელ მარიამის შემდგომ ცხოვრებას სახარება მოგვითხრობს, კერძოდ — ლუკას სახარება.


ნაზარეთში ქალწული მარიამი დანიშნული იყო ერთ ღვთისწიერ კაცზე — იოსებზე, — ბრძანებს ლუკა მახარებელი (1,27). ამ ცნობას მათე მახარებელი ავსებს. მათეს სახარებას რომ გადავშლით, ვნახავთ, რომ ასე იწყება: „აბრაამა შვა ისააკი, ისააკმა შვა იაკობი, იაკობმა შვა იუდა და მისი ძმები“ (1,2).

ვინც შარშანდელი სახელმძღვანელო კარგად ისწავლა, მისთვის ეს სიტყვები უცნობი არ უნდა იყოს: რელიგიის ისტორიისა და კულტურის მეექვსე კლასის ღივნში ჩვენ დაწვრილებით გავეცანით აბრაამის, ისააკის, იაკობისა და მისი შვილების თავგადასავალს. აი, სწორედ ამას იხსენებს მათე მახარებელი და შემდეგ ასახელებს მომღვეწო თაობათა წარმომადგენლებს. აქ შევიტყობთ, რომ აბრაამის ერთ-ერთი შორეული შთამომავალი ყოფილა დიდი მეფე და წინასწარმეტყველი დავითი (მის შესახებაც ბევრი რამ ითქვა შარშანდელ სახელმძღვანელოში).

ხოლო დავით მეფის შორეული შთამომავალნი იყვნენ მარიამიც და მისი დანიშნული იოსებიც.

და, აი, ერთ დიდებულ დღეს ქალწულ მარიამს ანგელოზი გამოეცხადა. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა.

ანგელოზთა შესახებ მეოთხე კლასის სახელმძღვანელოში ვისაუბრეთ. ვახსოვთ ალბათ, რომ ანგელოზები არიან უხილავი, უსხეულო, სულიერი არსებანი, ღმერთის მსახურნი, რომელნიც უფლის ნებას გვამცნობენ და სიკეთის გზაზე სვლაში გვეხმარებიან ადამიანებს. მათგან უმაღლესთ მთავარანგელოზებს უწოდებენ. „ძველი აღთქმის“ ტრადიციის თანახმად, ცნობილია შვიდი მთავარანგელოზის სახელი: მიქაელი (ეს სახელი ნიშნავს „უფლის მსგავს“), გაბრიელი (ნიშნავს — „ძალა ღვთისა“), რაფაელი („შეწევნა ღვთისაგან“), ურიელი („ცეცხლი ღვთისა“),



სელიფიელი („ლოცვა ღვთისადმი“), იგუდიელი („დიდება ღვთისა“) და ვარაქიელი („კურთხევა ღვთისა“).

ამ მთავარანგელოზთაგან ხალხში უფრო გავრცელებულია ორის – მიქაელისა და გაბრიელის სახელები.

დიან, ქალწულ მარიამს მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა. „და ანგელოზმა უთხრა მას: ნუ გეშინია, მარიამ, რადგანაც ჰპოვე მადლი ღმერთის წინაშე.

და, აჰა, მუცლად იღებ, და შობ ძეს და უწოდებ მას სახელად იესოს. დიდი იქნება იგი, და უზენაესის ძედ იწოდება, და მისცემს მას ღმერთი მამამისის დავითის ტახტს.

და იმეფებს იაკობის სახლზე საუკუნოდ, და არ იქნება დასასრული მისი სუფევისა.

ხოლო მარიამმა უთხრა ანგელოზს: როგორ იქნება ეგ, მამაკაცი რომ არ ვიცი? მიუგო ანგელოზმა და უთხრა მას: სული წმინდა გადმოვა შენზე, და უზენაესის ძალა დაგფარავს შენ. და ამიტომ ღმერთის ძედ იწოდება წმიდა შობილი“ (ლუკ. 1,30-35).

ამ საღვთო სტრიქონებიდან ჯერ ის განვმარტოთ, რომ „მუცლად იღებ“ იმას ნიშნავს – დაორსულებიო. მთავარანგელოზმა მარიამს ამცნო, რომ სული წმინდა გარდამოვიდოდა მასზე და შობდა ძეს, იესოს, რომელიც იქნებოდა უზენაესის ძე, ღმერთის ძე, ზებუნებრივი ძალით გაჩენილი.

აქვე ვთქვათ, რომ სახელი იესო ებრაულად გამოითქმის, როგორც „იეშუა“ და „მსხნელს“ ნიშნავს. ასე უნდა დარქმეოდა ახალშობილ ყრმას გაბრიელ მთავარანგელოზის ბრძანების თანახმად. ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ ეწოდა ყრმას „მსხნელი“ – მან გვიხსნა ჩვენ ყველანი.

ისიც უნდა გავარკვიოთ, რას ნიშნავს მთავარანგელოზის სიტყვები: „მისცემს მას ღმერთი მამამისის დავითის ტახტს“. იესო ქრისტე ხომ ღმერთის ძე იყო, თავად უფალი იყო მისი მამა. მაგრამ რაკი ღვთისწმობელი მარიამიც დავით მეფის შთამომავალი იყო და მისი დანიშნული იოსებიც დავით მეფის შთამომავალი იყო, ამდენად, წმინდა ქალწულის მიერ შობილი იესო დავით მეფის შთამომავლად მიიჩნეოდა, დავით მეფე ხორციელად წინაპრად ანუ მამად ერგებოდა იესოს.

დავიმახსოვროთ, რაც აქ ითქვა, და წამით გადავუხვიოთ უმთავრეს სათქმელს. დავით გურამიშვილის დიდებული ქმნილების „დავითიანის“ დასასრულს ამგვარი სტრიქონები გვხვდება:

„თქვენ ვერ დასთმობდით ჩემგნით ნათქვამსა,
 რაც თქვენგნით თქმული აწ მე ღავითმე,
 მის ღვთის ძის მამის – ღავითის სეხნა
 გურამიშვილი ვიყავ ღავით მე“.

ამ სტრიქონების გაგება უძნელდებათ ხოლმე. რას ნიშნავს „ღვთის ძის მამის – ღავითის სეხნა“ (სეხნა ანუ სეხნია)?

იმის შემდეგ, რაც ზემოთ ითქვა, არ უნდა გაგვიძნელდეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ვიცით, რომ იესო ქრისტე ღმერთის შვილი, ღმერთის ძე, ღვთის ძე იყო, ვითარცა ზებუნებრივი ძალით მოვლინებული. მაგრამ ღვთის ძესთან ერთად იგი ღავითის ძედაც იწოდებოდა, რადგან მისი მშობლები ღავით მეფის შთამომავალნი იყვნენ. იესო იწოდებოდა ღავითის ძედ და ღავითი იწოდებოდა იესოს მამად. მაშასადამე, ღავითი იყო „ღვთის ძის მამა“, როგორც ღავით გურამიშვილი ამბობს.

უმთავრეს სათქმელს მივუბრუნდეთ. მთავარანგელოზის ნაუბარის თანახმად, იესოს მიეცემოდა ღავით მეფის ტახტი. მაგრამ დაუუკვირდეთ, რა მოსდევს მთავარანგელოზის ხსენებულ სიტყვებს: „და იმეფებს... საუკუნოდ, და არ იქნება დასასრული მისი სუფევისა“. ეს სიტყვები მიგვანიშნებენ, რომ აქ ებრაელთა სახელმწიფოს ჩვეულებრივი სამეფო ტახტი კი არ იგულისხმება, არამედ ზეციური ხელმწიფება. ღმერთკაცის საუკუნო სუფევა ცასა და მიწაზე.


აი, რატომ ეწოდება იესოს („მხსნელს“) ქრისტე. მეექვსე კლასში ვისწავლეთ, რომ „ქრისტე“ ბერძნული სიტყვაა და „ცხებულს“ ნიშნავს (ებრაულად ცხებულს „მესია“ ეწოდება). „ცხებული“ ისეთი სიტყვაა, რომლითაც აღინიშნებოდა მეფე, ხელმწიფე, რადგანაც, ესეც ვისწავლეთ, ამა თუ იმ პირს გამეფებისას, მეფედ კურთხევისას ზეთს სცხებდნენ ხოლმე, როგორც სცხეს ზეთი, თუ გახსოვთ, საულს და შემდეგ ღავითს. იესოს „ცხებული“ ანუ ქრისტე იმიტომ ეწოდა, რომ ის უნდა გამხდარიყო მეფე, ხელმწიფე, ოღონდ მოკვდავი ქვეყნიური მეფე კი არა, არამედ ზეციური მეფე, უხილავი და ხილული სამყაროების მბრძანებელი, ვითარცა ღმერთი.

აქ დავსძინოთ, რომ, გარდა მეფისა, „ცხებული“ ეწოდებოდა აგრეთვე წინასწარმეტყველსაც და მღვდელმთავარსაც. და რაკი იესო ქრისტე წინასწარმეტყველიც იყო და მღვდელმთავარიც, მას ამ მხრივაც შეესაბამებოდა სიტყვა „ცხებული“.

მარიამის წინაშე მთავარანგელოზ გაბრიელის გამოცხადება და უფლის ნების მცნობა უდიდესი ისტორიული მოვლენა იყო და ამ მოვლენას ქართულად ხარბა



წილკანის ღვთისმშობლის ხატი.
მეცხრე საუკუნის ხელობა.



ეწოდება. „ხარება“ იმიტომ, რომ ანგელოზმა ახარა მარიამს დიდებული რამ: ღმერთის ჩასახვა მის მუცელში.

ეს სიტყვა, ხარება, ყოველ ჩვენგანს ბავშვობიდანვე სმენია, ყოველმა ჩვენგანმა ისედაც იცის, რომ ქრისტიანული ეკლესია ხარებას ერთ-ერთ უდიდეს დღესასწაულად მიიჩნევს და ეს დიდი დღესასწაული 25 მარტს (ახალი სტილით — 7 აპრილს) აღინიშნება ყოველწლიურად. ხარება დღე, ან კიდევ, როგორც ითქმის ხოლმე, ხარებობა დღე ერთი დაუვიწყარ დღეთაგანია.

ამის შემდეგ ლუკა მახარებელი მოგვითხრობს: იმხანად გამოიცა კეისრის ბრძანება, რომ მთელ ქვეყანაში მოსახლეობის აღწერა ჩატარებულიყო.

აქ ჩვენ მოგვიწევს გავიხსენოთ მეექვსე კლასში ნასწავლი: ძველი წელთაღრიცხვის 63 წელს ოდინდელი ქანაანის ქვეყანა, მერმინდელი პალესტინა ანუ ის მხარე, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ, რომაელებმა დაიპყრეს და რომის იმპერიის პროვინციად აქციეს. ასე რომ, ყოველი იქაური მოსახლე კეისრის ბრძანებას უნდა დამორჩილებოდა და აღწერაში მიეღო მონაწილეობა.

მარიამი და იოსებიც დამორჩილდნენ ამ ბრძანებას და ნახარეთიდან ქალაქ ბეთლემში გაემგზავრენ, რათა იქ ჩაწერილიყვნენ მოსახლეობის აღწერისას. ეს იმიტომ იყო საჭირო, რომ ისინი დავით მეფის შთამომავალნი, დავითის გვარისანი იყვნენ, ხოლო დავითის მშობლიური ქალაქი, გახსოვთ ალბათ, სწორედ ბეთლემი იყო. არც ის დაგავიწყდებოდათ, სად მდებარეობდა დავითის ქალაქი — ბეთლემი: იერუსალიმთან სულ ახლოს იყო ბეთლემი, მისგან სამხრეთით.

იქნებ ისიც გავიხსენოთ, რა იყო ნაწინასწარმეტყველები ამ ქალაქთან დაკავშირებით ადრევე, ქრისტეს შობამდე რამდენიმე საუკუნის წინ: „შენ კი, ბეთლემო... შენგან გამოივა ხელმწიფე ისრაელში და ძველთაგან იქნება მისი წარმოშობა, საუკუნო დღეებიდან“ (მიქ. 5,2).

აი, ეს დიდებული წინასწარმეტყველება ზედმიწევნით აღსრულდა, ვინაიდან სწორედ ბეთლემში იშვა ძე ღვთისა იესო ქრისტე მას შემდეგ, რაც მარიამი და იოსები ბეთლემს ჩავიდნენ.

მარიამმა და იოსებმა სასტუმროში ადგილი ვერსად იშოვეს, ასე რომ, მშობიარობის ფაშმა რა მოაწია, ღვთისმშობელმა მარიამმა ახალშობილი ჩვირებში გაახვდა და ბაგაში ჩააწვინა. ის საქონლის სადგომი და ბაგა, სადაც ჩვილი ჩააწვინეს, გადმოცემის თანახმად, მღვიმეში ყოფილა გამართული.

იესო ქრისტეს შობა ერთი უდიდესი დღესასწაულია, რადგან ამ დღეს თავად მაღალი ღმერთი განკაცდა, ზორცი შეიმოსა და აღამიანის სახით მოველინა ქვეყ-

ნიერებას. ამიტომ არის, რომ შობას მთელი საქრისტიანო დიდი ზეიმით აღნიშნავენ. თქვენ, რაღა თქმა უნდა, ამ სახელმძღვანელოს წაკითხვამდეც იცოდით, რომ ქრისტეს შობა 25 დეკემბერს აღინიშნება. ალბათ ისიც იცით, რომ ქართული ხალხური კალენდრის მიხედვით დეკემბერს სწორედ ქრისტეშობისთვისე ჰქვია. მშვენიერი ხალხური სიმღერაც მოსმენილი გექნებათ — „ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო“.

ოღონდ აქ ერთი რამ უნდა ითქვას კიდევ. ქრისტიანული აღმსარებლობის ქვეყნებში ქრისტეს შობა ზოგან ახალი სტილით აღინიშნება 25 დეკემბერს, ზოგან — ძველი სტილით. რა არის „ახალი სტილი“ და „ძველი სტილი“, ამის თაობაზე შემდეგ ვისაუბრებთ დაწვრილებით. ახლა მხოლოდ ის დავიმახსოვროთ, რომ ახალი სტილი 13 დღით უსწრებს ძველ სტილს. როდესაც ახალი სტილით 25 დეკემბერია, მაშინ ძველი სტილით ჯერ კიდევ 12 დეკემბერი დგას. როდესაც ძველი სტილით 25 დეკემბერი დადგება, მაშინ ახალი სტილით უკვე 7 იანვარია. ამავე დროს, ჩვენი კალენდარი, დროის ათვლის ის სისტემა, რომელსაც დღესდღეობით მსოფლიოს ყველა სახელმწიფო იყენებს, ახალ სტილს მისდევს. ამიტომ არის, რომ, ვთქვათ, საქართველოში, რუსეთში და კიდევ ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, სადაც ეკლესიები კვლავაც ძველი სტილით სარგებლობენ, ქრისტეს შობა 25 დეკემბერს კი არ უწევს, არამედ — 7 იანვარს.

ჩვენს მოსათხრობს მივსდით.

იმ არემარეზე, სადაც იესო იშვა, მწყემსები თავიანთ საქონელს უდგნენ დარაჯად ღამით. მათ გამოეცხადათ უფლის ანგელოზი და უთხრა:

„აჰა, მე გახარებთ დიდ სიხარულს, რომლითაც იხარებს ხალხი, რადგან დღეს დავითის ქალაქში დაიბადა თქვენი მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი. და აი, თქვენი ნიშანი: იპოვით ყრმას შეხვეულს და მწოლიარეს ბაგაში“ (ლუკ. 2,10-12).

მწყემსებმა მართლაც მიაკვლიეს იმ გამოქვაბულს, იხილეს დიდებული სურათი — ბაგაში მწოლიარე ღვთაებრივი ყრმა, და თავყვანი სცეს მას.

ყოველსავე ამას ლუკა მახარებელი მოგვითხრობს. მათე მახარებელი სხვა რამესაც გვაუწყებს:

„როცა იუდეის ბეთლემში დაიბადა იესო ქრისტე, ჰეროდეს მეფობის ჟამს, აჰა, აღმოსავლეთით მოვიდნენ მოგვნი იერუსალემს. და თქვეს: სად არის იუდეველთა ახალშობილი მეფე? ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თავყვანი ვცეთ მას. ეს რომ გაიგო, შეძრწუნდა მეფე ჰეროდე და

მთელი იერუსალემი მასთან ერთად“ (მათ. 2,1-3).

ვიდრე თხრობას განვაგრძობდეთ, უნდა გავარკვიოთ, ვინ იყვნენ მოგენი და ვინ იყო ჰეროდე მეფე.

სიტყვა „მოგენი“ რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება. ჩვენს შემთხვევაში ეს სიტყვა ვარსკვლავთმრიცხველს ანუ ასტრონომსა და ასტროლოგს ნიშნავს. ამნაირი ვარსკვლავთმრიცხველნი ოდითგანვე მრავლად იყვნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში — შუამდინარეთში, სპარსეთში, არაბეთში. მათ დიდი ცოდნის მფლობელებად მიიჩნევდნენ და დიდ სიბრძნესაც მიაწერდნენ.

აი, ეს ვარსკვლავთმრიცხველები მოვიდნენ აღმოსავლეთის ერთ-ერთი ქვეყნიდან, რადგან თავიანთ მხარეში მათ გამოუბრწყინდათ უჩვეულო ვარსკვლავი, იმის მაუწყებელი, რომ იუდეაში იშვა მეფე, მთელი კაცობრიობის მხსნელი. ამიტომ მოგვებმა გადაწყვიტეს მოსულიყვნენ და თავიანთ ეცათ ახალშობილისთვის, ვითარცა უდიდესი მეფისთვის.

ჰეროდეს რაც შეეხება, მაცხოვარის შობის ხანს იუდეის მეფე იყო, თუმცაღა ამ ტიტულის მფლობელი მაინც რომის იმპერატორს ემორჩილებოდა — იუდეაც და მთელი ის მხარე, ითქვა უკვე, რომის პროვინცია იყო. ვერაგი და გულმხეცი კაცი იყო ჰეროდე მეფე, თავისი ტახტი მტკიცედ რომ შეენარჩუნებინა, არავის ინდობდა, საკუთარი ცოლი და ვაჟიშვილებიც კი ამოუწყვეტია თურმე.

აი, ამნაირი ბუნების კაცმა მოგვებისგან შეიტყო, რომ „იუდეველთა ახალშობილი მეფე“ მოვლენოდა ქვეყნიერებას. ამიტომაც შეძრწუნდა ჰეროდე, დაასკვნა, რომ, ადრე იქნებოდა თუ გვიან, ეს ახალშობილი ყრმა მას ტახტს წაართმევდა.

აქ ერთ რასმე მივაპყროთ ყურადღება: სახარების ტექსტში, როგორც ვნახეთ, ასე წერია: „ეს რომ გაიგო, შეძრწუნდა მეფე ჰეროდე და მთელი იერუსალემი მასთან ერთად“. ჰეროდე რატომ შეძრწუნდა, ვიცით უკვე, მაგრამ მთელი იერუსალიმი რატომ შეძრწუნდა? იმიტომ, რომ საფრთხე იგრძნეს: იმის ფიქრით შეპყრობილი ჰეროდე — ჩემი სამეფო ტახტის მოცილე დაიბადაო, ვინ იცის, რას დააწვედა იერუსალიმსაც და მთელ ქვეყანასაც.

ამ ფიქრით შეურეებულმა ჰეროდემ მღვდელმთავრები და სწავლული კაცნი — მწიგნობრები შეყარა და მათგან იძიებდა, თუ სად უნდა დაბადებულიყო საღვთო წერილის მიხედვით დიდი მეფე — მესია ანუ ქრისტე. მათ მიუგეს, რომ წინასწარმეტყველების თანახმად, მესია ბეთლემში უნდა შობილიყო (ამ წინასწარმეტყველების შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ზემოთ).

ჰეროდემ ეს რომ შეიტყო, ფარულად იხმო მოგვები და უთხრა: „წადით და



*ეკვიპტელ ლტოლვა.
მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელი ფერმწერის ტიცოანის ნახატი.*





გამოწვლილვით გამოიძიეთ ყრმის ამბავი, და როდესაც ჰპოვებთ, მაცნობეთ მე, რათა თავადაც მივიდე და თაყვანი ვცე მას“ (მათ.2,8).

მიხვდით ალბათ ჰეროდეს შზაკვრობას: მას სურდა, მოგვების მეშვეობით მიეკვლია ახალშობილი ყრმისათვის და მოეკლა. მივიდე და თაყვანი ვცეო, - თვალის ასახვევად უთხრა, ცხადია.

მოგვები ბეთლემისკენ გაემართენ, ის უჩვეულო ვარსკვლავი წინ მიუძღოდით, ვიდრე იმ ადგილს არ დაადგა თავს, სადაც ახალშობილი ყრმა იწვა. მაშინ მოგვები მიეახლენ ჩვილ იესოს, თაყვანი სცეს და სამეფო ძღვენი მიართვეს - ოქრო, გუნდრუკი და მური.

შემდგომ ამისა, მოგვებს ღვთის განგებით ემცნოთ, რომ ჰეროდესთან დაბრუნების ნაცვლად შინისკენ სხვა გზით გამგზავრებულყვენ, რადგან, ასე რომ არა, ჰეროდესთვის ღვთაებრივი ყრმის ადგილსამყოფელი უნდა გაემხილათ და მაშინ მეფე თავის ბოროტ განზრახვას აღასრულებდა.

მათი წასვლის შემდეგ იოსებს უფლის ანგელოზი ეჩვენა სიზმრად და უბრძანა ჩვილ იესოსთან და ღელამისთან ერთად ეგვიპტეს გაქცეულიყო, რათა ჰეროდემ მეფის რისხვას გადარჩენილიყვენ. იოსები ანგელოზის დარიგებისამებრ მოიქცა და ეგვიპტეს მიაშურა.

ამასობაში ჰეროდე მიხვდა - მოგვებმა მომატყუესო, გააყებულმა ხალხი დაგზავნა და ბეთლემსა და მის შემოგარენში ორ წლამდე ასაკის ყველა ყრმა ამოაწყვეტინა იმის იმედით, რომ მათ შორის იუდეველთა ახალშობილი მეფეც მოხვდებოდა.

ეს ამბავი „სახარების“ ძველ თარგმანში ამგვარად არის მოთხრობილი: „...განრისხნა ფრიად და წარავლინნა და მოსწყვიდა ყოველი ყრმები, რომელნი იყვნენ ბეთლემს და ყოველთა საზღვართა მისთა...“ (მათ. 2,16). ეს იმიტომ შეგახსენებ რომ ძველი ტექსტების კითხვისას, ძველი ფრესკების ხილვისას, საეკლესიო საკითხავთა მოსმენისას შეგზვდებათ ტერმინი „ყრმათა მოწყვედა“ და უნდა იცოდეთ რომ ეს ტერმინი მათეს სახარების მითითებულ ადგილს, ამ ადგილის ძველ თარგმანს უკავშირდება.

წმინდა ოჯახის ეგვიპტეში ჩასვლის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ ჰეროდე მეფე მოკვდა. ეს ამბავი იოსებს საღმრთო ჩვენებით ეუწყა, წამოიყვანს ეგვიპტიდან ჩვილი იესო და მარიამი, ისრაელის ქვეყანაში დაბრუნდა და კვლავ გალილეის ქალაქ ნაზარეთში დასახლდა.

მოგვებისა და ეგვიპტეში გაქცევის, ანუ, როგორც ძველად ამბობდნენ, ეგვიპ-

ტელ ლტოლვის ამბავი მათე მახარებელს აქვს მოთხრობილი. ლუკა მახარებელი სხვა ცნობებსაც გვაწვდის იესოს ცხოვრებასთან დაკავშირებით.

ახალშობილი რვა დღისა რომ შესრულდა, ებრაელთა ჩვეულების თანახმად, წინადაცვითეს და უწოდეს სახელი იესო. დაბადებიდან ორმოცი დღე რომ გავიდა, მშობლებმა ჩვილი იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს უფლის წინაშე წარსადგენად, როგორც ამას რჯული მოითხოვდა.

იმ დროს იერუსალიმში ცხოვრობდა ერთი დიდად მოხუცებული წმინდა კაცი, სახელად სიმონი, რომლისთვისაც უფალს აღთქმული ჰქონდა – ვიდრე ქრისტეს არ იხილავ, არ აღესრულებიო. იესო რომ ტაძარში მიიყვანეს, სიმონ მოხუცებულს სულიწმიდით ეუწყა ეს ამბავი. ადგა და თვითონაც იქ მივიდა, ღვთაებრივი ყრმა მკლავებზე მიიჭვა და თქვა: რაკი ჩემმა თვალებმა იხილეს ღმერთის მიერ მოვლინებული მაცხოვარი, აწ მშვიდად აღვესრულებიო, და აკურთხა ყრმა.

ეს მოხდა, როგორც ვთქვით, იესო ქრისტეს შობიდან მეორმოცე დღეს. რაკი იესო 25 დეკემბერს იშვა, აქედან მეორმოცე დღე იქნება 2 თებერვალი (ახალი სტილით – 15 თებერვალი). მართლაც, „საკელესიო კალენდარს“ თუ გადავშლით, ვნახავთ, რომ 2(15) თებერვალს აღნიშნულია დღესასწაული: მირქმა (მიგებება) უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

რატომ ჰქვია ამ დღესასწაულს მირქმა (მიგებება)?

„სახარების“ ახალ თარგმანში წერია, რომ სიმონ მოხუცებულმა „ხელში აიყვანა“ იესო, მაგრამ ძველ თარგმანში ეს ადგილი სხვაგვარად იკითხება: სიმონ-მარ „მიიჭვა იგი მკლავთა თვისთა ზედა“. ამ „მიიჭვადან“ წარმოდგა სიტყვა „მირქმა“, რაც ხელში აყვანას ნიშნავს.

ეს ყოველივე რომ აღსრულდა, წმინდა ოჯახი ქალაქ ნაზარეთში დაბრუნდა და ჩვეულებრივს ცხოვრებას შეუდგა. „ხოლო ყრმა იზრდებოდა და მტკიცდებოდა სულით, და ივსებოდა სიბრძნით, და იყო მაღლი ღმრთისა მასზე“ (ლუკ. 2,40).

იესო რომ გამოჩნეული, უჩვეულოდ გონიერი და მართლაც სიბრძნით აღვსილი ბავშვი იყო, ერთი ამბიდანაც ჩანს.

მისი მშობლები ყოველ წელიწადს პასექის დღესასწაულზე იერუსალიმის ტაძარში მიდიოდნენ ხოლმე. თორმეტი წლის რომ შეიქნა იესო, წმინდა ოჯახი, ჩვეულებისამებრ, იერუსალიმს ჩავიდა. დღესასწაული რა მოთავდა და უკან გამობრუნდნენ, მშობლებმა ვერ შენიშნეს, რომ ბავშვი თურმე იერუსალიმში დარჩენილიყო, ასე ეგონათ – სხვებთან ერთად მოდისო. კარგა დიდი გზა განვლეს, ვიდრე მარიაში და იოსები მიხვდებოდნენ, იესო რომ არსად ჩანდა. მოიკითხეს ნათესავებ-



სა და ნაცნობებს შორის, მაგრამ ვერსად ნახეს. მაშინ შეშფოთებული მშობლები იერუსალიმს ჩაბრუნდნენ და აქ დაუწყეს ძებნა. სამი დღის შემდეგ იპოვეს იესო ტაძარში, „მოძღვართა შორის ჩამჯდარიყო, უსმენდა და კითხვებს აძლევდა მათ“.

იერუსალიმის ტაძრის მოძღვარნი, თქმა არ უნდა, დიდად განსწავლულნი, მთელი „ძველი აღთქმის“, საღვთო რჯულის ზედმიწევნით მცოდნენი იყვნენ, მათთან საუბარი და მსჯელობა თორმეტი წლის ყმაწვილისთვის კი არა, დიდად განათლებული და ასაკოვანი კაცისთვისაც არ იქნებოდა იოლი.

შვილო, ეს რა გვიყავიო, — უსაყვედურა დედამ იესოს. — „აჰა, მე და მამაშენი დავდივართ და გულშემოყრილნი დაგეძებთ“ (ლუკ. 2,46).

ამაზე იესომ მიუგო:

„ნუთუ არ იცით, რომ მე მმართვეს იქ ყოფნა, სადაც ყველაფერი მამაჩემს ეკუთვნის?“

მიხვდით ალბათ, რასაც გულისხმობდა ამ სიტყვათა მთქმელი თორმეტი წლის იესო: მისი მამა თავად უფალი ღმერთი იყო, ხოლო ტაძარი სწორედ ღვთის სახლია.

მეტი აღარაფერია ცნობილი იესოს ბავშვობისა და სიჭაბუკის შესახებ — როგორ იზრდებოდა, რას იქმნა ქვეყნად მოვლენილი ძე ღვთისა. ერთადერთი ლუკა მახარებელი გვეუბნება მოკლედ: „ხოლო იესოს ემატებოდა სიბრძნე და ასაკი და მადლი ღმრთისა და კაცთა წინაშე“ (2,52).

ამის შემდეგ იესო ქრისტე წარმოგვიდგება უკვე ოცდაათი წლის ასაკისა, როდესაც მისი ნათლისღება აღესრულა.



მირქმა.

მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეთა ქართული მინანქარი.

ნათლისღება

ხარება დღემდე ექვსი თვით ადრე იმ არემარეზე ერთი დიდი ამბავი მოხდა კიდევ და ეს ამბავი ასე დაიწყო.

ღვთისნიერი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა ერთი, მართალი და უმწიკვლო ადამიანები, ღვთისმშობელ მარიამის ახლო ნათესავეები. ქმარს ზაქარია ერქვა, ცოლს – ელისაბედი. ზაქარია მღვდელი იყო. უკვე ხანშიშესულნი იყვნენ და არა და არ უჩნდებოდათ შვილი.

ერთხელ, ტაძარში მღვდელმსახურების აღსრულებისას, ზაქარიას უფლის ანგელოზი მოველინა და უთხრა: შენი ვედრება შესმენილ იქნა, ელისაბედი ძეს გიმობს და მას სახელად იოანეს უწოდებო. სულიწმიდით აღივსება შენი ვაჟი, მოწმიდარი იქნება, მრავალ ისრაელიანს კვლავ მოაქცევს ღმერთისკენ, რათა უფალს გზა განუმზადოსო.

„უთხრა ზაქარიამ ანგელოზს: მერედა, რით გავიგებ ამას? რადგან მე მოხუცი ვარ და ჩემი ცოლიც ხანშია შესული“ (ლუკ. 1,18).

მე ვარ გაბრიელი, – მიუგო ანგელოზმა, – იმისთვის ვარ მოვლინებული, რათა ეს ამბავი გახარო. მაგრამ ვინაიდან ჩემს სიტყვებს არ ერწმუნე, სანამ ჩემი ნათქვამი არ აღსრულდება, მანამდე დამუნჯდებითო.

ტაძრიდან რომ გამოვიდა ზაქარია, გარეთ მდგარ მლოცველთა წინაშე ენა ვეღარ დაძრა, უხმოდ ანიშნებდა რაღაცას.

როგორც აქვე ზემოთ ითქვა, ეს ამბავი მოხდა ხარება დღემდე ექვსი თვით ადრე, იმ დღემდე ექვსი თვით ადრე, როდესაც გაბრიელ მთავარანგელოზმა ქალწულ მარიამს ახარა, რომ იგი სულიწმინდის ძალით ღვთის ძეს შობდა.

ანგელოზის მიერ ზაქარიასთვის ნათქვამი სიტყვა, რაღა თქმა უნდა, შესრულდა, ელისაბედი დაორსულდა და შვა ძე. ეს მოხდა ქრისტეს შობამდე ექვსი თვით ადრე.

ვაჟის დაბადებიდან მერვე დღეს ნათესავეები და მეზობლები შეიყარნენ ახალშობილის წინადასაცვეთად და სახელის დასარქმევად. მათი აზრით, ყრმას მამამისისავე სახელი უნდა დარქმეოდა. მაგრამ ელისაბედმა – არა, იოანე უნდა დავარქვათო. საკვირველი იყო ეს, ვინაიდან დამუნჯებული ზაქარია თავისი ხილვის ამბავს, ცხადია, ვერ მოუყვებოდა ცოლს, ვერ ეტყოდა – უფლის ნების თანახმად,

ჩვენს შვილს იოანე უნდა დავარქვათო. არადა, ელისაბედმა მაინცდამაინც იოანე თქვა შვილის სახელად, თითქოს მასაც მოესმინოს ანგელოზის სიტყვები.

მაშინ იქ შეკრებილებმა ზაქარიას მიმართეს და ანიშნეს — რა დავარქვათ? დამუნჯებულმა ზაქარიამ ფიცარი მოატანინა და ზედ დაწერა: „მისი სახელია იოანე“.

ამის ქმნა იყო და კვლავ ენა ამოიღვა ზაქარიამ.

ასე მოგვითხრობს „სახარება“ იოანე ნათლისმცემელის შობის ამბავს. ზაქარიასა და ელისაბედის ახალშობილი ვაჟი სწორედ ის პიროვნება იყო, ვისაც შემდგომში იოანე ნათლისმცემელი ეწოდა.

ეს სახელი ყოველმა ქრისტიანმა ბავშვობიდანვე იცის. თქვენც გსმენიათ ეს სახელი, რაღა თქმა უნდა. მაგრამ მარტოოდენ სახელის ცოდნა არ კმარა. ცოტა რამ იმის თაობაზეც უნდა ვუწყოდეთ, რატომ არის იოანე ნათლისმცემელი ასე-რიგად სახელგანთქმული.

ჯერ ის ვთქვათ, რომ იოანე ნათლისმცემელს წინამორბედსაც უწოდებენ. ის იყო იესო ქრისტეს წინამორბედი, მისთვის გზის გამამზადებელი.

დამუნჯებულმა ზაქარიამ ხმა რომ ამოიღო, ამგვარი რამ თქვა:


„და შენ, ყრმაო, უზენაესის წინასწარმეტყველად იწოდები, რადგანაც წინ წაუძღვები უფალს, რათა გაამზადო მისი გზა“ (ლუკ. 1,76).

ეს სიტყვები თავისთავად წინასწარმეტყველური იყო. მაგრამ საგულისხმო ისიც არის, რომ იესო ქრისტეს მოვლინებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე მცხოვრები წინასწარმეტყველნიც ამასვე გვამცნობდნენ. ესაია წინასწარმეტყველი ბრძანებდა: „ხმა მლაღაღებლისა უდაბნოში: გაამზადეთ უფლის გზა“ (ეს. 40,3). მალაქია წინასწარმეტყველი: „აჰა, მოვაგლენ ჩემს ანგელოზს და გაამზადებს გზას ჩემს წინაშე“ (მალ. 3,1). ამ სიტყვებით სწორედ იოანე ნათლისმცემელის მოღვაწეობა იგულისხმებოდა.

იოანე იმთავითვე საღვთო საქმის აღსასრულებლად იყო თავგადადებული. სიჭაბუკიდან განეშორა ხალხს და უდაბნოში იწყო ცხოვრება განდევნილად, ასკეტურ პირობებში, დაუცადებელი მარხვითა და ღოცვით. მის ყოფას მხარეებელი ასე აგვიწერს: „იოანეს ემოსა აქლემის ბეწვი და წელს ერტყა ტყავის სარტყელი. და საზრდელი მისი იყო კალია და ველური თავფლი“ (მათ. 3,4).

ოცდაათი წლის იყო იოანე, როდესაც ქადაგება დაიწყო იუდეის უდაბნოში. ეს უდაბნო იუდეის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს არის, მკედარ ზღვას ესაზღვრება.

„იმ დღეებში მოვიდა იოანე ნათლისმცემელი იუდეის უდაბნოში საქადაგებ-



ლად და ამბობდა: მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოვდა ცათა სასუფეველი.

მაშინ გამოდიოდა მისკენ იერუსალემი და მთელი იუდეა და მთელი შემოგარენი იორდანესი.

ინათლებოდნენ მისგან იორდანეში და აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს“ (მათ. 3,1-2, 3,5-6).

კარგად უნდა დავუკვირდეთ, რაც აქ არის ნათქვამი.

მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოვდა ცათა სასუფეველიო, — ბრძანებდა იოანე. ეს იმას ნიშნავდა, რომ მოახლოვდა დრო, როდესაც უნდა მოსულიყო ძველთაგანვე აღთქმული მესია („ცხებული“), ანუ ქვეყნის მხსნელი მეფე. ოლონდ მიწიერი ამქვეყნიური ხელმწიფე კი არაა, არამედ — ზეციური, რომელიც ხალხს თავის სასუფეველში მოუწოდებდა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ყოველივე ამით იგულისხმებოდა სწორედ ქრისტეს მოსვლა.

ასე რომ, იოანე ხალხს ამცნობდა: ქრისტეს მოსვლის ჟამი მოახლოვდაო. და სწორედ ამის გამო მოუწოდებდა იოანე — მოინანიეთო. მოინანიება იმას ნიშნავს, რომ ადამიანი აღიარებს თავის მიერ ჩადენილ ცოდვებს და უფალს ამ ცოდვათა მიტევებას ანუ პატიებას შესთხოვს. ეს კი, თავის მხრივ, იმის მაუწყებელია, რომ ამის მქმნელი პიროვნება სულიერად განიწმინდება და ამაღლდება.

უამრავმა ხალხმა მიაშურა იოანეს („გამოდიოდა მისკენ იერუსალემი და მთელი იუდეა და მთელი შემოგარენი იორდანესი“). და მათი სულიერი განწმენდა ნიშნავდა სწორედ უფლისთვის გზის განმზადებას. ამ უდიდესი მისიის შესასრულებლად იყო მოვლინებული იოანე ნათლისმცემელი ანუ წინამორბედი.

ოთხას წელიწადზე მეტი იყო გასული მას შემდეგ, რაც უფალს ებრაელი ერისთვის წინასწარმეტყველი აღარ მოევიწყლა (უკანასკნელი წინასწარმეტყველი მალაქია იყო). და ახლა მთელ ქვეყანას მოეფინა ახალი წინასწარმეტყველის — იოანეს ამბავი. მისი საკვირველი წმინდა ცხოვრება, მისი საღვთო ქადაგება ყველას ხობლავდა და ამიტომაც მოვარდა მასთან უამრავი ხალხი. იმასაც კი ფიქრობდნენ გულში — ეს ხომ არ არისო აღთქმული მესია ანუ ქრისტე?

მაგრამ ამის საპასუხოდ იოანე ეუბნებოდა:

„მე ნათელგცემთ თქვენ წყლითა, ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს, რომლისა ვერ შემძლებელ ვარ ხამლთა მისთა ტვირთვად. მან ნათელგცეს თქვენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა“ (მათ. 3,11).

ესე იგი: ჩემს შემდეგ მომავალი ჩემზე უძლიერესია, მისი ხამლის (ფეხთსამოსის) ტარების ღირსიც კი არ ვარო, ანუ — იმის ღირსიც კი არ ვარ, მისი მსახურა



იოანე ნათლისმცემელი.
მეცამეტე საუკუნის ჯეორჯიანული ხატვა.

ვიყო. მე წყლით განთლავთ, ხოლო ის სულით წმინდით და ცეცხლით მოგნათლავთო. ამ უკანასკნელი სიტყვებით ის იგულისხმება, რომ იოანე ნათლისმცემლის შემდეგ მომავალი – იესო ქრისტე თავისი ნათლობით სულიწმინდის მადლის მოგანიჭებთ და თქვენს ცოდვებს ცეცხლივით ამოშანთავსო.

მონანიე ხალხს იოანე მდინარე იორდანეში ნათლავდა. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ მოსანათლავ პირს იოანე წყალში დანთქავდა და ამოიყვანდა. როგორც წყალი განბანს კაცის სხეულს, ისევე უნდა განწმენდილიყო კაცი სულიერად.

ნათლობის ის წესი, რომელსაც ჩვენ დღეს მივსდევთ, ანუ ნათლობის ქრისტიანული წესი, თავად მაცხოვარის მიერ არის დადგენილი და შემდეგ მის მოწაფეების მიერ საყოველთაოდ გავრცელებული. ამ წესით მონათვლისას, როგორც აქვე ზემოთ ითქვა, კაცი ცოდვებს განეშორება და მას სულიწმინდის მადლი მიენიჭება.

იოანეს ნათლისღება, რაღა თქმა უნდა, ქრისტიანულ ნათლობას ვერ გაუტოლდებოდა და ვერც შეედრებოდა, მაგრამ თავისი დროისთვის, ვითარცა მაცხოვარის გზის გამამზადებელს, მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იმდენად დიდი, რომ, განგებების ნებით, იოანე ნათლისმცემლის მიერ თავად იესო ქრისტე უნდა მონათლულიყო.

„მაშინ მოვიდა იესო გალილეით იორდანეს პირას, იოანესთან, რათა მონათლულიყო მისგან.

იოანე კი არ უშვებდა და ეუბნებოდა: მე მმართებს შენგან მონათვლა და შენ მოდიხარ ჩემთან?

ხოლო იესომ მიუგო და უთხრა: დე, ასე იყოს ახლა, რადგან ჩვენ გვმართებს აღვასრულოთ ყოველი სიმართლე. მაშინლა მიუშვა იგი.

და როცა მოინათლა იესო, მაშინვე ამოვიდა წყლიდან“ (მათ. 3,13-16).

აქ ყურადღება უნდა მივაპყროთ იმას, რომ იოანე ნათლისმცემელმა, ვითარცა საღვთო სულით აღვსილმა, დანახვისთანავე იცნო იესო ქრისტე, ანუ სწორედ ის ვის მოვლინებასაც წინასწარმეტყველებდა თვითონვე, სწორედ ის, ვისაც სულიწმინდით და ცეცხლით უნდა მოენათლა ხალხი. ამიტომ იყო, რომ ეკრძალებოდა იოანე, „არ უშვებდა და ეუბნებოდა: მე მმართებს შენგან მონათვლა და შენ მოდიხარ ჩემთან?“

მაცხოვარის პასუხი იოანეს ამ სიტყვებზე იმის მაუწყებელია, რომ იესო ქრისტე, ვითარცა სრულქმნილი კაცი, უბადლო თავმდაბლობითა და მორჩილებითაც გამოირჩეოდა და ამიტომ იგი – მთელი კაცობრიობის ნათლისმცემელი

ამჯერად თვითონ უნდა მონათლულიყო სხვის მიერ, ნათლობის საიმდროოდ მიღებული წესს დამორჩილებოდა. აი, ეს იყო სიმართლის აღსრულება, უფლის-ნების აღსრულება.

ასე ნათელილო უფალმა ჩვენმა და მაცხოვარმა იესო ქრისტემ.

აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მაცხოვარი თავად მონათლა მდინარე იორდანეში, მაგრამ ამ მდინარეში მისი შესვლით საკუთრივ იორდანეს წყალი განიწმინდა და იკურთხა.

იესო ქრისტეს ნათლისღება უდიდეს დღესასწაულად არის მიჩნეული და მას საზეიმოდ აღვნიშნავთ ყოველი წლის 6(19) იანვარს. ალბათ თქვენც გსმენიათ, რომ ამ დღეს ეკლესიებში წყალს აკურთხებენ ხოლმე და შემდეგ ეს ნაკურთხი, წმინდა წყალი მორწმუნე ადამიანებს შინ მიაქვთ. ამით ისინი ინახავენ ხსოვნას იმ დიდებული მოვლენისა, რომ ქრისტეს ნათლისღებისას მდინარე იორდანეს წყალი განიწმინდა და იკურთხა.

იესო ქრისტეს ნათლისღებას ერთი სასწაული უკავშირდება კიდევ. ამ სასწაულს საგულდაგულოდ უნდა მივაპყროთ ყურადღება.

მაცხოვარის ნათლისღებას რომ მოგვითხრობენ, მახარებლები იქვე გადმოგვცემენ შემდეგს:

„და როცა მონათლა იესო, მაშინვე ამოვიდა წყლიდან. და, აჰა, გაეხსენე მას ცანი და იხილა სული ღმრთისა, დაბლა რომ ეშვებოდა მტრედით და გადმოდიოდა მასზე.“

და გაისმა ხმა ზეცით, რომელმაც თქვა: ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელშიც კეთილად გამოვჩნდი მე“ (მათ. 3,16-17; მარკ. 1,10-11; ლუკ. 3,21-22).

ვიდრე ამ სტრიქონებს ჩაუღრმავდებოდეთ, ჩვენ მოგვიწვევს ცოტა რამ გავიხსენოთ ადრე ნასწავლიდან.

თუ გახსოვთ, რელიგიის ისტორიისა და კულტურის მეოთხე კლასის სახელმძღვანელოს დასაწყისშივე იყო ცალკე თავი – „სამება“, სადაც ეწერა: „ღმერთი არის ერთი, ერთარსება და, ამასთან, სამება, სამპიროვანი. სამების პირველი პირი არის მამა ღმერთი, მეორე პირი – ძე ღმერთი, მესამე პირი – სულიწმინდა. სწორედ ძე ღმერთი მოველინა ქვეყნიერებას იესო ქრისტეს სახით“.

იმ სახელმძღვანელოში ისიც ეწერა, რომ ღმერთის სამპიროვნება ძნელი გასაგებია, ეს არის დიდზე დიდი საიდუმლო. და იქვე ნათქვამი იყო: „ვისაც მოთმინება ეყოფა და ქრისტიანულ მოძღვრებას თანდათანობით შეისწავლის, ბოლოს ამ საიდუმლოსაც ჩასწვდება რამდენადაც შესაძლოა“.

ყურადღება მივაპყროთ: ის კი არ ეწერა – სამების საიდუმლოს ჩასწვდება, არამედ – სამების საიდუმლოს ჩასწვდება, რამდენადაც შესაძლო არისო. რადგან სამების საიდუმლოს სრულად წვდომა ძეხორციელს არ ძალუძს.

სამების, ღმერთის სამპიროვნების თაობაზე უკვე „ძველ აღთქმაში“ არის მინიშნებული რამდენსამე ადგილას. პირდაპირ კი არ არის ნათქვამი, მხოლოდ მინიშნებულია. პირდაპირ, გაცხადებულად სამება პირველად „ახალ აღთქმაში“ მოიხსენიება.

ახლა ბევრ რამეს უკეთ გავიგებთ.

საამისოდ, უწინარეს ყოვლისა, გავიხსენოთ, რა იყო ნათქვამი მეხუთე კლასის სახელმძღვანელოში სამყაროს შექმნის შესახებ. უკეთ რომ ვთქვათ, გავიხსენოთ, როგორ არის მოთხრობილი სამყაროს შექმნა „ძველ აღთქმაში“.

„თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა.

მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იყო უფსკრულზე და სული ღვთის იძვროდა წყლებს ზემოთ.

თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი. და იქმნა ნათელი“ (დაბ. 1,1-3).

ეს იყო სამყაროს შექმნის პირველი დღე. საგულისხმო ის არის, რომ სამყაროს შექმნის ექვსივე დღეს ღმერთის ქმედება გამოიხატება სიტყვებით: „თქვა ღმერთმა“ („თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი, და იქმნა ნათელი“; „თქვა ღმერთმა შეგროვდეს ერთგან ცისქვეშეთის წყალი და გამოჩნდეს ხმელეთი. და იქმნა ასე“; „თქვა ღმერთმა: აღმოაცენოს მიწამ მცენარეული...“; „თქვა ღმერთმა: იყოს მნათობები ცის მყარზე...“; „თქვა ღმერთმა: აფუთფუთდეს წყალში სულდგმული...“; „თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი...“).

გავითვალისწინოთ, რომ ღმერთის სიტყვა არის სამების მეორე პირი, იგივე ძე ღმერთი, ანუ ქრისტე. ღმერთმა სამყარო სიტყვის მეშვეობით შექმნა, სამყარო ღმერთის სიტყვის მიერ შეიქმნა.

ახლა თუ კარგად დავუკვირდებით, მივხვდებით, რომ სამყაროს შექმნაში სამების სამივე პირი (მამა ღმერთი, ძე ღმერთი, სული წმინდა) მონაწილეობდა და სწორედ ეს არის მინიშნებული „დაბადების“ პირველივე სტრიქონებით: მამა ღმერთმა შექმნა სამყარო, მაგრამ შექმნა თავისი სიტყვის ანუ ძე ღმერთის მეშვეობით ძე ღმერთის მიერ. ამასთან, ამ დიად პროცესში, სამყაროს შექმნის პროცესში მონაწილეობდა აგრეთვე სამების მესამე პირი – სულიწმინდა, რომლის შესახებაც ნათქვამია: „სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ“.

ასე მიგვანიშნებს სამების საიდუმლოს „დაბადება“.

ახლა მიუბრუნდეთ სახარების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია:

„და როცა მოინათლა იესო, მაშინვე ამოვიდა წყლიდან. და, აჰა, გაეხსნენ მას ცანი და იხილა სული ღმრთისა, დაბლა რომ ეშვებოდა მტრედით და გადმოდიოდა მასზე.“

და გაისმა ხმა ზეცით, რომელმაც თქვა: ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელშიც კეთილად გამოვჩნდი მე“.

შესაძლოა ზოგიერთმა თქვენგანმა უკვე იაზრა, რომ აქაც სამების შესახებ არის საუბარი.

აბა დავუკვირდეთ: წყლიდან ამოვიდა ძე ღმერთი — იესო ქრისტე (სამების მეორე პირი), მასზე გადმოვიდა სული წმინდა (სამების მესამე პირი), ხოლო ზეციდან მამა ღმერთმა (სამების პირველი პირი) დაადასტურა, რომ იესო ქრისტე არის მისი ძე, რომელშიც სრულად არის წარმოდგენილი ღმერთის ბუნება.

აქ დავსძინოთ, რომ მაცხოვარის ნათლისღვების დღეს განცხადების დღეც ეწოდება, რადგან ამ დღეს გამოცხადდა ღმერთის სამგვამოვნება და რადგანაც ამ დღეს გამოეცხადა ქვეყანას, ხალხს იესო ქრისტე, ვითარცა არა მხოლოდ კაცი, არამედ ღმერთკაცი.



იოანე ნათლისმცემელი შემდგომშიც ისე ცხოვრობდა, როგორც ღვთის კაცს, წმინდა კაცს შეეფერებოდა: დაუცადებლად უქადაგებდა ხალხს, ცოდვილებსა და ავისმოქმედთ ამხილებდა, კვლავ და კვლავ მონანიებისკენ, სულიერად განწმენდისკენ მოუწოდებდა. იმდენად პირდაპირი და პირუთვნელი იყო, სიმართლის გულისთვის არავის მოერიდებოდა, არ დაინდობდა. სწორედ ეს თვისება გახდა მისი დალუპვის მიზეზი.

იესო ქრისტეს ნათლისღებიდან დიდი ხანი არ გასულა, რომ იოანე ნათლისმცემელი საპყრობილეში შეამწყვდიეს.

ეს ასე მოხდა.

მას შემდეგ, რაც რომაელებმა დაიპყრეს ძირითადად ებრაელებით დასახლებული ის მხარე, რომელსაც შემდგომში პალესტინა ეწოდა, მათ ქვეყანა ოთხ ოლქად დაყვეს და თითოეულ ოლქს სათავეში ჩაუყენეს ცალკე მბრძანებელი, მეოთხედ-მთავრად წოდებული. მართალია, ეს მთავარი ადგილობრივ მკვიდრთაგან ზოგჯერ მეფეებადაც მოიხსენიებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში ისინი რომის მორჩილნი



იყვნენ და თავ-თავიანთ ოლქებს დამოუკიდებლად ვერ განაგებდნენ.

იმხანად, როცა იოანე ნათლისმცემელმა ქადაგება დაიწყო, ერთი ასეთი მეოთხედ-მთავარი იყო ჰეროდე. ოღონდ გავითვალისწინოთ: ეს ის ჰეროდე კი არ იყო, იესოს შობის დროს ვინც მეფობდა, არამედ მისი შვილი, სახელად ესეც ჰეროდე.

ცოდევილი კაცი იყო ჰეროდე, განცხრომით ცხოვრების მოყვარული, სოფლიურ ფუჭ სიამეთ შემსჭვალული. მის მიერ ჩადენილ ცოდვათაგან ერთი უმძიმესი ის იყო, რომ თავის ძმას, ფილიპეს, მის სიცოცხლეშივე მეუღლე, სახელად ჰეროდიადა, წაჰგვარა და ცოლად დაისვა. ამ ავხორცსა და გულბოროტ დიაცს, ჰეროდიადას, პირველი ქმარიც, ფილიპეც, და მეორე ქმარიც, ჰეროდეც ბიძად ერგებოდა.

იოანე ნათლისმცემელი ხვდებოდა ხოლმე მეოთხედმთავარ ჰეროდეს, რომელსაც, თავის მხრივ, რიდი და პატივისცემა ჰქონდა იოანესი, ვინაიდან „იცოდა, რომ მართალი და წმიდა კაცია, და უფრთხილდებოდა, ბევრ რამეს აკეთებდა მისი რჩევით და სიამოვნებით უსმენდა მას“ (მარკ. 6,20).

მაგრამ როდესაც იოანე ნათლისმცემელმა მეოთხედმთავარი მრავალგზის ამხილა — არ ეგების, რომ შენი ძმის თანამეცხედრე შენ გესვასო ცოლად, ჰეროდეს ეს ამბავი აღარ დაუჯდა ჭკუაში და სწორედ ამიტომ შეამწყვდევეინა საპყრობილეში იოანე ნათლისმცემელი. ის კი არა, თურმე იოანეს მოკვლაც ჰქონდა განზრახული, „მაგრამ ხალხის ეშინოდა, ვინაიდან წინასწარმეტყველად მიაჩნდათ იგი“ (მათ. 14,5).

რაღა თქმა უნდა, გულბოროტ ჰეროდიადასაც ჭირის დღესავით სძაგდა იოანე ისიც ნატრობდა მის მოკვლას, მარჯვე შემთხვევას უცდიდა მხოლოდ.

და, აი, ეს შემთხვევაც მიეცა ჰეროდიადას — „დრო იხელთა, როცა ჰეროდეს თავის დაბადების დღეს წვეულება გაუმართა თავის დიდებულებს, ათასისთავეს და გალილეველ წარჩინებულებს“ (მარკ. 6,21).

ლხინი რომ გახურდა, გამოვიდა ჰეროდიადას ასული, ჰეროდეს გერი, სახელად სალომე, და ისე მოხდენილად იცეკვა, რომ ჰეროდეც და მისი თანამეინახენი მოხიბლა.

მივევთ სახარების ტექსტს:

„და უთხრა მეფემ (ჰეროდემ) ქალწულს (სალომეს): მითხარი, რაც გსურს, და მოგცემ შენ. და შეჰფიცა: რაც უნდა მთხოვო, მოგცემ, თუნდაც ჩემს ნახევარსამეფოსო.“

ხოლო ის გავიდა და დედამისს ჰკითხა — რა ვთხოვო! და მან მიუგო: იოანე ნათლისმცემლის თავი.



სალომე და იოანე ნათლისმცემლის თავი.
მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელი ფერმწერის ტიცციანის ნახატი.



მსწრაფლ შემობრუნდა (სალომე) მეფესთან და უთხრა: მინდა ახლავე მომარტოვება ლანგარით იოანე ნათლისმცემელის თავი.

შეწუხდა მეფე, მაგრამ ფიცისა და თანამეინახეთა რილით ვერ იკადრა გაეწიბილებინა იგი.

და მაშინვე გააზავნა თავისი მცველი, და უბრძანა მოეტანათ იოანეს თავი, ისიც წავიდა, თავი მოჰკვეთა მას საპყრობილეში და ლანგარით მოართვა ქალწულს, ხოლო ქალწულმა მისცა დედამისს“ (მარკ. 6,22-28).

ასე ტრაგიკულად დასრულდა სიცოცხლე იოანე ნათლისმცემელისა, იმ პიროვნებისა, ვის შესახებაც თავად მაცხოვარმა ბრძანა: „დედისგან შობილი არც ერთი წინასწარმეტყველი არ აღმატებია იოანეს“ (ლუკ. 7,28), და ვისაც მართლმადიდებელი ეკლესია ღვთისმშობლის შემდეგ ყველა წმინდანზე მაღლა აყენებს.

ამიტომაც, რომ ეკლესიის მიერ წელიწადში ექვსჯერ არის დაწესებული იოანე ნათლისმცემელის მოხსენიების დღე. ამათგან სამი უეჭველად უნდა დაეიმახსოვროთ:

23 სექტემბერი – მუცლადღება (ჩასახვა) პატიოსნისა და დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი.

24 ივნისი – შობა იოანე ნათლისმცემელისა.

29 აგვისტო – თავისკვეთა იოანე ნათლისმცემელისა.

გავითვალისწინოთ, რომ ეს დღეები ძველი სტილით არის აღნიშნული. რომელი თვის რომელ რიცხვს მოუწევს ახალი სტილით იგივე დღეები, ამას თქვენ თვითონვე იოლად გამოითვლით, თუკი ყოველ რიცხვს ცამეტ დღეს მიუმატებთ (მაგალითად, ძველი სტილით 23 სექტემბერი ახალი სტილით 6 ოქტომბერი იქნება).

სიყვარულის მოძღვრება

ნათლისღების შემდეგ მცირე ხანი რომ გამოხდა, იესო ქრისტე შეუდგა თავისი ღვთაებრივი მისიის აღსრულებას.

ყოველმა განათლებულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რა იყო იესო ქრისტეს ამ ქვეყნად მოვლინების, განკაცების მიზეზი, რა იყო ის ღვთაებრივი მისია, მას რომ უნდა აღესრულებინა.

ჩვენც გვმართებს ამის ცოდნა.

მაგრამ ეს რომ ვიცოდეთ, ეს რომ გავიგოთ, საჭიროა ზოგიერთი რამის გათვალისწინება.

უწინარეს ყოვლისა, ის უნდა გავიხსენოთ და გავითვალისწინოთ, რომ ღმერთმა მშვენიერი სამყარო შექმნა და სიყვარულით შექმნა ეს მშვენიერი სამყარო. როგორც მოციქულნი და ღვთისმეტყველნი გვასწავლიან, ღმერთი თვითონ არის სიყვარული და მთელი თავისი ქმნილება — მთელი სამყარო, ყოველივე, რაც რამ არსებობს — მას მარადიული სიყვარულით უყვარს.

ასევე მარადიული სიყვარულით უყვარს ღმერთს თავისი უსაჩინოესი ქმნილება — კაცი, ადამიანი, ანუ მთელი კაცობრიობა, რომელიც, გვახსოვს ალბათ, მან თავის ხატად და მსგავსად შექმნა, გონიერი და უკვდავი სული ჩაუდგა და ქვეყნიერების პატრონად და მბრძანებლად დაადგინა.

მაგრამ, რაკი ასეა, იმაზე ბუნებრივი რა უნდა იყოს, რომ ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილ კაცსაც მთელი არსებით უყვარდეს თავისი შემქმნელი ღმერთი — მალაღი ღმერთი.

* * *

ვიდრე უმთავრეს სათქმელს განვაგრძობდეთ, აქ ერთ რამეს მივაპყროთ ყურადღება.

არიან უმაღური ადამიანები, გულამოჭმული ეგოისტები, რომელთაც თავისთავის მეტი არაფერი და არაფერი უყვართ — არც ღმერთი, არც სხვა ადამიანები, არც ბუნება, სამყარო, საერთოდ არსებობა. მათ რომ ყური მიუუგდოთ, სიცოცხლე, არსებობა უაზრობა და აბსურდია, სამყარო მშვენიერი კი არა, მახინჯი ქმნილებაა, კაცნი

საზიზღარნი და მოსაძაგებელნი არიან, არარაობად მისაჩნეენი, ასევე საზიზღარი და მოსაძაგებელია მათი ურთიერთობები, ერთმანეთთან მათი დამოკიდებულება და დაპირება და ამრიგად.

გულდასაწყვეტი ის არის, ამგვარ პათოლოგიურ, ავადმყოფურ შეხედულებებს ზოგიერთი ფილოსოფოსი, მეცნიერი, მწერალი თუ ხელოვანიც იზიარებს. შესაძლოა თქვენც ჩაგვარდნათ ხელში წიგნები, რომლებშიც მსგავსი პათოლოგიური ავადმყოფური აზრებია გამოთქმული, გინასათუ ფილმები, ტელეგადაცემები, საექსტრასენსიბილური ნახატები, შვეხვედრიან ადამიანები, თუთიყუშით რომ იმეორებენ ამდაგვარ შეხედულებებს.

ღმერთი არ არსებობსო, — ამასაც იტყვიან ხოლმე ამ ყაიდის ადამიანები, — ამით რომ არსებობდეს, ამდენ ბოროტებას, ამდენ უსამართლობას, რაც ქვეყნიერებას ტრიალებს, როგორ მოითმენდაო. ღმერთი თვითონ არის უსამართლოო, — თითქოს კვერს უკრავენ სხვანი, — ამნაირი აბსურდული ცხოვრება მოაწყო და ჩვენც ის გაგვანინა, ისე გვიკრა თავი ამ აბსურდულ ყოფაში, ჩვენთვის არც უკითხავს გვესურდა თუ არა დაბადება და ამ მოსაძაგებელ სამყაროში მოსვლაო.

ახლა ჩვენც გვმართებს დაფიქრდეთ და ჩაუუკვირდეთ ამ საკითხს.

აბა ერთი მიმოვიხედოთ ირგვლივ: ჩვენ ვიმყოფებით იდეალურად მოწყობილ მშვენიერ სამყაროში, სადაც ყველა და ყველაფერი დიდებულ ღვთაებრივ წესრიგშია მოწყობილი. ზეცაში მილიარდობით და მილიარდობით ვარსკვლავი და გალაქტიკა იძვრის მწყობრად და გეზმუეცვლელად. მათ შორის არის ჩვენი მზის სისტემა — მზე და მის ირგვლივ მბრუნავი პლანეტები. უსაზღვრო სივრცეში მათი სრბოლა საერთო კოსმოსურ წესრიგსა და ჰარმონიას არის შეთანადებული.

ახლა საკუთრივ ჩვენს მშობლიურ პლანეტას — დედამიწას მოვავლოთ მზერა მზის გარშემოც ბრუნავს და საკუთარი ღერძის ირგვლივაც ტრიალებს ეს ვეებურთისებური სხეული. ღამით ვარსკვლავებით მოჭედილი, სახილველად მართლაც საკვირველი ზეცა ადგას თავს. მაგრამ, აი, მზის მხარეს მიიქცევა და აღმოსავლეთით ზეცა კიდევ უფრო საკვირველი ფერებით აელვარდება. „რიჟრაჟი“, „ალიონი“, „აისი“, „განთიადი“, „გაციისკრება“, „დაფიონი“, — თითქოს ჩვენი ენაც ცდილობს გამოხატოს ფერთა ეს გონების წამლები რიალი. მერე დიდებული მნათობი ამობრწყინდება და საღამომდე ანახჩახებს არემიდამოს. ბოლოს — მზის ჩასვლის ხანი დაისი, ასევე უცხო სახილველი...

სხვა რომ არაფერი იყოს ყურადღება მისაქცევი სამყაროში, აქ ნაგულისხმევ მშვენიერებაც კმარა იმის სარწმუნებლად, რომ ეს სამყარო მომზიბველია და არ

მოსაძაგებელი, რომ მართლაც უდიდესი, ღვთაებრივი სიყვარულით არის შექმნილი. ის, რაც აქამდე ითქვა, ეგრეთ წოდებულ არაორგანულ, უსიცოცხლო ბუნებას შეეხებოდა. ახლა ცოცხალი ბუნებაც წარმოვიდგინოთ — მცენარეები, ცხოველები. თუ გახსოვთ, ამის თაობაზე მეხუთე კლასის სახელმძღვანელოშიც გვექონდა საუბარი. რამდენი სილამაზეა ყოველივე ამაში, რარივ მომხიბვლელია გარემო, რომელშიც ცხოვრება გვიხდება.

ყოვლად შეუძლებელია, რომ ამის მაცქერალმა ჯანსაღმა, ჯანსაღი ფსიქიკის მქონე კაცმა გულით არ გაიხაროს.

სხვათა შორის, სიტყვა „გახარებასაც“ დაუუკვირდეთ. კაცმა გაიხარაო, — როცა ვიტყვით, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ კაცმა სიხარული იგრძნო, რაღაცით დიდად ნასიამოვნებია, რაღაცით ბედნიერია ის კაცი. მაგრამ სიტყვა „გახარებას“ სხვა მნიშვნელობითაც ერთობ ხშირად ვხმარობთ: ჩვენს ბაღში ყვავილებმა გაიხარაო, — ვიტყვით ხოლმე, — ჩემმა დარგულმა ხემ გაიხარაო, ამ ტყეში მუსაც ხარობს და წიფელაცო და ასე. თითქოს ქართული ენაც გვიდასტურებს იმ მარტივსა და, ამასთან ერთად, ურთულეს, უღრმეს, ღვთაებრივ აზრს, რომ აღმოცენებულ მცენარეს ახარებს თავისი ყოფა, რომ სიცოცხლე, არსებობა უკვე თავისთავად არის სიხარული და ბედნიერება.

ცხოველებსაც ახარებთ თავიანთი ყოფა, თავიანთი არსებობა, არასგზით არ ეთმობათ სიცოცხლე. ესო, — ბრძანებენ ამის თაობაზე სკეპტიკოსები, — თვითშენახვის ინსტინქტი არის და მეტი არაფერიო. კი მაგრამ სიცოცხლე, არსებობა უგვანი, არასასურველი, მოსაძაგებელი რომ ყოფილიყო, ეს თვითშენახვის ინსტინქტი რაღატომ გაჩნდებოდა?

ყოვლად შეუძლებელია, რომ ჯანსაღმა, ჯანსაღი ფსიქიკის მქონე კაცმა ვერ შეიცილოს ეს. ყოვლად შეუძლებელია, რომ ჯანსაღი კაცი, ჯანსაღი ფსიქიკის მქონე კაცი არ მოხიბლოს, არ დაატკბოს იმის ცქერამ, როგორ ეთამაშებიან ერთმანეთს ძაღლის ლეკვები თუ დათვის ბელები, ან კატის კნუტები, ან ლომის ბოკვერები. ანდა ის როგორი სანახავია, კვიცი რომ დასტის მინდორზე, ხბო რომ დაკუნტრუშობს. მთარული, მრავალგანსმენილი გამოთქმაც არსებობს ამასთან დაკავშირებით — ხბოს ალტაცებაო. ეს ირონიულად ითქმის ისეთ კაცზე, ვინც თავის ალტაცებას ვერ ფარავს და ზოგჯერ მართლაც აკუნტრუშდება. კი, ღინჯსა და გონიერ კაცს უმჭველად მართებს თავისი გრძნობები დაიოკოს და თავისი სიხარულით სხვები არ შეაწუხოს, თორემ თავისთავად არსებობით მოგვრილი სიხარული და ალტაცება სულაც არ არის გასაკიცხი და საირონიო.

ახლა ხილულ ქმნილებათაგან უსაჩინოესს მივხედოთ — ღვთის ხატად და მსგავსად გაჩენილ კაცს. მრავალგზის ვთქვით უკვე, რომ ღმერთმა კაცს უკვდავი და გონიერი სული უბოძა. გარდა ამისა, კაცს, ადამიანს ისიც გამოარჩევს სხვა ხილულ ქმნილებათაგან, რომ ის არის, როგორც იტყვიან ხოლმე, სოციალური, საზოგადოებრივი არსება. ეს შემდეგს ნიშნავს: კაცის ბუნება მხოლოდ იმის მიხედვით კი არ ფასდება, თუ როგორ ექცევა საკუთარ თავს, იმის მიხედვითაც ფასდება, თუ როგორია იგი სხვა ადამიანებთან, საზოგადოებასთან დამოკიდებულების მხრივ, როგორ ეპყრობა, რამდენად უწევს ანგარიშს სხვა ადამიანებს, საზოგადოებას. ჩინებულ ქართულ გამოთქმას თუ მოვიმარჯვებთ, შეგვიძლია დავასკვნათ: ამით ხდება საჩინო, თუ რამდენად არის ის კაცი კაცური კაცი.

ერთი მაგალითი მოვიშველიოთ. როდესაც ცხოველთა ჯოგს (ფარას, არვეს, რემას, კოლტს...) რაიმე განსაცდელი დაატყდება, ყოველი მათგანი მხოლოდ იმის ცდაშია, როგორმე თავი გადაირჩინოს და თავისი ნაშიერი გადაარჩინოს. მეტი არც არაფერი მოეთხოვება ცხოველს. მაგრამ როდესაც ადამიანებს ატყდებათ თავს განსაცდელი, ყოველი კაცი, თუკი მართლაც კაცური კაცია, თავისთავისა და თავისი ახლობლების გადარჩენისთვისაც ზრუნავს და აგრეთვე სხვათა, სხვა ადამიანთა გადარჩენისთვისაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კაცს, გარდა თვითგადარჩენის ინსტინქტისა (რაც ადამიანსა და ცხოველს საერთო აქვთ), კიდევ რაღაც სხვა ძალე ამოქმედებს. რა არის ეს სხვა ძალა?

ეს არის სწორედ უკვდავი და გონიერი სული, რომელიც კაცს დააძლევინებს ეგოიზმს, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის სიყვარულს, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავისთვის ზრუნვას. ამ სამყაროში ერთადერთს ღვთაებრივ ბუნებას აქვს სხვისთვის თავდადების, მსხვერპლად მისვლის უნარი.

და, აი, როდესაც ადამიანს ამ თვალთ შვევდავთ, შეუძლებელია არ დავასკვნათ, რომ მშვენიერი ქმნილებაა კაცი, საღვთო ხატების მქონე. ამასთან, მით უფრო მშვენიერია, რაც უფრო მეტი უნარი აქვს თვითმოყვარეობის, ეგოიზმის დაძლევისა და სხვათათვის თავდადების, მსხვერპლად მისვლისა.

სულ უბრალო, ცხოვრებისეული გამოცდილება დაგვიდასტურებს ამას. როდის არ მოგვწონს, როდის არ გვიყვარს ესა თუ ის ადამიანი? როდესაც ეს ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და ზრუნავს, სხვებს ანგარიშს არ უწევს როდესაც ყოველი მისი საქციელი მხოლოდ საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად არის მიმართული, ანუ როდესაც მეთავისეა, ეგოისტი. და პირუკუ: ის ადამიანები უფრო მოგვწონს და გვიყვარს, რომელნიც სძლევენ მეთავისეობას.

ეგოიზმს, საკუთარ თავთან ერთად სხვების გამოც ზრუნავენ, სხვებსაც ემსახურებიან. ხოლო თუ კაცს იმის უნარიც აქვს, რომ არა მარტო იზრუნოს სხვათათვის, არამედ თავიც დადვას, თავიც განწიროს სხვისთვის, ამნაირი კაცი საყოველთაოდ სამაგალითო ხდება. ამას ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე შემდეგი სიტყვებით გამოხატავს: „არავის აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მეგობრებისთვის“ (იოან. 15,13).

მეგობრისთვის, მოყვასისთვის ანუ სხვა ადამიანისთვის სულის დადების, თავის განწირვის მუდამ სამახსოვრო მაგალითი დაგვიტოვა სახელგანთქმულმა ქართველმა ექიმმა იოსებ ჟორდანიამ.

1962 წლის შემოდგომაზე იოსებ ჟორდანია ბრაზილიაში იყო ჩასული სამეცნიერო სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად.

უკან გამობრუნებისას, როდესაც რიო-დე-ჟანეიროს აეროდრომიდან აფრინდნენ, ლაინერს ძრავამ უმტყუნა. სხვა გზა აღარ იყო, თვითმფრინავი ოკეანის ზედაპირზე უნდა დაესვათ.

მგზავრები წყალზე სატივტივო მამული ჟილეტებით იყვნენ მომარაგებულნი. მაგრამ სალონში აღმოჩნდა პატარა გოგონა, რომელსაც სამგზავრო ბილეთი არ ჰქონდა და ამიტომ არც მამული ჟილეტი ერგო თურმე.

იოსებ ჟორდანიამ ეს რომ შეიტყო, უყოყმანოდ დაუთმო თავისი მამული ჟილეტი იმ გოგონას, თვითონ უჟილეტოდ დარჩა.

თვითმფრინავი ორმოციოდე წუთს ტივტივებდა წყლის ზედაპირზე, მერე ჩაძირვა დაიწყო. იოსებ ჟორდანია, რომელმაც ცურვა არ იცოდა, „ბონგის“ ფრთაზე იდგა განწირული და გულშეუძრავად ხვდებოდა გარდუვალ სიკვდილს. მამული ჟილეტების მქონენი გადაარჩინეს.

მსგავსი მაგალითები მრავლად იცის კაცთა მოდგმის ისტორიაში.

მაგრამ ყველაზე დიდებული მაგალითი მოყვასათვის თავის დადებისა, თავგანწირვისა თავად იესო ქრისტემ მოგვცა. და უნდა ვიცოდეთ, რომ მისი თავდადების საფუძველი სწორედ სიყვარული იყო,

* * *

მაშასადამე ღმერთს მარადიული სიყვარულით უყვარს თავის მიერ შექმნილი მშვენიერი სამყაროც და უსაჩინოესი ქმნილებაც — კაცი, ადამიანი, რომელიც თავის ხატად და მსგავსად შექმნა და უკვდავი სული ჩაუდგა. და რაკი ასე არისო, ესეც

ვთქვით, იმაზე ბუნებრივი რა უნდა იყოს, რომ ღვთაებრივი ბუნების კაცს თავის შემქმნელი დიადი მამა — მაღალი ღმერთი მთელი არსებით უყვარდეს.

უყვარს კიდევც. და, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ღმერთის სიყვარულია ის ძალა, რომელიც ამა თუ იმ პიროვნებას კაცურ კაცად აქცევს, სიკეთის გზაზე დაყენებს და ბოროტებას განაშორებს, ცოდვათა ჩადენისგან იხსნის. რამეთუ ყოვლად შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს უფალი ღმერთიც გიყვარდეს და ამასთანავე, ცოდვათა მორევში იყო დანთქმული, ანუ გულამოჭმული ეგოისტი იყო და საკუთარი თავის გარდა ყველა და ყველაფერი მოძულებული გყავდეს, ანუ კიდევ სხვაგვარად თუ ვიტყვით, ღმერთის მიერ დადგენილ მარადიულ კანონებს არღვევდე.

აქ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ კაცს უკვდავი სული უდგას და სწორედ ამიტომ თავისუფალი ნება, თავისუფალი არჩევანის უნარიც აქვს ბოძებული. ამის თაობაზე მეხუთე კლასის სახელმძღვანელოში გვქონდა საუბარი. და მაშინ ისევ ვთქვით, რომ ქვეყნად მოვლენილმა პირველმა ადამიანებმა — ადამმა და ევამ ეს თავისუფალი ნება უკუღმართი გზით მიმართეს, გამჩენი ღმერთის თავგადასხვად სიყვარულს საკუთარ ეგოისტურ მისწრაფებათა დაკმაყოფილება არჩიეს და საშინელი ცოდვა ჩაიდინეს, პირველცოდვა, როგორც ითქმის ხოლმე.

ამ პირველცოდვას, ცოდვით დაცემას მთელი კაცობრიობისთვის სავალალო შედეგები მოჰყვა: ადამიანებმა დაკარგეს ღმერთთან უშუალო კავშირის უნარი. მთელი არსებით ღმერთის სიყვარულის უნარი და ამის გამო სულ უფრო და უფრო ხშირად არღვევდნენ ღვთაებრივ კანონებს, ანუ სულ უფრო ხშირად ნებდებოდნენ ცოდვათა საცდურს, ეგოისტურ მიდრეკილებათა დაკმაყოფილების საცდურს. ასე იმძლავრა ცოდვამ, ასე გაუჯდა თანდათანობით ადამიანის არსებას. და ეს იმასაც ნიშნავდა, რომ კაცთა შორის მეტი და მეტი გავლენა მოიპოვა ბოროტმა სულმა, სატანას, ეშმაკს რომ ვუწოდებთ, გველის სახით რომ მოვედო პირველად ევას. ეს იმას ნიშნავდა კიდევ, რომ კაცთა მოდგმა საკუთარ თავსა საკუთარი ძალით ვეღარაფერს შეელოდა, მისი ერთადერთი ხსნა უფლის მიერ შეწევნა იქნებოდა.

ადამისა და ევას სამოთხიდან გამოსხმისას უფალმა აღუთქვა ადამიანებს, რომ ოდესმე ქვეყნიერებას მოუკლენდა მხსნელს, ვინც გველს თავს გაუჭეჭყავდა ანუ სატანას დათრგუნავდა და მის ბოროტ ძალას გააქარწყლებდა. სწორედ ამ მხსნელ გულისხმობდნენ წინასწარმეტყველნი, რომელნიც, ეს ჩვენ უკვე ვისწავლეთ მეექვსე კლასში, ერთხმად ადასტურებდნენ — მოვალე ცხებულნი და მისი მუფა

ცასა და ქვეყანაზე სამარადისო იქნებაო. ჩვენ ისიც ვიცით უკვე, რომ „ცხებული“ ებრაულად არის „მესია“, ხოლო ბერძნულად — „ქრისტე“. აქ ისიც გავინსუნოთ კიდევ ერთხელ, რომ ქრისტეს სახელი „იესო“ („იეშუა“) ებრაულად სწორედ „მხსნელს“ ნიშნავს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ უკეთ უნდა გავიგოთ იესო ქრისტეს სიტყვები, გადმოცემული იოანეს სახარებაში:

„ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, რომ მისცა თავისი ძე მხოლოდშობილი, რათა ყველა, ვისაც სწამს იგი, კი არ წარწყმდეს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“ (იოან. 3,16).

ჩაუკვირდეთ ამ წინადადებას, თან გავითვალისწინოთ, რომ სიტყვა „მხოლოდშობილი“ ნიშნავს ერთადერთ შვილს, ხოლო „წარწყმედა“ დაღუპვას ნიშნავს.

ზემოთ რამდენჯერმე ითქვა უკვე, რომ ღმერთს მარადიული სიყვარულით უყვარს თავისი ქმნილება — სამყარო, ქვეყნიერება, კაცთა მოღვაძე. მაგრამ იესო ქრისტე მეტსაც გვეუბნება: ისე ძლიერ უყვარს ღმერთს ქვეყანა, რომ თავისი ერთადერთი ძეც კი მოუვლინაო.

აქ უნდა გავინსუნოთ, რომ ქრისტიანული ღმერთი არის ერთი, ერთარსება და, ამავე დროს, არის სამება, სამპიროვანი — მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმიდა. ისიც უნდა ვთქვათ აქვე, რომ სამების სამივე პირი ერთმანეთისაღმი საღვთო სიყვარულით არის განმსჭვალული.

და, აი, სახარების ტექსტი გვეუბნება: ღმერთმა თავისი ძე მოუვლინაო ქვეყნიერებას. ძნელი არ იქნება დავასკვნათ, რომ, ამ სიტყვების თანახმად, ქვეყნიერებას მოევლინა სამების მეორე პირი, ძე ღმერთი, რომელიც განკაცდა და იწოდა იესო ქრისტედ. იესო ქრისტე არის სწორედ ის მხსნელი, ვისი ქვეყნად მოსვლაც აღუთქვა უფალმა კაცთა მოღვაძეს. ის იყო სრული ღმერთი, საღვთო ბუნების სრულად მფლობელი, და, ამასთანავე, ის იყო სრული კაცი, სრულქმნილი ადამიანი. ამიტომ ღმერთკაცი იყო იესო ქრისტე.

ახლა უკვე შეგვიძლია პასუხი გავცეთ ამ თავის დასაწყისში დასმულ კითხვას: რა იყო იესო ქრისტეს ამ ქვეყნად მოვლინების მიზეზი, ძე ღმერთის განკაცების მიზეზი, რა იყო ის ღვთაებრივი მისია, მას რომ უნდა აღესრულებინა?

ძალიან მოკლედ თუ ვიტყვით, ეს იყო, უწინარეს ყოვლისა, ზეცასა და მიწას, ღმერთსა და კაცთა მოღვაძეს შორის პირველცოდვის შედეგად დარღვეული კავშირის აღდგენა, რაც, თავის მხრივ, იმასაც ნიშნავდა, რომ იესო ქრისტე გამოიწყადა, გამოიხსნიდა ცოდვებით დამძიმებულ კაცობრიობას, რომ კაცს კვლავ გაეხს-

ნებოდა გზა ღვთის სასუფეველისკენ, მარადიული სიცოცხლისკენ, ანუ, როგორც იოანეს სახარებაში არის ნათქვამი, „რათა ყველა, ვისაც სწამს იგი, კი არ წარწყმდეს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“.


აქ ჩაურთოთ, რომ სიცოცხლეს ჩვენი ძველად „ცხოვრება“ ეწოდებოდა. ან როგორ გაჩნდა ქართულ ენაში სიტყვა „მაცხოვარი“ – ეს არის იგივე „მაცოცხლებელი“. იესო ქრისტე არის ჩვენი მაცოცხლებელი ანუ მაცხოვარი. რამეთუ ვინც იწამებს იესო ქრისტეს და შეასრულებს მის მცნებებს, მისი სული, როგორც ქართულად ვამბობთ ხოლმე, ცხონდება, ანუ საუკუნო, სამარადისო სიცოცხლე ექნება მის სულს.

თავისი დიადი, ღვთაებრივი მისია რომ აღესრულებინა, ქრისტეს, უწინარეს ყოვლისა, უნდა განემარტა, შეეგნებინებინა კაცთათვის, თუ რა არის საჭირო, რის ქმნა მართებთ მათ ღმერთთან კავშირის აღსადგენად, ცათა სასუფეველის დასამკვიდრებლად, საუკუნო სიცოცხლის მოსაპოვებლად. ამ თითქოსდა მარტივი, სინამდვილეში კი ურთულესი, უღრმესი აზრის შემცველი კითხვის პასუხი მოცემულია იესო ქრისტეს ღვთაებრივ მოძღვრებაში, ქრისტიანულ მოძღვრებაში.

სწორედ ამ მოძღვრების შესავალს, მის პირველსაწყისებს ვეცნობით ჩვენ შესამე კლასიდან მოყოლებული. მხოლოდ შესავალს ვეცნობით, რადგან მთლიანად ქრისტიანული მოძღვრების სრულად წვდომა და შეცნობა ერთობ ძნელია, დიდ, ძალიან დიდ გარჯას მოითხოვს და, ამასთან, ჩვენს ასაკში ეს შეუძლებელიც არის.

სხვა რელიგიების დამფუძნებელთაგან განსხვავებით, იესო ქრისტეს თავისი მოძღვრების შესაქმნელად და ჩამოსაყალიბებლად არ სჭირდებოდა ჭეშმარიტების თავგადაკლული ძიება და მოკვდავთათვის ძნელად საწვდომ ანდა სულაც მიუწვდომელ, შეუცნობელ საკითხთა გამოკვლევა. ის თავადვე იყო ღმერთი ანუ ჭეშმარიტება, თავადვე იყო იმ უღრმეს საიდუმლოთა მფლობელი ღმერთკაცი, რომელთა ამოსახსნელადაც ყოველი დროის, ყოველი ეპოქის ყოველ ქვეყანაში აგრე დაბადდნენ გონებას ბრძენი და ბრძენთაბრძენი ადამიანები და, ამასთან, მათი აზრის კვეთება ერთობ ხშირად მარცხითაც მთავრდებოდა.

ამის წყალობით იყო, რომ იესო ქრისტე ბრძენკაცისთვის თითქოს შეუფერებელი, ნაადრევი ასაკის – ოცდაათი წლისა გამოეცხადა ხალხს და თავისი მოძღვრების ქადაგებას შეუდგა. ამიტომვე იყო მისი მოძღვრება ერთი შეხედვით სულ უბრალო, ყოვლად მარტივი, ყველასთვის იოლად მისაწვდომი და გასაგები და, ამავე დროს, უღრმესი და ურთულესი, ღვთაებრივი და არა კაცობრიული სიბრძნის შემცველი. ეს იყო თავად მაღალი ღმერთის მიერ კაცთა მოდგმისთვის ბოძებული



იესო ქრისტე.
მეთექვსმეტე საუკუნის ქართული ფერწერული ხატი.

მოძღვრება.

ახლა შევეცადოთ ცოტათი მიანიც ჩავწვდეთ ამ ღვთაებრივი მოძღვრების არსებას.

* * *

ადამიანი რომ იბადება, უფლის მიერ გაჩენილ მშვენიერ სამყაროში რომ მოდის, თავდაპირველად უშწეო არსებაა, უსუსური ჩვილი, რომელიც სხვათა მზრუნველობას, სხვათაგან პატრონობას საჭიროებს. ეს „სხვანი“ უმრავლესთაგან უმრავლეს შემთხვევაში არიან მისი მშობლები. ისინი ზრდიან ჩვილს, კვებავენ, ზიფათისაგან იცავენ, გარემოში გაგნებას, ორიენტირებას აჩვენებენ, წვრთნიან და ჭკუას ასწავლიან.

მაგრამ დავუკვირდეთ: თითქმის ზუსტად ამასვე იქმან ცხოველებიც. ასე რომ არა, ყოველი ახალშობილი — ლეკვი იქნებოდა, ცინდალი, ბოჩოლა, ნუკრი, ციკანი, ბოკვერი თუ სხვა და კიდევ სხვა — უეჭველად დაიღუპებოდა. და, თუკი ასეა, რითღა განსხვავდება ადამიანის აღზრდა ცხოველთა ნაშიერის აღზრდისაგან?

იმით განსხვავდება, რომ ცხოველი თავის ნაშიერს მხოლოდ მანამდე პატრონობს, მანამდე დასტრიალებს, ვიდრე ის თავის გამოკვებასა და გარემო ზიფათისაგან დაცვას, ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას თვითონვე შეძლებდეს. ამის შემდეგ მშობელი თავს ანებებს ნაშიერს და მისდამი გულგრილი ხდება, საკუთარი შვილი სხვა ცხოველთაგან აღარც გამოერჩევა.

ხოლო ადამიანის მშობლები თავიანთი ნაშიერის მარტოოდენ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისთვის კი არ ზრუნავენ, გონებრივად და სულიერადაც ზრდიან, წვრთნიან, აწრთობენ მას.

ეს ზრუნვა გაცილებით უფრო ადრე იწყება, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია, ფაქტიურად ბავშვის დაბადებისთანავე იწყება მისი სულიერი აღზრდისთვის მშობლის ზრუნვა.

ამის პირველი უმარტივესი გამოხატულება ის არის, რომ მშობელმა ჩვილი იმთავითვე უნდა გადააჩვიოს ყოველი სურვილის თუ კაპრიზის უეჭველად შესრულებას.

ვის არ უნახავს, სულ ახალშობილი, თოთო ბავშვი რომ იფხრიწება ტირილით, ისეთ ამბავშია, თითქოს ქვეყანა იქცეოდეს. რა ხდება? ჭამა უნდა. მაგრამ დედამისი თუ გონიერი და თავადაც კარგად აღზრდილი ქალია, ბავშვის ყოველ კაპრიზს არ

აქვეება, მხოლოდ განსაზღვრულ დროს აჭმევს, კვების მკაცრი რეჟიმიდან არას-
გზით არ ამოვადებს.

ასე იწყებს ადამიანი იმის სწავლას, რომ მისი ყველა სურვილი, მისი ჭირვე-
ულობა ყოველთვის როდი დაკმაყოფილდება.

ცოტათი რომ წამოიზრდება ის ჩვილი, როგორც ითქმის ხოლმე, ტაცების
პერიოდი დაეწყება. ესე იგი, რასაც კი დაინახავს გარშემო, ყველაფერი სათავისოდ
მოესურვება, ყველაფრის ხელში მოგდებას მოიწადინებს. ამ შემთხვევაშიაც გო-
ნიერი და თავადაც კარგად აღზრდილი მშობლები არასგზით არ დაჰყვებიან
ბალოს ჭირვეულობას, ალერსით, დაყვავებით, ოღონდ მკაცრად თანმიმდევრული
ქმედებით თანდათანობით შეაჩვევენ, რომ იმას დასჯერდეს ის ბაალი, რაც მისი
ასაკის მიხედვით ეკუთვნის, ყველაფერს არ წაუბოტინოს.

ასე განაგრძობს ადამიანი იმის სწავლას, რომ მისი ყველა სურვილი, მისი
ჭირვეულობა ყოველთვის როდი დაკმაყოფილდება.

შემდეგ იმ ასაკში შედის ბავშვი, როდესაც სათამაშოები სჭირდება უეჭველად.
ამ დროსაც ყველაფერი მშობელთა გონიერებასა და ალღოზე არის დამოკიდებუ-
ლი. ალბათ ყოველ ჩვენგანს უნახავს, ზოგიერთ ოჯახში რამდენი სათამაშო არის
დახვავებული ბავშვის ოთახსა თუ კუთხეში, გინდაც სათამაშოების მუზეუმი ყოფი-
ლიყოს და არა ჩვეულებრივი სახლი. ვერ არის ეს ამბავი გონივრული მშობელთა
მხრივ. კი, უნდა ჰქონდეს ბავშვს სათამაშოები, მაგრამ ზომიერებაც უნდა იყოს
დაცული. თორემ, რაც მეტი ექნება, მით უფრო მეტი მოუნდება, მერე კიდევ უფრო
მეტი და ასე უსასრულოდ, როგორც სურვილთა კიბე არის უსასრულო. გონიერი
მშობლები ამ ასაკიდანვე შეაჩვევენ შვილს სურვილთა მოთოკვას, წადილთა დაოკებას.

და ასე განაგრძობს ადამიანი იმის სწავლას, რომ მისი ყველა სურვილი, მისი
ჭირვეულობა ყოველთვის როდი დაკმაყოფილდება.

მომდევნო ასაკი ის არის უკვე, როდესაც პატარა სხვა ბავშვებთან იწყებს
ურთიერთობას, უფრო მარტივად თუ ვიტყვით — თამაშს. ამ დროს კიდევ უფრო
მეტი ალღო და გონიერება მართებთ მშობლებს. რადგან ადამიანის თანდაყოლილი
ვგოისტური მიდრეკილებები სხვებთან, სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას იჩენს
თავს განსაკუთრებით. აი, ეს ბურთი, აი, ეს თოჯინა, აი, ეს საჩხარუნო და ათასი
სხვა რამ ერთმანეთთან მოთამაშე იმ ბავშვთაგან ყველას სათავისოდ სურს, სხვის-
თვის არ ეშეტება, უეჭველად თვითონ უნდა რომ მოიგდოს ხელში. მართალია,
მარტოდ ყოფნას სხვებთან თამაში ურჩევნია, მაგრამ ისე კი, რომ ყოველი სათა-
მამო მისი ხელშეუხებელი საკუთრება იყოს და სხვებს მაშინდა დაუთმოს, რა რომ

თვითონ მობეზრდება ის სათამაშო.

აი, ამ დროს სჭირდება ბავშვს მშობელთა განსაკუთრებული ყურადღება. ასაკში, როცა ყალიბდება მისი ურთიერთობები სხვა ბავშვებთან. ალერსით იქნება თუ დატუქსევით, დაყვავებით თუ გაწყრომით, მშობლებმა თავიანთი საყვარელი ნაშიერი უნდა აიძულონ, ისე ისწავლოს სხვა ბავშვებთან თამაში, სხვა ბავშვებთან ურთიერთობა, რომ მოთამაშეთაგან არც ერთი არ იჩაგრებოდეს და, ამასთან, მშობელთა იმ საყვარელ ნაშიერს თავის სურვილთა მოთოკვის, დაძლევის, დათრგუნვის უნარი გამოუშუშავდეს თანდათანობით, ისწავლოს, შეიცნოს, რომ მისი ყველა სურვილი, მისი ჭირვეულობა ყოველთვის როდი დაკმაყოფილდება. ეს თუ ვერ მოხერხდა, მშობელთა ის საყვარელი ნაშიერი უბედურ კაცად გაიზრდება.

რატომ მაინცდამაინც უბედურ კაცადო? — იქნებ გაიკვირვოს ამის წამკითხველმა, ყმაწვილი იქნება თუ ასაკოვანი.

იმიტომ, რომ ვისაც საკუთარ სურვილთა მოთოკვის, დაძლევის, დათრგუნვის უნარი სიყმაწვილიდანვე არ გამოუშუშავდება, ის შემდგომ და შემდგომ კიდევ უფრო ნაკლებად შეძლებს საკუთარ სურვილთა დაოკებას, საკუთარ ეგოისტურ მიდრეკილებათა დაურევბას, რამეთუ რაც უფრო მოემატება წლები, მით უფრო მეტი და მეტი საცდური დაუხვდება ჩასაფრებული ცხოვრების გზაზე.

და ამ საცდურებს გამოღვენებული კაცი, თავის ეგოისტურ მისწრაფებათა მუდამიჟამს დაკმაყოფილებას შერგეული კაცი ვერასგზით თავს ვერ დააღწევს ამპარტავენბას, სიცრუეს, სულსწრაფობას, შურს, სიხარბეს, გემოთმოყვარეობას, უსამართლობას, ორგულობას, სიძულვილს, შულლს, მტრობას და სხვა ამდაგვარებს.

მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით უკვე, რა არის ამპარტავენბა, სიცრუე, შური, სიხარბე, უსამართლობა და მსგავსი მოვლენები — მესხეთე კლასში გვეკონდა ამის თაობაზე საუბარი: ეს არის ცოდვები ანუ უფლის მიერ დაწესებულ სულიერ კანონთა დარღვევა. და ცოდვათა მორევში დანთქმული კაცი ბედნიერი ვერასოდეს იქნება, თუგინდ რომ გარეგნულად ერთობ დალხინებული გვეჩვენებოდეს მისი ცხოვრება.

რაც ქვეყნიერებაზე უსამართლობა და ბოროტება ტრიალებს, ყოველივე ისე და ისე კაცის ნამოქმედარია. მარტოოდენ სულმოკლე და უგუნური ადამიანები აბრალევენ ღმერთს ამ უბედურებას. რამეთუ ღმერთმა ადამიანს თავისუფალი ნება რომ უბოძა, ამით არჩევანის თავისუფლებაც განუსაზღვრა — თავად კაცის ნებაა, სიმართლეს მიჰყვება ცხოვრებაში თუ უსამართლობას, სიკეთეს თუ ბოროტებას.

მაგრამ როდესაც კაცის სული ისე არის აღზრდილი, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და ზრუნავს, მხოლოდ საკუთარ ინტერესთა დაკმაყოფილებას

ადარებს და სხვათა, სხვა ადამიანთა ინტერესები არაფრად მიაჩნია, ამნაირი კაცი სამართლიანობისა და სიკეთის გზას ვერასოდეს დაადგება.


არადა, რა მარტივად მოგვარდებოდა ყველა რთული საქმე, რა იოლად შეძლებდნენ ადამიანები ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად, ტკბილად ეცხოვრათ, ყოველი კაცი რომ მხოლოდ იმას კი არ ცდილობდეს, როგორმე საკუთარ თავს არგოს, არამედ სხვების, სხვა ადამიანების ინტერესებსაც ითვალისწინებდეს.

უმთავრესი ის არის, რამდენად აქვს უნარი ამა თუ იმ ადამიანს საკუთარ თავთან ერთად სხვა ადამიანებისთვისაც იზრუნოს, სხვებსაც არგოს რამე. ამა თუ იმ საზოგადოებაში, სახელმწიფოში მით უფრო უკეთ არის აწყობილი ცხოვრება, რაც უფრო მეტ ადამიანს აქვს უნარი იმისა, რომ მეტად და მეტად უწევდეს ანგარიშს სხვა ადამიანთა ინტერესებს, მეტსა და მეტ დროს, ენერგიას, საკუთარ შესაძლებლობებს ახმარდეს სხვათა სიკეთისათვის ზრუნვას. სხვაგვარად თუ ვიტყვით, რაც უფრო მეტი ადამიანი შეძლებს თავისი ეგოიზმის შეზღუდვას, დაძლევას, მით უფრო უკეთ აეწყობა ცხოვრება.

მაგრამ როგორ უნდა სძლიოს ადამიანმა ეგოიზმს, მარტოოდენ საკუთარი სურვილების, ინტერესების დაკმაყოფილების მიდრეკილებასაც და სისხლში გამჯდარ ჩვევასაც? ამ კითხვის პასუხს ქვემოთ შევიტყობთ.

მანამდე ყურადღება იმას მივაპყროთ, რომ სწორედ ეგოიზმი, სნებად ქცეული თვითმოყვარეობა არის ყველა ჩვენი უბედურების მიზეზი. ამიტომ ითქვა ზემოთ, რომ რაც ქვეყნიერებაზე უსამართლობა და ბოროტება ტრიალებს, ყოველივე ისევ და ისევ კაცთა ნამოქმედარია, ამ უბედურებას ღმერთს მარტოოდენ სულმოკლე და უგუნური ადამიანები აბრალებენ.

დაუუკვირდეთ: ეგოიზმი ყოველ ადამიანს დაბადებიდანვე მოსდგამს (ეს არის ადამიანში მიწიერი, ცხოველური ბუნების გამოხატულება). ჩილი ბავშვიც კი, როგორც ზემოთაც ითქვა უკვე, სათავისოდ ექაჩება ყველაფერს; შემდგომაც, სხვა ბავშვებთან თამაშს რომ იწყებს, სულ იმის ცდაშია, ყოველივე თავისთვის დაინარჩუნოს; შემდგომაც, სასკოლო ასაკს რომ მიატანს, საკუთარ სურვილთა დაკმაყოფილებისთვის ზრუნავს მხოლოდ; შემდგომაც, რა რომ წამოიზრდება, ამასვე სჩადის, რომ დაკაცდება — მერეც... კარგი საჭმელ-სასმელი სურს, კარგი ჩაცმადანსურვა სურს, საუკეთესო ავეჯით გაწყობილი საუკეთესო ბინა, საუკეთესო აგარაკი, მანქანა, გართობა, დროსტარება, პატივი, დიდება და უამრავი სხვა რამ. ეს ყოველივე რომ მოიპოვოს, ათასი და ათასი სურვილი რომ დაიკმაყოფილოს, არაფერს ერიდება მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში — სიცრუეს, ორგუ-



ლობას, უსამართლობას, ღალატს, სხვათა დაჩაგვრას, სხვებთან ბრძოლას, შუღლს, მტრობას და მისთანებს.

მაგრამ მის გარდა სხვა ადამიანებიც ხომ არსებობენ ამ ქვეყნად. და იმ სხვა ადამიანთაგან თითოეული აგრეთვე იმის ცდაშია, რომ მანაც, თავის მხრივ, საკუთარი დაუოკებელი სურვილები დაიკმაყოფილოს, საკუთარი ეგოიზმის ჭია გაასროს. ამიტომ სხვადასხვა ადამიანთა ინტერესები განუწყვეტილად ეჯახება ერთმანეთს. ამას კი შედეგად ისევ და ისევ სიცრუე, უსამართლობა, ღალატი, ორგულობა, შუღლი, მტრობა და ამდაგვარი უბედურებები მოსდევს.

ყოველივე ამის მიზეზი კი ის არის, რომ ამ საქმეთა მოქმედი ყოველი კაც ცუდად არის აღზრდილი. მისმა მშობლებმა, ცხოველთა მსგავსად, საკუთარი ნაშთის მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისთვის, გამოკვების და გარემო ზიფათისაგან დაცვისთვის იზრუნეს, ხოლო გონებრივად და სულიერად აუცილებელი აღზრდა ვერ მისცეს. მათ არც თავად უწყოდნენ და ვერც თავიანთი ნაშთის შეაგნებინეს, რომ ცხოვრებაში, გარდა ფიზიკური, მატერიალური კანონებისა, ათასწილ უფრო მძლავრად მოქმედებს სულიერი კანონები, რომელთა გაუთვალისწინებლობა და შეუსრულებლობა ყოველ კაცს, და აგრეთვე მთელ კაცობრიობას, ამა სოფლადაც უბედურებას მოუტანს საბოლოოდ და იმ ქვეყნადაც, საიქიომოც სამარადისო სატანჯველად ექცევა.

ამ სულიერ კანონთაგან ერთი უპირველესი ის არის, რომ ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილმა კაცმა, ღვთაებრივი სულის მფლობელმა, ცხოველთაგან განსხვავებით, ეგოიზმი უნდა დაძლიოს უეჭველად.

ასე დავუბრუნდით ზემოთ დასმულ კითხვას: როგორ უნდა სძლიოს ადამიანს ეგოიზმს?

ამ კითხვის პასუხი ერთობ მარტივიც არის და ერთობ რთულიც, უღრმესი ღვთაებრივი აზრის შემცველი.

მარტივი იმიტომ არის, რომ საიმიხოდ, რათა კაცმა ეგოიზმს სძლიოს და ამით ამალღდეს, ამით განსხვავდებოდეს ცხოველისგან, საკმარისია უნაკლოდ, ზედმწევნით დაიცვას ის მცნებები, რომლებიც ყოველმა ქრისტიანმა თითქოს თავისთავად უნდა იცოდეს. ქრისტიანული ცხოვრების წესს მიდევნებული ყოველი კაცი ანუ მცნებათა დამცველი კაცი უეჭველად თავისუფლდება ეგოიზმის, თვითმოწყურების საკვრელთაგან.

დავუკვირდეთ.

„პატივი ეცი შენს მამას და შენს ღედას“.

შეუძლია თუ არა მშობლებს ჯეროვანი პატივი მიაგოს იმ კაცმა, ვინც ეგოიზმის, თვითმოყვარეობის საკრულთაგან ვერ განთავისუფლებულა? არასგ ზით არ შეუძლია.

კი, როგორ არა, მრავალნი და მრავალნი ასერხებენ სხვათა დასანახად, კაცთა თვალთათვის, მოსაჩვენებლად ისე მოეპყრონ დედ-მამას, თითქოს მართლა მათს პატივისცემაში ამოსდიოდეთ სული. მაგრამ მშობელთა ჭეშმარიტი პატივისცემა და მათი ამაგის დაფასება მარტოოდენ თავისთავზე მოფიქრალ ადამიანს ნამდვილად არ ძალუძს.

„არა კაც კლა“.


სულ მცირედენი დაფიქრებაა საჭირო, რათა გავიაზროთ: ნებისმიერი მკვლელობა მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მკვლელმა თავიდან მოიშოროს ის, ვინც ამა თუ იმ სახით მისი პირადი ინტერესების შემლახველად მიაჩნია. მაშასადამე ყოველი მკვლელი ეგოისტურ მიდრეკილებებს ემორჩილება. ეგოიზმის მძლეველი კაცი სხვას არ მოკლავს.

გავიხსენოთ სხვა მცნებებიც (არ იქურდო, არ იმრუშო, არ იცრუო, სხვისი ქონება არ ინდომო...) და ადვილად დავრწმუნდებით: ამ მცნებათაგან რიგიანად ვერც ერთს ვერ აღასრულებს ის, ვინც ეგოიზმის, თვითმოყვარეობის ტყვეობაშია თავის დღე და მოსწრება.

ახლა თქვენ უეჭველად იკითხავთ: კი მაგრამ, თუკი ეგოიზმი, თვითმოყვარეობა ყოველი კაცის თანდაყოფილი თვისებაა, ვინდა ასრულებს ამ ქრისტიანულ მცნებებს, და თუ არავინ ასრულებს, ისე გამოდის, რომ მთელი კაცთა მოდგმა თავისთავად განწირული ყოფილაო.

ჯერ ერთი, არიან ადამიანები, — მცირედნი, მაგრამ მაინც არიან, — რომელნიც ზედმიწევნით აღასრულებენ საღმრთო მცნებებს.

გარდა ამისა, კაცთა მოდგმის უმრავლესობა სულმუდამ იმას ცდილობს, როგორმე სძლიოს ეგოიზმს და დაიცვას საღმრთო მცნებები. ისინი ამას ნაწილობრივ ასერხებენ, ნაწილობრივ ვერ ასერხებენ, ზოგჯერ ასრულებენ ღვთაებრივ მცნებებს, ზოგჯერ — ვერა. ესეც იგულისხმებოდა მეოთხე კლასის სახელმძღვანელოში, სადაც, თუ გახსოვთ, ითქვა, რომ კაცის ცხოვრება საკუთარ თავთან გამუდმებული ბრძოლა არისო. უწინარეს ყოვლისა სწორედ თვითმოყვარეობას ებრძვის ყოველი კაცი საკუთარ თავში. ასე რომ არა, ყველანი დაემსგავსებოდნენ კაცთა მოდგმის იმ ნაწილს, რომელსაც, ზემოთ ვთქვით უკვე, საკუთარი თავის გარდა არც ღმერთი უყვარს, არც კაცი, რომელიც თავისი ეგოიზმის მუდმივი ტყვეა და მსხვერპლი.



მაგრამ ასე რომ იყოს, მთელმა კაცობრიობამ ასე რომ იცხოვროს, საერთო მოიშლება ცხოვრება და საბოლოოდ გადაგვარდება კაცთა მოღვაწეობა.

აქ ორი რამ უნდა გავითვალისწინოთ.

ერთი რომ, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ადამიანის ეგოიზმს, თვითმოყვარეობას, პირად სურვილთა დაკმაყოფილებისკენ ძნელად დასაძლევ მიდრეკილებას იმარჯვებს თავის იარაღად და კაცთა საცდუნებლად ის ბოროტი სული, ჩვენს სახელმძღვანელოებში რამდენჯერმე რომ ვახსენეთ უკვე — სატანა, ეშმაკი.

მეორე ის, რომ ეგოიზმის, თვითმოყვარეობის ძლევა თავისთავადაც არ არის იოლი საქმე. საამისოდ ადამიანი სულმუდამ მობილიზებული უნდა იყოს, გამუდმებით მოუდუნებლად უნდა ებრძოდეს საკუთარ თავს, გულშეუძვრელად განიმარტოს დეს უთვალავ საცდურს, რომლებსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გადაეყრება ცხოვრებაში.

ჩვენთვის ნაცნობი მაგალითი მოვიშველიოთ, საღვთო კაცის — ფსალმუნთა შემთხვეული მეფის დავით წინასწარმეტყველის ცდუნების ამბავი გავიხსენოთ (მეექვსე კლასში ვისწავლეთ, უნდა გახსოვდეთ): თავისი სასახლიდან თვალპკიდა უშშვენიერეს ქალს — ბერსაბეს, დავითისავე მხედრობის წვერის ურბხეთელის ცოლს, და სათავისოდ მოუნდა ის მანდილოსანი. ამასთან, გავიხსენოთ რომ დავითი წმინდა კაცი იყო, ღვთისმოყვარე და ღვთისმოსავი, უფლის მცნებათა გულმოდგინედ აღმსრულებელი. და ამნაირი საღვთო კაციც კი იძლია ეგოიზმის საკუთარი სურვილის დაკმაყოფილების საცდურის მიერ — ურბა ხეთელი მოაგლეწინა და ცოლად დაისვა მისი მეუღლე.

მაგრამ დავითმა დაარღვია ღვთის მცნება და ამასაც მთელი სიცოცხლი განმავლობაში ინანიებდა. ხოლო ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, წამისწამ ვინთქვით ცოდვათა მორევში და ხშირად იმის საშუალება, მოცალეობა ან უბრალოდ სურვილიც კი არ გვაქვს, რომ მოვინანიოთ ცოდვები.

არადა, ცოდვებით დამძიმებულ კაცს ღმერთისკენ სავალი გზა მუდამ დახშული ექნება, ღვთის შვილად ვერ იწოდება ამნაირი კაცი, ზეცასთან მისი კავშირი ვერანაირად ვერ აღდგება და მისი სულიც დასალუპავად იქნება განწირული.



მრავალგზის ვთქვით უკვე და ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ: მშვენიერია ღმერთის ქმნილება — სამყარო, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ, ვცხოვრობთ. მაგრამ, ამასთან

ერთად, ის არის დაუდგრომელი, მედინი, წარმავალი, მსწრაფლწარმავალი, ანუ, ესეც ვიცით, — საწუთრო, წუთისოფელი. როგორც ერთ ხალხურ ლექსშია ნათქვამი, ჩვენ „წუთისოფლის სტუმრები ვართ“, ორჯერ-სამჯერ დავაფახულებთ თვალს და სიზმარივით გაილგვა ჩვენი სიცოცხლე, რათა ჩვენს ნამდვილ სამშობლოს, მარადიულ სამყოფელს დავუბრუნდეთ. ხოლო ამის შემდეგ ყოველივე იმაზე არის დამოკიდებული, თუ როგორ გავლიეთ წუთისოფელის დღენი, რამდენად გულმოადინედ ვიცავდით უფლის მიერ ბოძებულ სულიერ კანონებს, რამდენად ვახერხებდით განეთავისუფლებულიყავით თვითმოყვარეობის, ეგოიზმის საკრულთაგან და ცოდვათა მორევში დანთქმას ავრიდებოდით.

როდესაც კაცი თავს ვერ აღწევს სწორედ თვითმოყვარეობის საცდურებს — ამპარტავნებას, სიცრუეს, შურს, სიხარბეს, მეტი და მეტი ქონების მოხვეჭის დაუოკებელ სურვილს და მისთანათ, სამარადისო სამყოფელში დაბრუნებისას ერთობ მწირი საგზალი წაჰყვება მის სულს. იქ, საიქიოს ვერც დასტა-დასტა დაწყობილი ფული წაადგება, ვერც ნაირ-ნაირი ძვირფასეულობა თუ შესამოსელი, ვერც დიდებულად ნაგები და გაწყობილი სახლ-კარი, ვერც სხვა რამ ნივთიერი საგანშური.

ეს უმარტივესი ჭეშმარიტება, თავისთავად ცხადი და იოლად გასაგები, თითქოს ყველამ ვიცით. მაგრამ სავალალო ის არის, რომ ერთობ, ერთობ ხშირად ვივიწყებთ და უმარტივესსა და ცხად ჭეშმარიტებას და, ცხოვრების ორომტრიალში გადაშვებულნი, უგუნური ბაღლებივით ვართ გამოდევნებული ნივთიერი, მსწრაფლწარმავალი სამყაროს სიამეთ, ქაფივით მსწრაფლ განქარვებად ბრჭყვიალ-ბრჭყვიალა კაკილებს.

და ერთ-ერთი პირველი, რაც ქვეყნად მოვლენილმა იესო ქრისტემ უთხრა ხალხს, სწორედ ეს იყო:

„ნუ იუნჯებთ თქვენს საუნჯეს ამ ქვეყნად, სადაც ჟანგი და მღილი ღრღნის მას, და სადაც მპარავნი თხრიან და იპარავენ.“

არამედ დაიუნჯეთ თქვენ საუნჯე ზეცად, სადაც ვერც ჟანგი და ვერც მღილი ვერა ღრღნის მას, და სადაც მპარავნი ვერ თხრიან და ვერ იპარავენ“ (მათ. 6,19-20).


იგივე აზრი კიდევ სხვაგვარად, იგავით გამოთქვა მაცხოვარმა:

„ფხიზლად იყავით და ეკრძალებთ ანგარებას, ვინაიდან კაცს შესაძლოა ყველაფერი უხვად ჰქონდეს, მაგრამ სიმდიდრით როდი ცოცხლობს იგი.“

და უთხრა მათ იგავი:

ერთი მდიდარი კაცის ყანაში ზღვა მოსავალი მოვიდა.

და საგონებელში ჩავარდნილმა თქვა: რა ვქნა, სად წავიღო ამდენი მოსავალი?



და გადაწყვიტა: აი, რას ვიზამ: დავშლი ჩემს ბელღებს და უფრო დიდებს ავაგებ, და შევინახავ იქ მთელ ჩემს მოსავალს და სარჩო-საბადებელს.

და ვეტყვი ჩემს სულს: სულო, მრავალი სიკეთე გაქვს დაგროვილი და მრავალი წლის სამყოფი – განისვენე, ჭამე, სვი და იმზიარულე!

უთხრა მას ღმერთმა: უგუნურო, ამაღამვე ამოგართმევენ სულს. ვისდა დარჩება შენი სარჩო-საბადებელი?

ასე მოუვა ყველას, ვინც თავისთვის იხვეჭს სიმდიდრეს და არა ღმერთისთვის“ (ლუკ. 12,15-21).

მაშასადამე, მაცხოვარმა ჩვენი ყურადღება იმას მიაპყრო, რომ ჭეშმარიტი ღირებულება ნივთიერ, მატერიალურ, სხვაგვარად თუ ვიტყვით – მიწიერ, მსწრაფლ-წარმავალ, ფუჭ კეთილდღეობას კი არ აქვს, არამედ სულიერ სიმდიდრეს, სულიერ სიმაღლეს, ღვთის სასუფეველთან, მარადიულ სამყოფელთან ჩვენს დამაკავშირებელს რამეთუ უკვდავი სული გვიდგას ადამიანებს, ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილებს, და ჩვენი ჭეშმარიტი სამშობლო ზეციური საუფლოა. და ამგვარი ბუნების მქონე არსებას არ შეჰფერის, არ ეკადრება ღვთაებრივ კანონთა დარღვევა ანუ ცოდვათა მორევში დანთქმა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ სძლებს თავის ეგოისტურ მისწრაფებებს და სურვილთა დაკმაყოფილების უძირო უფსკრულში არის ჩაყირავებული.

სწორედ ამიტომ მოგვიწოდა იესო ქრისტემ:

„იყავით სრულქმნილნი, როგორც სრულქმნილია მამა თქვენი ზეციერი“ (მათ. 5,48).

ეს არის კაცთათვის ბოძებული უმაღლესი იდეალი. ძნელზე ძნელია ამ იდეალის წვდომა, მისი აღსრულება, მაგრამ ყოველი კაცი სწორედ ამას უნდა მიესწრაფოდეს. ამგვარად თუ იცხოვრებთო, გვიბრძანა მაცხოვარმა, „დიდი იქნეს თქვენი საზღაური და იქნებით თქვენ უზენაესის ძენი“ (ლუკ. 6,35).

როგორ უნდა იცხოვროს, როგორ უნდა მიადვიოს ადამიანმა იმას, რომ ღვთის ძედ, ღვთის შვილად იწოდებოდეს?

ამ კითხვის პასუხია იესო ქრისტეს მთელი მოძღვრება, რომლის შესახებაც კიდევ არაერთხელ ვისაუბრებთ ქვემოთ. მაგრამ ამ მოძღვრებაში არის ორი გამორჩეული მცნება, რომლებიც, როგორც თავად მაცხოვარმა ბრძანა, მთელი მოძღვრების არსებას წარმოაჩენენ.

აი ეს მცნებები:

„გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი სულით და მთელი შენი

გულით და მთელი შენი გონებით.

ეს არის პირველი და მთავარი მცნება.

და მეორე, ამის მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მათ. 22,37-39).

ამ მცნებებს უკეთ რომ ჩავწვდეთ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის, რის თაობაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ რამდენჯერმე.

სამყარო შექმნილია სამპიროვანი ღმერთის, სამების მიერ, რომლის ჰიპოსტასები უზენაესი ან საღვთო სიყვარულით არიან განმსჭვალულნი და სამყაროც სიყვარულით არის შექმნილი, სიყვარულისთვის არის შექმნილი. ყოველი არსი, რაც კი რამ არსებობს, კვლავ თავისი შემქმნელისკენ, მაღალი ღმერთისკენ მიისწრაფვის და ეს სწრაფვა არის სწორედ სიყვარულის გამოვლინება. განსაკუთრებით ითქმის ეს ადამიანის შესახებ, რომელიც ღვთის შვილად იწოდება და რომელსაც უყვარს ღიადი მამა — შემოქმედი ღმერთი.

მაგრამ ამ სიყვარულს აბრკოლებენ ამქვეყნიური საცდურნი, ეგოისტური მისწრაფებათა შედეგად აღძრული სურვილნი, რომელთა მიდევენება საბოლოოდ უეჭველად ბაღებს ცოდვას ანუ ღვთაებრივ კანონთა დარღვევას და ღმერთისგან დაშორებას. ამიტომ არის, რომ კაცის ცხოვრება და ქმედება ყოველთვის ვერ ეთანადება ღმერთის ნებას. ცოდვის ჩადენის დროს უფლისადმი სიყვარული უეჭველად მიინავლება ანდა სულაც ქრება. შესაძლოა ამა თუ იმ ცოდვის მოქმედმა ვერც შენიშნოს ეს, შესაძლოა ასე ეგონოს — კვლავ მიყვარსო ზეციერი მამა. მაგრამ სინამდვილეში ეს უკვე აღარ არის ჭეშმარიტი, საღმრთო სიყვარული.

ამიტომ გვეუბნება მაცხოვარი: ღმერთი მთელი შენი სულით, მთელი შენი გულით და მთელი შენი გონებით ანუ მთელი შენი არსებით უნდა გიყვარდესო. ამგვარი სიყვარული თავისთავად გამორიცხავს კაცის თვითმოყვარეობას ანუ ეგოიზმს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კაცი აღარ დაჰყვება სურვილთა ნებას და ცოდვისკენ აღარ გადაიხრება.

იმასაც მივაპყროთ ყურადღება, რომ მეორე მცნებას — „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ — მაცხოვარი პირველი მცნების (უფლის სიყვარულის) მსგავსს უწოდებს. თუ კარგად დავფიქრდებით, შესაძლოა ჩვენც ჩავწვდეთ იმ ღვთაებრივ აზრს, რომ ეს ორი მცნება მართლაც მსგავსია და უღრმესი ჭეშმარიტების გამომხატველი.

რამეთუ ის, ვინც შეძლებს საკუთარი თავივით შეიყვაროს სხვა ადამიანები, უკვე განკურნებულია თვითმოყვარეობის სნებისგან და ვეღარც სურვილთა საც-



დურს დაჰყვება, ველარც ცოდვას ჩაიდენს. ამგვარი კაცი დედ-მამასაც შესატყვის პატივს მიაგებს უეჭველად, არც სხვა კაცს მოკლავს (რაკი საკუთარი თავივე უყვარს ის სხვა), არც იქურდებს, არც სიცრუეს იტყვის და სხვის ქონებაზე გული არ შეუვარდება. ესე იგი ამგვარი კაცი განუხრელად ადასრულებს ყველა მცნებას, რომლებიც მოსეს რჯულსა და წინასწარმეტყველთა მემკვიდრეობაში იქონიდაც.

ამიტომ ამბობს იესო ქრისტე:

„ამ ორ მცნებაზეა დამოკიდებული მთელი რჯული და წინასწარმეტყველთა (მათ. 22,40). ესე იგი – ღმერთის მთელი არსებით სიყვარულსა და მოყვას საკუთარი თავივით სიყვარულზეო.“

მოსეს რჯულსა და წინასწარმეტყველთა მემკვიდრეობაში, ანუ „ძველ ადამიანში“, სიყვარულის ეს მოძღვრება მხოლოდ იგულისხმებოდა, გამოკვეთილად იყო ჩამოქნილი და გაცხადებული. იესო ქრისტემ თავის საღმრთო მოძღვრებას საფუძვლად სწორედ სიყვარული დაუდო, საყოველთაოდ გასაგები ენით გვამცნებს ის ღვთაებრივად უბრალო და, ამასთან ერთად, უღრმესი ღვთაებრივი ჭეშმარიტების შემცველი აზრი, რომ არსებობა არის სიყვარულის გამოვლინება, რომ ყოველივე სიყვარულის ძალით არსებობს და რომ ადამიანიც – ღვთის შვილი უწინარეს ყოვლისა სიყვარულით უნდა სულდგმულობდეს.

„გაძლევეთ თქვენ ახალ მცნებას, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი. და როგორც შეგიყვარეთ თქვენ, ასევე გიყვარდეთ თქვენც ერთმანეთი. იმით გიცნობთ ყველა რომ ჩემი მოწაფეები ხართ, თუ გექნებათ ერთმანეთის სიყვარული“ (იოან. 13,34-35), – ასე მოძღვრავს სამყაროს სიყვარულით შემქმნელი ღმერთი, სამყაროსა და ადამიანთა მოყვარული ღმერთი ღვთის შვილებს – ადამიანებს.

ამ ახალ მცნებას მრავალგზის იმეორებს მაცხოვარი:


„როგორც მე შემიყვარა მამამ, მეც ასევე შეგიყვარეთ თქვენ, დარჩით ჩემ სიყვარულში.“

თუ დაიცავთ ჩემს მცნებებს, დარჩებით ჩემს სიყვარულში.

ეს არის ჩემი მცნება, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“ (იოან. 15,9-12).

იმასაც უნდა გავადევნოთ თვალი, როგორ გულმოდგინედ უნერგავდნენ მორწმუნეებს ამ ახალ მცნებას, სიყვარულის ახალ მოძღვრებას ქრისტეს მოციქულნი.

„განიწმინდეთ თქვენი სულები ჭეშმარიტებისადმი მორჩილებით, უმწიკვლ მმთამოყვრეობისთვის, და წმიდა გულით მხურვალედ გიყვარდეთ ერთმანეთი“



პეტრ. 1,22).

„იხილეთ, როგორი სიყვარული მოგვცა ჩვენ მამამ, რათა ღმერთის შვილებად ვიწოდებოდეთ“ (1 იოან. 3,1).

„ამით იცნობიან შვილნი ღმერთისა და შვილნი ეშმაკისა: ვინც არ იქმს სიმატლეს და ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, არ არის ღმერთისაგან, ვინაიდან ეს არის აღთქმა, რომელიც ისმინეთ დასაბამიდან, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი“ (1 იოან. 3,10-11).

„საყვარელნო, გვიყვარდეს ერთმანეთი, ვინაიდან სიყვარული ღმერთისაგან არის, და ყველა, ვისაც უყვარს, ღმერთისგან არის შობილი და იცნობს ღმერთს.

ვისაც არ უყვარს, მან ვერ შეიცნო ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყვარულია. სიყვარული ისაა, რომ ჩვენ კი არ შევიყვარეთ ღმერთი, არამედ მან შეგვიყვარა ჩვენ, და მოავლინა თვისი ძე ჩვენი ცოდვების მალხინებლად.

საყვარელნო, თუკი ასე შეგვიყვარა ღმერთმა, ჩვენც უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი.

ღმერთი არავის არასოდეს უხილავს. თუ ერთმანეთი გვიყვარს, ღმერთი ჩვენში მკვიდრობს და სიყვარული მისი აღსრულებულია ჩვენში.

და ჩვენც შევიცანით და ვიწამეთ სიყვარული, რომელიც აქვს ღმერთს ჩვენდა მომართ. ღმერთი სიყვარულია, და სიყვარულის მკვიდრი ღმერთში მკვიდრობს, ხოლო ღმერთი — მასში“ (1 იოან. 4,7-16).

„თუ ვინმე იტყვის, რომ უყვარს ღმერთი, მაგრამ სძულს თავისი ძმა, ის ცრუა. რადგან თუ არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა შეიყვარებს ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავს? და ეს მცნება გვაქვს მისგან: ვისაც უყვარს ღმერთი, უნდა უყვარდეს თავისი ძმაც“ (1 იოან. 4,20-21).


„ძმური სიყვარულით გიყვარდეთ ერთმანეთი, ერთიმეორეს ასწრებდეთ ურთიერთპატივისცემას“ (რომ. 12,10).

„არაფერი გემართოთ არავისი, გარდა ურთიერთსიყვარულისა, რადგან ვისაც უყვარს მოყვასი, მან აღასრულა რჯული.

ვინაიდან: არა იმრუშო, არა კაც კლა, არა იპარო, არა ცილი სწამო, არა ისურვო, და თუა კიდევ სხვა მცნება, ყველა ამ სიტყვებშია მოქცეული: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.

სიყვარული ბოროტს არ უზამს მოყვასს, რჯულის აღსრულება სიყვარულია“ (რომ. 13,8-10).

„კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არ მაქვს,



მხოლოდ რვალი ვარ მოქორიალე, მხოლოდ წკრიალა წინწილი.

წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო მქონდეს მთელი რწმენა, ისე რომ მთების დაძვრაც შემემძლოს, სიყვარული თუ მაქვს, არარა ვარ.

მთელი ჩემი ქონება რომ გავიღო გლახაკთათვის, და დასაწვავად მივცე ჩემს ხეული, სიყვარული თუ არ მაქვს, არას მარგია“ (1 კორ. 13,1-3).

„სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. ხოლო ამათში უმეტესი სიყვარული მისდით სიყვარულს“ (1 კორ. 13,13-14,1).

„წყალობით მდიდარმა ღმერთმა, მისი უღვევი სიყვარულისამებრ, რომლითა შეგვიყვარა ჩვენ, შეცოდებით მკვდარნი გავგაცოცხლა ქრისტესთან ერთად“ (ეფეს. 2,4-5).

„ვიღოდეთ სიყვარულით, როგორც ქრისტემ შეგვიყვარა ჩვენ, და მისცა ჩვენთვის თავისი თავი“ (ეფეს. 5,2).

„უწინარეს ყოვლისა შეიმოსეთ სიყვარული, რომელიც არის სიმტკიცე სრულქმნილებისა“ (კოლოს. 3,14).

„მათმოყვარეობისათვის აღარ გჭირდებათ რაიმეს მოწერა, რადგან თვე ღმერთმა გასწავლათ, რომ უნდა გიყვარდეთ ერთმანეთი“ (1 თეს. 4,9).

„მიზანი მცნებისა არის სიყვარული წმიდა გულით, წრფელი სინდისითა და უპირფერო რწმენით“ (1 ტიმ. 1,5).

ყოველივე ამის შემდეგ, ვისაც „ვეფხისტყაოსანი“ წაკითხული აქვს, უმჯობესა გაახსენდება რუსთაველის სტრიქონები:

წავიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაკვარ წერენ?

ვით იტყვიან, ვით აქებენ – ცან, ცნობანი მიაფერენ,

„სიყვარული აღგვამადლებს“, – ვით ეფვანნი, ამას უღერენ.

ჭეშმარიტად აღგვამადლებს სიყვარული, სრულქმნილებას ანუ ღმერთს მიგვამადლებს, იმ უმაღლესი იდეალის აღსრულებას, რომელიც იესო ქრისტემ დაგვიასწავლა. „იყავით სრულქმნილნი, როგორც სრულქმნილია მამა თქვენი ზეცვიერი“.

მაგრამ როდესაც სიყვარულის შესახებ ვსაუბრობთ, აუცილებლად გვმართებს გვსოვდეს შემდეგი: ყოველი ჩვენგანი, შესაძლოა, ივლდეს თავისთვის და ფიქრობდეს, – აი, მთელი არსებით მიყვარს ღმერთი, საკუთარი თავივით მიყვარს ყველა სხვა ადამიანს. მაშასადამე უკვე სრულქმნილებას მიახლოებული ვარო. დიას, შესაძლოა ამგვარად ფიქრობდეს ვივც არ ეპარებოდეს, სავესებით გულდაჯერებული იყოს, რომ მართლა მთელი არსებით მიყვარს ღმერთი, საკუთარი თავივით მიყვარს სხვა ადამიანები. და, ამავ დროს, ისე

შესაძლოა, ამის მაგიერ აღმა კაცმა ერთ წუთში გააქარწყლოს თავისი უაღრესად კეთილშობილი და ამაღლებული ნაზრევი. იმით გააქარწყლოს, რომ საქმით არ დაადასტუროს თავისი სიყვარული ღმერთისადმი და მოყვასისადმი — გაჭირვებულს არ შეეწიოს, მწყურვალისთვის წყალის მიწოდება დაეზაროს, შმიერისთვის ლუკმის გაყოფა დაენანოს, ვილაცის რაღაცა შემურდეს, ვილაცისთვის რაღაცის წართმევა მოიწადინოს, ვილაცას უკმუნად შეესიტყვოს, ვილაცის დაჩაგვრა დააპიროს, ეს გაკიცხოს, ის მოიძულოს, იმას დაემდუროს, სხვაზე ცუდი რამ იფიქროს, კიდევ სხვაზე ავი სიტყვა თქვას და ასე და ამრიგად, დაუსრულებლად, როგორც ჩვეულებრივ ხდება ჩვენს ცხოვრებაში.

სწორედ ამიტომ გვაფრთხილებენ მოციქულები:

„ყველა, ვისაც სძულს თავისი ძმა, კაცისმკვლეელია. ხოლო თქვენ იცით, რომ არც ერთ კაცისმკვლელს არა აქვს საუკუნო სიცოცხლე, დამკვიდრებული მასში. ამით შევიცნობთ სიყვარულს, რომ მან (ქრისტემ) ჩვენთვის დადო თავისი სული. და ჩვენც გემართებს ძმებისთვის სულის დადება.“

ხოლო ვისაც აქვს სიმდიდრე ამ ქვეყნად, და ხედავს თავისი ძმის გაჭირვებას, მაგრამ გულს იხშობს მისთვის, როგორღა დაემკვიდრება მასში ღმერთის სიყვარული?

შვილნო ჩემო, მოდით, გვიყვარდეს, მაგრამ არა სიტყვით და ენით, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებით“ (1 იოან. 3,15-18).

„იყავით სიტყვის აღმსრულებელნი და არა მხოლოდ სიტყვის მსმენელნი, რომელნიც ატყუებენ თავიანთ თავს.“

რადგანაც ვინც იხმენს, მაგრამ არ ასრულებს სიტყვას, იმ კაცს ჰგავს, რომელიც უმზერს თავის ნამდვილ სახეს სარკეში, დაინახავს თავის თავს, წავა და მაშინვე ავიწყდება, როგორი არის.

მაგრამ ვინც სწვდება სრულყოფილ რჯულს და მკვიდრდება მასში არა როგორც გულმაეიწყი მსმენელი, არამედ როგორც საქმის აღმსრულებელი, ნეტარია თავისი საქმით.

თუ ასრულებთ სამეუფო რჯულს: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი, კეთილს ჰყოფთ.

რას გამოელის ის, ვინც ამბობს — რწმენა მაქვსო, მაგრამ არა აქვს საქმე? შეძლებს კია ეს რწმენა, რომ იხსნას იგი?

თუკი ძმა ან დაი შიშველია და ლუკმა-პური არ გააჩნია და რომელიმე თქვენგანი ეტყვის მათ: წადით მშვიდობით, გამეხით და გათბით, — და არ კი მისცემს მათ სახმარს ხორცისას, რას გამოელის?

ასევე რწმენაც, საქმის გარეშე, მკვდარია თავისთავად.
 შენ გწამს, რომ ერთია ღმერთი? კეთილი და პატიოსანი. ეშმაკებსაც სწამს
 და ძრწიან კიდეც.
 გნებავს იცოდე, ამაო კაცო, რომ რწმენა მკვდარია საქმის გარეშე?
 განა საქმით არ გამართლდა აბრაამი, როცა სამსხვერპლოზე შესწირა ისააკი
 თავისი ძე?
 ხომ ხედავ, რომ კაცი საქმით მართლდება და არა მხოლოდ რწმენით?
 ვინაიდან როგორც სხეული მკვდარია სულის გარეშე, ასევე რწმენაც მკვდ-
 რია საქმის გარეშე“ (იაკ. 1,22-25, 2,8-26).



მაშასადამე, ღმერთის სიყვარული და მოყვასის სიყვარული თუკი საქმითაც
 არ გამოვლინდა და არ დადასტურდა, ეს ჯერ კიდეც არ არის ჭეშმარიტი სიყ-
 ვარული. ეს უფრო ილუზიაა, ფაქტიურად – თავის მოტყუება. როგორც ზემოთაც
 ითქვა, შესაძლოა კაცი გულდაჯერებული იყოს – ღმერთი მთელი არსებით მიყ-
 ვარს და მოყვასი საკუთარი თავივით მიყვარსო, მაგრამ საქმე საქმეზე როცა
 მიდგება, როცა საჭირო გახდება ამ სიყვარულის შესატყვისი ქმედება ანუ საუფ-
 ლო მცნებათა აღსრულება, კაცთა მოდგმის უმრავლესობას ამის ქმნა დიდად
 უძნელდება ხოლმე. შესაძლოა ამა თუ იმ პიროვნებამ ერთი რომელიმე მცნე-
 ბა აღასრულოს, ვთქვათ, კაცი არ მოკლას, მაგრამ იქვე, მაშინვე დაარღვიოს სხე-
 მცნებები, – ვთქვათ, სხვისი ქონება შეშურდეს, ან თავმოთნეობის საცდურს დააყვეს
 თავისთავი სხვებზე მაღლა დააყენოს, იცრუოს, მოძმეს პირი უშალოს, ვინმე გაკიც-
 ხოს და ასე უსასრულოდ.

რალა თქმა უნდა, წარსულშიც იყვნენ და დღესაც არიან ადამიანები, რომელ-
 თაც ძალუძთ არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც აღასრულონ საღმრთო
 სიყვარულის დიადი მოძღვრება. ისინი მცირედნი არიან და ამგვარ ადამიანებს ჩვენ
 იდეალად ვსასაუთ, კაცური კაცობის ისეთ ნიმუშად, რომლისკენაც მთელი კაცობ-
 რიობა უნდა მიისწრაფოდეს.

გარნა სრული კაცობის, ჭეშმარიტი ღვთაებრივი სრულქმნილების უმაღლესი
 იდეალი მთელი სისრულით ამა სოფლად ერთადერთმა პიროვნებამ აღასრულა –
 იესო ქრისტემ. ეს მას შეეძლო ერთადერთს, ისე ეცხოვრა, რომ მარტოოდენ კაცობ-
 მოდგმის მსახურებისთვის შეეწირა უშურველად მთელი თავისი ფიზიკური და

სულიერი ძალები, მარტოოდენ სხვათა სიკეთისთვის ეზრუნა, სხვათა ცოდვების გამოსასყიდად, მთელი კაცობრიობის გადასარჩენად ზვარაკად შეეწირა თავისი სიცოცხლე.

ვითარცა სრულმა ღმერთმა და სრულმა კაცმა, იესო ქრისტემ უწყობდა, რაოდენ საძნელოა ყოველი კონკრეტული პიროვნებისთვის თვითმოყვარეობის, ეგოიზმის საკრებლთაგან თავის დახსნა, საუფლო მცნებათა უნაკლოდ აღსრულება და ბოლოს სრულქმნილების იმ უმაღლეს საფეხურზე აღსვლა, რომელზეც ღმერთის სიყვარული და მოყვასის სიყვარული სრულად არის განხორციელებული და არა მხოლოდ მიუწვდენელი იდეალია, და რომელზეც კაცს უკვე შეუძლია ღვთის შვილად იწოდებოდეს.

ამიტომ იესო ქრისტეს მოძღვრების უმთავრესი ნაწილი სწორედ იქითკენ არის მიმართული, რომ წუთისოფლის ნარეკლიან გზაზე მავალ ყოველ კაცს შეეწიოს სრულქმნილების იმ უმაღლესი საფეხურისკენ სწრაფვაში, გაუადვილოს მას ამ მწვერვალამდე ამაღლება. საამისოდ მან, სიყვარულის მოძღვრებასთან ერთად, უკეთ თუ ვიტყვი — სწორედ სიყვარულის ამ მოძღვრებამდე მისაღწევად, მოგვცა თავისი ღვთაებრივი მცნებები, რომელთა შესახებ ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებთ.

მოწაფეები

წინა თავში ითქვა: თავისი დიადი, ღვთაებრივი მისია რომ აღესრულებინა, იესო ქრისტეს, უწინარეს ყოვლისა, უნდა განემარტა, შეეგნებინებინა კაცთათვის, თუ რა არის საჭირო, რის ქმნა მართებთ მათ ღმერთთან კავშირის აღსადგენად, ცათსასუფეველის დასამკვიდრებლად, საუკუნო სიცოცხლის მოსაპოვებლად.

ამიტომ ჩვენი მაცხოვარი დაუცხრომლად იღვწოდა, ქალაქებსა და სოფლებში მიმოვიდოდა, მოუღლეულად ქადაგებდა, მოძღვრავდა და ასწავლიდა მის მოსასმენად მრავლად შეყრილ ხალხს, აცნობდა მათ ახალ აღთქმას, თავის ღვთაებრივ მცნებებს ღვთაებრივ მოძღვრებას. მან არ იცოდა, რა იყო მოსვენება, საკუთარი თავისთვის ზრუნვა, სხვათა სიკეთისთვის ჰქონდა გადადებული თავი განუყოფლად და უშურველად. მისი ცხოვრების ყოველი ახალი დღე მოყვასთათვის მსახურებით იწყებოდა და მთავრდებოდა, მისი ზეკაცური ენერგია და მხნეობა არასოდეს დაშრეტებულა.

ამ საღვთო საქმის აღსასრულებლად ქვეყნად მოვლენილ ღმერთკაცს გვერდით უნდა ჰყოლოდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც შეძლებდნენ, მსგავსად მაცხოვარისა, გაეწირათ, დაეთმოთ პირადი ცხოვრება, და მთელი არსებით მისცემოდნენ საღვთისთვის მსახურებას, ყოველი ადამიანის სულის ცხოვნებისთვის დაუცხრომლად ზრუნვას.


სწორედ ამგვარი ადამიანები გამოარჩია და დაიმოწაფა იესო ქრისტემ. თქვენ რაღა თქმა უნდა, აქამდეც გსმენიათ ქრისტეს თორმეტი მოწაფის ამბავი. ახლა საშუალება გაქვთ უფრო ახლოს გაიცნოთ ის თორმეტი ურჩეულესი პიროვნება, ორ მათგანს თქვენ უკვე გაეცანით ამ სახელმძღვანელოს ერთ-ერთ წინა თავში. თუ გახსოვთ, იქ მოთხრობილი იყო, თუ როგორ იქცა იესო ქრისტემ მოწაფედ მებაჟე (მეზვერე) მათე და აგრეთვე იოანე, რომელსაც შემდეგ ღვთის მეტყველი ეწოდა. ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ ეს ორნი — მათე და იოანე — მახარებლებიც იყვნენ, ანუ სახარების ავტორები. „ახალ აღთქმაში“ შესული ოთხი სახარებიდან პირველი სახარება მათეს დაწერილია, მეოთხე — იოანესი.

მაგრამ მათე და იოანე იესო ქრისტეს სულ პირველი მოწაფეები არ ყოფილან. სულ პირველ მოწაფეთა ამბავი მოთხრობილია იოანეს სახარებაში, იქ, სადა იოანე მახარებელი იოანე ნათლისმცემელის ცხოვრებას აღწერს:

„მეორე დღეს კვლავ იდგა იოანე (ნათლისმცემელი) თავის ორ მოწაფესთან



პეტრე და ანდრია მოციქულთა ხმობა.
მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეთა იტალიელი მხატვრის დუჩოს ნახატი.



ერთად.

და დაინახა მომავალი იესო და თქვა: აჰა, ტარიგი ღმრთისა.
 ეს რომ გაიგონეს, ორივე მოწაფე იესოს გაჰყვა...
 ხოლო ამ ორთაგან ერთი, რომელმაც იოანესაგან გაიგონა იესოს სახელი და
 გაჰყვა მას, იყო ანდრია, სიმონ-პეტრეს ძმა.
 მან პირველმა მონახა თავისი ძმა სიმონი და უთხრა მას: ვპოვეთ მესია.
 და მიიყვანა იგი იესოსთან“ (1,35-43).
 ეს ტექსტი კარგად რომ გავიგოთ, საჭიროა ზოგიერთი რამის გათვალისწინე-
 ბა.

მაშასადამე, იოანე ნათლისმცემელს თავისი მოწაფეები ჰყავდა ჯერ კიდევ
 მანამდე, ვიდრე იესო ქრისტე გამოირჩეოდა მოწაფეებს. და, აი, თავის ორ მოწა-
 ფესთან ერთად მდგარმა იოანე ნათლისმცემელმა იესოს დანახვისას თქვა: „აჰა,
 ტარიგი ღმრთისა“.

ტარიგი მსხვერპლად შესაწირავ კრავს ჰქვია. ამ სიტყვებით იოანე ნათლის-
 მცემელმა იწინასწარმეტყველა ქრისტეს მომავალი: როგორც კრავი შეწირება
 მსხვერპლად, ისევე იესო თავის სიცოცხლეს მსხვერპლად შეწირავსო. იესო
 ქრისტემ თავისი სიცოცხლე საკუთარი ნებით მსხვერპლად რომ გაიღო კაცობრი-
 ბის გამოსახსნელად, ეს ყოველმა ქრისტიანმა იცის. ამის თაობაზე ჩვენ დაწერილებით
 ქვემოთ ვისაუბრებთ მაცხოვარის ჯვარცმასთან დაკავშირებით.

იოანე ნათლისმცემლის სიტყვებმა („აჰა, ტარიგი ღმრთისა“) მისი ორი
 მოწაფე მიახვედრა, რომ იესო იყო სწორედ ის მესია, რომლის ქვეყნად მოვლინება
 და კაცთა მოდგმის გამოსახსნელად თავდადება „ძველი აღთქმის“ წიგნებითვე იყო
 ნაწინასწარმეტყველები. ამიტომ დატოვეს მათ თავიანთი მოძღვარი (იოანე ნათლის-
 მცემელი) და იესოს ანუ მესიას გაჰყვეს.

ამ ორთაგან ერთი ანდრია იყო, — გვამცნობს სახარება. სწორედ ის დაემოწაფა
 პირველად იესოს და სწორედ ამიტომ ეწოდა მას შემდგომში ანდრია პირველ-
 წოდებული ანუ პირველად ხმობილი. და სწორედ მანვე ახარა თავის ძმას, სიმონს,
 ანუ სიმონ-პეტრეს, — მესია ვიპოვეთო, და მანვე მიიყვანა სიმონ-პეტრე იესოსთან.

აქ ისიც უნდა ვთქვათ, რატომ არის მოხსენიებული ანდრია პირველწოდებუ-
 ლის ძმა ორმაგი სახელით — სიმონ-პეტრე. მას სახელად ერქვა სიმონი. პეტრე
 იესო ქრისტემ შეარქვა, რადგან სიტყვა „პეტრე“ კლდეს ნიშნავს და მაცხოვარმა
 ამ კაცში კლდესავით მაგარი ბუნება დაინახა (მათ. 16,18, იოან. 1,43). ასე
 წარმოდგა სახელი ქრისტეს მოწაფის — პეტრე მოციქულისა, იმ ღიღი წმინდანისა.

რომელიც, პავლესთან ერთად, ქრისტიანულმა ეკლესიამ მოციქულთა თავად ანუ წინამძღვრად აღიარა.

კიდევ ის უნდა ვთქვათ წინასწარ, რომ მაცხოვარის ჯვარცმის შემდეგ ანდრია პირველწოდებულმა, გარდა სხვა ქვეყნებისა, დასავლეთ საქართველოშიც იქადაგა ქრისტეს რჯული.

მამასადაბე, იესო ქრისტეს თორმეტი მოწაფიდან ოთხის სახელი ჩვენ უკვე კარგად ვიცით: ანდრია, მისი ძმა პეტრე (იგივე სიმონი), იოანე და მათე. მაგრამ ყოველმა ქრისტიანმა იესოს თორმეტივე მოწაფის სახელი უნდა იცოდეს.

აი, ნუსხა იესოს თორმეტი მოწაფისა იმ თანმიმდევრობით, როგორც არის მიღებული სახარებებისა და საღვთისმეტყველო ლიტურატურის მიხედვით:

1. პეტრე.
2. ანდრია.
3. იაკობი.
4. იოანე.
5. ფილიპე.
6. ბართლომე.
7. თომა.
8. მათე.
9. იაკობი.
10. სიმონ კანანელი.
11. თადეოზი.
12. იუდა ისკარიოტელი.

ახლა ჩვენ გვმართებს ცალ-ცალკე ვისაუბროთ იესო ქრისტეს თორმეტივე მოწაფის შესახებ, უფრო ახლოს გავეცნოთ მათ.

1. პეტრეს ამბავი აქვე ზემოთ ითქვა უკვე: მისი სახელი სიმონი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც იესო ქრისტემ პეტრე (კლდე) შეარქვა, უმთავრესად ამ სახელით მოიხსენიება. თუმცა ზოგან, მათ შორის სახარებებშიც, მისი გაორმაგებული სახელიც იხმარება ხოლმე – სიმონ-პეტრე.

პეტრე და მისი ძმა ანდრია წარმოშობით ბეთსაიდელნი იყვნენ, ხელობით მეთევზენი. ბათსაიდა გალილეის (იგივე გენესარეთის, იგივე ტიბერიადის) ზღვის თუ ტბის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პატარა ქალაქი იყო.

2. ანდრიას ანუ ანდრია პირველწოდებულის ამბავსაც ზემოთ უკვე გავეცანით. შეგახსენებთ, რომ იოანე ნათლისმცემლის მოწაფე ანდრია პირველი გაჰყვა



იესოს და მას დაემოწაფა.

3. იაკობი იყო გალილეელი მეთევზის ზებედეს ძე, იოანე მახარებელის ძმა. ამიტომ მაცხოვარის ეს ორი მოწაფე — იაკობი და იოანე — ზებედეს ძეებად მოიხსენიებიან ხოლმე. მათი დედა სალომე, იესო ქრისტეს მსახური, ერთ-ერთი იყო იმ რჩეულ მანდილოსანთაგან, ვინც მაცხოვარის ჯვარცმას დაესწრო.

დავიმახსოვროთ, რომ იაკობს ეწოდებოდა იაკობ ზებედესი (ანუ ზებედეს ძე).

4. იაკობის ძმას იოანეს ჩვენ ადრეც გავეცანით, ამ წიგნის პირველ თავში. ერთხელ კიდევ გავიხსენოთ: თავის მამასთან და ძმასთან ერთად იოანეც მეთევზე იყო, ასაკით ყველაზე უმცროსი იესოს მოწაფეთაგან. იოანეს დაწერილია მეოთხე სახარება, სამი ეპისტოლე და „გამოცხადება“ („აპოკალიფსი“). მას მოიხსენიებენ იოანე მოციქულად, იოანე მახარებელად და იოანე ღვთისმეტყველად. „სიყვარულის მოციქულსაც“ უწოდებენ მას. ეს უკანასკნელი სახელი საიდან წარმოდგა, ამას იოლად მიხვდებით, თუკი კარგად ისწავლეთ ამ სახელმძღვანელოს წინა თავი — „სიყვარულის მოძღვრება“.

5. ფილიპეც ბეთსაიდელი იყო, ანდრია და პეტრე მოციქულების თანამოქალაქე.

6. ბართლომეს შესახებ საუბრისას უნდა ვიცოდეთ, რომ იოანეს სახარებაში ის მოიხსენიება სხვა სახელით — ნათანაილი (ნათანაელი). იესო ქრისტესთან მისი პირველი შეხვედრა ამ სახარებაში იმდენად ცხოველი შტრიხებით არის მოთხრობილი, კარგი იქნება, თუ გავეცნობით ამ ადგილს:

„მონახა ფილიპემ ნათანაელი და უთხრა: ეპოვეთ ის, ვისთვისაც დაწერეს მოსეს რჯულში და წინასწარმეტყველებაში: იესო, ძე იოსებისა, ნაზარეველი.

და უთხრა მას ნათანაელმა: განა შეიძლება ნაზარეთიდან კეთილი გამოვიდეს რამე? უთხრა მას ფილიპემ: მოდი და ნახე.

მისკენ მიმავალი ნათანაელი რომ დაინახა, იესომ თქვა: აჰა, ჭეშმარიტი ისრაელიტი, ვისთვისაც უცხოა ზაკვა.

უთხრა მას ნათანაელმა: საიდან მიცნობ მე? მიუგო იესომ და უთხრა მას: სანამ ფილიპე გიხმობდა, ლელვის ქვეშ მყოფი გიხილე.

ნათანაელმა მიუგო: რაბი, შენა ხარ ძე ღმრთისა, ისრაელის მეფე.

მიუგო იესომ და უთხრა მას: გწამს, ვინაიდან გითხარი — ლელვის ქვეშ მყოფი გიხილე-მეთქი. ამაზე მეტსაც იხილა.

და უთხრა მას: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ამიერიდან ისრაელთა გახსნილ ცას და ღმერთის ანგელოზებს, აღმავალთ და გადმომავალთ კაცებს

ბეზე“ (იოან. 1,46-52).

ამ ადგილის უკეთ გასაგებად ორი რამ გავითვალისწინოთ.

აქ ნახმარი სიტყვა „ზაკვა“ არის იგივე „მზაკვრობა“, „ვერაგობა“. მაცხოვარ-მა კაცის გაცნობამდე, პირველი დანახვისთანავე იცოდა ამ კაცის ბუნება – მისთვის მზაკვრობა უცხო არისო.

ყურადღება უნდა მივაპყროთ აგრეთვე მოტანილი ციტატის სულ ბოლო ორ სიტყვას – „კაცის ბე“. ეს გამოთქმა – „კაცის ბე“ (ბევლ თარგმანებში „ბე კაცისა“) – სახარებებში ხშირად გვხვდება და ყველგან ნიშნავს იესო ქრისტეს. იესო ქრისტეს ბე კაცისა იმიტომ ეწოდებოდა, რომ ამით, მის ღვთაებრივ ბუნებასთან ერთად, იგულისხმებოდა მისი კაცობრიული, ადამიანური ბუნება: თავისი კაცობრიული ბუნებით მაცხოვარიც კაცი იყო, ადამიანი, გარნა ჩვენზე განუზომლად აღმატებული, რამეთუ მისთვის სრულიად უცნობი იყო რაიმე სახის ცოდვა.

7. თომას კიდევ ეწოდებოდა დიდძალი ანუ ტყუპისცალი. თომას სახელს ჩვენ პირველად შევხვდით მეხუთე კლასის სახელმძღვანელოში, სადაც „სიტყვათა საღარო“ გვაუწყებდა: თომა იყო ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფე, იმით არის ცნობილი, რომ მან არ დაიჯერა, არ ირწმუნა ქრისტეს აღდგომა, ვიდრე ხელით არ შეეხო მკვდრეთით აღმდგარ მაცხოვარს. აქედან გაჩნდა გამოთქმა „ურწმუნო თომა“, რასაც ზედმეტად ეჭვიან, მიუნდობელ კაცზე იტყვიან ხოლმე.

8. მათესაც ვიცნობთ უკვე. გავიხსენოთ, რაც ამ სახელმძღვანელოს პირველ თავში ვისწავლეთ. მათე, იგივე ლევი, იყო მებაჟე (მეზვერე) ანუ გადასახადების ამკრები. ებრაელებს ათვალწუნებული ჰყავდათ ამ ხელობის ხალხი, რადგან ისინი თავიანთი ანგარებითა და სიხარბით იყვნენ ცნობილნი. და სწორედ ერთ-ერთი ამგვარი ცოდვილი კაცი გამოარჩია იესო ქრისტემ თავის მოწაფედ, რის წყალობითაც მებაჟე მათე დიდ სულიერ სიმაღლეზე ავიდა, წმინდანად იქცა და სახარების დაწერის უძნელესი მისიაც აღასრულა.

9. ვინც ქრისტეს მოწაფეთა ზემოთ წარმოდგენილი ნუსხა გულომდგინედ წაიკითხა, უეჭველად შეამჩნევდა, რომ ამ სიაში ორ მოწაფეს, მესამეს და მეცხრეს, ერთი და იგივე სახელი ჰქვია – იაკობი. პირველის შესახებ უკვე ითქვა, რომ მას ეწოდებოდა იაკობ ზებედესი. სიაში მეცხრე ადგილზე მყოფს იაკობ უმცროსი ეწოდებოდა. მამამისს ალფეზი, მეორე სახელად – კლეოპა ერქვა, დედას – მარიამი, ხოლო მისი ძმა თადეოზი, მოწაფეთა ნუსხაში მეთერთმეტედ რომ წერია, აგრეთვე მოწაფე იყო იესო ქრისტესი.

10. სიმონ კანანელი იწოდებოდა აგრეთვე სიმონ ზელოტედ (ლუკ. 6,15).

ზელოტები იუდეველთა ერთ-ერთ სექტას შეადგენდნენ, ამ სექტის წევრები რჯულის წესთა აღსრულებაში განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოირჩეოდნენ. სიმონს კანანელი იმიტომ ერქვა, რომ გალილეის ქალაქ კანას მკვიდრი იყო. ეს ის ქალაქია, სადაც იესო ქრისტემ ქორწილში თავისი პირველი სასწაული აღასრულა – წყალი ღვინოდ აქცია (ამის თაობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ დაწვრილებით). გადმოცემის თანახმად, სწორედ სიმონ კანანელი იყო სიძე იმ ქორწილში. ჩვენთვის კიდევ საგულისხმოა სხვა გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, ისევე როგორც ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმაც იქადაგა ქრისტეს რჯული დასავლეთ საქართველოში. გადმოცემა იმასაც გვაუწყებს, რომ სიმონ კანანელი საქართველოში, ნიკოფსიაში არისო დაკრძალული. ნიკოფსია ქალაქი იყო ახლანდელი ტუაშეს მახლობლად. ეს ტერიტორია დღეს რუსეთს ეკუთვნის.

11. ქრისტეს მოწაფეთა ნუსხაში მეთერთმეტე – თადეოზი სხვა სახელითაც იყო ცნობილი, იუდა ერქვა. სწორედ ამ სახელით მოიხსენიება ლუკას სახარებაში („იუდა იაკობისა“, 6,16). ხოლო იოანეს სახარებაში ნათქვამია: „უთხრა მას იუდას არა ისკარიოტელმა“ (14,22). აგრე იმიტომ არის ნათქვამი, რომ თადეოზი, იგივე იუდა, არ გავუიგივეოთ იესო ქრისტეს სხვა მოწაფეს – იუდა ისკარიოტელს. თადეოზი ანუ იუდა იყო ძმა იესოს მოწაფის იაკობ უმცროსისა. ის არის ავტორი „იუდას ეპისტოლესი“, რომლის შესახებ, ესეც უნდა გახსოვდეთ, ამ წიგნის პირველ თავში ვისაუბრებთ.

12. იუდა ისკარიოტელი, ალბათ უკვე იცით, იესოს ის მოწაფე იყო, რომელმაც გასცა და ოცდაათ ვერცხლად გაყიდა თავისი ღვთაებრივი მოძღვარი. მისი სახელი კაცობრიობის ისტორიაში წყველითა და ძრწოლით მოიხსენიება ხოლმე. სწორედ ამ სახელს უკავშირდება გამოთქმები: „იუდა“ (გამცემი, მოღალატე), „იუდას ამბორი“, „ოცდაათ ვერცხლად გაყიდვა“ და ამდაგვარნი.

ამთავითვე უნდა ვიცოდეთ, რომ მაცხოვარის ჯვარცმის შემდეგ მისმა მოწაფეებმა და მიმდევრებმა გადაწყვიტეს მოღალატე იუდას ნაცვლად მეთორმეტე მოწაფედ გამოერჩიათ იესო ქრისტესთან დაახლოებული წმინდა პიროვნება, ვისაც ღმერთი მიიჩნევდა ღირსად თორმეტ მოწაფეს შორის შერაცხილიყო.

„და დააყენეს ორნი: იოსები და მატათა.

და ილოცეს და თქვეს: შენ, უფალო, ყველას გულთამხილავო, გვიჩვენე ამ ორთაგან ერთი, რომელიც ამოარჩიე, რათა მიიღოს ეს მსახურება და მოციქულობა, რომელსაც გამოაკლდა იუდა...

და უყარეს მათ წილი, და შეხვდა წილი მატათას და შეირაცხა თორმეტ



იოანე მოციქული.
მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეთა ესპანელი ფერმწერის
ელ გრეკოს ნახატი.

მოციქულთა შორის“ (საქმე, 1,23-26).

* * *

ალბათ შეამჩნევდით, რომ იესო ქრისტეს მოწაფეთა უმრავლესობა გაუნათლებელი, ლიტონი ხალხი იყო, უბრალო მშრომელი ადამიანები, რომელნიც, ვთქვამთუვეზუობით ირჩენდნენ თავს. და, აი, ეს ლიტონი ადამიანები ისეთ ბრძენკაცებას გადაიქცენ, ისეთ წმინდანებად, რომელთაც წილად ხვდათ უდიდესი პატივი სასარგებოების დაწერისა, ქრისტეს მოციქულობისა, ქვეყნიერებაზე ქრისტეს მოძღვრების ქრისტიანული რელიგიის გავრცელებისა და ქრისტიანული ეკლესიის გაძლიერებისა. ქრისტეს ღვთაებრივი მოძღვრება კაცობრიობამ მისი მოციქულებისა და მოწაფეების მეშვეობით გაიცნო.

აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ იესო ქრისტემ ოცდაათი წლისამ დაიწყო განცხადებული მოღვაწეობა და მისი მოღვაწეობა სულ სამ წელიწადს გრძელდებოდა. ეს ერთობ მცირე დროა საიმისოდ, რათა მის მოწაფეებს – უბირ ადამიანებს აეთვისებინათ ის უზარმაზარი სიბრძნე, რაც კაცობრიობას უკვე დაგროვილი ჰქონდა იმ ეპოქაში.

მაგრამ საქმეც ის არის სწორედ, რომ იესო ქრისტეს მოწაფეთა მიერ მოპოვებული სიბრძნე კაცობრიული, ამქვეყნიური, საამსოფლო სიბრძნე არ ყოფილა – ისინი თავად უფალმა აზიარა უმაღლეს, ღვთაებრივ სიბრძნეს, რომელთა შედარებითაც ფუჭი და ამაოა კაცთა მიერ სათავისოდ მოხვეჭილი ცოდნა და განათლება.

ამ ღვთაებრივი სიბრძნის მთელ სიღრმეს ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, რაღა თქვამთ უნდა, ვერ ჩავწვდებით. სახარებები მიგვანიშნებენ, რომ ის ცოდნა, რომელსაც მაცხოვარი თავის მოწაფეებს გადასცემდა, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა. აი, რა უთხრა იესო ქრისტემ მოციქულებს: „თქვენ მოგეცათ ცათსასუფვეელის საიდუმლოთა ცოდნა, ხოლო ამათ (ხალხს) არ მისცემიათ“ (მათ. 13,11). ვინაიდან ღმერთის სასუფვეელის ყველა საიდუმლოს კაცის გონება ვერ ჩასწვდება, საამისოდ პიროვნების იმგვარი სიწმინდე და სრულყოფა არის საჭირო როგორცაც მიწვენილი იყვნენ ღვთაებრივ მაღლს ზიარებული მოწაფენი მაცხოვრისა.

ხოლო აქამდე ასამაღლებლად მაცხოვარის მოწაფეებს რთული და ძნელი გზა უნდა გაევიდოთ. „მაშინ უთხრა იესომ თავის მოწაფეებს: ვისაც სურს მ...

მომდიოს, განუდგეს თავის თავს, აიღოს თავისი ჯვარი და გამოემყვეს მე. რადგან ვისაც სურს სულის ხსნა, დაჰკარგავს მას. და ვინც ჩემი გულისთვის დაჰკარგავს სულს, ის ჰპოვებს მას“ (მათ. 16,24-25). „თუ ვინმე მოდის ჩემთან, და არ მოიძულებს თავის ღედ-მამას, თავის ცოლ-შვილს, თავის და-ძმას და თავის თავსაც, ვერ იქნება ჩემი მოწაფე“ (ლუკ. 14,26).

მაშასადამე, ვისაც იესო ქრისტეს მოწაფეობის პატივი ხვდებოდა წილად, მას ყოველივე ამქვეყნიური უნდა უკუეგდო, საკუთარი თავიც კი უნდა გაეწირა იმის სანაცვლოდ, რომ ზესთასოფლურ, ღვთაებრივ საიდუმლოთ ჩასწვდომოდა და მისი სული ღმერთის სასუფეველში დამკვიდრებულიყო. რადგან „რას გამოირჩება კაცი, თუ შეიძენს მთელ ქვეყნიერებას და სულს კი წარისწყმედს? ანდა რას მისცემს კაცი თავისი სულის სანაცვლოდ?“ (მათ. 16,26).

მაგრამ იმისთვის, რათა კაცმა ყოველივე ამქვეყნიური მოიძულოს, საკუთარი თავიც კი დაივიწყოს და მარტოოდენ საღმრთო ცხოვრებით ისულდგმულოს, მას, უწინარეს ყოვლისა, მთელი არსებით უნდა სწამდეს მაღალი ღმერთი და მისი ჭეშმარიტება, უმტკიცესი, მოუშლელი რწმენა უნდა ჰქონდეს, ისეთი რწმენა, რომელსაც ვერანაირი განსაცდელი ვერ შეარყევს. აქ ჩვენ კვლავ გამოგვადგება აბრაამის – „რწმენის მამის“ – მაგალითი, მეექვსე კლასში რომ გავცანით. გახსოვთ, როგორ უყოყმანოდ, დაუეჭვებლად აღასრულა მან უფლის ბრძანება – შენი საყვარელი ერთადერთი შვილი, ისაკი, მსხვერპლად შემოიწირეო? ასეთივე შეურყვევლი რწმენით მიუძღოდა თავის ერს ვევიპტიდან აღთქმული ქვეყნისკენ მოსე, ვერავითარმა ძნელბედობამ, საკუთარი ერის უმადურობამაც კი ვერაფერი დააკლო მის უტებს რწმენას.

და ასეთსავე რწმენას მოითხოვდა იესო ქრისტე თავისი მოწაფეებისგან, ზეკაცურად ძლიერ რწმენას, ვერავითარი ამქვეყნიური ძალა წინ რომ ვერ აღუდგება. „მიუგო იესომ და უთხრა მათ (მოწაფეებს): გქონდეთ ღმერთის რწმენა.

რადგან ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ ვინმე ეტყვის ამ მთას – აღმოიფხვკერი და ზღვაში ჩაგარდო, და არ შეეჭვდება თავის გულში, არამედ იწამებს, რომ მისი სიტყვისამებრ მოხდება, – ექნება ის, რასაც იტყვის.

ამიტომ გეუბნებით თქვენ: ყველაფერი, რასაც ითხოვთ ლოცვაში, გწამდეთ, რომ მოგეცემათ, და ასეც იქნება“ (მარკ. 11,22-24).

რწმენის სიმტკიცესთან დაკავშირებული ერთი დიდად საგულისხმო ეპიზოდი გვხვდება სახარებაში (თუმცა სახარებაში თავისთავადაც არც ერთი ეპიზოდი, არც ერთი წინადადება, ერთი სიტყვაც კი არ არის ისეთი, დიდად საგულისხმო რომ არ იყოს). იესომ მოწაფეები გაისტუმრა ტიბერიადის ზღვაზე ნავით გაღმა გასასვლელ-

ლად, თვითონ არ გაპყოლია, შეყოვნდა. ძლიერი ქარი ჰქროდა, ნავს ტალღებზე
 ეხეთქებოდა და ჩაძირვას უქადდა. ამით შემფოთებულმა მოწაფეებმა უკერძოდ
 დაინახეს, რომ იესო ზღვაზე ფეხით მოდიოდა მათკენ.

ახლა საკუთრივ სახარების ტექსტი წავიკითხოთ:

„ზღვაზე მომავალი რომ დაინახეს, მოწაფეები შეპრწუნდნენ და თქვეს -
 მოჩვენება არისო, და შიშით შეპყვირეს.

მყისვე შეეხმიანა იესო: მხნედ იყავით, მე ვარ, ნუ გეშინიათ.

მიუგო პეტრემ და უთხრა მას: უფალო, თუ მართლა შენ ხარ, მიბრძანე, რომ
 ზღვით მოვიდე შენთან.

მანაც უბრძანა: მოდი! და გადმოვიდა პეტრე ნავიდან, რათა ზღვაზე სული
 მისულიყო იესოსთან.

მაგრამ წყალზე მიმავალმა რა იხილა ძლიერი ქარი, შეშინდა და ჩაძირე
 იწყო. და შეჰღალადა: უფალო, მიხსენ მე!

მყისვე გაუწოდა ხელი იესომ, ჩასჭიდა მას და უთხრა: მცირედ მორწმუნე
 რამ შეგაეჭვა?

და ავიდნენ თუ არა ნავზე, მაშინვე ჩადგა ქარი“ (მათ. 14,26-32).

ღმერთისა და ღვთაებრივი ჭეშმარიტების უმტკიცესი რწმენა თავისთავად
 გულისხმობს იმასაც, რომ, ვისაც ამგვარი რწმენა აქვს, ღმერთის სიყვარულით და
 მოყვასის სიყვარულით უნდა იყოს გულანთებული. ამიტომ მოძღვრავდა ნიად
 იესო ქრისტე თავის მოწაფეებს: „გამღევთ თქვენ ახალ მცნებას, რათა გიყვარდეთ
 ერთმანეთი, და როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე გიყვარდეთ თქვენც ერთმანე
 თი“ (იოან. 13,34). „ეს არის ჩემი მცნება, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც
 მე შეგიყვარეთ თქვენ“ (იოან. 15,12). „ამას გამცნებთ თქვენ, რათა გიყვარდეთ
 ერთმანეთი“ (იოან. 15,17). „ვისაც აქვს ჩემი მცნებანი და იცავს მათ, მას ვუყვარ
 ვარ მე, ხოლო ვისაც მე ვუყვარვარ, შეიყვარებს მას მამა ჩემი, და მეც შევიყვარებ
 და ჩემს თავს გამოუუცხადებ მას“ (იოან. 14,21).

ამასთან დაკავშირებით აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს პავლე მოციქული
 სიტყვები, რომლებსაც წინა თავში უკვე გავეცანით: „წინასწარმეტყველების მადლი
 რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო, და მქონდეს მთელი რწმენა, ისე რომ
 მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არ მაქვს, არარა ვარ“ (1 კორ. 13,2)

რამეთუ, ესეც ითქვა წინა თავში, სამყარო სიყვარულით შეიქმნა და სიყვ
 რულისთვის შეიქმნა - ღმერთი სიყვარულია.

მხოლოდ საღვთო სიყვარულით გულანთებულ კაცს ძალუძს შეასრულოს ეს

მცნება მაცხოვარისა, რომელსაც აგრეთვე ნიადაგ უმეორებდა თავის მოწაფეებს; შენდობის, მიტევების უსაზღვრო უნარი უნდა გქონდეთო.

„დაუკვირდით თქვენს თავს: თუკი შენი ძმა შეგცოდავს, შერისხე იგი, და თუ შეინანებს, მიუტევე.“

დღეში შვიდეჯერაც რომ შეგცოდოს და შვიდეჯერ მოგიბრუნდეს და გითხრას – ვნახობო, მიუტევე“ (ლუკ. 17,3-4).

ეს მცნება კიდევ უფრო მკვეთრად არის გამოთქმული მათეს სახარებაში:

„მაშინ მიუახლოვდა მას პეტრე და უთხრა: უფალო, რამდენჯერ მიუუტევეო ჩემს ძმას, რომელიც ჩემს წინააღმდეგ სცოდავს? შვიდეჯერ?“

იესომ მიუგო: არ გუებნები – შვიდეჯერ-მეთქი, არამედ – სამოცდაათჯერის შვიდეჯერ“ (მათ. 18,21-22).

ამ სიტყვების უკეთ გასაგებად, იმის უკეთ ჩასაწვდომად, თუ რაოდენ ძნელად აღსასრულებელ მცნებას უსახავდა იესო თავის მოწაფეებს, წუთით ჩვენი თავი დავაყენოთ მოწაფეთა ადგილას, წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენგან მოითხოვს მაცხოვარი – შენმა ახლობელმა დღეში შვიდეჯერ რომ შეგცოდოს, შვიდეჯერვე მიუტევეო, ის კი არა, სამოცდაათჯერის შვიდეჯერაც მიუტევე, შეუნდეო.

ვთქვათ, ახლობელმა ადამიანმა რაღაც შეგცოდა, გვაწყენინა, ცუდი საქმე დაგვმართა. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მრავალჯერ... როგორ მოვიქცევით? ერთხელ ვაპატიებთ, მეორედაც შესაძლოა მიუუტევეოთ, მესამედ უკვე გავლიზიანდებით, პატიება გაგვიძნელებს, მეოთხედ მოთმინება დაგვეკარგება, მეხუთედ ალბათ განვრისხდებით, მერე და მერე სულაც მოვიძულეობთ და მტრად მოგვიკიდებით იმ ჩვენს ახლობელს. ასე არ არის?

იმ მოთხოვნის შესრულებას, რასაც მაცხოვარი თავის მოწაფეებს უბრძანებდა, ჭეშმარიტად ზეკაცური ძალა, სიყვარულის ღვთაებრივი ნიჭი სჭირდება, რაც კაცის სრულყოფას გულისხმობს. და სწორედ ამგვარ სრულყოფილ პიროვნებებად აყალიბებდა თავის მოწაფეებს იესო ქრისტე.

კიდევ მრავალი ამგვარი ამაღლებული თვისება არის აუცილებელი კაცის სრულყოფისათვის. აქ ერთ მათგანზე შევაჩეროთ ყურადღება – თავმდაბლობის, სიმდაბლის ამბავი ვთქვათ.

ზეკაცური სიმდაბლის უპირველეს მაგალითს თავად იესო ქრისტე აძლევდა მოწაფეებსაც და მის ირგვლივ მყოფ ხალხსაც. ამ მხრივ ერთი ეპიზოდი განსაკუთრებით ნიშანდობლივია. ეს ეპიზოდი ყოველ ქრისტიანს უნდა ახსოვდეს, არაერთი ფრესკა თუ ნახატი მიძღვნია მას. ამ ეპიზოდს ფერხთა ბანა ეწოდება.



ქვემოთ წვრილად გვექნება საუბარი საიდუმლო სერობის შესახებ. ამჯერად ამ ამბიდან სწორედ ფერხთა ბანას მივაპყროთ ყურადღება. სერობის დროს მოგვითხრობს სახარება, იესომ „მოიძრო მოსასხამი, აიღო პირსახოცი და წელზე მოირტყა. მერე წყალი ჩაასხა საბანელში და შეუდგა მოწაფეებისათვის ფეხების ბანას და პირსახოცით შემშრალებას“.

მაცხოვარის ამგვარმა გარდარეულმა სიმდაბლემ, როგორც ჩანს, შეაცბუნა მოწაფეები:

„და მოვიდა იესო სიმონ-პეტრესთან, და უთხრა მას პეტრემ: უფალო, შენ მან ფეხებს?

მიუგო იესომ და უთხრა მას: რასაც მე ვიქმ, შენ ჯერ არ იცი, მხოლოდ ამი შემდეგ გაიგებ.

უთხრა მას პეტრემ: არ დამბან ფეხებს უკუნისამდე. მიუგო მას იესომ: თუ არ დავბან, ჩემთან არ გექნება წილი“ (იოან. 13,4-8).

მრავალი ადგილი გვხვდება სახარებებში, სადაც მაცხოვარი დაუცადებლად ასწავლის თავის მოწაფეებს, რაოდენ აუცილებელი თვისებაა იესო ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევარისთვის სიმდაბლე. აი, ერთი ასეთი ადგილი:

„ზებედის ძეთა (ესე იგი — იაკობისა და იოანეს) დედა თავისი ვაჟებითური მივახლა მას (იესოს), თავყვანს სცემდა და რალაცას ევედრებოდა.

მან უთხრა: რა გსურს? ხოლო ქალმა მიუგო: თქვი, რომ ეს ჩემი ორი ძე შენ სასუფეველში ერთი შენს მარჯვნივ და მეორე შენს მარცხნივ დასხდნენ.

იესომ პასუხად თქვა: არ იცით, რას ითხოვთ...

ხოლო იესომ მოიხზო ისინი (მოწაფენი) და უთხრა: თქვენ იცით, რომ ხალხთა მთავარნი მბრძანებლობენ მათზე, და დიდებულნი განაგებენ მათ.

ხოლო თქვენს შორის ნუ იქნება ასე, არამედ ვინც თქვენში მოისურვებს უფროსობას, თქვენს მსახურად იქცეს.


და ვინც თქვენს შორის მოისურვებს პირველობას, თქვენს მონად იქცეს.

რადგან ძე კაცისა იმისთვის კი არ მოსულა, რომ სხვები იმსახუროს, არამედ — რათა სხვებს ემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსახსნელად (მათ. 20,20-28).

სხვა მაგალითი:

„თქვენს შორის უდიდესი თქვენი მსახური იყოს.

რადგან ვინც აიმაღლებს თავის თავს, ის დამდაბლდება, და ვინც დაიმდაბლებს თავის თავს, ის ამაღლდება“ (მათ. 23,11-12).



პეტრე მოციქული.
უბისის ტაძრის (IX ს.) მხატვრობა მეთოთხმეტე საუკუნისა.



კიდევ ერთი მაგალითი:

„მივიდა იესო კაპერნაუმში და სახლში ყოფნისას ჰკითხა მათ (მოწაფეებს) რაზე მსჯელობდით გზაში?

ისინი კი ღუმდნენ, ვინაიდან გზაში იმაზე ბჭობდნენ, თუ ვინ არის უფრო დიდი.

და დაჯდა, მოუხმო თორმეტს და უთხრა მათ: ვისაც სურს პირველი იყოს, ყველაზე უკანასკნელი იქნება და ყველას მსახური“ (მარკ. 9,33-35).

კიდევ:

„იმხანად მივიდნენ მოწაფეები იესოსთან და ჰკითხეს: ვინ უფრო დიდია ცათა სასუფეველში?

იესომ დაუძახა ბავშვს, მათ შორის ჩააყენა და თქვა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, თუ არ მოიქცევით და არ იქნებით როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში.

ამრიგად, ვინც დაიმდაბლებს თავს, როგორც ეს ბავშვი, ის არის უდიდესი ცათა სასუფეველში“ (მათ. 18,1-4).

მამასადაამე, იესო ქრისტეს ჭეშმარიტი მოწაფე, ჭეშმარიტი მიმდევარი, მიუხედავად იმისა, რომ ღვთაებრივ სიბრძნეს ფლობდა, ბავშვივით უმანკო უნდა ყოფილიყო. ესეც ერთი ფრიად ძნელად აღსასრულებელი მცნებაა.

ასე იყვნენ გაწვრთნილნი და განბრძნობილნი, სრულქმნილებას მიახლოებულინი ქრისტეს მოწაფენი. და როდესაც მათ ამ სიმაღლეს მიაღწიეს, მაცხოვარმა ისინი წარგზავნა ღვთის სასუფეველის საქადაგებლად, ესე იგი – ქრისტეს მოძღვრების ხალხში გასავრცელებლად. თან უთხრა:

„აჰა, მე მიგავლინებთ თქვენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა. იყვნით მცნიერ, ვითარცა გველნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი“ (მათ. 10,16).

გაგზავნით, ვითარცა ცხვრებს მგელთა შორისო, – იმიტომ უთხრა, რომ ის გარემო, რომელშიც მოციქულებს ახალი მოძღვრება უნდა ექადაგათ, ყველგან კეთილგანწყობილად როდი დაუხვდებოდა ცათა სასუფეველის მაცნეებს. ამიტომ მაცხოვარი ასე არიგებდა მათ:

„ეკრძალეთ აღამიანებს, ვინაიდან ისინი მიგცემენ სამართალში და თავიანთ სინაგოგებში მათრახებით გცემენ თქვენ.

და მიგიყვანენ ჩემს გამო მთავრებისა და მეფეების წინაშე, მათთვის და წარმართთათვის სამოწმებლად...

და მოგიძულებთ ყველა ჩემი სახელის გამო...

და როდესაც დაგიწყებენ დევნას ერთ ქალაქში, მიაშურეთ მეორეს... ნუ გეშინიათ იმათი, რომელნიც ჰკლავენ ხორცს, მაგრამ არ ძალუძთ სულის მოკლა“ (მათ. 10,17-28).

აქ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: იესო ქრისტეს მოწაფეებმა ცათა სასუფეველის ანუ ქრისტეს მოძღვრების ქადაგება და გავრცელება მაცხოვარის სიტოცხლეშივე დაიწყეს, მაგრამ ის დარიგება, რომელსაც მათ ღვთაებრივი მოძღვარი აძლევდა, მომავალ დროსაც გულისხმობდა, იმ დროს, როდესაც იესო ქრისტე უკვე აღარ იქნებოდა ამ ქვეყნად, მაგრამ მის მოციქულებს ბოლომდე, თავიანთ აღსასრულამდე უნდა განეგრძოთ თავდადებული მოღვაწეობა, საზარების ქადაგება.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა ისიც ვიცოდეთ, რომ უნდა ვასხვავებდეთ ტერმინებს „მოციქული“ და „მოწაფე“. ყველა მოწაფე როდი იყო მოციქული.

მოციქული ის არის, ვინც თავად უფალმა იესო ქრისტემ წარგზავნა საქადაგებლად და თავისი მოძღვრების გასავრცელებლად. ესენი, უწინარეს ყოვლისა, იყვნენ თორმეტი, იესო ქრისტეს ის რჩეული თორმეტი მოწაფე, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. გავიხსენოთ, რომ ამ თორმეტს შორის შეირაცხა მატათა, მოღალატე იუდა ისკარიოტელის ნაცვლად არჩეული ღვთის ნებით. მათსავე რიცხვს ეკუთვნის პავლე მოციქული — უფლის რჩეული მოღვაწე (მის დაწვრილებით ქვემოთ გავეცნობით).

გარდა რჩეული თორმეტი მოწაფისა, იესო ქრისტემ გამოირჩია კიდევ სამოცდაათი მოწაფე და ისინიც წარგზავნა ცათა სასუფეველის საქადაგებლად (ლუკ. 10,1-2). ამიტომ ამ სამოცდაათ მოწაფესაც მოციქულები ეწოდებათ (სხვათა შორის, იუდა ისკარიოტელის ნაცვლად მეთორმეტედ არჩეული მატათა ერთი იმ სამოცდაათ მოწაფეთაგანი იყო თავდაპირველად).

არსებობს აგრეთვე გამოთქმა „მოციქულთა სწორი“. ამგვარად მოხსენიების პატივი წილად ზვდათ იმ ქრისტიან მოღვაწეებს, ვისი ღვაწლიც თავისი მნიშვნელობით მოციქულთა მიერ აღსრულებულ საქმეებს უახლოვდებოდა. მოციქულთა სწორად მოიხსენიება, მაგალითად, წმინდა ნინო, საქართველოში ქრისტეს რჯულის მქადაგებელი და გამავრცელებელი.

ტერმინ „მოწაფეს“ რაც შეეხება, ეს ტერმინი „ახალ აღთქმაში“ უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარება, ვიდრე „მოციქული“.

მოწაფეები იოანე ნათლისმცემელსაც ჰყავდა, მაგრამ მათ მოციქულები არ ეწოდებათ. გარდა ამისა, რაც უმთავრესია, თავად იესო ქრისტესაც ჰყავდნენ იმგვარი მოწაფეები და მიმდევრები, რომელთაც მოციქულად ხსენების პატივი არ

რგებიათ წილად.

დაბოლოს ისიც უნდა ითქვას, რომ „ახალ აღთქმაში“ ზოგჯერ მორწმუნე ქრისტიანთა მთელი კრებულიც მოიხსენიება ხოლმე ქრისტეს მოწაფეების სახელით (საქმე, 9,1).

უფლის რჩეული თორმეტი მოწაფის, თორმეტი მოციქულის საქმიანობას სახელმძღვანელოში კიდევ არაერთხელ გავეცნობით. მომავალში კი ვისაუბრებთ იმ ღვაწლის შესახებ, რომელიც მათ მაცხოვარის ჯვარცმისა და აღდგომის შემდეგ აღასრულეს. იქვე აღინიშნება ის დღეები, ქრისტიანულმა ეკლესიამ რომ დააწესა მათ მოსახსენიებლად.

მთასა ზედა ქადაგება

ზემოთ ჩვენ გავეცანით იესო ქრისტეს მიერ ნათქვამ ღვთაებრივ სიტყვებს:


„ქე კაცისა იმისთვის კი არ მოსულა, რომ სხვები იმსახუროს, არამედ — რათა სხვებს ემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსასხნელად“ (მათ. 20,28).

ისიც ითქვა წინა თავში: თავისი ღიადი, ღვთაებრივი მისია რომ აღესრულებინა, იესო ქრისტეს, უწინარეს ყოვლისა, უნდა განემარტა, შეეგნებინებინა კაცთათვის, თუ რა არის საჭირო, რის ქმნა მართებთ მათ ღმერთთან კავშირის აღსადგენად, ცათა სასუფეველის დასამკვიდრებლად, საუკუნო ცხოვრების მოსაპოვებლად. ამიტომ მაცხოვარი დაუცხრომლად იღვწოდა, ქალაქებსა და სოფლებში მიმოვიდოდა, მოუწყინარად ქადაგებდა, მოძღვრავდა და ასწავლიდა მის მოსასმენად მრავლად შეყრილ ხალხს, აცნობდა მათ ახალ აღთქმას, თავის ღვთაებრივ მცნებებს, ღვთაებრივ მოძღვრებას. მან არ იცოდა, რა იყო მოსვენება, საკუთარი თავისთვის ზრუნვა, სხვათა სიკეთისთვის ჰქონდა თავი გადადებული განუყოფლად და უშურველად. მისი ცხოვრების ყოველი ახალი დღე მოყვასთათვის მსახურებით იწყებოდა და მთავრდებოდა, მისი ზეკაცური ენერჯია და მხნეობა არასოდეს დაშრეტილა.

„და დადიოდა იესო მთელს გალილეაში, და ასწავლიდა მათ სინაგოგებში, ქადაგებდა სახარებას სასუფეველისას, და კურნავდა ყოველგვარ სენსა და ყოველგვარ უძღურებას ხალხში... და მისდევდა მას დიდძალი ხალხი გალილეიდან და ათქალაქიდან, იერუსალემიდან, იუდეიდან და იორდანეს გაღმიდან“ (მათ. 4,23-25).

ასე მრავლად იყრიდა თავს ხალხი მაცხოვარის ღვთაებრივ სიტყვათა მოსასმენად. სწორედ ერთი ამდაგვარი ეპიზოდი არის აღწერილი მათეს სახარების მეხუთე-მეშვიდე თავებში, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ მოძღვრავს იესო ქრისტე თავის მოწაფეებს და ირგვლივ შემოკრებილ ხალხს. ამ ეპიზოდს მთასა ზედა ქადაგებას უწოდებენ, რადგანაც თავისი ქადაგების სათქმელად მაცხოვარი მთაზე ავიდა.

მთასა ზედა ქადაგება იწყება ყოველი ქრისტიანისთვის კარგად ცნობილი „ცხრა ნეტარებით“, რომელშიც იესო ქრისტე განმარტავს, თუ ვინ არიან ნეტარნი, ანუ ისინი, ვინც ამა ქვეყნად ქრისტეს მცნებათა აღსრულების მეოხებით სამარადისო ბედნიერებას, ნეტარებას დაიმკვიდრებენ.



„ცხრა ნეტარებას“ ჩვენც უნდა გავვეცნოთ:

1. „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი“.
2. „ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინაიდან ისინი ნუგეშდებულნი იქნებიან“.
3. „ნეტარ არიან მშვიდნი, ვინაიდან ისინი დაიმკვიდრებენ მიწას“.
4. „ნეტარ არიან სიმართლისათვის მშვიერ-მწყურვალნი, ვინაიდან ისინი გაძლებიან“.
5. „ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულნი იქნებიან“.
6. „ნეტარ არიან წმიდანი გულითა, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ“.
7. „ნეტარ არიან მშვიდობის მყოფენი, ვინაიდან ისინი ღმერთის ძეგლები იწოდებიან“.
8. „ნეტარ არიან სიმართლისთვის დევნილნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი“.

9. „ნეტარ ხართ თქვენ, როცა დაგიწყებენ გმობას, დევნას და ცრუმეტყველებს დაგწამებენ ყოველგვარ ბოროტს ჩემი გულისთვის“ (მათ. 5,3-11).

ამ მცნებათა მთელ სიღრმეს რომ ჩავწვდეთ, ქრისტიანული მოძღვრების სრულყოფილი ცოდნაა საჭირო. თქვენ ეს ვკერძობით არ მოგეთხოვებათ. ოღონდ იყველას მოეთხოვება, რომ დაიმასხვროს: მაცხოვარის სიტყვათა თანახმად, ნეტარი იმგვარ კაცს ეთქმის, ვინც არის მშვიდი, სიმართლისთვის თავგადადებული, მოწყალე და გულით წმინდა.

გარდა „ცხრა ნეტარებისა“, მთასა ზედა ქადაგება უფლის მიერ ბოძებულ მრავალ სხვა მცნებას შეიცავს, იმგვარ მცნებებს, რომელთა ცოდნა და აღსრულება კაცს ცოდვათაგან დაიხსნის და ღვთაებრივი სიკეთის გზაზე დააყენებს.

გავვეცნოთ ზოგიერთს ამ მცნებათაგან.

ზემოთ არაერთხელ ითქვა, რომ კაცი საზოგადოებრივი არსებაა, მარტო მარტო კი არ ატარებს წუთისოფლის დღეებს, სხვა ადამიანებთან უხდება ნიადაგ ურთიერთობა. და ამ ურთიერთობათა დროს ხშირად, ძალიან ხშირად, სხვადასხვა ადამიანთა ინტერესები, მისწრაფებები ერთიმეორეს უპირისპირდება, ეჯახება, ეწინააღმდეგება, ვინაიდან კაცთაგან უმრავლესობა, უწინარეს ყოვლისა, თავისი ეგოისტური სურვილების დაკმაყოფილებას ცდილობს. სწორედ ამის შედეგად აღიბურს გულისწყრომა, რისხვა, შუღლი, მტრობა და მსგავსი გრძნობები, რომლებსაც კაცნი ისე არიან შეჩვეულნი, ბუნებრივადაც კი ეჩვენებათ. არადა, საკმარისია კაცი და მოშინდეს, გულდასმით გაიაზროს ეს ყოველივე, იმასაც ჩახედეს, რომ ამგვარ გრძნობებს უეჭველად ცოდვებისკენ მივყავართ, და მაშინ იგი შეიგნებს, რაოდენ

დამღუპველი რამ არის გულისწყრომაც, რისხვაც, შუღლიც, მტრობაც და მისთანანი.

აი, სწორედ ამისკენ მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას იესო ქრისტე.

არა კაც კლა, — ასეთი მცნება ჰქონდათ მიცემული თქვენს წინაპრებსო, — ეუბნება მსმენელებს მაცხოვარი. — მე კი გეტყვით, რომ არამცთუ არ უნდა მოკლათ თქვენი ძმა (ანუ სხვა ადამიანი), არამედ გულიც კი არ უნდა მოგივიდეთ მასზე, არ უნდა განურისხდეთო (მათ. 5,21-22).

„თუ შენ მივაქვს შესაწირავი საკურთხეველთან და იქ გაიხსენებ, რომ შენი ძმა (ანუ მოყვასი, ანუ ნებისმიერი ადამიანი) ძეირს იზრახავს შენთვის, დაუტყვე შენი შესაწირავი საკურთხეველის წინ, წადი, ჯერ შემოირიგე შენი ძმა და მხოლოდ შემდეგ მიდი და შესწირე შესაწირავი“ (მათ. 5,23-24).

მაშასადამე, ადამიანთა შორის სათნო, მოყვარული დამოკიდებულება ყოველგვარ შესაწირავზე მეტს ნიშნავს. ამას უნდა ცდილობდეს ყოველი კაცი და მაშინ მათი ურთიერთობანი, საერთოდ, ცხოვრება სიკეთის საღინარს გაუყვება.

ოღონდ ეს ჯერ კიდევ არ არის სრული სიკეთე, სრულყოფილი კაცობა, ჭეშმარიტი ქრისტიანობა. ჭეშმარიტ ქრისტიანს გაცილებით მეტი მოეთხოვება, უაღრესად ძნელად აღსასრულებელი მცნებები ეძლევა უფლის მიერ.

აბა მოვეუსმინოთ:

„თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ.

ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ნუ აღუდგებით წინ ბოროტს; არამედ ვინც შემოგკრავს მარჯვენა ყვრიმალში, მიუშვირე მას მეორეც.

და თუ ვინმეს სურს გიჩვილოს და წაგართვას შენი პერანგი, მიეცი მას მოსასხამიც.

მთხოვნელს მიეცი და სესხების მსურველს ზურგს ნუ შეაქცევ.

თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: გიყვარდეს მოყვასი და გბულდეს მტერი შენი.

ხოლო მე გეუბნებით თქვენ: გიყვარდეთ მტერნი თქვენნი, დალოცეთ თქვენი მწყევარნი, კეთილი უყავით თქვენს მობულეთ და ილოცეთ თქვენსავე მღვენელთა და შეურაცხყოფელთათვის.

რათა იყოთ თქვენ შეილნი მამის თქვენის ზეციერისა, ვისაც თავისი მზე ამოჰყავს კეთილთა და ბოროტთათვის და წვიმას უგზავნის მართალთაც და უსამართლოთაც...

მამ იყავით თქვენ სრულქმნილნი, როგორც სრულქმნილია მამა თქვენი ზეციერი“

(მათ. 5,38-48).

ეს არის ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთი უღრმესი და, ამავე დროს, უძნელესი ნაწილი. აქ მოცემულ მცნებათა წვდომა და აღსრულება მართლაც ზეკაცურ სრულქმნილებას მოითხოვს. მაგრამ ეს არის უმაღლესი იდეალი იმის გან, რომლებიც კი ოდესმე დასახულა კაცთა მოღვმის წინაშე. ამ იდეალს საფუძველია ყოვლისმომცველი, ღვთაებრივი სიყვარული, ერთ-ერთ წინა თაყს („სიყვარულის მოძღვრება“) მიმოხილული, რაც შეადგენს ქრისტიანული მოძღვრების არსებას.

დავუკვირდეთ.

„ნუ აღუდგებით წინ ბოროტს, არამედ ვინც შემოგკრავს მარჯვენა ყვრიმალს მიუშვირე მას მეორეც“.

ერთი შეხედვით, ეს არის სრულიად მიუღებელი, „ნორმალური“ ადამიანის ვის ყოვლად უცხო და განუხორციელებელი მცნება.

ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი ჩაგურთოთ.

ყოველ თქვენგანს სმენია შესანიშნავი ქართველი მწერლის ვასილ ბარნოვის სახელი (თუ გახსოვთ, მეხუთე კლასის სახელმძღვანელოში ნათქვამი იყო, რომ მისი ნამდვილი გვარი ბარნოვი კი არ არის, არამედ — ბარნაველი). ვასილ ბარნოვის ერთი დიდი ნაწარმოები — „არამაზის მსხვერვა“ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას ეძღვნება. რომანში აღწერილია, როგორ უქადაგებენ ქართველებს ახალ რჯულს წმინდა ნინო და როგორ ხედება ქრისტეს მცნებებზე ვერაც წარმართი ზოგიერთი ქართველი:

„მებრძოლ ვაჟებს არ მოსწონდათ ახალი მცნება:

— მტერს დაუთმო, სილა გაგარტყას, მეორე ლოყაც მიუშვირეო, ჩონხა გაგაროს, კვართიც მიეო. ბეჩავის სიტყვებია, მონების მცნება.

— დამკრან — დავუთმო, ზედ კი მერტყას ჩემი ხანჯალი?!

— რად ჩავაცმევ ჩემს ახალუხს ვილაც კეთრიანს?!

— ენიანი კაბა ჩემი სხვას ეცვას ტანზედ?! აბა მოვმკვდარვარ!“.

ერთობ დამახასიათებელი სიტყვებია. ამასთან, შესაძლოა მხოლოდ მეოთხე საუკუნის ადამიანი კი არ ბჭობდეს ასე, არამედ — თანამედროვეც.

მაგრამ თუ ღრმად ჩავწვდებით არსებობის, კაცობრიული ურთიერთობების სულიერ ანუ ღვთაებრივ კანონებს, ჩვენი შეხედულება შეიცვლება.

რადგანაც როდესაც მტრობას, სიძულვილს, ბოროტებას, ჩვენ მტრობით, სიძულვილითა და ბოროტებითვე ვპასუხობთ და წინააღმდეგებით, ეს ახალსა და ახალს

მტრობას, სიძულვილსა და ბოროტებას აღძრავს და საბოლოოდ უეჭველად გადაუ-
ვაცდენს სიკეთისა და სიყვარულის გზიდან. სწორედ ამასთან დაკავშირებით
ბრძანებს იესო ქრისტე: „ყველა, ვინც აიღებს მახვილს, მახვილითვე დაიღუპება“
(მათ. 26, 52). ეს არის უტყვევლი კანონი. ბოროტების საფუძველს სიყვარული
აქარწყლებს და არა სანაცვლო ბოროტება, მტრობისა და სიძულვილისგან სიკეთე
და სიყვარული გვიხსნის და არა სანაცვლო მტრობა და სიძულვილი. ყოველდღი-
ურ ცხოვრებაში ძნელია ამის შემჩნევა, მაგრამ საბოლოო შედეგები მუდამ ამგ-
ვარია.

თუმცა ზოგიერთ თქვენგანს იქნებ ჰქონია კიდევ შემთხვევა, როდესაც ამა თუ
იმ თავისი ტოლის, თანაკლასელის, ამხანაგის ცუდი საქციელისთვის, მის მიერ
გამოვლენილი ქიშპობისთვის ასეთივე ქმედებით კი არ გაუცია პასუხი, არამედ
მოთმინებით, შეწყნარებით მოპყრობია თავის მაწყენინებელს. თუკი გქონიათ ამგ-
ვარი შემთხვევა, ამას უეჭველად ორივე მხარის თანხმობა და მშვიდობა მოჰყვებო-
და და თავად თქვენც დიდ სულიერ კმაყოფილებას მოგგვრიდათ. არადა, თუკი
თქვენს მაწყენინებელს სანაცვლოდ თქვენც აწყენინეთ, ჯიბრში ჩაუდევით, უთანხ-
მოებას, კინკლაობას, შუღლს გვიან მოეღება ბოლო.

კიდევ უფრო ძნელი აღსასრულებელი ჩანს მაცხოვარის მომდევნო მცნებები:
„გვიყვარდეთ მტერი თქვენი, დალოცეთ თქვენი მაწყევარნი, კეთილი უყავით თქვენს
მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავე მდევნელთა და შეურაცხყოფელთათვის“.

მტერი როგორ უნდა მიყვარდესო? — ჰკვირობენ ხოლმე ამ მცნების მომსმენ-
ნი. — ბოროტია ის ჩემი მტერი, ბოროტი საქმე დამმართაო.

ამ კითხვაზე ღვთისმეტყველნი ამგვარ პასუხს გვაძლევენ: ჭეშმარიტ ქრის-
ტიანს, იმგვარ მორწმუნეს, რომელსაც სურს ისეთივე სრულქმნილი იყოს, როგორც
ზეციერი მამა ჩვენი, არც ერთი ადამიანი არ უნდა სძულდეს, პირუკუ — ყოველი
ადამიანი უნდა უყვარდეს. რამეთუ სიყვარული არის მთელი სამყაროს საფუძველი
და თვითონ ღმერთი არის სიყვარული.

ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ბოროტებაც უნდა გვიყვარდეს. მაგრამ
როდესაც ვინმე ბოროტ საქმეს სჩადის, ჩვენ მისი ბოროტება უნდა შევიძულოთ და
არა ბოროტების მოქმედი. თუკი, ვთქვათ, მავანმა კაცმა ჩემი მოკვლა განიზრახა, მე
მის სულში აღძრული ეს ბოროტი სწრაფვა უნდა მძაგდეს, ვითარცა უკეთური
სულის — სატანის მიერ აღძრული, და არა საკუთრივ ის კაცი. რამეთუ სამყაროში
ისეთი არაფერი არსებობს, რაიც მთლიანად იქნებოდა მოკლებული სიკეთეს. თვით
უბოროტესი კაცის სულის სიღრმეშიც კი სიკეთის მარცვალი ღვივის და საკმა-

რისია ის უბოროტესი კაცი ღვთისკენ შემობრუნდეს, მისი ბოროტებისგან აღარათავი
 დარჩება. ხოლო ის ნაგულისხმევი კაცი სიკეთისკენ რომ შემოვაბრუნოთ,
 თავად სიყვარული უნდა გვექონდეს მისი და არა სიძულვილი.

ასე გვასწავლიან ღვთისმეტყველები. უკეთ რომ ვთქვათ, თავისას კი არ გვასწავლიან, იესო ქრისტეს მიერ ჩვენთვის ბოძებულ მოძღვრებას განგვიმარტავენ მის შეცნობას გვიადვილებენ. იმის გაგებას გვიადვილებენ, რომ ქრისტიანობა სიყვარულისა და სიკეთის მოძღვრებაა და მის წიაღში სიძულვილი ვერ დაისაგურებს. და იმასაც ხშირად შეგვახსენებენ ხოლმე, რომ თავად იესო ქრისტემ ის იცხოვრა ამ ქვეყნად, მის სულს სიყვარულისა და სიკეთის გარდა სხვა რა გრძნობა არ გაჰკარებია. ესე იგი მან თავადვე მოგვცა იმის მაგალითი, თუ როგორ არის შესაძლო შენი მტერი შეიყვარო, შენს მოძულეს კეთილი უყო და შენ შეურაცხყოფელისთვის ილოცო.

ზემოთ მოტანილი მცნებების გაგება უფრო გაგვიადვილდება, თუ გვეცოდინება კიდევ ერთი დარიგება მაცხოვარისა:

„როგორც თქვენ გსურთ მოგექცნენ კაცნი, თქვენც ასევე მოექცით მათ“ (მათ. 7,12).

აქაც კარგი დაკვირება გვმართებს. როგორ გვსურს ჩვენ, რომ სხვანი მოგვეცნენ ცხადია, გვსურს, რომ კარგად, კეთილად, მოყვარულად გვექცეოდნენ. მაგრამ რაკი გვსურს, ჩვენც ასევე კარგად, კეთილად და მოყვარულად უნდა ვექცეოდნენ სხვებს. სხვაგვარი ქმედება უეჭველად მტრობას, ბოროტებას, ცოდვას ბადებს. არის კაცთათვის ბოძებული სულიერი კანონი, ღვთაებრივად მარტივი, თავისთავად იოლად გასაგები და, ამავე დროს, უღრმესი ჭეშმარიტების შემცველი, ისევე როგორც სხვა სულიერი კანონები, მაცხოვარის მიერ ჩვენთვის მცნებების სახით ჩამოყალიბებული.

ამ კანონს უახლოვდება კიდევ ერთი მცნება:

„თუ მიუტევებთ ადამიანებს მათს შეცოდებებს, თქვენც მოგიტევენ მათ თქვენი ზეციერი.“

ხოლო თუ არ მიუტევებთ ადამიანებს მათს შეცოდებებს, არც თქვენს შეცოდებებს მოგიტევენთ მამა თქვენი ზეციერი“ (მათ. 6,14-15).

თავის მხრივ, ეს კანონი უფრო გასაგებს ხდის მაცხოვარის ერთ-ერთ მოძღვრებას:

„რატომ ხელავ ბეწვს შენი ძმის თვალში, ხოლო შენსაში დირესაც ვერ გრძნობ?“

ანდა როგორ უებნები შენს ძმას — მოიცა, ამოვიღო ბეწვი თვალიდანო და თვითონ შენ კი ღირე გაქვს თვალში.

თვალთმაქცო, ჯერ შენი თვალიდან ამოიღე ღირე და მერეღა ნახავ, როგორ ამოვიღო შენი ძმის თვალიდან ბეწვი“ (მათ. 7,3-5).

ალბათ მიხვდით ამ დარიგების ფარულ აზრს: ადამიანებს ხშირად გვჩვევია სხვათა ნაკლის შემჩნევა, ხოლო საკუთარი ნაკლოვანებების მხილება არამცთუ სხვათა წინაშე, არამედ ჩვენზე თავის წინაშეც კი მაინცდამაინც არ გვეხალისება. ამასთან, შესაძლოა, ჩვენი ნაკლი იმდენადვე დიდი იყოს სხვათა ნაკლთან შედარებით, როგორც ღირე (ძელი) არის დიდი ბეწვთან შედარებით. ამიტომო, — გვმოდღვრავს მაცხოვარი, — ვიდრე სხვას გავკიცხავდეთ მისი ნაკლის გამო, ჯერ საკუთარი ნაკლის, საკუთარი მანკიერების მოშორებისთვის ვიზრუნოთ.

ბევრად უფრო უკეთესნი ვიქნებოდით ჩვენ, ადამიანები, მაცხოვარის ამ მცნებას ხშირად რომ არ ვივიწყებდეთ ხოლმე.

მთასა ზედა ქადაგებიდან მაცხოვარის კიდევ ერთ დარიგებას მივაპყროთ ამჯერად ყურადღება:

„ეკრძალეთ სიმართლის ქმნას კაცთა წინაშე იმ მიზნით, რომ მათ დაგინახონ...“

და როცა გასცემთ მოწყალებას, ნუ აყვირებთ თქვენს წინაშე ბუკ-ნაღარას, როგორც იქცევიან თვალთმაქცნი სინაგოგებსა და ქუჩაბანდებში, რათა განადიდოს ისინი ხალხმა...

ხოლო როცა შენ გასცემ მოწყალებას, დაე ნუ ეცოდინება შენს მარცხენა ხელს, რას აკეთებს მარჯვენა“ (მათ. 6,1-3).


და ცოტათი ქვემოთ:

„როდესაც მარხულობთ, ნუ იქნებით მწუხარენი თვალთმაქცთა მსგავსად, თავპირი რომ ჩამოსტირით, რათა მმარხველებად ეჩვენონ ხალხს...“

ხოლო შენ, როდესაც მარხულობ, თავს იცხე და დაიბანე პირი შენი.

რათა ხალხს კი არ ეჩვენო მმარხველად, არამედ დაფარულში მყოფ მამას შენსას. და მამამ შენმა, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგაგოს შენ ცხადად“ (მათ. 6,16-18).

აქ მაცხოვარი ამხილებს კაცთა მოდგმის უმრავლესობისთვის დამახასიათებელ ერთ ფარულ ნაკლს. ჩვენ, ადამიანები სიკეთეს, კეთილ საქმეს არცთუ იშვიათად სხვათა დასანახად, სხვათა წინაშე თავმოსაწონებლად ვიქმთ ხოლმე. ანდა სულაც საკუთარი თავის წინაშე ვიწონებთ თავს — აი, როგორი კარგი და კეთილი ვარო!



ამასთან, ისიც გვჩვენავს, რომ ეს საძრახისი თვისება ისე შევნიშობთ, საკუთარ თავსაც კი არ გავუმხილოთ.

სწორედ ამაზე ამახვილებს ჩვენს ყურადღებას მაცხოვარი: სიკეთის სხვათა წინაშე ან საკუთარი თავის წინაშე თავმოსაწონებელი რამ კი არ უნდა იყოს, არამედ იმდენად ბუნებრივი თვისება ჩვენი, რომ ვერც კი ვამჩნევდეთ სიკეთის თუ ვიქმთ – როცა მოწყალეობას გაცემ, დაე შენს მარცხენა ხელს ნუ ეცოდინებ მარჯვენა რას აკეთებსო. მოწყალეობის გამცემი სხვათა დასანახად კი არ უნდა გაცემდე მოწყალეობას, ანდა საკუთარი თავის წინაშე კი არ კეკლუცობდე მოწყალეობის გაცემა თუ სხვა სიკეთის ქმნა თავისთავად უნდა ხდებოდეს, კაცის შინაგანი მოთხოვნილება უნდა იყოს. ეს არის ნამდვილი სიკეთე.

იგივე ითქმის მარხულობის შესახებ. გულთამხილავმა უფალმა ხომ უწყობს რომ მავანნი და მავანნი შინაგანი მოთხოვნილების გამო კი არ მარხულობენ წრფელი გულით, არამედ სხვათა წინაშე გამოსაჩვენებლად. სწორედ ამიტომ გვაფრთხილებს – თვალთმაქცთა მსგავსად ნუ მოიქცევითო.

მოსაჩვენებელი სიკეთის ქმნის, მოსაჩვენებელი მარხულობის მსგავსად, უფალს საძრახისად გვითვლის აგრეთვე მოსაჩვენებელ, არაგულწრფელ ლოცვას:

„როდესაც ლოცულობ, ნუ ემსგავსები თვალთმაქცთ, რომელთაც უყვართ სხვების ნაგოგებსა თუ ქუჩის კუთხეში დგომა და ლოცვა, რათა თავი მოაჩვენონ ხალხს.“

შენ კი, როდესაც ლოცულობ, შედი შენს სენაკში, მოიხურე კარი და ილოცე მამის შენის მიმართ ფარულად. და მამამ შენმა, რომელიც ხედავს დაფარულ მოგაგოს შენ ცხადად.

ხოლო ლოცვისას ნუ იტყვიტ ზედმეტს, წარმართთა მსგავსად, რომელთაც ჰგონიათ, რომ სიტყვამრავლობის გამო შესძენილ იქნებიან.

ნუ ემსგავსებით მათ, ვინაიდან მამამ თქვენმა, ვიდრე სთხოვდეთ, მანამდე იცით თუ რა გჭირდებათ“ (მათ. 6,5-8).

მაცხოვარის ამ სიტყვებს მოსდევს სწორედ საუფლო ლოცვად წოდებულ „მამაო ჩვენო“, რომელსაც ჩვენ უკვე გავიცანით მეხუთე კლასში. „საუფლო იმიტომ ეწოდება ამ ლოცვას, რომ თავად უფალმა იესო ქრისტემ ასწავლა თავის მოწაფეებს და მიმდევრებს მთასა ზედა ქადაგების დროს.

მთასა ზედა ქადაგება კიდევ არაერთ ძვირფას დარიგებას შეიცავს. ამჯერად ის ვთქვათ, როგორ დაასრულა მაცხოვარმა ეს ქადაგება:

„ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ, მე ვამსგავსებ გონიერ კაცს, რომელმაც კლდეზე დააშენა თავისი სახლი.“

და მოვიდა წვიმა, მოვარდნენ მდინარენი, დაქროლეს ქარებმა და ეკვეთნენ ამ სახლს, მაგრამ ვერ დასცეს, ვინაიდან კლდეზე იყო დაფუძნებული.

და ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს, მაგრამ არ ასრულებს მათ, მე გამსგავსებ უგუნურ კაცს, რომელმაც ქვიშაზე ააშენა თავისი სახლი.

და მოვიდა წვიმა, მოვარდნენ მდინარენი, დაქროლეს ქარებმა და ეკვეთნენ ამ სახლს და დასცეს. და დიდი იყო დაცემა მისი“ (მათ. 7,24-27).


მაშასადამე, ვისაც სურს საუკუნო ცხოვრების, ცათა სასუფეველის დამკვიდრება, ის არა მარტო უნდა ისმენდეს მაცხოვარის მცნებებს, არამედ უმჭველად საქმითაც უნდა აღასრულებდეს. და მაშინ მისი რწმენა კლდეზე დაშენებული სახლივით მტკიცე იქნება, შეურყეველი, და არა ქვიშაზე აშენებული სახლივით იოლად შესამუსრავე.

მაცხოვარის მცნებათა საქმით აღსრულება რასაც ნიშნავს, ჩვენ ნაწილობრივ მაინც ვიცით უკვე: ადამიანს მთელი არსებით უნდა უყვარდეს უფალი ღმერთი, საკუთარი თავივით უნდა უყვარდეს მოყვასი, სხვებს ისე უნდა ექცეოდეს, როგორც ისურვებდა, რომ სხვანი მოექცნენ მას თავად, საერთოდ, მისი ცხოვრება სიყვარულისა და სიკეთის გამოვლინება უნდა იყოს, მტერის შეყვარებაც კი უნდა შეეძლოს, რწმენა უნდა ჰქონდეს უმტკიცესი და მოუშლელი, მიმტევებელი უნდა იყოს, ბალოვით ალალი, უმანკო და თავმდაბალი, განურისხებელი, მშვიდი, თვინიერი, სიმათლისთვის თავგადაღებული, მოწყალე, გულით წმინდა...

მრავალი ამდაგვარი თვისების ჩამოთვლა შეიძლება კიდევ, მაცხოვარის მიერ ჩვენთვის ბოძებული კიდევ მრავალი და მრავალი მცნებისა, რომლებიც იპოვება მათეს სახარების იმ ნაწილში, მთასა ზედა ქადაგებას რომ მოსდევს, აგრეთვე მარკოზის, ლუკას, იოანეს სახარებებში. იესო ქრისტეს ღვთაებრივი მოძღვრების მთელ სიღრმეს ამ სახელმძღვანელოს ფარგლები ვერ დაიტევს, თუმცა კი ამ მოძღვრების მრავალ ცალკეულ საკითხზე ქვემოთ ხშირად ვისაუბრებთ.

აქ ის ვთქვით კიდევ, მცნებათა საქმით აღსრულების როგორ ნიმუშს უსახავდა მაცხოვარი თავის მოწაფეებსა და მიმდევრებს.

მეორედ მოსვლის, განკითხვის დღე რომ დადგებაო, — ბრძანებდა იესო ქრისტე, — „როდესაც მოვა ძე კაცისა თავისი დიდებით, და ყველა წმინდა ანგელოზი მასთან ერთად, მაშინ დაჯდება იგი თავისი დიდების ტახტზე და შეიყრება მის წინაშე ყველა ხალხი, და გაარჩევს მათ ერთმანეთისგან, როგორც მწყემსი გამოარჩევს ცხვრებს თხებისგან. და დააყენებს ცხვრებს თავის მარჯვნივ, ხოლო თხებს — მარცხნივ“.



და, აი, მაშინ უფალი განსჯის მის მარჯვნივ მდგომთაც და მარცხნივ მდგომთაც, ანუ „ყველა ხალხს“, მთელ კაცობრიობას.

„მაშინ ეტყვის მეუფე მის მარჯვნივ მდგომთ: მოდი, კურთხეულნი ჩემი ჩემის მიერ, და დაიმკვიდრეთ სასუფეველი, თქვენთვის გამზადებული ქვეყნის და ბაჰმიდან.

რადგან მშობლა და მომეცით საჭმელი, მწყუროდა და მასვით, უცხო ვიყავი შემიწყნარეთ, შიშველი ვიყავი და შემოსეთ, სნეული ვიყავი და მომხდეთ, საპყრობილეში ვიყავი და მინახულეთ.

მაშინ მართალნი პასუხად ეტყვიან მას: უფალო, როდის გიხილეთ შენ მშობლა და დაგაპურეთ? ანდა მწყურვალი, და გასვით შენ? როდის გიხილეთ შენ უცხო და შეგიწყნარეთ? ანდა შიშველი, და შეგმოსეთ შენ? როდის გიხილეთ შენ სნეული, ანდა საპყრობილეში, და გინახულეთ?

და მიუგებს მეუფე და ეტყვის მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რითაც შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით მე შემეწიეთ.

მაშინ ეტყვის მარცხნივ მდგომთაც: წადით ჩემგან, წყეულნი, საუკუნო ცეცხლში, რომელიც ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვისაა გამზადებული.

რადგან მშობლა და არ მომეცით საჭმელი, მწყუროდა და არ მასვით, უცხო ვიყავი და არ შემიწყნარეთ, შიშველი ვიყავი და არ შემოსეთ, სნეული ვიყავი და საპყრობილეში არ მინახულეთ.

მაშინ ისინიც პასუხად ეტყვიან მას: უფალო, როდის გიხილეთ შენ მშობლა და მწყურვალი, ან უცხოდ მყოფი, ან შიშველი, ან სნეული, ან საპყრობილეში, და გამსახურეთ შენ?

მაშინ მიუგებს და ეტყვის მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რითაც შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით არც მე შემეწიეთ.

და წავლენ ესენი საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი — საუკუნო სიცოცხლეში“ (მათ. 25,31-46).

მაცხოვარის ამ სწავლების დედააზრი ძნელად გასაგები არ უნდა იყოს. მისი სიტყვები — „რითაც შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით მე შემეწიეთ“ — იმას ნიშნავს, რომ კაცთაგან აღსრულებული ყოველი კეთილი საქმე, მათ მიერ სხვა ადამიანების მიმართ გამოვლენილი გულმონწყალეობა და სიყვარული იგივე საღვთო საქმეა, საღვთო კანონების ანუ მცნებების დაცვაა და, ამდენად, იგივე ღმერთის სიყვარულია. გავიხსენოთ, რაც ზემოთ ითქვა: ვისაც მოყვასი ანუ სხვა ადამიანი არ უყვარს, ის ვერც ღმერთს შეიყვარებს.

იბავები

იესო ქრისტეს მსმენელნი მეტწილად უბრალო, გაუნათლებელი ადამიანები იყვნენ, ამიტომ მაცხოვარი მათ ასევე უბრალო, გასაგები ერთი ესიტყვებოდა. მაგრამ ამ დროს ხდებოდა ერთი სასწაულებრივი ამბავი: მაცხოვარის ყოველი სიტყვა მისი ყოველი მსმენელისთვის მარტივად გასაგებიც იყო და, ამავე დროს, უღრმესი სიბრძნის გამოხატველი, ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა მუწყებელი.

გავიხსენოთ, მაგალითად, მცნება: „როგორც თქვენ გსურთ მოექცნენ კაცნი, თქვენც ასევე მოექცით მათ“ (მათ. 7,12). არ არსებობს ადამიანი, რაგინდ უსწავლელი და უბირი იყოს, მწყემსი იქნება, მიწის მუშა თუ ღურგალი, ეს მცნება მოსმენისთანავე რომ ვერ გაიგოს (სხვა საქმეა, შეძლებს თუ ვერა მის აღსრულებას). მაგრამ ამ მცნების სიღრმეში სიბრძნის მთელი ზღვა ღვას, იმ უსწავლელი და უბირი მსმენელისთვის ჯერჯერობით მიუწვდომელი. ვინაიდან ეს მცნება საბოლოო აზრით იმას გულისხმობს, რომ ადამიანმა უნდა სძლიოს თვითმოყვარობას, ეგოიზმს, სხვა ადამიანი საკუთარი თავივით უნდა შეიყვაროს და ბოლოს ღმერთის მთელი არსებით სიყვარულამდე ამალდეს. ხოლო რაოდენ საძნელოა ყოველივე ამის გააზრება და აღსრულება, რარიგად აღემატება ეს ღვთაებრივი სიბრძნე მთელ კაცობრიულ ცოდნასა და განათლებას, ამის თაობაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამ სახელმძღვანელოს წინა თავებში.

წინა თავებში ისიც ითქვა: ის სიბრძნე, რომელსაც მაცხოვარი თავის მოწაფეებს გადასცემდა, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა, რადგან მოწაფეებს ცათა სასუფეველის საიდუმლოთა ცოდნას აზიარებდა მაცხოვარი. დანარჩენ მსმენელებს, ლიტონ ხალხს იესო ქრისტე ხშირად იგავებით ესაუბრებოდა. ეს იყო მისი საყვარელი ხერხი უბრალო ხალხის დამოძღვრისა. გავითვალისწინოთ, რომ სახარებებში ოცდაათზე მეტი იგავია. და, როგორც ჩანს, ეს იგავები მსმენელებს ერთობ მოსწონდათ, მოუწყინარად აპყრობდნენ ყურს ხატოვანი სიტყვით გამოთქმულ უმაღლეს ჭეშმარიტებებს.

ამ სახელმძღვანელოში, რაღა თქმა უნდა, სახარებებში შესულ ყველა იგავს ვერ მიმოვიხილავთ. მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევაჩეროთ ყურადღება.

თავდაპირველად იმ იგავს გავეცნოთ, რომელიც გვასწავლის, რომ ცხოვრებაში უმთავრესია საქმე, საქმის აღსრულება და არა ფუჭად ნასროლი სიტყვა. ეს არის

სულ მცირე მოცულობის იგავი და მოიხსენიება, როგორც „ორი ძე“.

„ერთ კაცს ორი ძე ჰყავდა. მივიდა ერთთან და უთხრა: შეილო, წადი და სამუშაოდ ჩემს ვენახში.“

ხოლო მან მიუგო: არ მინდა. ბოლოს კი ინანა და წავიდა.

მივიდა მეორესთან და იგივე უთხრა. ხოლო მან მიუგო: წავალ, ბატონო. არ წავიდა.

ამ ორთაგან რომელმა შეასრულა მამის ნება?

მიუგეს: პირველმა“ (მათ. 21,28-31).

მაშასადამე, ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ: უმთავრესი ის კი არ არის, თუ თქმურას ამბობს მავანი კაცი, არამედ ის, თუ რას იქმს, რას აკეთებს, საქმით აღსტურებს თუ არა თავის ნათქვამს.

მთესველის (ძველი თარგმანის მიხედვით – მთესვარის) იგავი შემდეგ მოგვითხრობს:

„აჰა, გამოვიდა მთესავი თესვად.“

ხოლო თესვისას ზოგი მარცვალი გზის პირას დავარდა, და მოფრინდნენ ფრინველნი და აკენკეს ისინი.

ზოგიც ქვიან ადგილას დავარდა, სადაც ბლომად არ იყო მიწა, და მალე აღმოცენდა, ვინაიდან ნიადაგი არ იყო ღრმა. მაგრამ ამოვიდა თუ არა მზე, დაჰტყდა და რადგან ფესვი არ ჰქონდა, გახშა.

ზოგი კიდევ ეკალ-ბარდებში ჩაცვივდა, და ამოვიდა ეკალი და ერთიანი მოაშთო ყველა.

ხოლო ზოგი პოხიერ ნიადაგზე დაეცა და ნაყოფიც გამოიღო: ზოგმა ასე ზოგმა სამოცი და ზოგმაც ოცდაათი.

ვისაც აქვს ყურნი სმენად, ისმინოს!“ (მათ. 13,3-9).

ამ იგავს იესო ქრისტე თავადვე განგვიმარტავს.

მთესველი ანუ მთესვარი უფალი იესო ქრისტეა. თესლი არის უფლის სიტყვები, რომლებითაც იგი მიმართავს თავის მსმენელებს.

ზოგი მარცვალი გზის პირას რომ დავარდა და ფრინველებმა აკენკეს, იგავის ენით შემდეგს ნიშნავს: ზოგიერთი კაცი მოისმენს უფლის სიტყვებს ცალსასუფეველის შესახებ, მაგრამ ვერ იგებს ნათქვამს. მაშინ მიადგება აშნიარ კაცს სატანა და მოსტაცებს მას გულში ჩათესილ სიტყვას უფლისას.

ქვიან ადგილას დავარდნილი თესლი შემდეგს ნიშნავს: ზოგიერთი კაცი მოისმენს უფლის სიტყვებს და მაშინვე სიხარულით იღებს მათ. მაგრამ უფლის

სიტყვები მის გულში ფესვს ვერ იდგამს, ღრმად ვერ გაუჯდება მის არსებას. ამიტომ უღლეურია მისთვის ეს სიტყვები, მისი რწმენა ხანმოკლეა, ჭირის დღე დაუდგება თუ არა, ცდუნდება ხოლმე აშნაირი კაცი, უფლის რწმენას განუდგება.

ეკალ-ბარდებში დაცვენილი თესლი შემდეგს ნიშნავს: ზოგიერთი კაცი შეიწყნარებს უფლის სიტყვებს, „მაგრამ სოფლის საზრუნავი და სიმდიდრის საცდური აშთობენ სიტყვას და უნაყოფოს ხდიან მას“. ესე იგი, ცხოვრების ორომტრიალი, ამქვეყნიური ყოველდღიური საფიქრალი და საზრუნავი, აგრეთვე ცხოვრების უკეთ და უკეთ მოწყობის, გამდიდრების, განცხრომის უბოლოო სურვილები აქარწყლებენ ცათა სასუფეველის სიტყვებს, ავიწყებენ კაცს იმას, რაც უმთავრესი უნდა ყოფილიყო მისთვის — არა ამქვეყნიური, არამედ მარადიული ყოფა.

პოხიერ ნიადაგზე დაცვენილი თესლი შემდეგს ნიშნავს: უფლის სიტყვათა მსმენელნი შეიგნებენ ამ სიტყვებს, ღრმად ჩაიმარხავენ, წმინდა გულით გაითავისებენ მათ და ამიტომ აშნაირ კაცთათვის უფლის დარიგებას უხვი და კეთილი ნაყოფი მოაქვს.

ათი ქალწულის იგავიც იესო ქრისტესა და ცათა სასუფეველის მოძღვრებას ეძღვნება:

„მიემსგავსება ცათა სასუფეველი ათ ქალწულს, რომლებმაც აიღეს თავიანთი ლამპრები და გავიდნენ სიძის შესაგებებლად.

ხოლო ხუთი მათგანი გონიერი იყო, ხუთი კი უგუნური.

უგუნურებმა აიღეს თავიანთი ლამპრები, მაგრამ თან არ წაიღეს ზეთი.

გონიერებმა კი თავიანთ ლამპრებთან ერთად თან წაიღეს ზეთიც თავიანთი ჭურჭლებით.

და რაკი სიძემ დაიგვიანა, ყველას რული მოერია და ჩაეძინა.

მაგრამ შუალამისას გაისმა ძახილი: აჰა, მოდის სიძე, გამოდით და გამოეგებეთო!

მაშინ ადგა ყველა ქალწული და გამართეს თავიანთი ლამპრები.

ხოლო უგუნურებმა უთხრეს გონიერთ: გვიწილადეთ თქვენი ზეთი, ვინაიდან ჩვენნი ლამპრები ქრება.

გონიერებმა კი მიუგეს: რომ არ შემოგვაკლდეს ჩვენცა და თქვენც, გიჯობთ წახვიდეთ ვაჭრებთან და იყიდოთ თქვენთვის.

და როდესაც ისინი საყიდლად წავიდნენ, მოვიდა სიძე. და მზადყოფნი მასთან ერთად შევიდნენ ქორწილში, და დაიხშო კარი.

შემდეგ მოვიდნენ დანარჩენი ქალწულნიც და სთხოვეს: უფალო, უფალო, გაგვიღე ჩვენ!

ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით: არ გიცნობთ თქვენ, მაშ იფხიზლეთ, ვინაიდან არც დღე იცით და არც საათი, როდის მოვა კაცისა“ (მათ. 25,1-13).

როგორც საერთოდ მთელი ქრისტიანული მოძღვრება, ათი ქალწულის იგავი იოლად მოსასმენიც არის და უღრმესი აზრის შემცველიც.

მათთვის, ვინც მხოლოდ იოლად მოსმენას არის შეჩვეული და სიღრმისეულად ეძნელება, ეს იგავი პირდაპირი მნიშვნელობით შემდეგს ნიშნავს: მშვენიერი ქორწილის დღე არის, შეკრებილნი სიძის მოსვლას ელოდებიან. ჩვეულების თანახმად სიძეს ანთებული ლამპრებით უნდა შეეგებონ. ვინც გონიერი იყო, იმთავითვე მოიმარაგა ზეთი (ლამპარის საწვავი), უგუნურებმა კი ზეთი თან არ წაიღეს. როდესაც სიძე მოვიდა და საქორწილო ზეიმი უნდა გამართულიყო, ზეთი სულელები ქალწული მაშინლა გაემართა ზეთის შესაძენად, მაგრამ უკან რომ დაბრუნდნენ, კარი უკვე დახშული დაუხვდათ და ქორწილში ვერ მოხვდნენ. მაშასადამე, ყოველმა გონიერმა კაცმა თავისი შესასრულებელი სასიკეთო საქმე დროულად უნდა მოითავოს, თორემ ისევე ხელმოცარული დარჩება, როგორც ის ზეთი დაუდევარი ქალწული.

ათი ქალწულის იგავის სიღრმისეული აზრის გასაგებად წინასწარ ორი რამ უნდა გავითვალისწინოთ.

ერთი რომ, იესო ქრისტეს მოძღვრების თანახმად, ძე ღმერთი ანუ იესო ქრისტე მეორედაც მოველინება ქვეყნიერებას (ამას ეწოდება მეორედ მოსვლა, განკითხვის დღე). მაშინ იგი განსჯის მთელ კაცობრიობას და მათ, ვინც მართალი იყო, მაცხოვარის მცნებებს ანუ ღვთაებრივ კანონებს განუხრებლად ასრულებდა. ცათა სასუფეველს, სამარადისო ნეტარებას დაუმკვიდრებს. ამთავითვე დაეიმას სოფროთ, რომ ძეხორციელმა არ იცის და არც არასოდეს ეცოდინება არავის, როდის მოხდება ეს, როდის დადგება განკითხვის დღე, როდის მოვა მეორედ მაცხოვარი, ანუ ძე ღმერთი, ანუ ძე კაცისა.

გარდა ამისა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ იგავის სიძე არის იგივე იესო ქრისტე. სახარებებში სხვაგანაც არის შემთხვევები, როდესაც იესო ქრისტე თავისთავს სიძეს უწოდებს (მათ 9,15, მარკ. 2,19-20, ლუკ. 5,34-35). იოანე ნათლისმცემელიც სიძედ მოიხსენიებდა იესო ქრისტეს (იოან. 3,29).

ამის გამოვალისწინებლნი შევეცადოთ ჩავწვდეთ ათი ქალწულის იგავის ფარულ, სიღრმისეულ აზრს.

ქორწილის დღე ნიშნავს მაცხოვარის მეორედ მოსვლას, რის შემდეგაც ჭეშ-

მარიტი მორწმუნენი ცათა სასუფეველს დაიმკვიდრებენ, იგავის ენით — ზეიმში მიიღებენ მონაწილეობას. ამ ზეიმში მათ შეიყვანს სიძე — ძე ღვთისა და ძე კაცისა, იესო ქრისტე.

ხუთი გონიერი ქალწული კაცობრიობის იმ ნაწილს განასახიერებს, რომელიც საქმით აღასრულებდა საღვთო მცნებებს, მართალი ცხოვრებით ცხოვრობდა. მათ რომ ზეთი წაიღეს თან სიძის შესახვედრად, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ამქვეყნიურ ცხოვრებაში ჰქონდათ ყველა ის სათნოება და სიკეთე, რომლებიც აუცილებელია ცათა სასუფეველის ნეტარებაში (ქორწილში) დასამკვიდრებლად. იმ ზეთით ანთებული ლამპრების ნათელი ნიშნავს ადამიანის სულის სიწმინდეს, რაც მარადიულ ნათელს გამოსცემს.

ხუთი უგუნური, სულელი ქალწული კაცობრიობის იმ ნაწილს განასახიერებს, რომელიც ნაკლებად ზრუნავს სამარადისო ცხოვრებისთვის, ცათა სასუფეველისთვის და გონს მაშინდა მოეგება, როდესაც შეიტყობს, რომ განკითხვის ჟამმა მოატანა. მაშინდა აწრიალდებიან ისინი, მაშინდა მოიწადინებენ იმ სათნოებათა, იმ თვისებათა (ზეთის) მოპოვებას, რომლებიც ცათა სასუფეველში (ქორწილში) მოსახვედრად არის აუცილებელი. მაგრამ უკვე გვიანაა, ცათა სასუფეველის კარი მათთვის სამუდამოდ დახშულია.

სიძე რომ იგვიანებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ნამძვილად არავინ იცის, როდის მოვა იგი, ანუ როდის დადგება განკითხვის დღე, — „არც დღე იცით და არც საათი, როდის მოვა ძე კაცისა“.

საბოლოოდ: ადამიანი მუდამ ფხიზლად უნდა იყოს, დაუცადებლად, დღენიდავ უნდა იღვწოდეს, თავისი კეთილი საქმეებით უნდა მიისწრაფვოდეს ცათა სასუფეველისაკენ.

ამ იგავთან დაკავშირებით გავისხენოთ დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის მშვენიერი ლექსი „ათი ქალწული“, რომელშიც პოეტური ენით არის გარდათქმული მაცხოვარის იგავი. ისიც გავითვალისწინოთ, რომ გალაკტიონ ტაბიძის წინაპარნი სასულიერო პირები — მღვდლები იყვნენ, ხოლო თვითონ მას თბილისის სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული და საღვთო რჯულის საკითხებში ჩინებულად ერკვეოდა.

ასლა ლექსი წავიკითხოთ:

ათი ქალწული

სასუფეველით მსგავსება მათით
 ოცნებამ იცის.
 ათი ქალწული სანთელით ათით
 ელოდნენ სიძეს.
 მათგანი ზუთი იყო გონიერ,
 ზუთი – სულელი.
 სულელთ ვერ პოვეს ჭურჭელთა მიერ
 ზეთი სურნელი.
 და ღამით, ოდეს სძინავდა ყოველს,
 ზარით, ებანით
 ხმა ისმა: აჰა ესერა, მოვალს,
 მიეგებენით!
 აღდგა წამშივე ქალწული ათი, –
 ჰპოვა სანთელი,
 ზუთს ჩაჰქრობოდა სრულიად მნათი
 იმ წუხანდელი.
 წარვიდნენ სყიდვად, მას ჟამსა შინა
 გზად იდგა ქარი,
 მოვიდა სიძე, განალო ბინა
 და დახშა კარი.
 ოდეს დაბრუნდნენ წყებანი სხვანი
 მშვენიერ ქალთა,
 დააგვიანდათ, ისინი დგანან
 დახურულ კართან.
 მათ ხელში ობლად კანკალებს ზეთი
 მწუხარე ლანდად.
 გარეთ ქარი ჰქრის, არ არის ბედი,
 დააგვიანდათ.

მომდევნო იგავი, რომელსაც ჩვენ უნდა გავეცნოთ, ასეთი სათაურით მოიხსენიება
 – „მდიდარი კაცი და გლახაკი ლაზარე“.

„იყო ერთი მდიდარი კაცი. ძოწეული და ბისონი ეცვა და ყოველდღე შლიდა

ბრწყინვალე სუფრას.

იყო ერთი გლაზაკიც, სახელად ლაზარე, რომელიც მის ჭიშკართან ეგდო, მთლად დაწყლულებული, და სურდა მდიდარის ნასუფრალით მოეკლა შიმშილი. ხოლო ძაღლები მოდიოდნენ და ლოკავდნენ მის წყლულებს.

მოკვდა გლაზაკი და აბრაამის წიაღში აიტაცეს ანგელოზებმა. მოკვდა მდიდარიც და დამარხეს.

და ჯოჯოხეთში წამებულმა აღაპყრო თვალნი და იხილა შორს აბრაამი, და ლაზარე მის წიაღში.

და შესძახა და თქვა: მამაო აბრაამ, მოწყალეა მოიღე და მომივილინე ლაზარე, რათა თითის წვერი ჩააწოს წყალში და ენა გამიგრელოს, რადგან ვიდაგები ამ ცეცხლის აღში.

მაგრამ აბრაამმა უთხრა: შეილო, გაიხსენე, რომ შენსავე სიცოცხლეში მიიღე შენი სიკეთე, ლაზარემ კი — მხოლოდ ბოროტი. ამიტომაც ახლა ის ინუგეშებს, შენ კი იტანჯები.

გვეც არ იყოს, ჩვენსა და თქვენს შორის განმტკიცებულია დიდი უფსკრული, ასე რომ, გადმოსვლის მსურველი ვერც ჩვენგან თქვენსკენ გადმოვა და ვერც თქვენგან — ჩვენსკენ.

ხოლო მან თქვა: გვედრები, მამაო, მამაჩემის სახლში მაინც გაგზავნე ეგ, ვინაიდან ხუთი ძმა მყავს. მივიღეს და აუწყოს მათ, რათა ისინიც არ ჩაცვიფდნენ სატანჯველში.

უთხრა მას აბრაამმა: მოსე და წინასწარმეტყველნი ჰყავთ, მათ უსმინონ.

ხოლო მან თქვა: არა, მამაო აბრაამ. მაგრამ თუ მკვდართაგან მივა მათთან ვინმე, შეინანებენ.

და უთხრა მას აბრაამმა: თუკი მოსეს და წინასწარმეტყველთ არ უსმინეს, მკვდრეთითაც რომ აღდგეს ვინმე, არც მას ერწმუნებიან“ (ლუკ. 16,19-31).

ვიდრე ამ იგავის აზრს განვმარტავდეთ, ჯერ ის ვთქვათ, თუ რას ნიშნავს „აბრაამის წიაღი“. ძველად მწერლობაშიც და ხალხის მეტყველებაშიც ეს გამოთქმა ხშირად იხმარებოდა: „წიაღსა შინა აბრაამისასა“ „წიაღთა შინა აბრაამისათა“, „განისვენა წიაღთა შინა აბრაამისათა“... ეს ნიშნავდა სულის სამოთხეში ყოფნას. მართალია, ღვთისმეტყველნი გვამცნობენ, რომ „აბრაამის წიაღი“ და სამოთხე ზუსტად ერთი და იგივე არ არის, რომ, ამასთან, სამოთხე და ცათა სასუფეველი აგრეთვე განსხვავებული ცნებებია, მაგრამ ამჯერად ამ რთულ საღვთისმეტყველო საკითხებს ნუ გამოვედევნებით.

ახლა — იგავის განმარტება.

ერთი შეხედვით, იმ მდიდარ კაცს თითქოს ისეთი არაფერი დაუშავებია, რამისი სული უეჭველად ჯოჯოხეთში მოხვედრილიყო — ცხოვრობდა თავისივე განცხრომაში, თითქოს კეთილ საქმესაც იქმნა, „ყოველდღე შლიდა ბრწყინვალე სუფრას“, ესე იგი — სხვებს უმასპინძლებოდა და ასიაშოვნებდა.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით არის ასე. აბა დაუუკვირდეთ: იმ მდიდარ კაცს ამქვეყნიურ სიამოვნებათა გარდა არაფერი აფიქრებდა და აინტერესებდა სულისთვის, სამარადისო ცხოვრებისთვის იოტისოდენადაც არ ზრუნავდა. ხოლო ამქვეყნიური, სოფლიური სიამოვნება და სიხარული, როგორც მოგვეხსენება, წარმატებული, მსწრაფლწარმატალი რამ არის, სიზმარივით განქარდება და დაეიწყება მიეცემა, თუკი სულის მომავალი ცხოვრებისთვის არ იზრუნა კაცმა.

მდიდარი კაცი საამისოდ რომ არ ზრუნავდა, იქიდან ჩანს, რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მისსავე ჭიშკართან მწოლიარე გლახაკ ლაზარეს, მთლად დაწყულულბულს, სულ იმის ცდაში მყოფს, როგორმე მდიდარის ნასუფრალი მოეკლა შიმშილი.

აქ ჩვენ უეჭველად გაგვახსენდება ცოტათი ზემოთ ნასწავლი:

განკითხვის დღე რომ მოვა და უფლის წინაშე ყველა ზალნი, ყოველ ადამიანი წარდგება განსასჯელად, უფალი „გაარჩევს მათ ერთმანეთისგან, როგორც მწყემსი გამოარჩევს ცხვრებს თხებისგან“. გახსოვთ, რა სიტყვებით მიმართავს მაშინ მაცხოვარი იმგვარ ადამიანებს, რომლებმაც უკეთურად იცხოვრეს ამა ქვეყანაზე? — „წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში... რადგან მშობიდა და არ მომეცით საჭმელი, მწყუროდა და არ მასვით, უცხო ვიყავი და არ შემიწინარეობდით, შიმშველი ვიყავი და არ შემმოხეთ, სნეული ვიყავი და საპყრობილეში და არ მინახულეთ. მაშინ ისინიც პასუხად ეტყვიან მას: უფალო, როდის გიხილეთ შენ შიმშირი, ან მწყურვალი, ან უცხოდ მყოფი, ან შიმშველი, ან სნეული, ან საპყრობილეში და არ გემსახურეთ შენ? მაშინ მიუგებს და ეტყვის მათ: ჭეშმარიტად გეტყვით თქვენ: რითაც არ შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით არც მე შემიწინარეობთ“.

ეს სიტყვები ზედმიწევნით მიესადაგება ჩვენი იგავის მდიდარ კაცს. გლახაკ ლაზარეს რომ არაფრით შეეწია, ამით არც უფალს შეეწია, საღვთო საქმეში აღასრულა და ჯოჯოხეთის საუკუნო ცეცხლისთვის განწირა თავისი სული.

ისიც ღიდად საგულისხმოა, როგორ პასუხობს აბრაამი ჯოჯოხეთში მოხვედრილი მდიდარი კაცის ვედრებას — მამაო აბრაამ, მომივლინე ლაზარე, რათა

თითის წვერი წყალში ჩაწოს და ენა გამიგრელოს, რადგან ამ ცეცხლის ალში ვილაგებო.

თუმცა ვიდრე ამ ვედრებაზე აბრაამის პასუხს გავიხსენებდეთ, ვერ ის უნდა თქვათ, რომ აქ საქმე იგავთან გვაქვს და პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ არც ცეცხლის ალი, არც თითის წყალში ჩაწობა და არც ენის გაგრილება. საიქიო ცხოვრებაში ადამიანის სული მიდის მხოლოდ, სხეული კი მიწას შეერთვის. ასე რომ, ნივთიერი ცეცხლის ალი, ენის წყლით გაგრილება და მისთანანი, რაც ჩვენს სხეულს, ჩვენს მატერიალურ არსებობას უკავშირდება, იქ, რაღა თქმა უნდა, არ არსებობს. ჯოჯოხეთი სულიერ ტანჯვას გულისხმობს და არა სხეულისას. ეს წარმართებს ჰგონიათ, თითქოს კაცს საიქიო ცხოვრებაშიც სჭირდება საჭმელი, სასმელი და ამდაგვარი.

აბრაამის პასუხს რაც შეეხება, მართლაც დიდად საგულისხმოა:

„შვილო, გაიხსენე, რომ შენსავე სიცოცხლეში მიიღე შენი სიკეთე“.

ეს შემდეგს ნიშნავს: ამქვეყნიური ცხოვრებისას იმ მდიდარ კაცს სიკეთე მხოლოდ და მხოლოდ ის ეგონა, რაც მის სხეულს მოჰკერიდა შეებას – კარგი ჭამა-სმა, კარგი ჩაცმა-დახურვა, განცხრომასა და ფუფუნებაში ფუჭი ცხოვრება, ნადიმი და დროსტარება. სულის სიკეთეს არას დაგიდევდათ. აი, სწორედ ამას განუმარტავს მას აბრაამი: რაც შენ სიკეთე გეგონა, ის ყოველივე შენს სიცოცხლეში უხვად გქონდაო. აქ ნათქვამი აღარ არის, მაგრამ იგულისხმება: ამქვეყნიური, ცხოვრებისეული სიკეთე საიქიო ცხოვრებაში აღარაფერს წაგადგებაო.

ისიც დიდად საგულისხმოა, მდიდარი კაცის მეორე თხოვნას როგორ უპასუხებს აბრაამი. გვედრები, მამაო, მამაჩემის სახლში მაინც გაგზავნა ლაზარე, ვინაიდან ხუთი ძმა მყავს, მივიდეს და აუწყოს, რაც საიქიო ცხოვრებაში ელოდებათ, რათა ისინიც ჩემნაირ სატანჯველში არ ჩაქვიდნენო, – შესთხოვა მდიდარმა. აბრაამის პასუხი: მათ მიცემული აქვთ რეგული ანუ საღვთო კანონები (მოსე და წინასწარმეტყველნი ჰყავთ), იმის მიხედვით იცხოვრონ და მათი სულელები აღარ წაწყდებიანო. ამაზე მდიდარი კაცი ამბობს: არა, მამაო აბრაამ, მაგრამ თუ მკვლართაგან მივა მათთან ვინმე, შეინანებენო. ესე იგი, იცის მდიდარმა კაცმა თავისი ხუთი ძმის ამბავი – საუფლო მცნებების მიხედვით ცხოვრება მათ არ შეუძლიათ, მათ გონს მოსაყვანად ერთადერთი იმის იმედი აქვს, საიქიოდან სააქაოს თუ მოველინებათ ვინმე და ეტყვის, რა განსაცდელი მოელის ყოველი მათგანის სულს. მაგრამ აბრაამის პასუხი ამჯერადაც შეუვალა: თუკი მოსეს და წინასწარმეტყველთ არ უსმინეს, მკვდრეთითაც რომ აღდგეს ვინმე, არც მას ერწმუნებიანო.

იგავის საბოლოო აზრი ის არის, რომ, თუ კაცმა ამა ქვეყნადვე არ იზრუნა სულისთვის, უფლის მცნებათა აღსრულებისთვის, კეთილი საქმეები თუ არ წაიხვეწა იმა ქვეყნად, მაშინ მისი სული სამუდამო სატანჯველში, ჯოჯოხეთში მოხდება და მერე გვიანლა იქნება სინანული.

კიდევ ერთი იგავი მაცხოვარისა — „მეზვერე და ფარისეველი“.

„ორი კაცი შევიდა ტაძარში სალოცავად: ერთი ფარისეველი და ერთი მებაჟე.

ფარისეველი დადგა და ასე ლოცულობდა გულში: ღმერთო, გმადლობ, რადგან არა ვარ, სხვა კაცთა მსგავსად, მტაცებელი, უსამართლო და მემრუშე, და არც მებაჟეს ვგავარ.

ორჯერ გმარხულობ კვირაში, და ვიხდი მეთედს იმისას, რასაც ვიხვეჭე. ხოლო მოშორებით მდგარი მებაჟე იმასაც კი ვერ ბედავდა, რომ ზეცა აღეპყრო თვალნი. არამედ მკერდში იცემდა მჯიღს და ამბობდა: ღმერთო, მიიხსნე მე, ცოდვილს!

გეუბნები: სახლში ეს უფრო გამართლებული დაბრუნდა, ვიდრე ის, რადგან ყველა, ვინც აიმაღლებს თავის თავს, დამდაბლდება, და ვინც დაიმაბლებს თავს ამაღლდება“ (ლუკ. 18,10-14).

ალბათ უკვე მიაქციეთ ყურადღება, რომ იგავის სათაურია „მეზვერე და ფარისეველი“, ხოლო იგავის ტექსტში იკითხება „ფარისეველი და მებაჟე“. როგორც ამ სახელმძღვანელოს პირველსავე თავში ვნახეთ, ძველ ქართულ თარგმანებში მებაჟეს მეზვერე ეწოდებოდა. ამიტომ არის, რომ ამ იგავს სათაურად შემორჩა „ფარისეველი და მეზვერე“. თვით იგავის ტექსტი კი აქ „სახარების“ ახალი, 1990 წელს გამოცემული თარგმანიდან არის გადმოწერილი.

ფარისეველი ვინ იყვნენ, ამის თაობაზე სულ მალე ვისაუბრებთ მომდევნო თავში. მეზვერეს ანუ მებაჟეს რაც შეეხება, ამ სახელმძღვანელოს პირველ თავში თუ გახსოვთ, ეწერა: მებაჟენი ბაჟისა და გადასახადის ამკრებნი იყვნენ, რომაელთა მიერ დაყენებული მოხელეები, ცნობილნი თავიანთი სიხარბით, მექრთამეობითა და მატყუარობით. ებრაელები მებაჟეებს ხშირად ტაძარში სალოცავადაც არ უშვებდნენ, რადგან მათთვის „მებაჟე“ და „ცოდვილი“ ლამის ერთი და იგივე ცნებები იყო. ახლა იგავის ტექსტს მივსვლით.

„ფარისეველი დადგა და ასე ლოცულობდა გულში: ღმერთო, გმადლობ, რადგან არა ვარ, სხვა კაცთა მსგავსად, მტაცებელი, უსამართლო და მემრუშე, და არც მებაჟეს ვგავარ“. და შემდეგ: „ორჯერ გმარხულობ კვირაში, და ვიხდი მეთედს“

იმისას, რასაც ვიხვეჭ“.

ხედავთ, როგორი თვითკამყოფილია ფარისეველი, როგორ კიცხავს სხვა ადამიანებს და როგორ განიდიდება თავის თავს? ღმერთს ვითომ მაღლობას კი უხდის, მაგრამ თან ლამის აყვედრის კიდეც — აი, როგორი კარგი და უცოდველი კაცი ვარ, ცოდვილებს კი არ ვგავარო! მას აზრადაც არ მოსდის, რომ უკვე იმის გამო არის ცოდვილი, სხვებს რომ ძრახავს და განიკითხავს. „თუ არ მიუტყვებთ ადამიანებს მათს შეცოდებებს, არც თქვენს შეცოდებებს მოგიტყვებთ მამა თქვენი ზეციერი“, — გაეიხსენოთ მაცხოვარის სიტყვები, ცოტათი ზემოთ რომ გავეცანით. სხვის თვალში ბეწვისა და საკუთარ თვალში დირეს ამბავიც უნდა გაგვახსენდეს. სხვათა გაკიცხვას რა მოამთავრებს, მერე თავის დამსახურებებსაც ჩამოთვლის ფარისეველი — კვირაში ორჯერ ვმარხულობო, რასაც ვიხვეჭ, იმის მეათედს ვიხდიო.

ფარისეველისგან განსხვავებით, მებაჟე ანუ მეზვერე თავის ცოდვებს კი არ ჩქმალავდა, „იმასაც კი ვერ ბედავდა, რომ ზეცად აღეპყრო თვალნი, არამედ მკერდში იცემდა მჯიღს და ამბობდა: ღმერთო, მილხინე მე, ცოდვილს!“ ფარისეველისგან განსხვავებით, იგი გულმართლად ინანიებდა თავის ცოდვებს და ღმერთს ისე შესთხოვდა შეწყალებას.

ამიტომ არის ნათქვამი ივავის დასასრულს: „სახლში ეს (მებაჟე) უფრო გამართლებული დაბრუნდა, ვიდრე ის (ფარისეველი). რადგან ყველა, ვინც აიმაღლებს თავის თავს, დამდაბლდება, და ვინც დაიმაბლებს თავის თავს, ამაღლდება“.

სახლში მებაჟე უფრო გამართლებული დაბრუნდაო, — მაცხოვარი რომ ბრძანებს, ეს იმას ნიშნავს, რომ უფალმა შეუნდო მებაჟეს ცოდვები.

დაბოლოს ერთი რამ აღვნიშნოთ: სახარების ივავებს ზოგჯერ ასე მოიხსენიებენ ხოლმე: „ივავი მთესველის შესახებ“ ან „ივავი მთესველზე“, „ივავი ათი ქალწულის შესახებ“ ან „ივავი ათ ქალწულზე“, „ივავი მდიდარი კაცისა და ლაზარეს შესახებ“ ან „ივავი მდიდარ კაცსა და გლახაკ ლაზარეზე“, „ივავი შეცდომილი ძის შესახებ“ ან „ივავი შეცდომილ ძეზე“ და ასე შემდეგ. ეს არის უცხო ენების გავლენის შედეგი. ქართულად „ივავი მთესველის შესახებ“ ან „ივავი მთესველზე“ კი არ უნდა ითქვას და დაიწეროს, არამედ — „მთესველის ივავი“ ან „ივავი მთესველისა“, „ივავი ათი ქალწულის შესახებ“ ან „ივავი ათ ქალწულზე“ კი არა, არამედ — „ათი ქალწულის ივავი“ ან „ივავი ათი ქალწულისა“, ასევე — „მდიდარი კაცისა და გლახაკი ლაზარეს ივავი“ ან „ივავი მდიდარი კაცისა და გლახაკი ლაზარესი“, „შეცდომილი ძის ივავი“ ან „ივავი შეცდომილი ძისა“ და ასე.

ისიც დავიმახსოვროთ, რომ რაც ამ წუთას ითქვა, მარტოოდენ სახარების იგავეებს არ ეხება. ასევე უნდა ითქვას და დაიწეროს სულხან-საბა ორბელიანის ნებისმიერი სხვა ავტორის იგავთა სათაურები: „იგავი კატის გაზრდილი ლომის შესახებ“ ან „იგავი კატის გაზრდილ ლომზე“ კი არ უნდა ითქვას, არამედ „კატის გაზრდილი ლომის იგავი“ ან „იგავი კატის გაზრდილი ლომისა“ და ამნაირად.

თვალთმაქცთა მხილვა

ბოლო იგავს („მეზვერე და ფარისეველი“) როცა ვეცნობოდით, მაშინ ითქვა: ფარისევლები ვინ იყვნენ, ამის თაობაზე სულ მალე, მომდევნო თავში ვისაუბრებთო.


დღესდღეობით — ფარისეველიო, რომ ვიტყვი, თვალთმაქც, ცბიერ, ფლიდ ადამიანს ვგულისხმობთ. ეს სიტყვა ისევე შემოვიდა ქართულ ენაში „ბიბლიიდან“, როგორც „ლოთი“ ან „გოლიათი“. სიტყვა „ფარისეველი“ თვალთმაქცობას, ცბიერებას, ფლიდობას იმიტომ დაუკავშირდა, რომ, სახარების მიხედვით, სწორედ ამგვარებად წარმოდგებიან ის ადამიანები, ვისაც ფარისევლები ეწოდებოდათ. ვინ იყვნენ ისინი?

იმ ხანაში, როდესაც იესო ქრისტე მოველინა ქვეყნიერებას, ფარისევლები ეწოდებოდათ ერთ ძლიერსა და მრავალრიცხოვან სექტაში გაერთიანებულ პირებს. ამ სექტის წევრებს ანუ ფარისევლებს კარგად ჰქონდათ შესწავლილი „ძველი აღთქმის“ რჯული ანუ კანონები, გულმოდგინედ ადასრულებდნენ მრავალ წესს, მთავარ ყურადღებას სწორედ ამ წესების ფორმალურად, ვალის მოსახდელად აღსრულებას აქცევდნენ, ხოლო საქმით შორს იდგნენ იმ სიწმინდისგან, რასაც ყოველი ადამიანისგან მოითხოვს საღვთო რჯული. მიუხედავად ამისა, მათ თავიანთი თავი უჩვეულოდ წმინდა ადამიანებად წარმოედგინათ, თავიანთი განსწავლულობით ამაყობდნენ, ხალხისგან თავი შორს ეჭირათ და ამპარტყაენი იყვნენ, ამასთან — თვალთმაქცი, ფლიდნი, პირმოთენი და ვერცხლისმოყვარენი. ისინი სხვათა დასანახავად ლოცულობდნენ და მარხულობდნენ, სხვათა დასანახავად იქმოდნენ ქველ საქმეებს, გარეგნულად იყვნენ ქველნი და სათნონი, ხოლო შინაგანად — უწმინდურნი.

სახარებებში ფარისევლებთან ერთად ხშირად მოიხსენიებიან სადუკეველნი და მწიგნობარნი. მათ შესახებაც უნდა ვთქვათ ცოტა რამ.

სადუკეველნი იმდროინდელი სამღვდლო არისტოკრატის პარტიას შეადგენდნენ, ფარისეველთა მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილნი, მაგრამ საქმით მათგან დიდად არ გამოირჩეოდნენ, მათებრ ცბიერნი იყვნენ და გულქვანი.

მწიგნობრები რჯულის ანუ კანონის ზედმიწევნით მცოდნე ადამიანებს ეწოდებოდათ. მათი მოვალეობა იყო საღვთო რჯულის გადაწერა, შესწავლა, განმარტება. ფარისეველთა და სადუკეველთა მსგავსად, მწიგნობართაგან მრავალნი იყვნენ იუდე-



ველთა უმაღლესი სამსჯავროს – სინედრიონის წევრები.

ფარისეველებს და მწიგნობრებს ხალხში ერთობ დიდი გავლენა მოპოვებული. ქვემოთ ვნახავთ, როგორ გამოიყენეს მათ ეს გავლენა მაცხოვარის წინააღმდეგ ხალხის ასამხედრებლად. რამეთუ ფარისეველნიც, მწიგნობარნიც და საღუკველნიც იესო ქრისტეს დაუძინებელი მტრები იყვნენ.

მტრობა იმიტომ აღეძრათ, რომ მაცხოვარი მუდამჟამს ამხილებდა გარეგნულ მარტოოდენ ფორმალურ ღვთისმოსავობას და სიწმინდეს და შინაგან უწმინდურებას. აბა ყური მივაპყროთ:

„მაშინ იესომ მიმართა ხალხს და თავის მოწაფეებს: მოსეს ტახტზე მწიგნობარნი და ფარისეველნი სხედან. მამ ყველაფერი, რის დაცვასაც გირჩევენ, დაცავით და აღასრულეთ, მაგრამ მათს საქმეს ნუ მიბამავთ, ვინაიდან ამბობენ და არ ასრულებენ.

რადგან მძიმე ტვირთს ჰკრავენ და ძნელად სატვირთველს, და ხალხს მხრებზე ადებენ, თვითონ კი თითის განძრევაც არ სურთ მის დასაძრავად.

და ყველა თავიანთ საქმეს აკეთებენ კაცთა დასანახავად. უყვართ აგრეთვე წვეულებებზე სუფრის თავში ჯდომა და წინა რიგის სინაგოგებში.

და მისალმება მოედნებზე, რათა ხალხი მიმართავდეს მათ: რაბი! რაბი! ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, ვინაიდან ნთქი ქვრივთა სახლებს და თანაც პირმოთნედ ღოცულობთ დიდხანს. მით უფრო მძიმე იქნება თქვენი სასჯელი...


ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, რომელნიც იხდით მუათეს პიტნისას, კამისას და კელიავისას, და დაგიტყუებიათ ის, რაც უმთავრესია რჯულში: სამართალი, წყალობა და რწმენა.

ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომელნიც გარედან წმინდთ სასმისსა თუ ჯამს, შიგნით კი სავსენი არიან ნაძარცვითა და ნაოსარით.

თვალდავისილო ფარისეველო, ჯერ შიგნიდან გაწმინდე სასმისი თუ ჯამი, რა წმინდა იყოს გარეთაც.

ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, ასე რომ ჰყო ხარო შეფუთვილ საფლავეებს, რომელნიც გარედან მშვენიერნი ჩანან, ხოლო შიგნით სავსენი არიან მკვდართა ძვლებითა და ყოველგვარი უწმინდურებით.

ასევე თქვენც გარეგნულად მართალნი ჰგონიხართ ხალხს, შიგნით კი სავსენი



ხართ თვალთმაძცობითა და ურჯულოებით“ (მათ. 23,1-28).
 მწიგნობრებიც, ფარისევლებიც ისეთი ადამიანები იყვნენ, დღეს რომ ასოკირკიტას ვუწოდებთ. ასოკირკიტა, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ თანახმად, ის არის, ვინც წვრილმანებს ჩაჰკირკიტებს და არსებითი კი ავიწყდება. ესე იგი, მწიგნობართა და ფარისეველთათვის ცხოვრებაში უმთავრესი იყო რჯულის ანუ კანონების ფორმალური აღსრულება და არა ამ რჯულის სულიერი სიმაღლის წვდომა, ანუ, მაცხოვარის სიტყვებისამებრ, „სამართალი, წყალობა და რწმენა“. ისინი სამართალს ამრუდებდნენ, წყალობის ნაცვლად ხალხს მარცვავენდნენ და უსწორო რწმენას უნერგავდნენ.

ამიტომ, ცხადია, მათ იმთავითვე აითვალწუნეს ქვეყნად მოვლენილი ძე ღვთისა და ძე კაცისა, რომელიც ხალხის ყურადღებას იმას მიაპყრობდა, რომ ცხოვრებაში უმთავრესია შინაგანი სიწმინდე, სულიერი სისპეტაკე და არა გარეგნული დაცვა კანონებისა.

ამის ჩინებული მაგალითია იესო ქრისტეს კამათი მწიგნობრებთან და ფარისევლებთან ერთი უბრალო წესის დაცვის თაობაზე.

„მაშინ მოვიდნენ იესოსთან იერუსალემელი მწიგნობრები და ფარისევლები და უთხრეს:

რატომ არღვევენ შენი მოწაფეები უხუცესთა გადმოცემას? ვინაიდან ხელს არ იბანენ პურის ჭამისას“ (მათ. 15,1-2).

ამის პასუხად იესომ ხალხს და თავის მოწაფეებს უთხრა:

„პირით შემავალი კი არ შებილწავს კაცს, არამედ პირიდან გამომავალია ის, რაც შებილწავს კაცს...“

პირით გამომავალი გულიდან გამოდის და სწორედ ის ბილწავს კაცს.

ვინაიდან გულიდან გამოდის უკეთურნი ზრახვანი, კაცის კვლანი, მრუშობანი, სიძვანი, პარვანი, ცილისწამებანი, გმობანი.

ესენი არიან კაცის შემბილწველნი, ხოლო ხელდაუბანლად ჭამა არ ბილწავს კაცს“ (მათ. 15,11-20).

ჩვენც რომ ასოკირკიტანი არ გავხდეთ, მაცხოვარის ამ სიტყვებიდან ისეთ დასკვნას ნუ გამოვიტანთ, თითქოს ის ჭამის წინ ხელის დაბანას, ანუ ჰიგიენის ელემენტარული წესის დაცვას უარყოფდეს. მაცხოვარის სიტყვების დედააზრი ის არის, რომ ადამიანისთვის უმთავრესია შინაგანი სიწმინდე და არა სისუფთავის გარეგნული ნორმების დაცვა. სისუფთავის გარეგნული ნორმების დაუცველობა კი არ ბილწავს კაცს, არამედ სულის უკეთურება, რომელსაც შედეგად მოსდევს

ბოროტი აზრები, კაცის კვლა, ქურდობა და მისთანანი.

მეორე მსგავსი მაგალითი:

ერთ შაბათ დღეს იესო და მისი მოწაფეები ყანაში მიდიოდნენ. მოწაფეებს მოშივდათ და თავთავების კრეფა, ხელით ფშვნეტა და ჭამა დაიწყეს. ფარისეველებს ეს რომ დაინახეს, იესოს უთხრეს: რატომ აკეთებენ შენი მოწაფეები იმას, რა შაბათს ნებადართული არ არისო?

ფარისეველთა აღშფოთების მიზეზი რომ გავიგოთ, უნდა გავიხსენოთ ის, რა მეექვსე კლასში ვისწავლეთ: „ძველი აღთქმის“ თანახმად, ესე იგი რჯულის თანახმად, შაბათი საუფლო დღედ იყო დაწესებული და ამ დღეს ყოველნაირი საქმის ქმნა იკრძალებოდა. იუდეველნი ამ წესს მკაცრად იცავდნენ. მით უფრო მოუთმენელი იყო შაბათ დღეს საქმის კეთება (ამ შემთხვევაში – თავთავების კრეფა და ფშვნეტა) ფარისეველთათვის, რომელთაც, როგორც აქვე ზემოთ ვთქვით, რჯულის გარეგნული წესების დაცვა თვითმიზნად ჰქონდათ გადაქცეული.

იესომ ფარისეველებს ასე უბასუხა:

„შაბათი კაცისთვის შეიქმნა და არა კაცი შაბათისათვის“ (მარკ. 2,27).

ესე იგი – შაბათი უქმე დღედ იმიტომ არის დაწესებული, კაცს სარგებლობა რომ მოუტანოს და თვითმიზნად მის გადაქცევას აზრი არა აქვსო.

შაბათთან დაკავშირებული კიდევ ერთი შემთხვევა:

ერთ შაბათ დღეს იესო სინაგოგაში ხალხს მოძღვრავდა. აქ იყო ერთი კაცი რომელსაც მარჯვენა ხელი გამხმარი ჰქონდა.

„და უთვალთვალებდნენ მას (იესოს) მწიგნობარნი და ფარისეველნი – განკურნავდა თუ არა შაბათს, რათა ბრალდების საბაბი ეპოვათ მისთვის.“


მაგრამ მან იცოდა მათი ზრახვანი, და უთხრა ხელგამხმარ კაცს: ადგე და შუაში გამოდი! ისიც ადგა და გამოვიდა.

და უთხრა მათ (მწიგნობრებსა და ფარისეველებს) იესომ: თქვენ გეკითხებით რისი ქმნა შეიძლება შაბათს – კეთილისა თუ ბოროტის? სულის ცხონება თუ წარწყმედა?

და გადახედა ყველა მათგანს და უთხრა კაცს: აბა გაიწოდე შენი ხელი! მან გაიწოდა და კვლავ გაუმრთელდა, როგორც მეორე.

ხოლო ისინი (მწიგნობარნი და ფარისეველნი) გაცოფდნენ, და ერთმანეთს ეუბნებოდნენ – რა ვუყოთ იესოსო“ (ლუკ. 6,6-11).

ეს ეპიზოდი მათეს სახარებაში კიდევ უფრო ავის მომასწავებელი სიტყვებით მთავრდება: „ხოლო ფარისეველები გამოვიდნენ და მოითათბირეს მის (იესოს)



წინააღმდეგ, თუ როგორ დაეღუპათ იგი“ (მათ. 12,14).

იესო ქრისტეს სასწაულებზე ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ უფრო დაწვრილებით. ხელგამხმარი კაცის განკურნება მაცხოვარის ერთ-ერთი სასწაული იყო და არა პირველი. აქ საგულისხმო ის არის, რომ მწიგნობარნი და ფარისევლები იესოს დიდ ცოდვად უთვლიან შაბათ დღეს კაცის განკურნებას – სიკეთის, წყალობისა და მოყვასის სიყვარულის საოცარ გამოვლინებას. მათთვის გარეგნული, ფორმალური წესის დაცვა სიკეთეზე, წყალობასა და მოყვასის სიყვარულზე მეტად ფასობს..

კიდევ სხვა მსგავსი მაგალითი:

როდესაც იესომ მეზვერე ანუ მებაჟე მათე დაიმოწაფა, მათემ თავის სახლში წვეულება გაუმართა მოძღვარს. ამ წვეულებაზე მრავალი მებაჟე და ცოდვილი კაცი უჯდა სუფრას იესოს გვერდით. ამის დამნაჯავი მწიგნობარნი და ფარისევლები დრტვინავდნენ და მის მოწაფეებს ეუბნებოდნენ: რატომ ჭამს და სვამს თქვენი მოძღვარი მებაჟეებთან და ცოდვილებთან ერთად?

„მიუგო იესომ და უთხრა მათ: კარგად მყოფთ კი არ სჭირდებათ მკურნალი, არამედ – აჯადმყოფთ.

მართალთა სახმობელად კი არ მოვსულვარ, არამედ – ცოდვილთა სინანულად“ (ლუკ. 5,27-32).

ფარისევლები და მწიგნობარნი ამპარტავანნი იყვნენ, ხალხს ქედმაღლურად ეპყრობოდნენ, თავს არ უყადრებდნენ, განზე იდგნენ მისგან, ადამიანთა სულების გადარჩენისთვის კი არ ზრუნავდნენ, არამედ – საკუთარი ღიდეებისა და კეთილდღეობისათვის. მათი თვალთახედვით, ცოდვილ კაცთა შორის ყოფნა უკვე თავისთავად შეუწყნარებელი ცოდვა იყო. ხოლო იესო ქრისტე ქვეყნიერებას იმისთვის მოველნა, რომ მთელი კაცობრიობის ცოდვები გამოესყიდა და საკუთარ ცოდვათა მოსანანიებლად აღედრა ხალხი. ამიტომ მაცხოვარი არ გაურბოდა ცოდვილ ადამიანებს, მათ შორის – თვით ფარისევლებსაც, არ ეთაკილებოდა მათ გვერდით ყოფნა. პირუკუ: დღენიადგ ხალხში ტრიალებდა, მოძღვრავდა, რათა ესწავლებინა მათთვის ცოდვათა მონანიება, წრფელი გულით რწმენა, სიწმინდის გზით სვლა, კეთილ საქმეთა ქმნა ცათა სასუფეველის დასამკვიდრებლად. სწორედ ამას მიანიშნებდა მისი პასუხი მწიგნობრებისა და ფარისევლებისადმი: „მართალთა სახმობელად კი არ მოვსულვარ, არამედ – ცოდვილთა სინანულად“.

ამ მხრივ კიდევ ერთი ეპიზოდია დიდად საგულისხმო:

„ერთმა ფარისევლმა სთხოვა (იესოს), მასთან ერთად ეჭამა პური. და შევიდა

ფარისევლის სახლში და ინახად დაჯდა.

და აპა, ქალაქში ერთმა ცოდვილმა ქალმა, როცა გაიგო — ფარისევლის სახლში ზისო, ალაბასტრის ჭურჭლით მოიტანა ნელსაცხებელი, ფერხით დაუკრა უკნიდან, ტიროდა, ცრემლით ულტობდა ფეხებს და თმით უმშრალებდა, უკნიდან ფეხებს და ნელსაცხებელს სცხებდა.

ამის შემყურე ფარისეველმა, მისმა (იესოს) მასპინძელმა, გულში თქვა: ეს რაი წინასწარმეტყველი იყოს, ხომ მიხვდებოდა, ვინ ეხება, ან რანაირი ქალი ეხება ვინაიდან ცოდვილიაო.

ხოლო იესომ მიუგო და უთხრა მას: სიმონ, სიტყვა მაქვს შენთვის სათქმელად და მან უთხრა: მოძღვარო, ბრძანე.

ერთ მევალეს ორი მოვალე ჰყავდა: ერთს ხუთასი დინარი ემართა მისი მეორეს — ორმოცდაათი.

მაგრამ რაკი გადახდის თავი არ ჰქონდათ, ორივეს აპატია. ახლა მითხარი — რომელს უფრო ეყვარება იგი?

სიმონმა მიუგო: ჩემის აზრით, იმას, ვისაც მეტი აპატია. ხოლო მან (იესომ) თქვა: მართლად განსაჯე.

მიუბრუნდა ქალს, და უთხრა სიმონს: მე შემოვედი შენს სახლში, და ფეხსაბანი წყალიც არ მომეცი, ხოლო ამან ცრემლით დამილტო ფეხები და თავისი თმით შემიმშრადა.

შენ ერთხელაც არ მეამბორე, ხოლო ეს, აქ შემოსვლის შემდეგ, განუწყვეტლად მიკოცნის ფეხებს.

შენ ზეთიც არ მცხე თავზე, ხოლო ამან ფეხებზე მცხო ნელსაცხებელი.

ამიტომ გეუბნები შენ: მიეტევა ამას დიდძალი ცოდვა, ვინაიდან დიდია მისი სიყვარული. ხოლო ვისაც მცირედი მიეტევება, მცირეა მისი სიყვარული.

ქალს კი უთხრა: მოგეტევა შენი ცოდვანი... შენმა რწმენამ გიხსნა შენ, წაღმშვიდობით“ (ლუკ. 7,36-50).

როგორც ვხედავთ, მაცხოვარი არც ფარისევლის სახლში შესვლაზე ამის უარს, არც ცოდვილი ქალის მხრივ მის თაყვანისცემაზე. სწორედ ამით აღსარულებს თავის მისიას — ცოდვილთა სინანულად მოქცევას, მათს გულეში ღვთისადმი რწმენის გაღვივებას, ვინაიდან ცოდვათა მონანიებამ, რწმენამ და სიყვარულმა უნდა იხსნას მათი სულელები. ცოდვილ ადამიანებთან ყოფნა, მათთან ურთიერთობის იოტისოდენადაც არ ბღალავს თავად მაცხოვარის ცოდვათაგან მიუხეებელ, ღვთაებრივ სიწმინდეს. სწორედ ეს შეახსენა მან ფარისევლებს აქ წარმოდგენილ ვაჭარს.

ზოდამდე სულ ცოტა ხნის წინ:

„მოვიდა იოანე ნათლისმცემელი: არც პურს ჭამს და არც ღვინოს სვამს, და ამბობთ: ესმაკი ჰყავსო.“

მოვიდა ძე კაცისა: კიდევ ჭამს და კიდევ სვამს; და ამბობთ: აჰა, კაცი მჭამელი და ღვინის მსმელი, მებაჟეთა და ცოდვილთა მეგობარიო“ (ლუკ. 7,33-34).

ზემოთ წარმოდგენილ ეპიზოდში ყურადღება განსაკუთრებით იმას მივაპყროთ, რომ დიდად ცოდვილ ქალს სწორედ მისი დიდი სიყვარულისა და რწმენის გამო მიუტევა უფალმა ცოდვები.

იმასაც მივაპყროთ ყურადღება, რომ იესომ მყისვე შეიცნო ის, რაც მისმა მასპინძელმა, ფარისეველმა, მხოლოდ გულში გაიფიქრა (თქმით ხომ ერთი სიტყვაც არ უთქვამს) — ეს რომ წინასწარმეტყველი იყოს, ხომ მიხვდებოდა, რაოდენ ცოდვილი ქალი ეხებო.

მსგავსი შემთხვევები, როდესაც მაცხოვარი დაუბრკოლებლად კითხულობს სხვათა აზრებს, აგრეთვე როდესაც წინასწარვე, ამბის გაგებადღე იცის ამა თუ იმ ადამიანის ცხოვრების მთელი ასავალ-დასავალი, სახარებებში სხვაგანაც არაერთ-ხელ არის მოხსენიებული. ეს ფაქტები, რაღა თქმა უნდა, მისი ღვთაებრივი ბუნების დამადასტურებელია (ვისაც მეექვსე კლასის სახელმძღვანელო კარგად აქვს ნასწავლი, ამასთან დაკავშირებით უეჭველად გაახსენდება, როგორ მიხვდნენ აბრაამის ღვთაებრივი სტუმრები, თუ რა გაიფიქრა გულში მათგან მოფარებულად მდგარმა სარამ).

აქ გავეცნოთ სხვათა ნაფიქრის ცოდნის კიდევ ერთ შემთხვევას. ტექსტი ამოვწეროთ ლუკა მახარებელის და მარკოზ მახარებელის სახარებებიდან:

„ერთ დღეს იესო ასწავლიდა ხალხს. და ისხდნენ იქ გალილეისა და იუდეის ყოველი კუთხიდან და იერუსალიემიდან ჩამოსული ფარისეველნი და რჯულის მოძღვარნი.“

და აჰა, რამდენიმე კაცმა სარეცელით მოიყვანა დავრდომილი, და ცდილობდნენ შინ შესულიყვნენ და მის (იესოს) წინაშე დაედოთ იგი.

და რაკი ხალხის სიმრავლის გამო ვერ შეძლეს მასთან მისვლა, სახურავი ახადეს სახლს, სადაც ის იყო, ჩაამტვრიეს და ჩაუშვეს სარეცელი, რომელზეც დავრდომილი იწვა.

მათი რწმენა რომ იხილა, იესომ უთხრა დავრდომილს: შვილო, მოგეტევოს შენი ცოდვანი.

იჯდა იქ ზოგიერთი მწიგნობარი და გულში ამბობდა: ამას რას ამბობს?

ღმერთს გმობს! ვის შეუძლია ცოდვათა მიტევება, გარდა ერთის – ღმერთისა?

ხოლო იესომ მყისვე გულისხმავო, რასაც ფიქრობდნენ ისინი, და უთხრა მათ: რად ფიქრობთ მაგას თქვენს გულში?

რა უფრო ადვილია – ამის თქმა დამბლადაცემულის მიმართ: მოგეტევოს შენი ცოდვანი, თუ ამისა: აღდეგ, აილე შენი სარეცელი და წადი?

მაგრამ რათა თქვენ იცოდეთ, რომ ძეს კაცისას ძალა შესწევს ამ ქვეყნად ცოდვათა მიტევებისა, – უთხრა დავრდომილს:

შენ გეუბნები, აღდეგ, აილე შენი სარეცელი და წადი შენს სახლში.

ისიც მაშინვე აღდგა, აილო თავისი სარეცელი და გამოვიდა ყველას წინაშე (ლუკ. 5,17-18, მარკ. 2,4-12).

აქ ჩვენ გავეცანით იესო ქრისტეს კიდევ ერთ სასწაულს. როგორც უკვე ითქვა, მაცხოვარის სასწაულთა შესახებ ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ. ამჯერად წინასწარ ის აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ მის მიერ მოხდენილი საკვირველი სასწაულები ხალხზე დიდ ზეგავლენას ახდენდა და მათში ნერგავდა იმის რწმენას, რომ მათ შორის იყო ღვთაებრივი ძალის მქონე პიროვნება, რომელსაც ზელეწიფებოდა ბუნების სტიქიონთა და ძალთა დამორჩილება. ამგვარსავე რწმენას უნერგავდნენ მათ მაცხოვარის ქადაგებანი და საუბრები, რომლებიც ასევე გამოიჩინებდნენ ღვთაებრივი მადლით, უღრმესი სიბრძნით და ჭეშმარიტებით. ამიტომაც არის ნათქვამი სახარებაში მთასა ზედა ქადაგების დამაგვირგვინებლად:

„და როცა დაასრულა იესომ სიტყვა, უკვირდა ხალხს მისი მოძღვრება. ვინაიდან ის ასწავლიდა მათ, როგორც ძალმოსილი, და არა როგორც მათი მწიგნობარნი და ფარისეველნი“ (მათ. 7,28-29).

ამას ზედ ერთვოდა, როგორც ზემოთაც ვნახეთ, მაცხოვარის მიერ თვალთმაქცთა ნიადაგ მხილება, ცოცხალ, მოქმედ რწმენას მოკლებული, მარტოოდენ გარეგნულ, ფორმალურ წესებს დამყარებული ცხოვრების მათეული წესის უარყოფა. ამგვარ თვალთმაქცებს მაცხოვარი პირშიაც ამხილებდა და აგრეთვე ხალხსაც და თავის მოწაფეებსაც გამუდმებით ამნაირად მოძღვრავდა:

„ფარისეველებმა და სადუკეველებმა უარყვეს ღმერთის ნება...“ (ლუკ. 7,30).

„თუკი თქვენი სიმართლე არ აღემატება მწიგნობართა და ფარისეველთა სიმართლეს, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში“ (მათ. 5,20).

ყოველივე ამის გამო მწიგნობარნიც, ფარისეველნიც, სადუკეველნიც, მღვდელმთავრებიც იესო ქრისტეს დაუძინებელ მტრებად იქცნენ. სახარებებში არაერთხელ არის აღნიშნული, როგორ ეძებდნენ ისინი ხერხს, საშუალებას, რათა დაეღუპათ

იესო. ეს ზემოთაც ვნახეთ, მათეს სახარების მეთორმეტე თავის მეთოთხმეტე მუხლს რომ გავეცანით. სხვა ადგილებსაც ჩავეხედოთ:

„იყო (იესო) იქ, და ყოველდღე ასწავლიდა ტაძარში. ხოლო მღვდელმთავრებს, მწიგნობრებს და ერისმთავრებს მისი დაღუპვა სურდათ“ (ლუკ. 19,47).

„მღვდელმთავრები და მწიგნობრები ეძებდნენ ხერხს, როგორ შეეპყროთ მზაკვრობით და მოეკლათ იგი“ (მარკ. 14,1).

„გაიგონეს ეს მწიგნობრებმა და მღვდელმთავრებმა, და ეძებდნენ ხერხს მის დასაღუპად, რადგანაც ეშინოდათ მისი, ვინაიდან მთელ ხალხს უკვირდა მისი მოძღვრება“ (მარკ. 11,18).

„ამას რომ ეუბნებოდა (იესო) მათ, მწიგნობრებმა და ფარისეველებმა გააფთრებით შეუტოეს, კითხვებს აყრიდნენ და აიძულებდნენ ეპასუხა, რათა მახე დაეგოთ, რაიმე დაეცდნენებინათ და, ამრიგად, ბრალი დაედოთ მისთვის“ (ლუკ. 11,53-54).

ეს უკანასკნელი ციტატა იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ მიგვანიშნებს იესო ქრისტეს დაუძინებელი მტრების ერთ ხერხს: ისინი სხვადასხვაგვარ ვერაგულ კითხვებს უსვამდნენ იესოს, რათა საღვთო რჯულის, საერთოდ, სარწმუნოების შესახებ რაიმე ისეთი ეთქმევინებინათ მისთვის, რაც ხალხის აღშფოთებას გამოიწვევდა. საგულისხმო ის არის, რამდენჯერაც სცადეს ამგვარი რამ, იმდენჯერვე ხელი მოეცარათ. მაცხოვარი იმდენად ბრძნულად უპასუხებდა მათს შეკითხვებს, რომ მის მტრებს სათქმელი აღარაფერი რჩებოდათ და შერცხვენილნი და თავლაფდასხმულნი მიიძურწებოდნენ.


მაშინ იესოს მტრებმა სხვაგვარ ხერხს მიმართეს, იმას შეეცადნენ, პოლიტიკური საკითხის მომარჯვებით დაეღუპათ იგი. ეს ეპიზოდი და ვერაგულ შეკითხვასთან დაკავშირებული პასუხი მაცხოვარისა საყოველთაოდ არის ცნობილი. ჩვენც უეჭველად უნდა ვიცოდეთ:

„ფარისეველები წავიდნენ და მოითათობირეს, როგორ დაეჭირათ (იესო) სიტყვაზე.“

და მიუგზავნეს თავიანთი მოწაფეები ჰეროდელებთან ერთად, და უთხრეს: მოძღვარო, ვიცით, რომ მართალი ხარ, და სიმართლით გვასწავლი ღმერთის გზასაც, და არც არავის არჩევ, ვინაიდან არ უყურებ სახეს კაცისას.

მაშ გვითხარი: როგორ გგონია, გგმართებს თუ არა, ხარკი ვაძლიოთ კეისარს? ხოლო იესო მიუხვდა მათ მზაკვრობას და უთხრა: რატომ მაცდუნებთ, თვალთმაქცნო?

მიჩვენეთ ფული, რომლითაც იხდით ხარკს. და მიართვეს მას დინარი.



და უთხრა მათ: ვისია ეს ხატი და წარწერა?

მიუგეს მას: კეისრისა.

მაშინ უთხრა მათ: მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს – ღმერთისა. ეს რომ გაიგონეს, განცვიფრდნენ ისინი, მიატოვეს ის და წავიდნენ“ (მათ. 22,15-22).

ეს ეპიზოდი კარგად რომ გავიგოთ, ზოგიერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ. მეექვსე კლასის სახელმძღვანელოდან აღბათ გვახსოვს, რომ ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, 63 წელს, იუდეაც და მთელი პალესტინაც რომაელებმა დაიპყრეს და თავიანთ პროვინციად აქციეს. ამ დროიდანვე დაწყდა ადგილობრივ მცხოვრებთაგან რომისთვის ხარკის გადახდა. ამ ხარკს ებრაელები მტკივნეულად განიცდიდნენ – გარდა მატერიალური მხარისა, მათი ეროვნულ თავმოყვარეობა დიდად იყო შელახული იმით, რომ წარმართებისთვის უნდა ეხდათ ხარკი. ამასთან დაკავშირებით იუდეაში მღელვარებაც ხდებოდა ხოლმე ევითარება დაძაბული იყო.

აი, სწორედ ამით ისარგებლეს იესოს მტრებმა და ის მზაკვრული შეკითხვა დაუსვეს: როგორ გგონია, გემართებს თუ არა, რომ კეისარს (ანუ რომის იმპერატორს) ხარკი ვაძლიოთო?


თუკი იესო უპასუხებდა – არ უნდა აძლიოთო, მას მაშინვე რომის წინააღმდეგ ამბოხების წამომწყობად დასახავდნენ და რომაელი მოხელეების მსხვერპლი გახდებოდა.

თუ უპასუხებდა – უნდა აძლიოთო, მაშინ მას ერის მოღალატედ გამოაცხადებდნენ და მის წინააღმდეგ განეწყობოდა და ამხედრდებოდა მთელი ერი, რომელსაც რომაელებისთვის ანუ კეისრისთვის ხარკის გადახდა დიდად სათაკილოდ შეურაცხმყოფელად და საკუთარი ღირსების შემლახველად მიაჩნდა.

მაგრამ იესომ იცოდა მათი მზაკვრული ჩანაფიქრი და ღვთაებრივად მარტო და თან ბრძნული პასუხი გასცა: მიეცით კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს – ღმერთისაო (სწორედ იესოს ეს სიტყვებია საყოველთაოდ ცნობილი).

ამ პასუხამდე, როგორც ტექსტში წავიკითხეთ, იესომ მოითხოვა შეკითხვადამსმელებს ეჩვენებინათ ის ფული, დინარი, რომლითაც კეისარს ხარკს უხდიდნენ. იმ დინარზე გამოსახული იყო კეისრის პორტრეტი და მისივე წარწერა (როგორც საერთოდ არის ხოლმე გამოსახული ფულზე მისი გამომშვები სახელმწიფონიშნები).

მაშასადამე, იესოს პასუხი შემდეგს გულისხმობდა: რაკი თქვენივე უღმერთისა



კეისრის ღინარი.
მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელი ფერმწერის ტიციანის ნახატი.

გამო ისეთ დღეში ჩაცვივდით, რომ დამპყრობელთა მორჩილნი შეიქენით და მათ მიერ მოჭრილ ფულს ხმარობთ, კიდევ უნდა დაემორჩილოთ კეისარს, მისივე ფულს მიაგოთ ხარკად, მაგრამ უმთავრესია ღმერთის მორჩილება და მსახურება. კეისარის მორჩილება ვერ დაგაბრკოლებთ ღმერთის მსახურებაში ანუ საუფლო მცნებაში აღსრულებასა და მართალი ცხოვრებით ცხოვრებაში, ამიტომ რაც კეისარის არის, კეისარსავე მიეცით, ხოლო რაც ღვთისაა (სულიერი ცხოვრება) — ღმერთსო.

როგორც ვხედავთ, იესოს მტრებს ამჯერადაც მოეცარათ ხელი და გაწბილდნენ. ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავდა, რომ მათს გულში დაგუბებული ბოღმა და მტრობა მაცხოვარის მიმართ ოდნავ მაინც დაცხრებოდა. პირიქით, რაც დრო გადიოდა, ისინი მეტი და მეტი სიძულვილით იმსჯვალებოდნენ და საბოლოოდ მიაღწიეს კიდევ თავისას — იესო ქრისტეს წინააღმდეგ აამხედრეს ხალხს ნაწილი. ამის თაობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

მსახურება

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ იესო ქრისტეს მიერ ნათქვამი სიტყვები: „ბეკატისა იმისთვის კი არ მოსულა, რომ სხვები იმსახუროს, არამედ — რათა სხვებს იმსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსახსნელად“ (მათ. 20,28).

როგორც გვახსოვს, მაცხოვარის ნათლისღების დღეს განცხადების დღეც ეწოდება, რადგან ამ დღეს ქვეყნიერებას ერთარსება ღმერთის სამგვამოვნება განეცხადა და რადგანაც ამ დღეს გამოეცხადა ქვეყანას, ხალხს იესო ქრისტე, ვითარცა ღმერთკაცი. ამიტომ არის, რომ უფლის ნათლისღების მომდევნო ხანას განცხადებული მოღვაწეობის წლებს ანუ მსახურების წლებსაც უწოდებენ.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ იესო ქრისტეს ოჯახი გალილეის ქალაქ ნაზარეთში ცხოვრობდა. აღვიდგინოთ ზემოთ უკვე ნასწავლი: გალილეა ეწოდებოდა ძველი ქანანის, მერმინდელი პალესტინის ჩრდილოეთ მხარეს, ხმელთაშუა ზღვასა და გალილეის (იგივე გენესარეთის, იგივე ტიბერიადის) ზღვას თუ ტბას შორის მოქცეულს. მაცხოვარის განცხადებული მოღვაწეობის ანუ მსახურების დასაწყისი ხანა სწორედ გალილეის მხარეს, ამ მხარეში მდებარე ქალაქებსა და სოფლებს უკავშირდებოდა.

„და დადიოდა იესო მთელს გალილეაში, და ასწავლიდა მათს სინაგოგებში, ქადაგებდა სახარებას სასუფეველისას, და კურნავდა ყოველგვარ სენსა და ყოველგვარ უძღურებას ხალხში.“

და მოედო მისი ამავე მთელს სირიას, და მოჰყავდათ მასთან უძღურნი, სხვადასხვა სენითა და ჭირით სნეულნი, ეშმაკეულნი, მთვარეულნი და დავრდომილნი, და კურნავდა მათ.

და მისდევდა მას დიდძალი ხალხი გალილეიდან და ათქალაქიდან, იერუსალემიდან, იუდეიდან და იორდანეს გაღმიდან“ (მათ. 4,23-25).

გალილეის მხარესვე უკავშირდება იესო ქრისტეს მიერ აღსრულებული პირველი სასწაული — წყლის ღვინოდ გადაქცევა, რომელიც ყოველ ქრისტიანს კარგად ახსოვს. უფრო თუ დავაზუსტებთ, ასე უნდა ვთქვათ: პირველი სასწაული უფალმა მოახდინა გალილეის კანაში. კანა იყო იესოს მშობლიური ნაზარეთიდან სულ ახლოს, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, გალილეის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ქალაქი. სასწაული — წყლის ღვინოდ გადაქცევა — ქორწილში აღსრულდა,

ამიტომ ყოველდღიურ საუბარში კანას ქორწილად მოიხსენიება ხოლმე. კანას ქორწილში იესო ქრისტე, ღვთისმშობელი მარიამი და იესოს მოწავეები იყვნენ მიწვეულნი.

ისე მოხდა, რომ ქორწილში ღვინო შემოაკლდათ. ღვინოში ღვინის შემოკლება მოგეხსენებათ, ოჯახის სირცხვილად ითვლება. მაშინ იესოს დედამ ეს ამბავი შეიღწა და, რაკი იცოდა, როგორ ძლიერ უყვარდა იესოს ყოველი ადამიანი, როგორ უმურველად ეხმარებოდა ყველას, იქ მყოფ მსახურს უბრძანა — რასაც იესო გეტყვით, აღასრულეთო. იქვე ექვსი დიდი ქვის კასრი იდგა. იესოს ბრძანებით მსახურებმა ის კასრები წყლით გაავსეს და უფლის ნებით წყალი ღვინოდ იქცა. როცა ამოიღეს და სუფრის უფალს მიართვეს, მან გემო გაუსინჯა, მერე საუბარით თავისთან მიიხმო და უთხრა: ყოველი მასპინძელი სუფრაზე ჯერ უმჯობეს ღვინოს ჩამოდგამს და სტუმრები რომ შეთვრებიან, შემდეგ უარეს ღვინოსაც მიაწვდის, შენ კი საუკეთესო ღვინო ბოლოსთვის შემოვიჩინავენო.

„ასე დაუდო დასაბამი იესომ სასწაულებს გალილეის კანაში, და გამოავლინა ღვინო თავისი“ (იოან. 2,1-11).

ამ ამბის შემდეგ იესომ დატოვა თავისი მშობლიური ნაზარეთი და ქალაქ კაპერნაუმში დასახლდა. ეს ქალაქი, გალილეის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირზე გაშენებული, იესოს საყვარელ სამყოფელად იქცა. აქედან მიმოვიდოდა იესო გალილეის სოფლებსა და ქალაქებში, ქადაგებდა, მოძღვრავდა, ასწავლიდა და მრავალ კურნავდა. სწორედ კაპერნაუმში განკურნა იესომ ის დავრომომილი კაცი, რომელიც ამბავსაც წინა თავში გავეცანით (ხალხის სიმრავლის გამო რომ ვერ მიაღწიეს იესომდე, სახლის სახურავი რომ ახადეს და იქიდან ჩაუშვეს სნეული).

გალილეის მხარესთან არის დაკავშირებული მთასა ზედა ქადაგება, რომელიც საც ზემოთ მთელი თავი მიედგნა, აგრეთვე ხელგამხმარი კაცის შაბათ დღე განკურნება, რასაც აგრეთვე გავეცანით წინა თავში.

ახლა რამდენიმე სასწაულისა და სასწაულებრივი განკურნების ამბავი კვლავ ვთქვათ.

მთასა ზედა ქადაგების შემდეგ იესო კაპერნაუმში რომ დაბრუნდა, მასთან მივიდა ერთი ასისთავი, რომაელთა ლაშქარის მხედარი, და ვედრებით უთხრა უფალს, დავრომომილი მსახური მიწვევს სახლში და სასტიკად იტანჯებაო. მოგონდა და განკურნავო, — მიუგო იესომ. ამის პასუხად ასისთავმა უთხრა: უფალო, რა ცოდვილი, არ ვარ იმის ღირსი, რომ ჩემს სახლში შემობრძანდე, შენ მხოლოდ სიტყვა ბრძანე და ჩემი მსახური განიკურნებაო. ეს რომ მოისმინა, იესომ თავის



კანას ქორწილი.
მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელი ფერმწერის
პაოლო ვერონეზეს ნახატი.

თანმზღებთ უთხრა: ჭეშმარიტად გეუბნებით — ამნაირ რწმენას ისრაელშიც შევხვედრივარო. „ამასაც გეუბნებით თქვენ: მრავალნი მოვლენ აღმოსავლეთით და დასავლეთით, და აბრაამთან, ისაკთან და იაკობთან ერთად ინახად დასხდებიან ცათა სასუფეველში... და უთხრა ასისთავს: წადი და შენი რწმენისამებრ მოგვეგოს შენ. და განიკურნა ასისთავის მსახური იმავე წამს“ (მათ. 8,5-13).

აქ ორ რასმე უნდა მივაპყროთ განსაკუთრებული ყურადღება.

ზემოთაც ვნახეთ, რომ ადამიანის ცხოვრებაში იესო ქრისტე მტკიცე, შეუწყველ რწმენას ანიჭებდა უპირველეს მნიშვნელობას.

გავიხსენოთ, რა უთხრა მან თავის მოწაფეებს: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ თუ ვინმე ეტყვის ამ მთას — აღმოიფხვერი და ზღვაში ჩავარდიო, და არ შეეჭვავს თავის გულში, არამედ იწამებს, რომ მისი სიტყვისამებრ მოხდება, — იქნება ის რასაც იტყვის“.

ისიც გავიხსენოთ, ზღვაზე ფეხით მომავალი მოძღვარის დანახვისას პეტრემაც რომ მოიწაფინა ფეხით გაეგლო წყალზე, მაგრამ შეეჭვდა, რწმენა შეერყა და ჩაძირვა იწყო. მცირედ მორწმუნეო, რამ შეგაეჭვა? — უთხრა მაშინ იესომ თავის მოწაფეს.

„შენმა რწმენამ გიხსნა შენ, წადი მშვიდობით“, — ასე მიმართა, როგორც წინ თავშია მოთხრობილი, ფარისეველის სახლში სტუმრად მყოფმა მაცხოვარმა ცოცხალ ქალს, რომელიც ტირილით უკოცნიდა ფეხებს.

და, აი, აქაც მსგავსი ვითარებაა: ასისთავს აქვს მტკიცე რწმენა უფლის სახეებით გულდაჯერებულია, რომ მაცხოვარის ერთი სიტყვა საკმარისა მის მსახურის განსაკურნავად. ამიტომ ეუბნება იესო: წადი და შენი რწმენისამებრ მოგვეგოსო. და ამიტომ განიკურნა ამის თქმისთანავე ასისთავის მსახური.

მეორე, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ, ის არის, რომ მაცხოვარის სიტყვათა თანახმად, ცათა სასუფეველის მოძღვრება მხოლოდ ახალხის კუთვნილება კი არ არის, ვისაც გამოეცხადა იესო ქრისტე (ესე იფიქრებრავლებისა), არამედ ეს არის მთელი კაცობრიობისთვის განკუთვნილი მოძღვრება. ხსნას მიიღებს ყველა, ცათა სასუფეველს დაიმკვიდრებს ყველა, ვინც კაცობრიობის მოძღვრების თანახმად იცხოვრებს, სულერთია, ებრაელი იქნება ის, თუ წარმართი ანუ, კვლავ რომ გავიმეოროთ იესო ქრისტეს ნათქვამი, „მრავალნი მოვლენ აღმოსავლეთით და დასავლეთით... და ინახად დასხდებიან ცათა სასუფეველში“.

ამ აზრს სხვაგანაც არაერთხელ ადასტურებს მაცხოვარი.

ერთ-ერთი მოძღვენო სასწაული ასევე რწმენას უკავშირდება.

„და კვლავ მივიდა (იესო) გალილეის კანაში, სადაც ღვინოდ აქცია წყალი“ და იყო იქ ერთი კარისკაცი, ვისაც ძე ავად განხლოდა კაპერნაუმში.

გაეგონა – იესო მოსულა იუდეიდან გალილეაშიო, და მივიდა და ევედრებოდა მას, რათა ჩასულიყო და განეკურნა მისი ძე, რომელიც სიკვდილის პირას იყო.

უთხრა მას იესომ: თუ არ იხილავთ სასწაულებსა და ნიშნებს, არ ირწმუნებთ. კარისკაცმა მიუგო მას: უფალო, მოდი, სანამ არ მომკვდარა ჩემი ძე!

უთხრა მას იესომ: წადი, შენი ძე ცოცხალია. და ერწმუნა კაცი სიტყვას, რომელიც უთხრა იესომ, და წავიდა.

და როცა შინ ბრუნდებოდა, მსახურები შეეგებნენ და უთხრეს: შენი ძე ცოცხალიაო.

გამოიკითხა მათგან – რომელ საათზე მოიკეთაო, და უთხრეს მას: გუშინ შეიქმნა საათზე გაუარა ცხელებამ.

მიხვდა მამა, რომ ეს იყო სწორედ ის საათი, როცა იესომ უთხრა – შენი ძე ცოცხალია“ (იოან. 4,46-53).

ერთ-ერთი მომდევნო სასწაული ქალაქ ნაინში აღასრულა იესომ. ეს ქალაქი გალილეაში მდებარეობდა, ამ მხარის შუა ნაწილში, კანას სამხრეთით.

„და მოხდა ისე, რომ ამის შემდეგ იესო წავიდა ქალაქში, რომელსაც ჰქვია ნაინი, და თან ახლდნენ მისი მოწაფეები და დიდძალი ხალხი.

და როცა ქალაქის ბჭეს მიუახლოვდა, აჰა, გამოასვენეს მკვდარი, დედისერთა ჭაბუკი, ხოლო დედამისი ქვრივი იყო, და დიდძალი ხალხი მოაცილებდა ქალაქიდან.

ქალი რომ დაინახა, უფალს შეებრაღა იგი, და უთხრა მას: ნუ სტყირი.

მივიდა და შეეხო კუბოს, ხოლო ისინი, ვისაც კუბო მოჰქონდა, შედგნენ. და თქვა: ჭაბუკო, შენ გეუბნები, აღდეგ!

მკვდარი წამოიჯდა და ალაპარაკდა. და მისცა იგი დედამისს.


ყველანი შიშმა მოიცვა, აღიღებდნენ ღმერთს და ამბობდნენ: დიდი წინასწარმეტყველი წარმოსდგა ჩვენს შორის, და მოიხილა ღმერთმა თავისი ხალხი.

და მოედო ეს ამბავი მთელს იუდეას, და მთელს არემარეს“ (ლუკ. 7,11-17).

კიდევ ერთი სასწაულის ამბავი წავიკითხოთ:

„და როცა იესო კვლავ გამოვიდა ნავით გამოდმა მხარეს, დიდძალი ხალხი შეგროვდა მასთან. და იყო იგი ზღვის პირას.

და აჰა, მივიდა მასთან სინაგოგის ერთი წინამძღვართაგანი, სახელად იაიროს, და დანახვისთანავე ფეხებში ჩაუვარდა მას, გულმხურვალედ შეევედრა და უთხრა:



ჩემი ასული სიკვდილის პირასაა, მოდი, ხელი დაადე მას, რათა, მორჩეს იცოცხლოს.

ისიც წაჰყვა. და მისდევდა დიდძალი ხალხი და აწყდებოდნენ მას.

და ერთმა ქალმა, რომელიც თორმეტ წელიწადს სისხლის დენით იტანჯებოდა და ბევრი რამ დაეთმინა მრავალი მკურნალის ხელში, და დაეხარჯა ყველაფერი, რაც ებადა, მაგრამ არაფერში წასდგომოდა და, პირიქით, უარესად შექნილიყო, იესოს ამბავი რომ გაიგო, ზურგიდან მიუახლოვდა ბრბოში და მის სამოსს შეეხო. ვინაიდან გულში ამბობდა: თუნდაც მის სამოსს რომ შევეხო, მეშველებათ და შეხებისთანავე შეუწყდა სისხლის დენა, და ტანმა უგრძნო, რომ განიკურნებოდა. სწეულებისაგან.

მაგრამ მაშინვე იესომ თავადაც იგრძნო, რომ ძალა გავიდა მისგან, მიუბრუნდა ხალხს და იკითხა: ვინ შეეხო ჩემს სამოსს?

ხოლო მოწაფეებმა უთხრეს: ხომ ხედავ, ხალხი გაწყდება, და შენ კითხულობ — ვინ შეეხო?

მან კი მოიხედა, რათა დაენახა, ვინ ქნა ეს.

მაშინ ქალი, რომელიც მიხვდა, რაც დაემართა, შიშის კანკალით მიუახლოვდა მის წინაშე დაემხო და მთელი სიმართლე მოახსენა.

ხოლო იესომ უთხრა მას: ასულო, შენმა რწმენამ გადაგარჩინა, წადი მშობლობით, დახსნილ იყავი შენი სატანჯველისგან.

ამას რომ ამბობდა, სინაგოგის წინამძღვართან მივიდნენ და უთხრეს: შენ ასული აღესრულა, რატომღა აწუხებ მოძღვარს?

ხოლო იესომ ამ სიტყვების გაგონებისთანავე უთხრა სინაგოგის წინამძღვარს: ნუ გეშინია, შენ მხოლოდ გწამდეს.

და მივიდა სინაგოგის წინამძღვრის სახლში, და იხილა შფოთი, მოტირანდ და მოზარენი.

შევიდა და უთხრა მათ: რატომ შფოთავთ და მოთქვამთ? ბავშვი კი ამ მომკვდარა, არამედ სძინავს.

ხოლო ისინი დასცინოდნენ მას. მან კი გარეთ გამოასხა ყველანი, შეფარდებულ მხოლოდ ბავშვის დედ-მამა, და შევიდა, სადაც გოგონა იწვა.

ხელი მოჰკიდა და უთხრა მას: პატარავ, აღდეგ!

გოგონაც მაშინვე აღდგა და სიარულს მოჰყვა. ხოლო ის თორმეტი წელი იყო. და განცვიფრდნენ დიდად“ (მარკ. 5,21-42).

ამჯერად აქაც ორ რასზე მივაპყროთ ყურადღება.

პირველი ისევ რწმენას უკავშირდება. იესო განკურნებულ ქალსაც ამას უბნება — შენმა რწმენამ გადაგარჩინაო, და სინაგოგის წინამძღვარსაც, ბავშვის მამას — ნუ გეშინია, შენ მხოლოდ გწამდესო.

ახლა კვლავ წავიკითხოთ, რა უთხრა იესომ გოგონას ოთახში მოტირალ-მოზარე ხალხს: „რატომ შფოთავთ და მოსთქვამთ? ბავშვი კი არ მომკვდარა, არამედ სძინავს“. ხომ არაფერს გვაგონებს ეს სიტყვები? რაღა თქმა უნდა, მოგვაგონებს აკაკი წერეთლის მშვენიერ ლექსს „ავადმყოფი“, რომლის პირველი ორი სტრიქონი ასე იკითხება: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“. აქ ისღა დავსძინოთ, რომ ეს არის ალეგორიული ლექსი, ავადმყოფის სახით აკაკი წერეთელს წარმოდგენილი ჰყავს საქართველო და მტკიცედ სწამს, რომ მისი სამშობლო კი არ მომკვდარა, არამედ სძინავს და ღვთის შეწევნით კვლავაც გაიღვიძებს, გაცოცხლდება.

ესეც ერთი ჩინებული ნიმუშია იმისა, თუ რაოდენ ხშირად მიმართავდნენ დიდი ქართველი მწერლები „ბიბლიას“, ვითარცა სულიერი ცხოვრების უშრეტ წყაროს. საკუთრივ აკაკი წერეთლის მიერ „ბიბლიასთან“ ამგვარ დამოკიდებულებას ჩვენ მეექვსე კლასის სახელმძღვანელოშიც გავეცანით, როდესაც ვნახეთ, რომ აკაკის ცნობილი სტრიქონები — „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები“ სწორედ „ბიბლიიდან“ არის მოხმობილი.

ზემოთ მოთხრობილთა გარდა კიდევ მრავალი სასწაული აღასრულა იესო ქრისტემ. ამ სახელმძღვანელოში ყოველ მათგანს, რაღა თქმა უნდა, ვერ შევეხებით, თლონდ ზოგიერთი სასწაულის შესახებ ქვემოთაც ვისაუბრებთ.



ამჯერად ის ვთქვათ, რომ იესო ქრისტეს მოღვაწეობა და მსახურება გალილეის მხარეში მიმოსვლით არ შემოფარგლულა. თითქმის მთელი ქანაანის ქვეყანა, მერმინდელი პალესტინა, ფეხით ჰქონდა მოვლილი, ქადაგებდა, მოძღვრავდა, ასწავლიდა, ხალხს კურნავდა კაპერნაუმის მეზობელ ქალაქებში — ქორაზინსა და ბეთსაიდაში, მაგდალაში, ფინიკიის ქალაქებში — ტიროსსა და სიდონში (ხმელთაშუა ზღვის პირას), სამარიის მხარეში, იერიქონში, ბეთანიაში, იერუსალიმში, იორდანეს გაღმა მიდამოებში, კიდევ მრავალ სხვა ადგილას. მას მუდამ თან ახლდნენ მოწაფეები და, გარდა ამისა, მისი საღმრთო მოძღვრების მოსასმენად ყოველ ქალაქსა და სოფელში დიდძალი ხალხი იყრიდა თავს.

ერთ-ერთი მგზავრობის დროს, როდესაც იუდეიდან გალილეაში ბრუნდებოდა, მოწაფეებთან ერთად, სამარიის ქვეყანაში ქალაქ სუქართან შეჩერდა. ქალაქის სამხრეთით იყო ჭა, გადმოცემის თანახმად, იაკობის მიერ ამოთხრილი. მგზავრობით დაღლილი იესო იმ ჭასთან ჩამოჯდა. შუადღე იდგა და მოწაფეები ქალაქს წავიდნენ საზრდელის შესაძენად.

ამ დროს წყლის ამოსაღებად ჭას მოადგა სამარიელი ქალი. წყალი დამალევენო, — სთხოვა მას იესომ. ჭა ღრმა იყო და საგანგებო ჭურჭლის უქონლად წყალს ვერავინ ამოიღებდა.

მგზავრის თხოვნამ ქალი განაცვიფრა: შენ, იუდეველი, სამარიელ ქალს წყალს მთხოვო?

ქალი იმიტომ განცვიფრდა, რომ იუდეველები სამარიელებს წარმართებად მიიჩნევდნენ და მათ შორის მუდმივი მტრობა იყო ჩამოვარდნილი.

ახლა სახარების ტექსტი წავიკითხოთ:

„მიუგო იესომ და უთხრა მას: რომ იცოდე ღმერთის საბოძვარი, ან ვინ არის იგი, ვინც გუბნება — წყალი დამალევენო, თვითონვე სთხოვდი, და მოგცემდა შენ ცოცხალ წყალს.

უთხრა მას ქალმა: ბატონო, ამოსაღებიც არაფერი გაქვს, ხოლო ჭა ღრმაა. მისაიდან გაქვს ცოცხალი წყალი? ნუთუ შენ მამაჩვენ იაკობზე უმეტესი ხარ, რომელმაც მოგცა ეს ჭა და სვაშა აქედან თვითონაც, და მისი ძენიც, და მისი საქონელიც?

მიუგო იესომ და უთხრა მას: ყველას, ვინც ამ წყალს დაღვეს, კვლავ მოსწყურდება. მაგრამ ვინც დაღვეს წყალს, რომელსაც მე მივცემ, აღარასოდეს მოსწყურდება უკუნისამდე. არამედ წყალი, რომელსაც მე მივცემ, საუკუნო სიცოცხლისაკენ მიმდინარე წყლის წყაროდ იქცევა მასში.

უთხრა მას ქალმა: ბატონო, მომეცი ეგ წყალი, რათა აღარ მომწყურდეს და აღარასოდეს მოვიდე აქ ამოსაღებად.

უთხრა მას იესომ: წადი, დაუმახე შენს ქმარს და მოდი აქ.

მიუგო ქალმა და თქვა: ქმარი არ მყავს.

უთხრა მას იესომ: კარგად სთქვი, რომ ქმარი არ გყავს. ვინაიდან ხუთი ქმარი გყავდა, და ვინც ახლა გყავს, არ არის შენი ქმარი. ეს მართალი სთქვი.

უთხრა მას ქალმა: უფალო, ვხედავ, რომ წინასწარმეტყველი ხარ.

ჩვენი მამები ამ მთაზე სცემდნენ თაყვანს. თქვენ კი ამბობთ, რომ იერუსალიმში არის ადგილი, სადაც გვმართებს თაყვანისცემა.

უთხრა მას იესომ: მერწმუნე, ქალო, რომ მოვა დრო, როცა არც ამ მთაზე და არც იერუსალემში აღარ სცემთ თაყვანს მამას.

თქვენ არ იცით, რას ეთაყვანებით, ხოლო ჩვენ ვიცით, რასაც ვცემთ თაყვანს, ვინაიდან ხსნა იუდეველთაგან არის.

მაგრამ მოვა დრო, და მოვიდა კიდევ, როცა ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი თაყვანს სცემენ მამას სულითა და ჭეშმარიტებით. რადგანაც მამა სწორედ ამნაირ თაყვანისმცემლებს ეძებს.

ღმერთი სულია და მისი თაყვანისმცემელიც სულითა და ჭეშმარიტებით უნდა სცემდნენ თაყვანს.

უთხრა მას ქალმა: ვიცი, რომ მოვა მესია, რომელსაც ჰქვია ქრისტე. და როცა მოვა, გვაუწყებს ჩვენ ყოველს.

მიუგო მას იესომ: მე ვარ, შენთან მოლაპარაკე.

ქალმა დატოვა თავისი სარწყული, წავიდა ქალაქში და უთხრა ხალხს: მოდით და იხილეთ კაცი, რომელმაც მითხრა ყველაფერი, რაც მიქნია. ქრისტე ხომ არ არის იგი?

გამოვიდნენ ქალაქიდან და მივიდნენ მასთან...

და იმ ქალაქის მკვიდრმა მრავალმა სამარიელმა ირწმუნა იგი ქალის სიტყვებით, რომელიც მოწმობდა — ყველაფერი მითხრა, რაც მიქნიაო.

და როცა მივიდნენ სამარიელნი, შეევედრენ მათთან დარჩენილიყო. და დარჩა იქ ორ დღეს.

და უფრო მეტმა ირწმუნა მისი სიტყვების გამო.

ხოლო ქალს ეუბნებოდნენ: შენი სიტყვებით როდი გეწამს, ვინაიდან თავად ვისმინეთ და ვიცით, რომ ეს არის ჭეშმარიტად მაცხოვარი ქვეყნისა — ქრისტე“ (იოან. 4,5-42).

ვინც დაკვირვებით წაიკითხავს იესოსა და სამარიელი ქალის საუბარს, მიხვდება, რომ ის წყალი, რომელსაც მაცხოვარი ახსენებს, უბრალო ჭის ან წყაროს წყალი კი არ არის, არამედ ღმერთის საბოძვარი — მესიის მიერ მოტანილი ღვთაებრივი მოძღვრება. ვითარცა წყალი იხსნის მწყურვალს, ასევე იესო ქრისტეს ღვთაებრივი მოძღვრება იხსნის ადამიანს მარადიული სიკვდილისაგან და სამარადისო ნეტარ ცხოვრებას დაუშკვიდრებს, საუკუნო სიცოცხლის წყაროდ იქცევა მასში. ამიტომ უწოდებს მას იესო „ცოცხალ წყალს“.

მაგრამ მაცხოვარის სიტყვების ფარული, სულიერი მნიშვნელობა სამარიელმა ქალმა ვერ გაიგო. ეს ჩანს მისი პასუხიდან: ბატონო, მომეცი ეგ წყალი, რათა აღარ

მომწყურდეს და წყლის ამოსადებად აქ აღარ მოვიდეთ. მას ჰკონია, საუბარი რეალურ წყალს შეეხება. ამიტომ ეუბნება იესო: „წადი, დაუძახე შენს ქმარს და მოდი აქ“. ამას მოსდევს ქალის სიტყვები – ქმარი არ მყავსო, და იესოს შენიშვნა – ხუთი ქმარი გამოიცვალეო. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ იესო ქრისტემ, ვითარცა ღმერთკაცმა, ყოვლისმხილველმა, ზედმიწევნით იცოდა ყოველი ადამიანის ნაფიქრი გულისნადები და ყოველი ადამიანის ცხოვრების ასავალ-დასავალი.

მაცხოვარის მომღვეწო სიტყვები – „მოვა დრო, როცა არც ამ მთაზე და არც იერუსალემში აღარ სცემთ თაყვანს მამას“ – იმას გულისხმობს, რომ მოვა დრო, როდესაც სამარიელნიც ქრისტეს რჯულზე მოიქცევიან. ფრიად საგულისხმოა, რომ ეს სიტყვები სულ მალე, მაცხოვარის ამალღების შემდეგ აღსრულდა.


„ხსნა იუდეველთაგან არის“ იმას ნიშნავს, რომ მესიის მეშვეობით მთელი კაცობრიობა მიიღებს ხსნას, ოღონდ, წინასწარმეტყველთა ნათქვამისამებრ, ხსნა პირველად ებრაელთა შორის მოვა, რადგან მათ შორის იშვა იესო ქრისტე მართალია, ჯერჯერობით იუდეველობა არის ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია. „მაგრამ მოვა დრო, და მოვიდა კიდევ, როცა ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი თაყვანს სცემენ მამას სულითა და ჭეშმარიტებით. რადგანაც მამა სწორედ ამან თაყვანისმცემლებს ეძებს. ღმერთი სულია და მისი თაყვანისმცემელიც სულია და ჭეშმარიტებით უნდა სცემდნენ თაყვანს“. მაშასადამე, ღმერთის ჭეშმარიტი თაყვანისცემა ნიშნავს სულიერ სწრაფვას, მისკენ გულის სიწმინდით ლტოლვას და არა მხოლოდ გარეგნული პატივის მიგებას.

მომღვეწო მუხლები იმით არის განსაკუთრებით საგულისხმო, რომ იესო ადასტურებს – მე ვარო მესია, რომლის მოსვლასაც იუდეველნიც და სამარიელნიც მოელოდნენ.

კიდევ ის არის განსაკუთრებით საგულისხმო, რომ, გადმოცემის თანახმად, ქრისტესთან საუბრის შემდეგ სამარიელი ქალი მისი ღვთაებრივი მოძღვრების გულმხსურვალე მიმღევრად და გამავრცელებლად, სახარების მქადაგებლად იქცა. რის გამოც ქრისტიანობის მღვეწელებმა წამებით მოკლეს იგი. ეკლესიის კალენდარს თუ ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ 20 მარტს (ახალი სტილით – 2 აპრილს) დაწესებულია წმინდა მოწამე ფოტინეს მოხსენიების დღე. ეს არის სწორედ ის სამარიელი ქალი, ვისთანაც მაცხოვარი საუბრობდა იაკობის ჭასთან.

და ერთი კიდევ. ვინც დავით გურამიშვილის პოეზიას გაეცნობა, მის განსაკუთრებულ ყურადღებას უეჭველად მიიპყრობს მშვენიერი ლექსი „ზუბოვკა“. ეს არის ალევორიული ლექსი – პოეტი მოგვითხრობს, როგორ გაუმიჯნურდა მამა

ხიბვლელ ასულს, სინამდვილეში კი იმ ასულის სახით ქრისტე იგულისხმება (თუ გახსოვთ, მეექვსე კლასის სახელმძღვანელოში ამდაგვარი რამ ითქვა სოლომონის „ქებათა ქების“ შესახებ. მის მიერ მოთხრობილი ქალისა და ვაჟის ამბით მიწიერი სიყვარული კი არ გამოიხატება, არამედ — ღმერთისადმი ტრფიალებად). დავით გურამიშვილის ამ ლექსში უეჭველად ქრისტე და ქრისტესადმი სიყვარული რომ იგულისხმება, სხვა ნიშანთა გარდა, იქიდანაც ჩანს, რომ თავისი შეყვარებულის შესახებ პოეტი ამბობს: „უკვდავების წყალს მიბოძებს, ცხოვრებისა პურსა“. ეს სწორედ ის უკვდავების წყალია, რომელიც, როგორც ვნახეთ, მაცხოვარმა ასხენა სამარიელ ქალთან საუბრისას და რომლის ბოძებაც ერთადერთს მას შეეძლო.



ძველი ქანანის ქვეყანა, მერმინდელი პალესტინა, ებრაელი ერის ოდინდელი სამკვიდრებელი ანუ აღთქმული ქვეყანა, მთაგორიანი მხარეა, მთაგრეხილებით დასერილი. და ამ მხარის ჩრდილოეთ ნაწილში, გალილეაში, გენესარეთის ზღვისა თუ ტბის დასავლეთით, ქალაქ ნაინის ჩრდილოეთით, იესო ქრისტეს მშობლიურ ნაზარეთთან ახლოს, ერთ დაცემულ ადგილას განცალკევებით არის აღმართული თაბორის მაღალი მთა, რომელსაც პირველმა ქრისტიანებმა ფერისცვალების მთა შეარქვეს.

სიტყვა „ფერისცვალება“ ყოველ ჩვენგანს მრავალგზის სმენია, ოღონდ სხვათა შორის, ამ სიტყვას ყოველი ჩვენგანი არ წარმოთქვამს სწორად: ზოგი ამბობს — „ფერიცვალება“, ზოგიც — „ფერიცვალობა“.

ისიც სათქმელია, რომ ხალხში ალაგ-ალაგ აღარც კი ახსოვთ, რას უკავშირდება ეს სიტყვა. ფერიცვალებას ბუნება ფერს იცვლისო, — იტყვიან ხოლმე დროული კაცები, — ზაფხული ტყდება, აგრილდება, ნაფერცვალობებს ყურძენი შეითვლებაო.

სინამდვილეში ფერისცვალება ერთი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია 6 (ახალი სტილით — 19) აგვისტოს აღნიშნავს.

დღესასწაული იმას უკავშირდება, რომ ამ დღეს იცვალა ფერი ჩვენმა მაცხოვარმა იესო ქრისტემ.

„წაიყვანა იესომ პეტრე, იაკობი და მისი ძმა იოანე, და მაღალ მთაზე აიყვანა ისინი განმარტობით.

და იცვალა მათ წინაშე ფერი, და მზესავით გაბრწყინდა მისი სახე, და



ნათელივით გასჰეტაკდა მისი სამოსი.

და აჰა, მოველინენ მათ მოსე და ელია, იესოსთან მოსაუბრენი.

და უთხრა პეტრემ იესოს: უფალო, რა გვიჯობს აქ ყოფნას? თუ გნებავს, გავიკეთებთ სამ კარავს, ერთს შენ, ერთს მოსეს და ერთსაც ელიას.

სიტყვის დასრულება ვერც კი მოასწრო, რომ, აჰა, ნათელმა ღრუბელმა ჩრდილი დაბურა ისინი. და გაისმა ხმა ღრუბლით, რომელმაც თქვა: ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელშიც კეთილად გამოვჩნდი მე. მას უსმინეთ.

ეს რომ ჩაესმათ მოწაფეებს, პირქვე დაემხნენ თავზარდაცემულნი.

მაგრამ მივიდა იესო, ხელი შეახო და უთხრა მათ: აღექით, ნუ გემინიათ.

და როცა ზე აიხედეს, ვერავინ დაინახეს იესოს გარდა“ (მათ. 17,1-8).

ცოტა რამ ვთქვათ მოტანილი ტექსტის შესახებ.

აქ ნახსენები მაღალი მთა არის თაბორის მთა. ეს სიტყვა, „თაბორი“, როგორც ჩანს, საეკლესიო გადმოცემით დამკვიდრდა ქართულში. თბილისში, ბოტანიკური ბაღის თავზე, არის ძველი თაბორის ციხე, იქვე თაბორის ქედი ჩამოდის. ლეჩხუმშიც არის სოფელი თაბორი.

ახლა – უმთავრესი.

„და იცვალა (იესომ) მათ წინაშე ფერი, და მზესავით გაბრწყინდა მისი სახე და ნათელივით გასჰეტაკდა მისი სამოსი“.

„სახარების“ ავტორები (მათე, მარკოზი, ლუკა) დაწვრილებით არ აღწერენ იმას, რაც მოხდა თაბორის მთაზე, ფერისცვალებისას, მაგრამ აქ წარმოდგენილი ლაქონური ფრაზა მიგვანიშნებს, რომ უჩვეულო რამ ხდება. ღვთისმეტყველნი განგვიმარტავენ: ამ ზეციური ხილვის დროს იესო ქრისტემ მიიღო ღვთაებრივი სახე, რომელიც მის ღვთაებრივ დიდებას გამოხატავდა. ეს ჩვენება იმასაც მიანიშნებდა, თუ როგორი იქნებიან წმინდა კაცნი მომავალ, ზესთასოფლურ ცხოვრებაში, როგორია დიდება ზეციური სასუფეველისა.

ეს საკვირველი ჩვენება მაცხოვარმა თავის მოწაფეებს იმიტომ ახილვინათ დასძენენ ღვთისმეტყველნი, რათა შეეცნოთ, ვინ არის სინამდვილეში მათი მოძვარი, როგორ დიდებაში შევა ჯვარცმისა და აღდგომის შემდეგ და რა განუზღადა მან, ვითარცა ღმერთმა, იმათ, ვისაც უყვარს უფალი. ამიტომ უთხრა იესომ ფერისცვალ ბამდე ცოტა ხნით ადრე თავის მოწაფეებს: თქვენ შორის ზოგიერთი სიკვდილამდე იხილავსო ღვთის სასუფეველის დიდებას.

შემდეგ „სახარება“ გვამცნობს, რომ იქ მყოფთ მოველინენ მოსე და ელია. მოსე ვინ იყო, ჩვენ კარგად ვიცით მეექვსე კლასის სახელმძღვანელოდან – მას უკა

შირდება საღვთო რჯულის უფლისგან მიღება და კაცთათვის ბოძება. ელია იყო „ძველი აღთქმის“ ერთ-ერთი უდიდესი წინასწარმეტყველი, ღვთის კაცი, რომელიც ცოცხლად იქნა ზეცად აღყვანილი. ლუკა მახარებელი გვაუწყებს, რომ მოსე და ელია მაცხოვარს ესიტყვებოდნენ იმის შესახებ, რაც მას ელოდა იერუსალიმში — ვნებისა და ჯვარცმის შესახებ.

პეტრეს ნათქვამს — უფალო, რა გვიჯობს აქ ყოფნას, თუ გნებავს, სამ კარავს გაგიმზადებთო, — ღვთისმეტყველნი ამგვარად ხსნიან: მოწაფეები იმდენად გაოგნებულნი და ზარდაცემულნი იყვნენ ღვთაებრივი ხილვით, მომხდარის მთელი სიდიადე ჯერაც გაცნობიერებული არ ჰქონდათო. ლუკა მახარებელი ადასტურებს ამას: პეტრემ ეს თქვა, „რადგან არ იცოდა, რას ამბობდა“ (ლუკ. 9,33). მარკოზ მახარებელი კი ბრძანებს: „რადგან არ იცოდა, რა ეთქვა, ვინაიდან შეშინებულნი იყვნენ“ (მარკ. 9,6).

შემდეგ „სახარება“ გვაუწყებს: „აჰა, ნათელმა ღრუბელმა ჩრდილით დაბურა ისინი. და გაისმა ხმა ღრუბლით, რომელმაც თქვა: ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელშიც კეთილად გამოეჩნდი მე. მას უსმინეთ“.

ეს ხმა ამოწმებს, რომ იესო ქრისტე არის განკაცებული ღმერთი და რომ „მასში მკვიდრობს ღვთაების მთელი სავსება ხორციელად“ (კოლ. 2,9):

როდესაც ფერისცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ უკეთური ადამიანები იესო ქრისტეს, დამცირებულსა და შეურაცხყოფილს, ჯვარზე გააკრავენ და სამარცხვინო სიკვდილს განუმზადებენ, იქ დამსწრეთაგან მარტოოდენ მის ერთ მოწაფეს ეცოდინება, ადამიანთათვის წარმოუდგენელი როგორი ღვთაებრივი ღიდების მატარებელია ჯვარცმული ძე კაცისა.

* * *

ის, რომ იესო ქრისტე არის ძე ღვთისა და რომ მას იერუსალიმში ვნება, ჯვარცმა და შემდეგ აღდგომა მოეღის, მან წინასწარვე რამდენჯერმე განუცხადა თავის მოწაფეებსაც და იუდეველებსაც:

„იუდეველები სდევნიდნენ იესოს და ცდილობდნენ მოეკლათ იგი, ვინაიდან ამას (სასწაულებს) იქმოდა შაბათს.“

ხოლო იესო პასუხად ეუბნებოდა მათ: მამა ჩემი აქამდე იღვწის, და მეც ვიღვწი.

მით უფრო ცდილობდნენ იუდეველები მოეკლათ იესო, ვინაიდან არა მარტო

არღვევდა შაბათს, არამედ თავის მამად იტყოდა ღმერთს, და ღმერთს უტოლებდა თავს.

ხოლო იესო პასუხად ეუბნებოდა მათ: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ძეს არაფერი ხელეწიფება თავისთავად, თუ არ იხილავს მამის საქმეს, ვინაიდან რასაც მამა იქმს, ძეც მის მსგავსადვე იქმს.

რადგანაც მამას უყვარს ძე, და ყველაფერს უჩვენებს მას, რასაც იგი იქმს, და ამაზე უმეტეს საქმეთაც უჩვენებს მას, რათა გიკვირდეთ თქვენ.

ვინაიდან როგორც მამა აღადგენს და აცოცხლებს მკვდართ, ასევე ძეც, ვისაც ნებაგს, აცოცხლებს.

რათა ყველანი პატივს სცემდნენ ძეს, როგორც პატივს სცემენ მამას. რადგანაც ვინც პატივს არ სცემს ძეს, პატივს არ სცემს მამასაც, მის მომავლინებულს.

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ისმენს ჩემს სიტყვას, და სწამს ჩემი მომავლინებელი, აქვს საუკუნო სიცოცხლე“ (იოან. 5,16-24).

„მას აქეთ დაიწყო იესომ თავისი მოწაფეებისთვის იმის გამხელა, რომ უნდა წასულიყო იერუსალემს, დაეთმინა მრავალი ტანჯვა უხუცესთა, მღვდელმთავართა და მწიგნობართაგან, სასიკვდილოდ მიეცა თავი, და აღმდგარიყო მესამე დღეს“ (მათ. 16,21).

„ხოლო მთიდან (თაბორის მთიდან) ჩამოსვლისას იესომ უბრძანა მათ (მოწაფეებს), არავისთვის გაენდოთ ეს ხილვა (ფერისცვალება), ვიდრე ძე კაცისა არ აღდგებოდა მკვდრეთით.

ხოლო მათ დაიმახსოვრეს ეს სიტყვა და ერთმანეთს ეკითხებოდნენ: რას ნიშნავს აღდგომა მკვდრეთით?“ (მარკ. 9,9-10).

„გალილეაში ყოფნისას უთხრა მათ (მოწაფეებს) იესომ: ძე კაცისა მიეცემა კაცთა ხელში.

და მოკლავენ მას, და მესამე დღეს აღდგება. და დიდად დამწუხრდნენ ისინი“ (მათ. 17,22-23).

„და წაიყვანა თორმეტი მოწაფე და უთხრა მათ: აჰა, ავდივართ იერუსალემში, და აღსრულდება ყველაფერი, რაც დაწერილია წინასწარმეტყველთა მიერ კაცის ძისათვის.

ვინაიდან მისცემენ წარმართთ, და შეურაცხყოფენ, ავინებენ, აფურთხებენ, სცემენ და მოკლავენ, და მესამე დღეს აღდგება იგი“ (ლუკ. 18,31-33).

უკანასკნელად მოტანილი ციტატა მაცხოვარის იერუსალიმში მესამე ასვლას უკავშირდება. ზემოთ ჩვენ არ გვითქვამს, რომ მთელ პალესტინასა და მიმდებარე



მარიამ მაგდალელი.

მეთოთხმეტე საუკუნის იტალიელი ფერმწერის ჯოტოს ნახტი.

მხარეებში მიმოსვლისას იესო ქრისტე ორჯერ იყო იერუსალიმში. მისი სასულიერო უკვე შორს იყო განფენილი, გალილეის გარდა – სამარიაშიც, იუდეაშიც, იორდანის ხეობაშიც, სხვა მეზობელ ქვეყნებშიც. ასე რომ, იერუსალიმში მისი ყოველი გამოჩენისას ათასობით და ათასობით ადამიანი ესწრაფვოდა მის ხილვას, მისი ქადაგების მოსმენას, მისგან კურნების მიღებას.

იესოსადმი ხალხის სწრაფვა სახარებებში არაერთხელ არის მოთხრობილი გავიხსენოთ, როგორ აღწერს ერთ ასეთ შემთხვევას მარკოზ მახარებელი:

„იესო მოწაფეებითურთ გამორდა მათ (ფარისეველებს) და ზღვის პირსაკენ გავიდა. და მიჰყვა მას დიდძალი ხალხი გალილეიდან და იუდეიდან, იერუსალიმიდან, ილუმიდან და იორდანეს გაღმადან. და ტიროსისა და სიდონის მხარის მცხოვრებთაც შეიტყვეს მისი საქმენი, და მრავალნი მივიდნენ მასთან.

და, ხალხმრავლობის გამო, თავის მოწაფეებს უთხრა – ნავი გამიმზადდეთ, რათა არ შევევიწროებინათ იგი.

ვინაიდან მრავალნი განკურნა. ასე რომ, ყველა სნეული აწყდებოდა, რათა შეხებოდა მას.

და მისი შემყურე უწმინდური სულნი მის წინაშე ემსობოდნენ და ყვიროდნენ მენ ხარ ძე ღვთისა!“ (მარკ. 3,7-11).

ეს სურათი გალილეის ზღვის მიდამოებს უკავშირდება, მაგრამ იერუსალიმშიც იგივე ხდებოდა. აურაცხელი ხალხი აწყდებოდა მას და იესოც მოუწყინარა ქადაგება, მოძღვრავდა, ასწავლიდა, კურნავდა მათ. ზემოთ არაერთხელ დავიმოწმეთ მაცხოვარის ნათქვამი – ძე კაცისა იმისთვის მოვიდა ამა ქვეყნად, რომ სხვის ემსახუროსო.

მაცხოვარის მოღვაწეობისა და მსახურების მუდმივი თანმხლებნი, ესეც არაერთხელ ითქვა ზემოთ, მისი მოწაფეები იყვნენ. მათ გარდა იესოს ჰყავდნენ სხვა ახლობელი ადამიანები, რომლებიც ხშირად ახლდნენ ქალაქებსა და სოფლებს მიმოსვლისას, მის ყოველ სიტყვას გულმოდგინედ ისმენდნენ და წრფელი გულს ემსახურებოდნენ უფალს.

ამგვარ პირთაგან სახარებებში რამდენიმე გამორჩეული მანდილოსანიც მოიხსენიება:

„იყვნენ იქ... მარიამ მაგდალელი, და მარიაში, იაკობ მცირისა და იოსეს ღვალი და სალომე, რომლებიც თან დაჰყვებოდნენ, როცა გალილეაში იყო და ემსახურებოდნენ მას“ (მარკ. 15,40-41).

მარიამ მაგდალელს ეს ზედწოდება იმიტომ მიენიჭა, რომ ქალაქ მაგდალას

მკვიდრი გახლდათ. ეს ქალაქი, ზემოთაც ითქვა, გალილეის ტბის დასავლეთ ნაპირას იყო გაშენებული, კაპერნაუმთან ახლოს. მარიამ მაგდალელი მაცნოვარმა მძიმე სენისგან განკურნა, რის შემდეგაც ეს მანდილოსანი მის უერთგულეს და უახლოეს ადამიანად იქცა. მას ქვემოთ არაერთხელ ვახსენებთ იესო ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის ამბავთა მოთხრობისას. აქ წინასწარ ის ვთქვათ, რომ მარიამ მაგდალელის ღვაწლი იმდენად მნიშვნელოვანია, ეკლესიის მიერ იგი მოციქულთა სწორად არის შერაცხილი.

ზემოთ მოხსენიებული მეორე მანდილოსანიც მარიამი იყო სახელად, იესოს მოწაფის იაკობ მცირის ანუ უმცროსის დედა.

სალომე ქრისტეს მოწაფეების — იაკობისა და იოანეს დედა გახლდათ.

აქ კიდევ ის ვთქვათ წინასწარ, რომ მარიამ მაგდალელი, მეორე მარიამი და სალომე მენელსაცხებლედ ეძღვებოდნენ მოიხსენიებიან. რატომ შეერქვათ ეს სახელი, ამას ქვემოთ შევიტყობთ.

იესო ქრისტეს უახლოეს მანდილოსანთაგან კიდევ ორი უნდა მოვიხსენიოთ: ერთს აგრეთვე მარიამი ერთქვა, მეორეს, მის დას — მართა. ძმაც ჰყავდა ამ ორ დას — ლაზარე. სოფელ ბეთანიაში სახლობდა მათი ოჯახი და მათთან ხშირად იყო სტუმრად იესო ქრისტე — მარიამი, მართა და ლაზარე მისი საყვარელი ადამიანები იყვნენ. ბეთანია იერუსალიმიდან სულ ახლოს მდებარეობდა, როგორც იოანე მახარებელი ბრძანებს (11,18), „თხუთმეტიოდე უტევანის მანძილზე“. ეს დღევანდელი საზომით სამ კილომეტრზე ნაკლებია.

ახლა ლუკა მახარებელის მიერ მოთხრობილი ერთი ფრიად საგულისხმო ამბავი მოვისმინოთ:

„და მოხდა ისე, რომ გზად მიმავალი იესო ერთ სოფელში შევიდა, და ქალმა, რომელსაც სახელად ერქვა მართა, თავის სახლში შეიპატიჟა იგი.

ამ ქალს ჰყავდა დაი, სახელად მარიამი, რომელიც იესოს ფერხითი ჩამოეჯდა და ისმენდა მის სიტყვას.

მართა კი დაფუსფუსებდა, ვინაიდან ბევრი საზრუნავი ჰქონდა სამასპინძლოდ. მივიდა (მართა) და უთხრა მას: უფალო, ნუთუ ვერ ხედავ, რომ ჩემმა დამ მარტო მე მომანდო მასპინძლობა? უთხარი, ხელი შემამველოს.

მიუგო იესომ და უთხრა მას: მართა, მართა, ბევრ რამეზე ზრუნავ და შფოთავ. მაგრამ საჭიროა მხოლოდ ერთი რამ. მარიამმა კი უკეთესი წილი აირჩია, რომელიც არ წაერთმევა მას“ (ლუკ. 10,38-42).

რას ნიშნავს უფლის სიტყვები — „მართა, მართა, ბევრ რამეზე ზრუნავ და

შფოთავ, მაგრამ საჭიროა მხოლოდ ერთი რამ“?

სახარების ზოგიერთ განმმარტებელს მიაჩნდა, თითქოს უფალი მართას უკრძალავდა — ბევრი მასპინძლობა არ გინდა, ერთი კერძიც საკმარისიაო. სინამდვილეში ეს „ერთი რამ“ საჭმელს კი არ გულისხმობს, არამედ მაცხოვარის ღვთაებრივ სიტყვათა ისევე გულმოდგინედ მოსმენას, როგორც მარიაში ისმენდა.

ოღონდ ამის წამკითხველებმა ის არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს იესო კაცსა და მართას თავგამოდებული დიასახლისობის გამო. არა, უფალი მართას ყურადღებას იმას მიაპყრობდა, რომ „უკეთესი წილი“, სუფრის გაწყობაზე უმჯობესი არის ღვთაებრივ ამბავთა, ცათა სასუფეველის საქმეთა შეცნობა.

მაცხოვარისადმი მარიაშის ერთგულებისა და თავგადადებული სიყვარულის დამადასტურებელი ერთი ამბავი კიდევ არის მოთხრობილი სახარებებში.

ამბავი კვლავ ბეთანიაში ხდება, ამჯერად — სიმონ კეთროვანის ოჯახში. ესეც იესოს ახლობელი კაცი იყო, მის მიერ უმძიმესი სნებისგან განკურნებული.

ვახშმობისას მარიაში, მართასა და ლაზარეს დაი, იესოს მიეახლა, ფეხებზე ძვირფასი ნელსაცხებელი სცხო მას და შემდეგ თავისი თმით შეუშშრაღა. ამის დანახვისას ზოგიერთი იქ მყოფი აღშფოთდა: რა საჭიროა ძვირადღირებული ნელსაცხებელის ასე ფლანგვა, ხომ შეიძლებოდა ეს ნელსაცხებელი სამას ღინარზე მეტად გაგვეყიდა და აღებული ფული გლახაკთათვის გვეწყალობებინათ.

„მაგრამ იესომ თქვა: რას ერჩით, თავი გაანებეთ, მაგან ხომ კეთილი საქმე მიყო.

ვინაიდან გლახაკნი ყოველთვის გვერდით გყავთ, და როცა ინებებთ, მამინ შეგიძლიათ შეეწიოთ. მე კი ყოველთვის როდი გეყოლებით.

მან გააკეთა ის, რაც შეეძლო: ჩემს სხეულს წინასწარ სცხო ნელსაცხებელი დასამარხავად“ (მარკ. 14,3-8).

სიმონ კეთროვანის სახლში წვეულება პასექის დღესასწაულამდე, იესოს ჯვარცმამდე და სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე გაიმართა. როგორც ეხუდავთ, მაცხოვარმა კვლავ იწინასწარმეტყველა მოკლე ხანში თავისი აღსასრული.

იოანე მახარებელი ოდნავ სხვაგვარად გადმოგვცემს ამ ამბავს, იმ პირს ასახელებს, ვინც აღშფოთდა ძვირადღირებული ნელსაცხებელის დაღვრის გამო: „მამინ ერთმა იესოს მოწაფეთაგანმა, სიმონის იუდაამ, ისკარიოტელმა, რომელსაც უნდა ვაეცა იგი, თქვა:

რატომ არ გაიყიდა ეს ნელსაცხებელი სამას ღინარად, და არ მიეცა ფული გლახაკთ?

ხოლო ეს იმიტომ კი არ თქვა, რომ გლახაკთათვის ზრუნავდა, არამედ იმიტომ, რომ ქურდი იყო. მას ჰქონდა ყულაბა, და რასაც შიგ ყრიდნენ, იპარავდა“ (12,4-6).

აქ ქრისტეს გამცემ მოწაფეს „სიმონის იუდა“ რომ ეწოდება, ეს სახელი წვეულების მასპინძელთან, სიმონ კეთროვანთან არ უნდა დავაკავშიროთ — იუდა ისკარიოტელის მამასაც სიმონი ერქვა.

ერთი რამ გავითვალისწინოთ: სიმონ კეთროვანის სახლში გამართულ წვეულებაზე და ნელსაცხებელის ცხებაზე მცირე ხნით ადრე სხვა უფრო მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა ბეთანიაში, იესო ქრისტეს უდიდესი სასწაული — ლაზარეს აღდგინება (იოან. 11,1-44).

ზემოთაც ითქვა: მარიამის, მართასა და ლაზარეს ოჯახი იესოს უყვარდა, მეგობრობდა მათთან და ხშირად სტუმრობდა.

მოხდა ისე, რომ ლაზარე მძიმე სენით გახდა ავად იმ დროს, როდესაც იესო იუდეაში არ იმყოფებოდა. „ღებმა კაცი გაუგზავნეს იესოს და შეუთვალეს: უფალო, აპა, ვინც შენ გიყვარს, ავად არის“. ეს რომ გაიგო, იესომ თქვა: ეს სწეულება სასიკვდილო კი არ არის, არამედ მისგან ღმერთის ძე იდიდებაო.

ამის შემდეგ იესო ორ დღეს კიდევ შეყოვნდა იქ, სადაც იმყოფებოდა, და მერე მოწაფეებს უთხრა — კვლავ იუდეაში წავიდეთო. მოწაფეები შეფიქრიანდნენ — იუდეველები ახლახანს ჩაქოლვას გიპირებდნენ და ისევ იქ მიდიხარო? მართალნი იყვნენ მოწაფენი: ამ ამბავზე ცოტა ხნით ადრე იუდეველები ჩაქოლვას უპირებდნენ იესო ქრისტეს, რადგან მან დაუფარავად განაცხადა, რომ თვითონ არის ძე ღვთისა და დასძინა: „მე და მამა ერთი ვართ“.

მოწაფეთა შეკითხვაზე იესომ უთხრა: ლაზარემ, ჩემმა მეგობარმა, მიიძინა, მაგრამ მივალ და გავაღვიძებ. ამაზე მოწაფეებმა თქვეს — თუკი მიიძინა, განიკურნებაო. იესოს ნათქვამი მათ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს, ხოლო იესო ლაზარეს სიკვდილს გულისხმობდა. და რაკი მოწაფეები ნათქვამს სწორად ვერ მიუხვდნენ, იესომ გარკვევით უთხრა: ლაზარე მოკვდა.

ბეთანიას რა მიატანეს, გაირკვა, რომ ლაზარე უკვე ოთხი დღის დაკრძალული იყო და მგლოვიარე მარიამისა და მართას სანუგეშებლად ხალხს მრავლად მოეყარა თავი.

მართამ რომ შეიტყო, იესო მობრძანდაო, გამოეგება და უთხრა: უფალო, აქ რომ ყოფილიყავი, არ მოკვდებოდა ჩემი ძმა.

„უთხრა მას იესომ: აღდგება შენი ძმა... მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე. ვისაც სწამს ჩემი, კიდევ რომ მოკვდეს, იცოცხლებს. და ყველა, ვინც ცოცხლობს



ჩემში და ვისაც სწამს ჩემი, არ მოკვდება უკუნისამდე. გწამს ეს?

უთხრა მას: დიახ, უფალო, მწამს...

ეს რომ თქვა, წავიდა და მოუხმო მარიამს, თავის დას, და საიდუმლოდ უთხრა მას: მოძღვარი მოვიდა და გიხმობს.

ხოლო ის ამის გაგონებისთანავე ადგა და გამოსწვია მისკენ.

ვინაიდან იესო ჯერ კიდევ არ მისულიყო სოფელში, არამედ იმ ადგილას იყო, სადაც მიეგება მას მართა.

ხოლო იუდეველებმა, რომლებიც მასთან იყვნენ სახლში და ანუგეშებდნენ, დაინახეს, რომ მარიამი საჩქაროდ ადგა და გარეთ გავიდა, და გაჰყვნენ უკან. ვინაიდან ეგონათ – საფლავზე მიდის ძმის სატირლად.

მარიამი კი მივიდა იმ ადგილას, სადაც იყო იესო, და როგორც კი დაინახა იგი, ფეხებში ჩაუვარდა და უთხრა: უფალო, აქ რომ ყოფილიყავი, არ მოკვდებოდა ჩემი ძმა.

როცა იესომ დაინახა, როგორ ტიროდა ის, და ტიროდნენ მასთან ერთად მოსული იუდეველნიც, შეიძრა სულით და შეკრთა თავადაც.

და თქვა: სად დაკრძალეთ იგი? უთხრეს მას: უფალო, მოდი და იხილე.

და აცრემლდა იესო.

ხოლო იუდეველები ამბობდნენ: უყურე, როგორ ჰყვარებია იგი.

ზოგი მათგანი კი ამბობდა: ნუთუ არ შეეძლო მას, ბრმისათვის თვალის ამხელს, რაიმე ეღონა, რათა ესეც არ მომკვდარიყო?

ხოლო იესო, თავადაც კვლავ შეძრული, მივიდა საფლავთან. ეს იყო მღვიმე, და ზედ ლოდი ეღო მას.

და თქვა იესომ: მოაშორეთ ლოდი. უთხრა მას მართამ, მიცვალებულის დამ: უფალო, უკვე ყარს, ვინაიდან ოთხი დღის წინ დავასაფლავეთ.

უთხრა მას იესომ: ხომ გითხარი, თუ იწამებ, ღმერთის დიდებას იხილავ-მთქმე. მოაშორეს ლოდი მღვიმეს, სადაც ესვენა მკვდარი. ხოლო იესომ ზეცად აღაპყრო თვალნი და თქვა: მამაო, გამადლობ, რომ ისმინე ჩემი.

მე კი ვიცოდი, რომ ყოველთვის ისმენ ჩემსას, მაგრამ ეს ირგვლივ მდგომი ხალხისთვის ვთქვი, რათა ირწმუნონ, რომ შენ მომავლინე.

ეს რომ თქვა, ხმამაღლა დაიძახა: ლაზარე, გამოდი გარეთ!

და გამოვიდა მკვდარი, სახვევით ხელ-ფეხ შეკრული და სახეშესუდრული. უთხრა მათ იესომ: გახსენით იგი, და გაუშვით, წავიდეს.

მაშინ მრავალმა იუდეველმა, რომლებიც მოვიდნენ მარიამთან და იხილეს, რა



ლაზარეს აღდგინება.
მეთოთხმეტე საუკუნის იტალიელი ფერმწერის ჯოტოს ნახატი.

მოახდინა იესომ, ირწმუნა იგი“.

ლაზარეს მკვდრეთით აღდგინებას, იესო ქრისტეს მიერ აღსრულებულ უდიდეს სასწაულს, მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს ბზობის წინა დღეს, შაბათსაკუთრივ ბზობა, როგორც თქვენ ალბათ უკვე იცით, აღდგომის წინა კვირადღეს იღვესასწაულება. რასთან დაკავშირებით დაწესდა ეს დღესასწაული, ამის შესახებ მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

ჯვარცმა, აღდგომა, ამაღლება

იესო ქრისტემ რამდენჯერმე აუწყა თავის მოწაფეებს, რომ მიეცემოდა მტრების ხელში, ნებაყოფლობით დაითმენდა მათგან ვნებას, წაშებასა და ჯვარცმას, ჯვარზე გაკრული აღესრულებოდა და მესამე დღეს მკვდრეთით აღდგებოდა, ანუ სძლევდა სიკვდილს ისევე, როგორც ლაზარეს აღდგინებისას სძლია მას. მაცხოვარმა ისიც დასძინა, რომ მისი ვნება და ჯვარცმა წმინდა ქალაქში – იერუსალიმში აღსრულდებოდა.

და, აი, მოახლოვდა ჟამი, როდესაც მაცხოვარს თავი უნდა გაეწირა კაცთა მოღმის გამოსახსნელად. იესო ქრისტე მოწაფეთა თანხლებით იერუსალიმისკენ გაემართა და მაშინ კვლავ იწინასწარმეტყველა მოახლოებული აღსასრული.

„და როდესაც იერუსალიმისკენ მიმავალ გზას აღგნენ, იესო წინ მიუძღოდა მათ... მოიხმო თორმეტნი და დაუწყო ლაპარაკი იმაზე, თუ რა ელოდა მას:

აჰა, ავღივართ იერუსალემს, და ძე კაცისა მიეცემა მღვდელმთავრებსა და მწიგნობრებს, და მოუსჯიან მას სიკვდილს, და მისცემენ წარმართთ.

და შეურაცხყოფენ მას, და სცემენ მას, და აფურთხებენ მას, და მოკლავენ მას, და მესამე დღეს აღდგება იგი“ (მარკ. 10,32-34).

იერუსალიმის გარეუბანში მდებარე ზეთისხილის მთას რომ მიატანეს, იესოს ბრძანებით მოწაფეებმა მას მიჰგვარეს ჩოჩორი, ზედ თავიანთი სამოსელი დაუფინეს, მოძღვარი შეეჯდა და ასე შევიდა იერუსალიმში.

პასექის დღესასწაულამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი (პასეკი რა არის, მეექვსე კლასის სახელმძღვანელოდან უნდა გახსოვდეთ: ებრაელები პასექის სადღესასწაულო დღეებში აღნიშნავენ ეგვიპტიდან გამოსვლის ხსოვნას, სამსხვერპლო კრავს კლავენ და უსაფუაროდ გამომცხვარ პურს ჭამენ). ამიტომ იერუსალიმში ზღვა ხალხი იყო ჩამოსული სადღესასწაულოდ. და როდესაც ქალაქში შეიტყვეს – ლაზარეს მკვდრეთით აღმადგენელი იესო მობრძანდებაო, მთელი ქალაქი შეიძრა და მის შესახვედრად გამოეფინა.

„ბევრი თავის სამოსელს უფენდა გზაზე, სხვები კი ხის ტოტებს ჭრიდნენ და გზაზე უფენდნენ მას.

და წინ მიმავალნიცა და უკან მიმყოლნიც ღალადებდნენ და ამბობდნენ: ოსანა! პურთხეულია მომავალი უფლის სახელით!

კურთხეულია სასუფეველი მამის ჩვენის დავითისა, მომავალი უფლის სახელით! ოსანა მალალთა შინა!“ (მარკ. 11,8-10).

ამგვარი მეფური დიდებით შევიდა იერუსალიმში უფალი ჩვენი იესო ქრისტე ოლონდ სახარების განმმარტებელნი იმას მიაპყრობენ ყურადღებას, რომ ეს მეფური დიდება ჩვეულებრივი ხელმწიფის სატახტო ქალაქში შესვლას არ ჰგავს. ერთი რომ, აღტყინებული ხალხის შეხვედრა ღვთაებრივი ძალის სიდიადეს მიანიშნებდა და არა ფუჭსა და მსწრაფლწარმავალ ამქვეყნიურ დიდებას მოკვლავ ხელმწიფისა. გარდა ამისა, მაცხოვარი, მიწიერ ხელმწიფეთაგან განსხვავებით, დაურ ცხენს კი არ მიაგვლებდა სატახტო ქალაქისაკენ, არამედ ჩოჩორზე იმ ამხედრებული, რაც მის ღვთაებრივ თავმდაბლობას მიუთითებდა.

ხალხი რომ ხის ტოტებს უფენდა მაცხოვარს გზაზე, ამას იოანე მახარებელი საგულისხმო დეტალით აზუსტებს: ხალხმაო „აილო პალმის რტოები და მისაგებებლად გამოფენინა“ (12,13). პალმის რტოებით მიგება უძველესი ჩვეულება იყო შემდგომ და შემდგომ ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც პალმა არ ხარობს, მის ნაცვლებზე ბზის რტოების გამოყენება დაიწყო. საქართველოშიც ასეა: ადდგომის წინა კვირის ქრისტიანები ნაკურთხი ბზის რტოებით ვიხსენებთ მაცხოვარის იერუსალიმში შესვლის დიდებულ დღეს, რაც სიმბოლურად იმას ნიშნავს, რომ სულიერად მშვიდებით ჩვენს მსხნელსა და მაცხოვარს – იესო ქრისტეს, სიკვდილის მძლეველს ამიტომ ჰქვია ბზობა ამ დღესასწაულს.

კიდევ ერთ რასმე მივაპყროთ ყურადღება.

იერუსალიმისკენ მსვლელობას ლუკა მახარებელი ამგვარად აგვიწერს:


„და როდესაც მიაღგა ზეთისხილის მთის დაღმართს, მოწაფეთა მთელს სიმრავლემ სიხარულით დაიწყო ღმერთის ხმამაღლა დიდება ყველა იმ სასწაულის გამო, რომელიც იხილეს მათ.

და ამბობდნენ: კურთხეულია მეუფე, მომავალი უფლის სახელით! მშვიდი ზეცას და დიდება მალალთა შინა!

ზოგიერთმა ფარისეველმა უთხრა მას (იესოს): მოძღვარო, შერისხე შენ მოწაფეები!

ხოლო იესომ მიუგო: გეუბნებით, ესენი რომ დადუმდნენ, ქვები დაიწვიანებ და დაღდას“ (ლუკ. 19,37-40).

ეს ადგილი ყოველმა განათლებულმა კაცმა უნდა იცოდეს თუნდაც იმიტომ რომ აქედან იღებს სათავეს ცნობილი გამოთქმა „ქვათა დაღადი“. ადრე იქნება თუ გვიან, ყოველი თქვენგანი უეჭველად წაიკითხავს ილია ჭავჭავაძის შესანიშნავ



თხზულებას, რომელსაც სწორედ „ქვათა ღაღადი“ ჰქვია.

მეექვსე კლასის სახელმძღვანელოდან ჩვენ უკვე ვიცით, რომ იერუსალიმში დიდი ტაძარი იდგა, იუდეველთა ცენტრალური სალოცავი, თავდაპირველად სოლომონ მეფის მიერ აგებული, შემდგომ მტერთაგან დაქცეული და ბოლოს კვლავ აღდგენილი. ტაძარი, ღვთის სახლი, წმინდათა წმინდა ადგილად ითვლებოდა. მაგრამ იერუსალიმში შესული იესო ღვთის სახლს რომ მიეახლა, ნახა, რომ ტაძრის ეზოც და თვით ტაძარიც გავსებული იყო მოვაჭრეებით – ვინ ხარებს ყიდდა, ვინ – ცხვრებს, ვინ – მტრედებს, ესე იგი, სამსხვერპლოდ შესაწირავ ცხოველებსა და ფრინველებს. აქვე ისხდნენ მეკერმენი ანუ ფულის გადამხურდაკვებულნი – პასეკის დღესასწაულზე მორწმუნეებს ტაძრისთვის ფულიც უნდა შეეწირათ, ოღონდ უეჭველად ძველი ებრაული მონეტები, და ამიტომ საქმიანობდნენ იქ მეკერმენი.

იესომ თოკებისგან შოლტი დაწნა და მოვაჭრენი ტაძრიდან გამოაძევა, ხარები და ცხვრები გამოასხა, ხოლო მეკერმეებს დახლები აუყირავა და ფული მიმოუფანტა. თან ეუბნებოდა: მამის ჩემის სახლი სალოცავ სახლად იწოდება, თქვენ კი საეკატრო სახლად, ყაჩაღთა ბუნაგად გადაგიქცევით!

იესოს მიერ ღმერთის თავის მამად მოხსენიებამ მწიგნობარნი და მღვდელმთავარნი კვლავინდებურად აღაშფოთა და ასე მიმართეს მას: რა სასწაულით დაამტკიცებ, რომ ამგვარად მოქცევის უფლება გაქვსო?

დაანგრეთ ეს ტაძარი და სამ დღეში აღვადგენ მას, – მიუგო იესომ. ეს ტაძარი ორმოცდაექვსე წელიწადს შენდებოდა და შენ სამ დღეში როგორ აღადგენო?

„მაგრამ იგი გულისხმობდა თავისი სხეულის ტაძარს“, – წერს ამასთან დაკავშირებით მახარებელი (იოან. 2,21).

ეს შემდეგს ნიშნავს: იესო გულისხმობდა თავის სიკვდილს და მესამე დღეს აღდგომას. ტაძარი – ღვთის სახლი – მან თავის სხეულს შეუდარა.

ზემოთ არაერთხელ ითქვა, როგორ დაუძინებელ მტრებად ექცნენ მაცხოვარს მწიგნობარნი, ფარისეველნი, მღვდელმთავარნი, ერის უხუცესნი. მათ აცოფებდათ, რომ იესო ქრისტე თავის თავს ღმერთის ძედ იხსენიებდა, რჯულის გულს გარეთ, ფორმალურად აღმსრულებელთა თვალთმაქცობას დაუფარავად ამხილებდა, მრავალ სასწაულს ახდენდა, ამასთან, სასწაულებსა და სწეულთა კურნებას შაბათობითაც არ ერიდებოდა. გარდა ამისა, ისინი ვერასგზით ვერ ეგუებოდნენ იმას, რომ იესოს ღვთაებრივი ხალხი მისდევდა და გულდასმით ისმენდა მის მოძღვრებას, მის სწავლას,

რომ ხალხზე მისი გავლენა დღითიდღე იზრდებოდა.

მწიგნობრები და მღვდელმთავრები „ეძებდნენ ხერხს მის დასაღუბად, რადგანაც ეშინოდათ მისი, ვინაიდან მთელ ხალხს უკვირდა მისი მოძღვრება“ (მარკ. 11,18).

იესოს მტრები განსაკუთრებით შეაშფოთა ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება. მის შემდეგაც იერუსალიმში შესულ მაცხოვარს ზღვა ხალხი შეეგება და მუყურა პატივი მიაგო.

„მაშინ შეკრიბეს მღვდელმთავრებმა და ფარისეელებმა სინედრიონი და თქვეს: რა ვქნათ? ეს კაცი მრავალ სასწაულს ახდენს.“

თუ თავის ნებაზე მივუშვით, ყველა იწამებს...

იმ დღიდან შეითქვენ, რათა მოეკლათ იგი“ (იოან. 11,47-53).

დიდად საგულისხმოა, რომ ცოტათი ქვემოთ მახარებელი წერს:

„ხოლო მღვდელმთავრებმა განიზრახეს ლაზარეს მოკვლაც.“

ვინაიდან მის გამო მრავალი იუდეველი მოდიოდა და აღიარებდა იესოს“ (იოან. 12,10-11).

მაგრამ ლაზარეს მოკვლის განზრახვა მღვდელმთავრებმა ვერ შეისრულეს.



ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში მცხოვრები წინასწარმეტყველ დანიელი გვაუწყებდა:

„ჩემს ღამის ხილვაში ვიხილე: აჰა, ცის ღრუბლებზე მოდიოდა მსგავსი ძის კაცისა. იგი ძველ დღესთან მოვიდა და წარდგენილ იქნა მის წინაშე.“

მიეცა მას ხელმწიფება, დიდება და მეფობა, რათა ყველა ხალხი, ტომი და ენანი მას ემსახურონ. მისი ხელმწიფება საუკუნო ხელმწიფებაა, ბოლო არ ექნება მას და მისი სამეფო არ დაიქცევა“ (დან. 7,13-14).

ამ სტრიქონებს დაკვირვებით თუ წავიკითხავთ, არ უნდა გაგვიძინდეს იმის მიხედვით, რომ აქ საკვირველად ზედმიწევნით, ზუსტად არის ნაწინასწარმეტყველებული ღმერთის, იესო ქრისტეს მოვლინება (გავითვალისწინოთ, რომ აქ ნაწინასწარმეტყველი დღე“ ნიშნავს მამა ღმერთს).

ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ წინასწარმეტყველებაში ნათქვამია: „მისი ხელმწიფება საუკუნო ხელმწიფებაა, ბოლო არ ექნება მას“.

მსგავს წინასწარმეტყველებებს ჩვენ მეექვსე კლასის სახელმძღვანელოში

გავეცანით. ყველა ისინი გვამცნობდნენ, რომ, უფლის აღთქმის თანახმად, ქვეყნიერებას უნდა მოეველინოს მხსნელი, „ცხებული“, ანუ იგივე ქრისტე, იგივე მესია („ცხებულს“ ბერძნულად ეწოდება „ქრისტე“, ებრაულად – „მესია“). იმ სახელმძღვანელოში ისიც ითქვა, რომ მთელი „ძველი აღთქმა“ ძე ღმერთის ქვეყნად მოვლინების მოლოდინით არის შთაგონებული, რომ „ძველი აღთქმის“ ავტორები მესიის მოსვლის მოლოდინით არიან განმსჭვალულნი.

იქვე ისიც იყო აღნიშნული, რომ „ცხებული“ ანუ მესია მეფის ტიტული კი არის, მაგრამ, წინასწარმეტყველებათა თანახმად, ამით მიწიერი მეფობა კი არ იგულისხმება, არამედ სულიერი, ღვთაებრივი ხელმწიფება – იესო ქრისტეს მეუფება ხილულსა და უხილავ სამყაროებზე, ანუ, როგორც მათეს სახარებაში არის ნათქვამი, „მთელი ხელმწიფება ცაზეც და მიწაზეც“ (28,18).

„ძველი აღთქმა“ ებრაელთა წიგნი იყო, მათი დიდი ნაწილი კარგად იცნობდა ამ საღვთო წიგნს და, კერძოდ, იმ წინასწარმეტყველებებს, რომლებიც მესიის მოსვლას უკავშირდებოდა. ამიტომ იუდეველთა შორის მესიის მოსვლის მოლოდინი განსაკუთრებით მას შემდეგ გაცხოველდა, რაც მათ დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო დაკარგეს და დამპყრობელთა (რომაელთა) უღელქვეშ მოექცნენ. ისინი მოუთმენლად მოელოდნენ „ცხებულს“, მესიას ანუ აღთქმულ მეფეს, ეროვნულ მოღვაწეს, ვინც წმინდა მიწიდან დამპყრობლებს განდევნიდა, ქვეყანას იხსნიდა და ებრაელებს ძველ დიდებას აღუდგენდა.

მთელი ერის ამგვარი აღტყინება და გაფაციცებული მოლოდინი ქვეყნის მხსნელისა არც საკვირველია და არც გასაკიცხი. მაგრამ, როგორც ღვთისმეტყველნი განგვიმარტავენ, აქ უმთავრესი ის არის, რომ ეს იყო მესიის დანიშნულების მცდარი წარმოდგენა, რომელიც არ შეესატყვისებოდა წინასწარმეტყველთა მიერ ნაუწყებს. იუდეველებს არასგზით არ სურდათ იმის შეცნობა, რომ მესიის ხელმწიფება და მეუფება საუკუნო, სულიერი მეფობა იქნებოდა და მათი სახელმწიფოს დიდების აღდგენას ან მხოლოდ მათ განთავისუფლებას კი არ მოასწავებდა, არამედ – მთელი კაცობრიობის განთავისუფლებას და გამოხსნას ცოდვათა ბორკილები-სგან, რის ნაყოფიც უნდა ყოფილიყო მარადიული ცხოვრების დამკვიდრება.

რამდენად გამჟღარი ჰქონდათ ებრაელებს მესიის როლის ვიწრო ეროვნული თვალთახედვით განსაზღვრა, სხვას ყოველსავე რომც დავეხსნათ, იმითაც ამკარავდება, რომ თვით იესო ქრისტეს ზოგიერთი მოწაფეც კი უწინარესად ებრაელთა მხსნელად იგულებებდა თავიანთ ღვთაებრივ მოძღვარს. ამის ნათელსაყოფად „ბიბლიის“ განმმარტებელნი ორ შემთხვევას ასახელებენ.

ჯვარცმული მაცხოვარი აღდგომის შემდეგ რამდენჯერმე გამოეცხადა თავის მოწაფეებსა და ახლობლებს (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ). ამასთან, მოწაფეები და ახლობლები ზოგჯერ ვერც კი სცნობდნენ მას, ვერ ხელბოდნენ, რომ მათ წინაშე მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი იყო.

ასე მოხდა იესო ქრისტეს აღდგომის დღესვე, როდესაც მისი ორი მოწაფე იერუსალიმიდან მიდიოდა ერთ დაბაში, რომელსაც ერქვა ემაუსი. მისაუბრობდნენ ის ორნი, ყოველივე იმის გამო ბჭობდნენ, რაც იმ დღეებში აღსრულდა (ჯვარცმა, აღდგომა). ამ დროს მათ თავად იესო დაემგზავრათ, მაგრამ მათ ვერ იცნეს მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი და როგორც უცხო მგზავრს, ისე მოუთხრობდნენ გარდახედილ ამბებს:

„ნუთუ შენა ხარ ერთადერთი უცხო იერუსალემში, და არ იცი, ამ დღეებში რა მოხდა იქ?“

და უთხრა იესომ: მაინც რა? ხოლო მათ მიუგეს: რა და იესო ნაზარეველს... სიკვდილი მიუსაჯეს ჩვენმა მღვდელმთავრებმა და წინამძღვრებმა, და ჯვარს აცვეს იგი.

ჩვენ კი იმედი გვქონდა, რომ სწორედ ის იყო, ვისაც უნდა ეხსნა ისრაელი. მაგრამ, აი, უკვე შესაშვ დღეა, რაც ეს ამბავი მოხდა“ (ლუკ. 24,13-21).

მეორე შემთხვევა „მოციქულთა საქმეში“ არის მოთხრობილი.

ჯვარცმისა და აღდგომის შემდეგ იესო ორმოცი დღის განმავლობაში ეჩვენებოდა თავის მოციქულებს და ცათა სასუფეველისთვის ესაუბრებოდა მათ.


„და შეკრიბა ისინი და უბრძანა: ნუ განშორდებით იერუსალემს, არამედ მოელოდეთ აღთქმას მამისას, რომელიც ისმინეთ ჩემგან.

რადგანაც იოანე ნათელს სცემდა წყლით, ხოლო თქვენ ნათელს იღებთ სულით წმიდით, არცთუ მრავალი დღის შემდეგ.

შეკრებილნი კი ეკითხებოდნენ მას და ამბობდნენ: უფალო, ნუთუ ამ დროს აღუდგენ სამეფოს ისრაელს?“ (საქმე, 1,3-6).

როგორც ვხედავთ, ორსავე შემთხვევაში თვით იესო ქრისტეს მოწაფეებსაც კი უწინარესად ის ეოცნებებათ, რომ ებრაელთა მიწიერი სამეფო იქნეს გამოხსნილი და აღდგენილი: „ჩვენ კი იმედი გვქონდა, რომ სწორედ ის (ქრისტე) იყო, ვისაც უნდა ეხსნა ისრაელი“, „უფალო, ნუთუ ამ დროს აღუდგენ სამეფოს ისრაელს?“

და თუკი იესო ქრისტეს ზოგიერთი მოწაფეც ვერ ამაღლდა იმ აზრამდე, რომ ქრისტეს მეუფებაში ღვთაებრივი, სულიერი მეუფება შეეცნოთ, მის ხელმწიფებაში – საუკუნო ხელმწიფება, გამოხსნაში – მთელი კაცობრიობის გამოხსნა და არა



ფერხთა ბანა.
ველათის (XII ს.) მხატვრობა მეფეებსმეტე საუკუნისა.

ვიწრო ეროვნული იდეალის აღსრულება, რაღა საკვირველია, რომ იუდეველთა დიდზე დიდ ნაწილს, ფაქტიურად მთელ ერს, იესო, უწინარეს ყოვლისა, მარტოოდენ ეროვნულ მოღვაწედ და წინასწარმეტყველად მიეჩნია.

ამიტომ იყო, რომ იესოს მიერ აღსრულებული ერთ-ერთი სასწაულის შემდეგ ამგვარი რამ მოხდა:

„ხალხმა, რომელმაც იხილა იესოს მიერ ქმნილი სასწაული, თქვა: ჭეშმარიტად ეს არის წინასწარმეტყველი, რომელიც უნდა მოსულიყო ქვეყნად.

ხოლო იესომ გაიგო, რომ აპირებენ მოსვლას და მის მოტაცებას, რათა გაამეფონ იგი“ (იოან. 6,14-15).

ამგვარი იყო ვითარება, როდესაც იესო ქრისტე დიდებით შევიდა იერუსალიმში.

მაგრამ, ამასთან ერთად, მის წინააღმდეგ საშინელი შეთქმულებაც მზადდებოდა.

ზემოთ არაერთხელ ითქვა, როგორ დაუძინებელ მტრებად მოეკიდნენ იესო ქრისტეს ერის უხუცესნი, მღვდელმთავარნი, მწიგნობარნი, ფარისეველნი, სადუკველნი, უმთავრესად ის პირნი, ვინც შეადგენდნენ სინედრიონს – იუდეველთა უმაღლეს სამსჯავროს.

ახლოვდებოდა დღე, როდესაც „იესო უნდა მომკვდარიყო ხალხისთვის, და არა მარტო ხალხისთვის, არამედ რათა ღმერთის გაბნეული შვილნიც შეეკრიბა ერთად“ (იოან. 11,51-52).

ეს უნდა მომხდარიყო იერუსალიმში იესოს დიდებით შესვლის (ბზობის) მომდევნო კვირაში. ბზობა, ვიცით უკვე, კვირადღე იყო. მომდევნო კვირას ვნების შვიდეული ან ვნების კვირა ეწოდება და ამ კვირის დღეები შემდეგი სახელებით აღინიშნება: დიდი ორშაბათი, დიდი სამშაბათი, დიდი ოთხშაბათი, დიდი ხუთშაბათი, დიდი პარასკევი, დიდი შაბათი. ამას მოსდევს, თქვენ, რაღა თქმა უნდა, იცით კვირადღე – ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

ახლა ლუკა მახარებელს მოვუსმინოთ:

„ახლოვდებოდა უფუარობის დღესასწაული, რომელსაც ჰქვია პასეჟი.

და მღვდელმთავრები და მწიგნობრები ეძებდნენ ხერხს, როგორ მოეკლათ იესო, ვინაიდან ხალხის ეშინოდათ.

და შევიდა სატანა იუდაში, რომელსაც უწოდებდნენ ისკარიოტელს, და რომელიც იყო ერთი თორმეტთავანი.

და წავიდა და უთხრა მღვდელმთავრებსა და წინამძღვრებს, როგორ მიეცე-

მათთვის იგი (იესო).

ხოლო მათ გაიხარეს და დათანხმდნენ ვერცხლი მიეცათ მისთვის.

ისიც შეჰპირდა და ეძებდა ხელსაყრელ დროს, რათა ხალხის დაუსწრებლად მიეცა იგი მათთვის“ (ლუკ. 22,1-6).

მათე მახარებელი იმ თანხასაც ასახელებს, რაც იმ საშინელი გამცემლობისთვის გადაუხადეს მოღალატე იუდას: „მათ მიუწონეს ოცდაათი ვერცხლი“ (26,15).

აქ ის გავითვალისწინოთ, რომ იესოს მტრებს ხალხის ეშინოდათ და ამიტომ საჯაროდ მის შეპყრობას ვერ ბედავდნენ. იუდას როლი იმაში გამოიხატებოდა, ისეთი ადგილი და დრო შეერჩია, როდესაც შეძლებდა, როგორც ლუკა მახარებელი ბრძანებს, „ხალხის დაუსწრებლად მიეცა იგი მათთვის“.

იუდა რომ ვერცხლისმოყვარე იყო, ეს ზემოთაც ვნახეთ, ნელსაცხებელის ამბის მოთხრობისას:

„მაშინ იესოს ერთმა მოწაფეთაგანმა, სიმონის იუდამ, ისკარიოტელმა, რომელსაც უნდა გაეცა იგი, თქვა:

რატომ არ გაიყიდა ეს ნელსაცხებელი სამას დინარად, და არ მიეცა ფული გლახაკთ?

ხოლო ეს თქვა არა იმიტომ, რომ გლახაკათთვის ზრუნავდა, არამედ იმიტომ, რომ ქურდი იყო. მას ჰქონდა ყულაბა, და რასაც შიგ ყრიდნენ, იპარავდა“ (იოან. 12,4-6).

მღვდელმთავრებთან და მწიგნობრებთან იუდას გამცემლური შეთანხმება და ამის საფასურად გასამრჯელოს მიღება, ჩვენი კალენდრის მიხედვით, ოთხშაბათ დღეს მოხდა.

ხუთშაბათს, პასექის დღესასწაულის პირველ დღეს, იესო ქრისტემ ინება თავის თორმეტ მოწაფესთან ერთად გაემართა სერობა, საიდუმლო სერობა, როგორც დღეს ვუწოდებთ.

სად გნებავს, რომ მოგიმზადოთ პასექი? – ჰკითხეს მას მოწაფეებმა.

იესომ ორი მოწაფე – პეტრე და იოანე გაგზავნა და დააბარა: გადით ქალაქში და შეგზვდებით კაცი, რომელსაც ღოქით წყალი მიაქვს. იმას გაჰყევით და სადაც შევა, იმ სახლის პატრონს უთხარით: მოძღვარი ამბობს – ჩემმა დრომ მოაწია, სად არის დარბაზი, სადაც ჩემს მოწაფეებთან ერთად პასექს ვყოფო? ის გიჩვენებთ ვრცელ დარბაზს, გაწყობილს და გამზადებულს.

მოწაფეები წავიდნენ და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც იესოს ჰქონდა

ნათქვამი.

არსებობს გადმოცემა, რომ ეს იყო მარკოზ მახარებელის მამის სახლი. ამ მიმწუხრის ხანს უფალი თორმეტი მოწაფითურთ იმ ღარბაზში მიბრძანდა. ამ სერობისას აღსრულდა ის ცნობილი ფერხთა ბანა (იოან. 13,4-12), რომლის შესახებაც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ერთ-ერთ წინა თავში („მოწაფეები“).

სერობად რომ დასხდნენ, იესომ მოწაფეებს უთხრა: „სურვილით მსურდა, ჩემს ვნებადმდე თქვენთან ერთად მეჭამა ეს პასეკი“ (ლუკ. 22,15).

მაცხოვარის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები და ცოტათი ზემოთ სერობის გასამართავი სახლის პატრონისთვის შეთვლილი – ჩემმა დრომ მოაწიაო, კვლავ და კვლავ გვამცნობს, რომ იესო წინასწარმეტყველებს თავის მოახლოებულ ვნებას და ხორციელ სიკვდილს.

შემდეგ იესო ქრისტემ თქვა: ჭეშმარიტად გეუბნებით – ერთი თქვენგანი გამცემს მე.

ამ ნათქვამმა მოწაფეები დიდად შეაშუოთა და ყოველი მათგანი ცალ-ცალკე ეკითხებოდა მას: მე ხომ არა, უფალო?

მისმა გამცემმა იუღამაც ჰკითხა: მე ხომ არა ვარ, მოძღვარო?

შენ სთქვი, – ამ ორი სიტყვით დაუდასტურა იუღას გამცემლობა მაცხოვარმა (მათ. 26,21-25).

ამ ამბავს იოანე მახარებელი ოდნავ განსხვავებულად მოგვითხრობს: ერთი მოწაფეთაგანი, რომელიც იესოს დიდად უყვარდა, მას მკერდზე მიყრდნობოდაო (ღვთისმეტყველებმა დაადგინეს, რომ ეს მოწაფე თავად იოანე იყო). პეტრემ მას ანიშნა – ჰკითხე, ვისზე ამბობსო. უფალო, ვინ არის გამცემი? – ჰკითხა იოანემ. ის არის, ვისაც ჩაწებულ ლუკმას მივაწვდიო, – მიუგო მაცხოვარმა, ჩააწო ლუკმა და იუდა ისკარიოტელს მისცა, თან დასძინა – რასაც აკეთებ, მალე გააკეთეო. მოძღვარის ეს სიტყვები დანარჩენ მოწაფეთათვის, იოანეს გარდა, გაუგებარი დარჩა. მათ იფიქრეს: რაკი ყულაბა იუდას აბარია, იესომ დაავალა – რაც სადღესასწაულოდ გვჭირდება, იყიდეო. სინამდვილეში მაცხოვარის იუდასადმი მიმართული სიტყვები იმას ნიშნავდა – რისკენაც ისწრაფვი, რაც ჩაიფიქრე (გამცემლობა), მალე შეასრულეო. ამის შემდეგ იუდა გავიდა იმ სახლიდან (იოან. 13,21-30).

საიდუმლო სერობის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იესო ქრისტეს მიერ ზიარების საიდუმლოს დაწესება:

„და როცა ჭამდნენ ისინი, აიღო ჰური იესომ და აკურთხა, გატეხა, მისცა მოწაფეებს და უთხრა: მიიღეთ, ჭამეთ, ეს არის ჩემი ხორცი.



საიდუმლო სერობა, იესო ქრისტე და იოანე მოციქული.
უბისის ტაძრის (IX ს.) მხატვრობა მეთოთხმეტე საუკუნისა.



და აიღო სასმისი და აკურთხა, მისცა მათ და თქვა: ამით სვით ყველამ. ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დათხეული ცოდვათა მისატყვევლად“ (მათ. 26,26-28).

მაშასადამე, პურისა და ღვინის სახით მოწაფეებს მიეცათ მაცხოვარის სხეული, რომელსაც მეორე დღეს დიადი ვნება უნდა დაეთმინა, და მისი სისხლი, რომელიც კაცობრიობის ცოდვათა გამოსასყიდად უნდა დათხეულიყო უფლისავე ნებით. ეს ნიშნავს მორწმუნეთა სულიერ შეერთებას უფალთან. ასე დააწესა იესო ქრისტემ ზიარების საიდუმლო, რომელიც მას შემდეგ ქრისტიანთა შორის მოუშლელად აღესრულება.

საიდუმლო სერობის დასასრულს იესო ქრისტემ უკანასკნელად დამოძღვრა თავისი მოწაფეები:

„შვილებო, ცოტა ხანსლა ვარ თქვენთან...“

გაძლევეთ თქვენ ახალ მცნებას, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი. და როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე გიყვარდეთ თქვენ ერთმანეთი.

იმით გიცნობთ ყველა, რომ ჩემი მოწაფეები ხართ, თუ გექნებათ ერთმანეთის სიყვარული.

უთხრა მას სიმონ-პეტრემ: უფალო, სად მიხვალ? მიუგო მას იესომ: სადაც მე მივალ, შენ ვერ გამომყვები ამჟამად, არამედ შემდეგ გამომყვები.

უთხრა მას პეტრემ: უფალო, რატომ ვერ გამოგყვები ამჟამად? სულს დავდებ შენთვის.

მიუგო მას იესომ: სულს დადებ ჩემთვის? ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: მამლის ყვილაძე სამჯერ უარმყოფ მე“ (იოან. 13,33-38).

ცოტა რამ ვთქვით ამ ციტატასთან დაკავშირებით.

მაცხოვარის სიტყვებს მოწაფეთა ურთიერთსიყვარულის შესახებ ჩვენ ადრევე გავეცანით (თავი „სიყვარულის მოძღვრება“). ეს ისეთი ღვთაებრივი მცნებაა, ერთხელ და ორჯერ კი არა, ასჯერაც რომ წავიკითხოთ, მუდამ სარგებლობას მოუტანს ჩვენს სულს.

პეტრეს შეკითხვა – უფალო, სად მიხვალ? – ძველ თარგმანში ცოტათი სხვა ფორმით არის მოცემული: „უფალო, ვიდრე ხვალ?“ („ვიდრე“ ძველად ნიშნავდა – „სად“). ეს გამოთქმა – „უფალო, ვიდრე ხვალ?“, „ვიდრე ხვალ, უფალო?“ – საყოველთაოდ არის გავრცელებული და ქართულში სწორედ ამ ფორმით არის ცნობილი („სად მიხვალ“ კი არა – „ვიდრე ხვალ“). ამას იმიტომ გამცნობთ, რომ შესაძლოა მხატვრულ ნაწარმოებებში შეგხვდეთ ეს გამოთქმა და უნდა იცოდეთ,

საიდან მოდის.

ახლა – პეტრეს სიტყვების თაობაზე. ლუკა მახარებელს უფრო მკვეთრად აქვს გადმოცემული მაცხოვარისა და პეტრეს უბნობა:

„და უთხრა პეტრემ იესოს: უფალო, მზად ვარ საპურობილემიც წამოგყვე და სასიკვდილოდაც.“

ხოლო იესომ უთხრა: შენ გეუბნები, პეტრე, ამაღამ მამლის ყვილაძეე სამჯერ უარმყოფ და იტყვი, რომ არ მიცნობ მე“ (ლუკ. 22,33-34).

მაცხოვარის ეს სიტყვები ზედმიწევნით რომ შესრულდება, ამას სულ მალე ვნახავთ ქვემოთ.

სერობის შემდეგ იესო ქრისტე და მისი მოწაფეები კელრონის ხევს გაღმა გავიდნენ, ზეთისხილის მთაზე, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, იერუსალიმის გარეუბანში იყო, აღმოსავლეთის მხარეს. იქ იყო გეთსამანიის (გეთსემანეს) ბაღი. იესომ მოწაფეები იმ ბაღში დატოვა, თვითონ კი პეტრე, იაკობი და იოანე გაიყოლა და განეშორა მათ. მერე იმ სამს უთხრა – აქ იყავით და ჩემთან ერთად იფხიზლეთო, ცოტაზე მათაც გაშორდა და ლოცვა დაიწყო: მამაო ჩემო! თუკი შესაძლოა, ამცდეს ეს სასმისი. თუმცა არა როგორც მე მნებავს, არამედ – როგორც შენ.

„სასმისი“ ნიშნავდა იმ ვნებასა და ტანჯვა-წამებას, რაც იესოს ელოდა.

ლოცვა რომ დაასრულა, მიბრუნდა სამ მოწაფესთან და მძინარენი პოვა ისინი. იგივე მოხდა მეორედაც და მესამედაც. მაშინ უთხრა:


„კვლავინდებურად გძინავთ და განისვენებთ? აჰა, მოაწია დრომ, და ძე კაცისა მიეცემა ცოდვილთა ხელში. ადექით, წავიდეთ: აჰა, მოგვიასლოვდა ჩემი გამცემი“ (მათ. 26,45-46).

იესოს სიტყვა არც დაემთავრებინა, რომ გამოჩნდა იუდა ისკარიოტელი და მასთან დიდძალი ხალხი ლამპრებითა და ჩირაღდნებით – მეომართა რაზმი და მღვდელმთავართა, ფარისევლთა და უხუცესთა მსახურნი, იესოს შესაპყრობად მოსულნი. იუდას ნიშანი მიეცა მათთვის – ვისაც მე ვეამბორები, ის იქნებაო იესო.

სწრაფად მიეახლა იუდა, უთხრა – გიხაროდეს, მოძღვარო, და ეამბორა მას.

მაშინ მოსულნი მისცვივდნენ და შეიპყრეს იესო. ამის დანახვაზე პეტრე მოციქულმა მახვილი იშიშვლა, ერთ მომხდურთაგანს, მღვდელმთავარის მსახურს, დაჰკრა და მარჯვენა ყური ჩამოათალა.

აი, აქ მიმართა მაცხოვარმა პეტრეს იმ სიტყვებით, რომლებსაც ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით: „ჩააგე მახვილი ქარქაშში, რადგან ყველა, ვინც მახვილს აიღებს, მახვილითვე დაიღუპება“ (მათ. 26,52). შემდეგ მაცხოვარი შეეხო დაჭრილის



ყურს და განკურნა იგი (ლუკა 22,51).

იესო ქრისტეს ეს სიტყვები ზემოთ იმის დასასაბუთებლად ვახსენეთ, რომ ბოროტება, შუღლი, მტრობა ბოროტებით, შუღლითა და მტრობითვე ვერ დაიძლევა. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს. შესაძლოა რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში ძნელი იყოს ამის შეცნობა, მაგრამ საბოლოო შედეგი მუდამ ასეთია.

ახლა უშუალოდ სახარების ტექსტი წავიკითხოთ:

„ხოლო მათ შეიპყრეს იესო და მიიყვანეს კაიაფა მღვდელმთავრისას, სადაც შეკრებილიყვნენ მწიგნობარნი და უხუცესნი.

პეტრე კი, მღვდელმთავრის ეზომდე, შორით მისდევდა მას, და შევიდა შიგ და მსახურებთან დაჯდა.

ხოლო მღვდელმთავარნი, უხუცესნი და მთელი სინედრიონი ეძებდნენ ცრუმოწმობას იესოს წინააღმდეგ, რათა მოეკლათ იგი, მაგრამ ვერ იპოვეს. და თუმცა ბევრი ცრუმოწმე იყო მოსული, ვერ მიაგნეს.

ბოლოს მოვიდა ორი ცრუმოწმე, რომლებმაც თქვეს: ეს ამბობდა: შემძლია დავანგრიო ღმერთის ტაძარი და სამ დღეში კვლავ ავაშენო.

მაშინ წამოდგა მღვდელმთავარი და უთხრა იესოს: რატომ არაფერს იტყვი იმის პასუხად, რასაც ესენი შენს წინააღმდეგ მოწმობენ?

ხოლო იესო დუმდა. და მღვდელმთავარმა უთხრა მას: გაფიცებ ცოცხალ ღმერთს, გვითხარი, შენა ხარ თუ არა ქრისტე, ძე ღმერთისა?

უთხრა მას იესომ: მე ვარ.

მაშინ მღვდელმთავარმა შემოიხია თავისი სამოსი და თქვა: მან ღმერთი ჰგმოს! მაშ რაღად გვინდა მოწმეები? ხომ მოისმინეთ ღვთისგმობა მისი?! რას იტყვით?!

ხოლო მათ პასუხად თქვეს: სიკვდილის ღირსია!

მაშინ სახეში აფურთხეს იესოს, მუშტებს ურტყამდნენ, ხოლო სხეები ყრი-მალში სცემდნენ მას.

და ეუბნებოდნენ: გვიწინასწარმეტყველე, ქრისტე, ვინ დაგარტყა შენ?

ხოლო პეტრე გარეთ იჯდა, ეზოში. და მიადგა მას ერთი მხევალი და უთხრა: შენც ხომ იესო გალილეველთან იყავი!

ხოლო მან ყველას წინაშე უარყო და თქვა: არ ვიცი, რას ამბობ.

და როცა ჭიშკარში გამოდიოდა, მეორე მხევალმა დაინახა და იქვე მდგომი უთხრა: ესეც იესო ნაზარეველთან იყო.

ისევ უარყო პეტრემ ფიცით: არ ვიცნობ იმ კაცსო!

და ცოტა ხნის შემდეგ იქ მდგომნიც მივიდნენ და უთხრეს პეტრეს: ჭეშმ-

რიტად შენც ერთი იმათგანი ხარ, რადგან შენი კილო გამზილებს შენ.

მაშინ ის მოჰყვა წყველას და ფიცს, რომ არ იცნობს იმ კაცს.

და სწორედ ამ დროს იყივლა მამალმა.

და გაახსენდა პეტრეს იესოს ნათქვამი — მამლის ყვილამდე სამჯერ უარყოფო, და გამოვიდა გარეთ და მწარედ ატირდა“ (მათ. 26,57-75).

ზემოთ უკვე რამდენჯერმე ითქვა, როგორ წინასწარმეტყველებდა იესო ქრისტე, თუ რა მოელოდა მოკლე ხანში — უკეთურ ადამიანთაგან ცილისწამება, ვნება, ტანჯვა და სიკვდილი. სახარების აქ მოტანილი ტექსტის წაკითხვისას ჩვენ ვხედავთ, როგორ სრულდება უფლის ყოველი სიტყვა. ეს ქვემოთაც ზედმიწევნით დაგვიდასტურდება. ამჯერად მთავარია მხედველობიდან არ გამოგვრჩეს შემდეგი:

ერთი რომ, იესო ქრისტე ვენო, ეწამა და ჯვარს ეცვა მთელი კაცობრიობის ცოდვათა გამოსასყიდად და, გარდა ამისა, ის ნებაყოფლობით შეეგება ამ უდიდეს განსაცდელს, საკუთარი ნებით შეეწირა მსხვერპლად კაცთა მოდგმის სულიერი გამოხსნის საღვთო საქმეს. მან იტვირთა ჩვენი ცოდვები და ცათა სასუფეველის გზა გაგვიხსნა ადამიანებს.

ისიც აღვნიშნოთ აქ, რომ, მართალია, მოციქულმა პეტრემ სულმოკლეობა გამოიჩინა და უარყო თავისი მოძღვარი და უფალი, მაგრამ შემდგომ იმდენად გულწრფელად და გულმხურვალედ მოინანია ადამიანური სისუსტის (შინის) გამო ჩადენილი უმძიმესი ცოდვა, რომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მაცხოვარმა შეუნდო მას.

ახლა თხრობა განვაგრძოთ.

მოღალატე იუდა ისკარიოტელმა როდესაც ნახა, რომ იესოს სასიკვდილო მსჯავრი გამოუტანეს, შეინანა თავისი უკეთური საქციელი, ის ოცდაათი ვერცხლი მღვდელმთავრებსა და უხუცესთ უკან დაუბრუნა და უთხრა:

შევცოდე, რომ მართალი კაცი მოგეცითო. ჩვენ რა? შენ იკითხო, — მიუგეს უგულო მღვდელმთავრებმა, ესე იგი — შენი ნამოქმედარისთვის შენვე აგებ პასუხსო.

მაშინ იუდა იმ ვერცხლი ტაძარში მიმოაბნია, წავიდა და თავი ჩამოიხრჩო.

იესო ქრისტეს დაუძინებელმა მტრებმა, როგორც უკვე ვნახეთ, მას ხალხიც აუშხედრეს და საწადელსაც ეწივნენ — სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. მაგრამ ამ განაჩენის აღსრულების უფლება მათ არ ჰქონდათ, თუკი განაჩენს არ დაამტკიცებდა ქვეყნის მთავარი — რომაელთა მიერ დანიშნული მმართველი იუდეისა.

იმხანად იუდეის რომაელი მმართველი პილატე პონტოელი იყო. მას მიპ-



გვარეს განსასჯელად მღვდელმთავრებმა და ხალხის უხუცესებმა შებოჭილი იესო პრეტორიუმში (ასე ეწოდებოდა რომაელი მმართველის სამყოფელს იერუსალიმში). ეს მოხდა პარასკევს, დილაადრიანად.

გამოვიდა პილატე და შეეკითხა: რას სდებთ ბრალად ამ კაცს?

„და დაიწყეს მისი (იესოს) ბრალდება, და ამბობდნენ: ჩვენ ვნახეთ, რომ ეს აქეზებს ხალხს და უკრძალავს კეისრისთვის ხარკის მიცემას, და თავისთავს უწოდებს ქრისტეს, მეუფეს.“

და ჰკითხა პილატემ მას: მაშ შენა ხარ იუდეველთა მეფე? ხოლო მან მიუგო და უთხრა: შენ ამბობ“ (ლუკ. 23,1-2).

ამ სიტყვებით („შენ ამბობ“) იესომ პილატეს დაუდასტურა შეკითხვა.

მაგრამ მრავალრიცხოვან ცილისმწამებელთა მიერ წაყენებულ ბრალდებებზე იესოს პასუხი არ გაუცია, ერთი სიტყვაც კი არ თქვა. არ გესმის, რამდენ რასზე გწამებენ? – ჰკითხა პილატემ. იესომ კვლავ არაფერი მიუგო.

წაიყვანეთ და თქვენი რჯულისამებრ განსაჯეთო, – მიმართა პილატემ მღვდელმთავრებსა და უხუცესებს. მაგრამ მათ მიუგეს: ჩვენ უფლება არ გვაქვს ვისიმე მოკვლისა, ეს რომ ბოროტმოქმედი არ იყოს, შენ როდი გადმოგცემდიო.

მამინ პილატემ იესო შენობაში შეიყვანა და კვლავ შეეკითხა: შენა ხარ იუდეველთა მეფე?

„მიუგო იესომ: ჩემი მეუფება არ არის ამქვეყნიური. ამქვეყნიური რომ იყოს ჩემი მეუფება, ჩემი მსახურნი იბრძოლებდნენ, რომ ხელში არ ჩავვარდნოდი იუდეველებს. მაგრამ აწ ჩემი მეუფება არ არის ამქვეყნიური. იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოვევლინე ქვეყნად, რომ ჭეშმარიტება ვიმოწმო. ყველა, ვინც ჭეშმარიტებას ბისგან არის, ისმენს ჩემს ხმას“ (იოან. 18,36-37).

პილატე გამოვიდა და იუდეველებს უთხრა: ამ კაცს მე ვერავითარი ბრალდება ვერ ვუპოვნეო. შემდეგ დასძინა: ხომ გვაქვს ჩვეულება, რომ პასექის დროს ერთ რომელსამე პატიმარს გავათავისუფლებთ ხოლმე. ახლა ვინ გინდათ გავათავისუფლო – იესო თუ ბარაბა?

ბარაბა ავაზაკი იყო, მძიმე დანაშაულისთვის – კაცისკვლისთვის დაპატიმრებული. მაგრამ მღვდელმთავრებსა და უხუცესებს ხალხი წაექეზებინათ – ბარაბა გამოითხოვეთო, და იქ მყოფთ იზრიალეს: ბარაბა გავათავისუფლო!

„ჰკითხა მათ პილატემ: კი მაგრამ, რა ვუყო იესოს, რომელსაც ჰქვია ქრისტე? ყველამ მიუგო მას: ჯვარს ეცვას!

ხოლო მთავარმა იკითხა: რა დააშავა მან?

მაგრამ ისინი უფრო ხმაძალდა აყვირდნენ: ჯვარს ეცვას!

და რაკი იხილა პილატემ, რომ ვერაფერს შეეღოს, არამედ უფრო იზრდება უფრო, მოითხოვა წყალი, ხალხის წინაშე ხელები დაიბანა და თქვა: მე უბრალო ვარ ამ მართალი კაცის სისხლში. თქვენ იკითხეთ.

და მიუგო მთელმა ხალხმა: ჩვენზე იყოს და ჩვენს შვილებზე მაგის სისხლი! მაშინ გაუთავისუფლა მათ ბარაბა, ხოლო იესო გაამათრახებინა და ჯვარზე საცმელად მისცა მათ“ (მათ. 27,22-26).

ამის შემდეგ რომაელთა მთავარის მეომართა მთელი რაზმი გარს შემოურტყა იესოს, ეკლის გვირგვინი დაწნეს და თავზე დაადგეს, მეწამული ფერის მოსასხამით შემოსეს და ხელთ ლერწამი მისცეს. თან მუხლს იყრიდნენ მის წინაშე, დასცინოდნენ და ეუბნებოდნენ: გიხაროდეს, იუდეველთა მეუფეო!

მიხვდით ალბათ ჯარისკაცთა უგვანი საქციელის მიზანს: გვირგვინი, ძოწეულის სამოსი და სკიპტრა მეფეთა რეგალიები იყო. მათაც ვითომც სამეფო რეგალიები უბოძეს იესოს გასამასხრებლად: ნამდვილი გვირგვინის ნაცვლად — ეკლის გვირგვინი, სკიპტრის ნაცვლად — ლერწმის ჯოხი.

აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ეკლის გვირგვინი“, იმ დროიდან მოყოლებული, საყოველთაოდ გავრცელებულ გამოთქმად იქცა, უდიდესი ტანჯვისა და მწუხარების გამომხატველ შესიტყვებად.

დაცინვით და შეურაცხყოფით გული რომ იჯერეს, ჯვარზე საცმელად წაიყვანეს იესო, თან აიძულეს ზის დიდი ჯვარი თვითონვე ეტვირთა.

ჯვარზე გაკვრა, ჯვარცმა ძველი დროიდანვე მომდინარე ჩვეულება იყო და, ამასთან, ყველაზე მკაცრ და ყველაზე სამარცხვინო სასჯელად მიიჩნეოდა. საკუთრივ რომაელები მარტოოდენ მონებს — გამცემლებსა და უდიდეს პოროტმოქმედთ აცვაძდნენ ხოლმე ჯვარს.

ასე მიაღწიეს იერუსალიმის ახლოს გორას, რომელსაც თხემის ადგილი ანუ გოლგოთა ეწოდებოდა. ეს სიტყვა, გოლგოთა, ყოველ თქვენგანს მრავალჯერ სმენია, მანაც გადატანითი მნიშვნელობა მიიღო — „გოლგოთაზე ასვლა“ უდიდეს ტანჯვაწამებას აღნიშნავს.

გოლგოთაზე იესო ჯვარს აცვეს და ზედ მიაღურსმეს. მის მარცხნივ და მარჯვნივაც აღმართეს ჯვრები და ორი ავაზაკი აცვეს ზედ.

მამაო, მიუტევე ამათ, რადგან არ იციან, რას სჩადიან, — ამბობდა ჯვარცმის დროს მაცხოვარი, რომელსაც, ჩვენ ეს უკვე ვიცით, თავისი მტრებიც კი უყვარდა და თავის მოძულეთ ლოცავდა ხოლმე.



კვლავ მათე მახარებელს მივაპყროთ ყური:

„მისცეს მას სასმელად ნაღველით შეზავებული ძმარი...“

და როცა მეომრებმა ჯვარს აცვეს, წილი ყარეს და გაიყვეს მისი სამოსი, რათა აღსრულდეს თქმული წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: გაიყვეს ჩემი სამოსი ერთმანეთში, და ჩემს კვართზე იყარეს წილი.

და ისხდნენ იქ და დარაჯობდნენ მას.

და დაუდგეს თავითი დაწერილი მისი ბრალდება: ეს არის იესო, იუდეველთა მეფე.

ხოლო გამკვლენი აგინებდნენ მას, თავებს აქნევდნენ, და ამბობდნენ: ტაძრის, დამრღვევო და სამ ღღეში აღმშენებელო, იხსენი შენი თავი, თუ ღმერთის ძე ხარ, ჩამოდი ჯვარიდან.

ასევე მღვდელმთავრები მწიგნობრებთან, უხუცესებთან და ფარისევლებთან ერთად დასცინოდნენ და ამბობდნენ:

სხვები იხსნა, თავის ხსნა კი არ შეუძლია. თუ ისრაელის მეფეა, დაე ჩამოვიდეს ჯვარიდან და ვიწამებთ მას.

ღმერთს იყო მინდობილი და, თუ ნებაგს, დაე იხსნას ახლა ღმერთმა, ვინაიდან მან თქვა: მე ვარ ძე ღმერთისა“ (მათ. 27,34-43).

ამ გულმხეცმა აღამიანებმა არ უწყოდნენ, რომ იესო ქრისტემ საკუთარი ნებით დაითმინა ჯვარცმა, ვნება, წამება, გაუგონარი დამცირება და შეურაცხყოფა.

ის აღვნიშნოთ კიდევ, იესოს სამოსსა და კვართზე წილი რომ იყარეს. უფლის განგებით მაცხოვარის კვართი საქართველოში, მცხეთაში არის დაფლული, იმ ადგილას, სადაც სვეტიცხოველის ტაძარი დგას. ასე მოგვითხრობს ქართველთა განმანათლებელის ღვაწლის აღმწერი ნაწარმოები — „ნინოს ცხოვრება“. ეს მშვენიერი ძეგლი ყოველ ქართველს უეჭველად წაკითხული უნდა ჰქონდეს.

ახლა ჯვარცმის ამბავი განვაგრძოთ.


სახარებები მოგვითხრობენ, რომ ჯვარცმულ მაცხოვართან იდგნენ ის ქალები, რომლებიც გალილეიდანვე მოჰყვებოდნენ და ემსახურებოდნენ მას. აქ დასახელებულნი არიან მარიამ მაგდალელი, მარიამი — იაკობისა და იოსეს დედა, ზებედეს ძეთა დედა სალომე და სხვანი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აქ იყო ღვთისმშობელი მარიამი.

„ხოლო იესომ, როცა დაინახა დედა მისი და იქვე მდგომი მოწაფე, რომელიც უყვარდა (იოანე), უთხრა დედას: დედაო, აჰა შენი ძე!“

მერე კი მოწაფეს უთხრა: აჰა დედა შენი! და იმ საათიდან მოწაფემ თავისას



ჯვარცმა.
მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელი ფერმწერის
პაოლო ვერონეზეს ნახატი.



წაიყვანა იგი (ღვთისმშობელი).

შემდგომ ამისა, რაკილა მიხვდა, რომ უკვე აღსრულდა ყველაფერი, რასაც აღსრულდეს წერილი, იესომ თქვა: მწყურია.

იქვე იდგა ძმრით სავსე ჭურჭელი. ხოლო მეომრებმა გაჟღინთეს ღრუბელი ძმრით, უსუს წამოაცვეს და პირთან მიუტანეს მას“ (იოან. 19,26-29).

იესოს აღსასრულს ლუკა მახარებელი ამგვარად მოგვითხრობს: „ერთი ჯვარცმული ბოროტმოქმედი აგინებდა იესოს და ამბობდა: თუ შენ ხარ ქრისტე, იხსენი თავი შენი და ჩვენც გვიხსენი.

ხოლო მეორე რისხავდა მას და ეუბნებოდა: ღმერთის მაინც არ გეშინია, რადგანაც მისებრ დასჯილი ხარ? ჩვენ რაც დაეთესეთ, იმასვე ვიმკით, ხოლო მას ცუდი არაფერი ჩაუდენია.

და უთხრა იესოს: მომიხსენე მე, უფალო, როცა მიხვალ შენს სასუფეველში. ხოლო იესომ მიუგო მას: ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში.

და იყო ასე ექვსი საათი, და წყვილიაღმა მოიცვა მთელი ქვეყანა, მეცხრე საათამდე.

და დაბნელდა მზე, და შუა ჩაიხა ტაძრის ფარდა. და ხმაძალდა შეღალადა იესომ და თქვა: მამო, შენს ხელთ ვაბარებ ჩემს სულს. და ამ სიტყვებით განუტევა სული“ (ლუკ. 23,39-46).

აქ განსამარტავია, რომ დროის ათვლის ძველი ებრაული წესის მიხედვით, ექვსი საათი ჩვენს შუადღის თორმეტ საათს უდრის, ხოლო ცხრა საათი – დღის სამ საათს.

ის უნდა ითქვას კიდევ, რომ მას შემდეგ, რაც იესომ სული განუტევა, მას მიუახლოვდა ერთი მეომარი და შუბი აძგერა ფერდში, საიდანაც სისხლმა და წყალმა გადმოჩქევა.

იყო ერთი წარჩინებული კაცი, კეთილი და სამართლიანი – იოსებ არიმათიელი. სინედრიონის წევრად კი ირიცხებოდა, მაგრამ ფარულად იესო ქრისტეს მოწაფე იყო და მაცხოვარის სხვა მიმდევრებთან ერთად მოელოდა ღმერთის სასუფეველს. ეს კაცი მივიდა პილატესთან და სთხოვა ნება დაერთო ჯვარიდან ჩამოეხსნა იესოს სხეული. პილატემ ნება დართო. მაშინ იოსებ არიმათიელმა ჩამოხსნა და წმინდა ტილოში გაახვია. ჯვარცმის ადგილიდან ახლოს ბაღი იყო და იქ კლდეში ახალი სამარხი იყო გამოკვეთილი. იმ სამარხში დაასვენეს იესოს სხეული და სამარხს დიდი ლოდი მიაყუდეს. გალილეიდან მოსულმა ქალებმა

იხილეს ეს, გაბრუნდნენ და მოამზადეს. სურნელოვანი საკმეველი და ნელსაცხებელი, რათა შემდეგ მოსულიყვნენ და ეცხოთ მაცხოვარის სხეულისთვის. მენელსაცხებლე დედანი — ასე მოიხსენიებიან ის ღირსსაზსოვარი მანდილოსნები.

ის დღე, ვიციტ უკვე, პარასკევი იყო. შაბათს მღვდელმთავარი და ფარისევლები პილატეს კარზე შეიკრიბნენ და მოსთხოვეს იესოს საფლავისთვის დარაჯები დაეყენებინა, რათა, მათი ნათქვამისამებრ, მოწაფეებს არ მოეპარათ თავიანთი მოძღვარის სხეული და შემდეგ არ ეთქვათ — მკვდრეთით აღდგაო. პილატეს დასტური რომ მიიღეს, ისინი წავიდნენ, სამარხის დასაცავად ლოდი დაბეჭდეს და დარაჯები მიუჩინეს მცველად.

მაგრამ, აი, რა მოხდა კვირას, გამთენიისას:

„საშინლად იძრა მიწა, ვინაიდან უფლის ანგელოზი ჩამოეშვა ზეციტ, მივიდა და გადააგორა სამარხის კარიდან ლოდი.

სახე მისი იყო ვითარცა ელვა, და სამოსი მისი სპეტაკი ვითარცა თოვლი.

მისი შიშით შეძრწუნდნენ საფლავის მცველნი და მკვდრებს „დაემსგავსენ“ (მათ. 28,2-4).

მზის ამოსვლის ხანს მენელსაცხებლე დედანი — მარიამ მაგდალელი, მარიამ იაკობისა, სალომე და სხვანი მივიდნენ მაცხოვარის საფლავთან. დიდი ლოდი გადაგორებული დაუხვდათ, მცველნი მიმოფანტულიყვნენ, ხოლო სამარხში იესოს სხეული ვეღარ ნახეს.

„მიმართა ანგელოზმა ქალებს და უთხრა მათ: ნუ გეშინიათ, ვიცი, რომ ჯვარცმულ იესოს ეძებთ.

აქ აღარ არის, არამედ აღდგა მისივე თქმისამებრ. მოდით და იხილეთ ის ადგილი, სადაც ესვენა უფალი.

სასწრაფოდ წადით და უთხარით მის მოწაფეებს, რომ მკვდრეთით აღდგა“ (მათ. 28,5-7).

მაგრამ როდესაც მენელსაცხებლე ქალები მოციქულებთან მივიდნენ და მოძღვარის აღდგომა ახარეს, მათ არ ირწმუნეს ეს ამბავი.

იმავე საღამოს იესოს მოწაფეები ერთად იყვნენ და, ვინაიდან იუდეველთა შიში ჰქონდათ, სახლის კარი მტკიცედ დახშეს. ამ დროს გამოეცხადა მათ მკვდრეთით აღმდგარი იესო, მათ შუა ჩადგა და უთხრა: მშვიდობა თქვენდა.

გაიხარეს მოწაფეებმა უფლის ხილვით.

შემდეგ იესომ უთხრა მათ: როგორც მე მომავლინა მამამ, მეც ისე წარგავლენთო. ესე იგი — ცათა სასუფეველის მოძღვრების საქადაგებლად გაგავზავნითო.

იმ საღამოს ერთი თორმეტთავანი, თომა იქ არ ყოფილა. როდესაც სხვა მოწაფეებისგან შეიტყო, რაც მოხდა, ასე თქვა: თუ არ ვიხილავ მის ხელეშე ლურსმნების ნაკვდევს, ხოლო მის ფერდში ხელს არ ჩავდებ, არ ვირწმუნებო. იმ ნალურსმნეებს გულისხმობდა თომა, რომლებიც მკვდრეთით აღმდგარი იესოს ხელეშე უნდა დარჩენილიყო ჯვარცმის შემდეგ, აგრეთვე იმ იარას, იესოს ფერდში რომ იქნებოდა ჩაღრმავებული მას მერე, რაც მეომარმა შუბი აძგერა.

რვა დღე რომ გამოხდა, მოწაფეები კვლავ ერთად იყვნენ შეკრებილნი და თომაც მათთან იყო. სახლის კარი ამჯერადაც დახშული იყო და ამჯერადაც დახშულ სახლში შევიდა მათთან იესო. მშვიდობა უსურვა მოციქულებს, შემდეგ თომას უთხრა:

იხილე ჩემი დალურსმული ხელები, ჩადევი ხელი ჩემს ნაიარევ ფერდში, და ნუ იქნები ურწმუნო, არამედ გწამდეს.

„მიუგო თომამ და უთხრა მას: უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!


უთხრა მას იესომ: რაკი მიხილე, თომა, მიტომ მიწამე. ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუხილავარ და მაინც მიწამეს“ (იოან. 20,28-29).

მკვდრეთით აღდგომის შემდეგ მესამედ ტიბერიადის ანუ გალილეის ზღვასთან გამოეცხადა იესო მოწაფეებს. აქ მან შეუნდო პეტრეს ის ცოდვა, სამჯერ რომ უარყო თავისი მოძღვარი, და აღუდგინა უფლება მოციქულობისა. თან უთხრა: მწყემსე ჩემი ცხვრები! ეს სიტყვები იმას ნიშნავდა, რომ პეტრეს, ისევე როგორც სხვა მოციქულებს, უნდა ეზრუნა მორწმუნეებზე და დახმარებოდა მათ ისე გაეტარებინათ წუთისოფლის დღეები, როგორც ქრისტეს მიმდევართ ანუ ქრისტიანებს შეეფერებოდათ.

„მრავალი სხვა რამეც მოიმოქმედა იესომ, მაგრამ ყველაფერი სათითაოდ რომ დაწერილიყო, ვგონებ ქვეყანაც ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს“, — ამ სიტყვებით ამთავრებს სახარებას იოანე ღვთისმეტყველი.

* * *

ძველი წელთაღრიცხვის მერვე საუკუნეში მცხოვრები დიდი წინასწარმეტყველი ესაია, რომელსაც ღვთისმეტყველნი „ძველი ალექსის“ მახარებელს უწოდებენ, საკვირველი სიზუსტით, თვითმხილველევით აღწერდა იმას, რაც ასწლეულების შემდეგ უნდა მომხდარიყო. სახელდობრ, ესაია აღწერდა მაცხოვარის ქვეყნად მოვლინებას და იმ ვნებას, რაც მას უნდა დაეთმინა კაცთა მოღვმის ცოდვათა



გამოსასყიდად:

„აჰა, მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს“ (ეს. 7,14).

„მან იკისრა ჩვენი სნებები და იტვირთა ჩვენი სატანჯველი...“

ის ჩვენი ცოდვებისთვის იყო დაჭრილი, ჩვენი უკეთურობებისთვის დაღუწილი.

მასზე იყო სასჯელი ჩვენი სიმართლისთვის და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ...

ვენო და ეწამა, მაგრამ არ დაუძრავს ბაგე. კრავივით დასაკლავად მიიყვანეს და, როგორც ცხვარი დუმს მპარსველთა წინაშე, მასაც არ დაუძრავს ბაგე...

მიეცა სამარხი ბოროტეულთა გვერდით და მდიდართან ერთად თავის სიკვდილში, რადგან სიავე არ ჩაუდენია და მის ბაგეში სიცრუე არ ყოფილა.

უფალმა ინება მისი ტანჯვა... როცა გასწირავს მის სიცოცხლეს ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად, იხილავს იგი თავის ნაგრამს, გაუხანგრძლივება დღეები, უფლის ნება მისი ხელით წარიმართება.

მისი სიბრძნით ბევრს გაამართლებს მართალი, და სხვათა შეცოდებებს იტვირთავს...

მრავალთა ცოდვები ჰქონდა ტვირთად და ცოდვილებს ესარჩლებოდა“ (ეს. 53,4-12).


ძე ღმერთის განკაცებისა და ქვეყნად მოვლინების მიზანი იყო კაცობრიობის გამოსყიდვა, გამოსხნა იმ ცოდვებისგან, რომლებიც პირველცოდვიდან ანუ ცოდვით დაცემიდან მოყოლებული, თანსდევდა კაცთა მოდგმას. და მისი მიზანი იყო აგრეთვე ღმერთსა და ადამიანს, ზეცასა და მიწას შორის ამ ცოდვათა შედეგად დარღვეული კავშირის აღდგენა, სატანისა და სიკვდილის მეუფების დაძლევა და ადამიანისათვის ცათა სასუფეველის გზის დასახვა, მარადიული ცხოვრების დამკვიდრება.

ეს ყოველივე, როგორც ზემოთაც ვნახეთ, იესო ქრისტემ აღასრულა თავისი ღვთაებრივი მოძღვრების — ახალი აღთქმის ჩვენთვის ბოძებით, თავისი მოღვაწეობითა და მსახურებით და, დასასრულ, მოწამებრივი სიკვდილით და ბრწყინვალე აღდგომით.

ზემოთ ისიც ვნახეთ, რომ აღდგომის შემდეგ იესო ქრისტე რამდენჯერმე გამოეცხადა თავის მოწაფეებს, რომელთაც დაავალა:

„წადით და ასწავლეთ ყველა ხალხს, და ნათელი ეცით მამის და ძის და სულის წმიდის სახელით“ (მათ. 28,19).

„წადით, მოიარეთ მთელი ქვეყნიერება და უქადაგეთ სახარება ყველა ქმნილებას.



და ვინც იწამებს და ნათელს იღებს, ცხონდება, ვინც არა და – განიკითხება“ (მარკ. 16,5-16).

ორმოცი დღის განმავლობაში ეცხადებოდა უფალი თავის მოციქულებს, აგრეთვე სხვა მოწაფეებს, და ცათა სასუფეველისთვის ესაუბრებოდა მათ.

ორმოცი დღის შემდეგ მაცხოვარი ზეცად ამაღლდა.

ამაღლება ერთი უდიდესი დღესასწაულია და აღდგომის მეორმოცე დღეს აღინიშნება.

ხოლო აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს აღინიშნება კიდევ ერთი დიდი ქრისტიანული დღესასწაული – სულიწმიდის გარდამოსვლა ანუ სულთმოფენობა. წავიკითხოთ, რას მოგვითხრობს ამასთან დაკავშირებით „ახალი აღთქმის“ წიგნი „მოციქულთა საქმე“ (ძველი თარგმანით – „საქმე მოციქულთა“), რომელიც უმუალოდ მოსდევს ოთხთავს ანუ ოთხ სახარებას:

„და როცა სრულდებოდა ორმოცდაათობის დღე, ყველანი ერთად იყვნენ ერთ ადგილას.

და ანაზად იგრგვინა ზეცით, თითქოს გრივალი აგუგუნდაო, და აავსო მთელი სახლი, სადაც ისინი იყვნენ.

და მოველინა მათ ალივით გაყოფილი ენები, რომლებიც დაეფინა თითოეულ მათგანს.

და აღივსნენ ყველანი სულით წმიდით, და სხვადასხვა ენებზე ალაპარაკდნენ, როგორც სული ამეტყველებდა მათ.

ხოლო იერუსალემში იყვნენ იუდეველნი, ღვთისმოსავი კაცნი ყველა ხალხისგან, რომლებიც არიან ცის ქვეშ.

და როცა გაისმა ეს ხმა, შემოკრბა მთელი ხალხი და შეძრწუნდა, ვინაიდან თითოეული ისმენდა, როგორ მეტყველებდნენ მის საკუთარ ენაზე ისინი.

უკვირდა ყველას და განცვიფრებულნი ეუბნებოდნენ ერთმანეთს: განა ყველა ესენი, ვინც ლაპარაკობენ, გალილეველნი არ არიან?

როგორღა ვისმენთ სათითაოდ ჩვენს საკუთარ ენას, რომელშიაც დავიბადეთ?“ (საქმე, 2,1-8).

ასე აღივსენ სულიწმიდით ქრისტეს მოციქულნი და ასე ამეტყველდნენ სხვადასხვა ენაზე, რამაც მათ შემდგომში შესაძლებლობა მისცა სხვადასხვა ქვეყნებში იქ მცხოვრებთათვის მათ მშობლიურ ენაზე ექადაგათ სახარება.

მაგრამ მანამდე, საკუთრივ სულთმოფენობის დღესვე, იერუსალიმში მყოფთაგან სამი ათასამდე სული მონათლა. ისინი შეემატენ ქრისტეს ასეულობით



ამაღლება.

გელათის ტაძრის (XII ს.) მხატვრობა მეჩვიდმეტე საუკუნისა.

მოწაფისა და მიმღევარის დიდ ოჯახს. ასე დაიწყო ქრისტეს რჯულის ანუ ქრისტიანობის გავრცელება თავდაპირველად იერუსალიმში, შემდეგ მთელ პალესტინაში, ბოლოს კი მესობელ თუ შორეულ ქვეყნებშიც.

ამ უწმიდეს საქმეს აღასრულებდნენ ქრისტეს მოციქულნი, თავად მაცხოვარის მიერ შთაგონებულნი და სულიწმიდის მიერ განბრძნობილნი. შემდგომ და შემდგომ მათ თავ-თავიანთი მოწაფეები და მაცხოვრებელი მოძღვრებისათვის თავ-გადადებული სხვა პირნიც შეემატენ, მორწმუნეთა რიცხვი საოცარი სისწრაფით გამრავლდა და ჩვენი უფლისა და მაცხოვარის იესო ქრისტეს მიერ დაფუძნებული წმინდა ეკლესია აღორძინდა.

ვიდრე თხრობას დავასრულებდეთ, ქრისტეს კიდევ ერთი მოციქულის ამაყი უნდა ვთქვათ.

მიმღევრებთან და მომხრეებთან ერთად, ქრისტიანობას მოწინააღმდეგენი და აშკარა, დაუძინებელი მტრებიც მრავლად გამოუჩნდნენ იმთავითვე. ისინი სდევნიდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ ახალი მოძღვრების აღმსარებლებს. ამ საქმეში განსაკუთრებულ გულმოდგინებას სინედრიონის წევრები და, საერთოდ, იერუსალიმელი იუდეველები იჩენდნენ.

„მოციქულთა საქმე“ მოგვითხრობს, როგორ ჩაქოლეს ქვებით იუდეველებმა წმინდა კაცი სტეფანე, პირველმოწამედ სახელდებული, რამეთუ ის პირველი იყო იმათგან, ვინც ქრისტეს რჯულისთვის წამება დაითმინა.

„მოციქულთა საქმე“ იმასაც მოგვითხრობს, რომ ვინმე სავლე ესწრებოდა და იწონებდა სტეფანეს მოკვდინებას და, გარდა ამისა, ეს სავლე „არბევდა ეკლესიას, იჭრებოდა სახლებში, გამოათრევდა კაცებს და ქალებს და საპყრობილეში ყრიდა“ (საქმე, 8,1-3).

სავლე იყო კილიკიის ქალაქ ტარსუს (ტარსუსის) მკვიდრი ებრაელი, აღზრდილ და რწმუნით – ფარისეველთა სექტის მიმღევარი, იუდეველთა რჯულის გულმოსურვალე დამცველი. ქრისტიანობის სწრაფად გავრცელება რომ დაიწყო, ჯერაც ჭაბუკი სავლე უკვე იერუსალიმში ცხოვრობდა და როგორც ნიჭიერი, განათლებული და უნარიანი კაცი, მალე ქრისტიანობის მღვენელთა ერთ-ერთ მოთავედ იქცა და ამ საქმეში განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოირჩეოდა.

სტეფანე პირველმოწამის მოკვდინების შემდეგ ქრისტეს რჯულის მრავალი მიმღევარი იერუსალიმიდან გაიხიზნა. განსაკუთრებით ბევრნი აღმოჩნდნენ ქრისტიანები ქალაქ დამასკოში. მაშინ სავლემ მღველმთავართაგან უფლება გამოითხოვა დამასკოში ჩასულიყო და ქრისტეს ყველა მიმღევარი, ვისაც კი მოიხელთებ-

და, შებორკილი იერუსალიმში ჩამოყვანა, რათა აქ ეწამებინათ ისინი. ახლა უმჯობესი იქნება „მოციქულთა საქმის“ ტექსტი წავიკითხოთ.

„ხოლო სავლე, რომელიც კვლავ მძვინვარებდა და სიკვდილს უქადდა უფლის მოწაფეთ, მივიდა მღვდელმთავართან და გამოსთხოვა ეპისტოლენი დამასკოს სინაგოგის მიმართ, რათა თუ ვინმეს პოვებდა ამ მოძღვრების (ქრისტიანობის) მიმდევარს, კაცსა თუ ქალს, შეკრული მიეყვანა იერუსალემს.

როცა გზად მიმავალი დამასკოს მიუახლოვდა, ანაზდეულად მოიცვა იგი ნათელმა ზეციით.

და დაეცა მიწაზე, და მოესმა ხმა, რომელმაც უთხრა: საულ, საულ, რად მდევნი მე?

და თქვა სავლემ: ვინა ხარ, უფალო? ხოლო უფალმა თქვა: მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი.

და მან (სავლემ), ათრთოლებულმა და შეძრწუნებულმა, თქვა: რის ქმნას მიბრძანებ, უფალო? და უთხრა მას უფალმა: ადექი და შედი ქალაქში, და იქ გაიგებ, რისი ქმნაც გმართებს.

ხოლო მისი მხლებლები გაოგნებულნი იდგნენ, ხმა კი ესმოდათ, მაგრამ ვერავის ხედავდნენ.

წამოდგა სავლე მიწიდან. თვალები გახელილი ჰქონდა, მაგრამ ვერას ხედავდა. და ჩაჰკიდეს ხელი, და ასე შეიყვანეს დამასკოში.

სამ დღეს ვერას ხედავდა, არც ჭამდა და არც სვამდა.

ხოლო დამასკოში იყო ერთი მოწაფე, სახელად ანანია. და უთხრა მას უფალმა ჩვენებით: ანანია! და მან თქვა: აქ ვარ, უფალო.

უთხრა მას უფალმა: ადექი და მიდი ქუჩაზე, რომელსაც ჰქვია სწორი, და იკითხე იუდას სახლში ტარსელი კაცი, სახელად სავლე, ვინაიდან, აჰა, ლოცულობს. და მან ხილვით იხილა კაცი, სახელად ანანია, რომელიც შევიდა და ხელი დაადო, რათა კვლავ აჰხელოდა თვალი.

მიუგო ანანია: უფალო, ბევრისგან მსმენია ამ კაცზე, რამდენი ბოროტი შეამთხვია შენს წმინდანებს იერუსალემში.

აქაც მღვდელმთავართაგან გამოუთხოვია უფლება, რათა შეკრას ყველა, ვინც უხმობს შენს სახელს.

უთხრა მას უფალმა: მიდი, რადგან რჩეულ ჭურჭლად მიცენია იგი, რათა ატაროს ჩემი სახელი ხალხთა, მეფეთა და ისრაელის ძეთა წინაშე.

და მე ვუჩვენებ მას, რამდენ ვნებას დაითმენს ჩემი სახელისათვის.



წავიდა ანანია და შევიდა სახლში, ხელი დაადო და უთხრა მას: საულე, ძმასო, უფალმა გამოგზავნა მე, იესომ, რომელიც გეჩვენა გზაზე, რომლითაც მოდიოდი, რათა აგეხილოს თვალი და აღივსო სულით წმიდით.

მეისვე გამოუვარდა თვალთაგან რაღაც, ქერცლის მსგავსი, და მაშინვე აუხილა თვალი.

და ადგა და ნათელილო.

და იყო სავლემ რამდენსამე დღეს მოწაფეებთან დამასკოში.

და მაშინვე სინაგოგებში იქადაგა ქრისტე, რომ ის არის ძე დემეტრისა“ (საქმე, 9,1-19).

ამგვარია თავგადასავალი იმ კაცისა, რომელსაც სავლემ ეწოდებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც მოინათლა და ქრისტეს მოციქულად იქცა, ეწოდა პავლე.

დიახ, პავლე იქცა ქრისტეს მოციქულად და სწორედ იმ მოძღვრების გულმხურვალე მქადაგებლად, რომლის მიმდევრებსაც ადრე ესოდენ უღმობლად სდევნიდა. პეტრე მოციქულთან და ქრისტეს სხვა მოციქულებთან ერთად პავლემ უდიდესი წვლილი შეიტანა ქრისტიანობის გავრცელებაში. იგი მიმოვიდოდა სხვადასხვა ქვეყნებში, მოუწყინარად ქადაგებდა სახარებას, წარმართთ მოაქცევდა, მორწმუნეთ მოძღვრავდა, ახალ-ახალ ეკლესიებს აფუძნებდა, ქრისტიანობის მღვწელთაგან პყრობილებასა და ტანჯვა-წამებას ითმენდა და ბოლოს მოწამებრივად აღესრულა რომში ახალი წელთაღრიცხვის 64 წელს.

ზემით უკვე ითქვა, რომ პავლემ მოციქულს ეკუთვნის თოთხმეტი ეპისტოლე ანუ წერილი, რომლებიც შესულია „ახალ აღთქმაში“.

წმინდა ეკლესია პეტრეს და პავლეს მთავარმოციქულთა სახელით მოიხსენიებს. მათი ხსოვნის დღედ დაწესებულია 29 ივნისი (ახალი სტილით – 12 ივლისი).

სიტყვათა სალარო

აბსურდი — უაზრობა.

აბსურდული — უაზრო.

ალბასტრის ჭურჭელი — ძვირფასი ქვისგან დამზადებული ჭურჭელი.

ალეგორიული — იგაუური, გადატანითი, რაღაცის მიმნიშნებელი.

ამბოხება — აჯანყება, მღელვარება.

ანაზღაურად — ანაზღად, ერთბაშად.

ანბარება — გამორჩენის, პირადი სარგებლობის მიყოლა.

არაორგანული ბუნება — არაცოცხალი ბუნება.

არ ეთმობათ — არ ემეტებათ.

არემიღამო — არეძარე.

არჰე — თხათა ჯოგი.

არისტოკრატია — საზოგადოების უმაღლესი, დაწინაურებული ფენა.

ასაკოვანი კაცი — ახალგაზრდულ ასაკს გადაცილებული კაცი.

ასკეტური — ცხოვრებისეულ შვებას მოკლებული.

ალაჰრო თვალნი — ზეაიხედა.

ალღებ — ადექი.

ალვისილი — ავსებული, სავსე, აღსავსე.

ალმსარებლობა — ამა თუ იმ სარწმუნოების მიღვენება.

ალსვლა — ასვლა.

ალტყინებული — ალგზნებული.

აჰთობენ — ახრჩობენ.

ახალუსი — ღილ-კილოებით შესაკრავი გრძელი სამოსელი.

აჰა მსმრა — აჰა, აი.

ბაზა — მარადმწვანე, წვრილფოთლებიანი ხე ან ბუჩქი.

ბისონი — ძვირფასი ქსოვილი.

ბოკვერი — ლომის ლეკვი.

ბოჩოლა — ხბო.

ბოკეპული — მიცეპული.

გაეფხვილებინა — უარით გაესტუმრებინა.

გალაქტიკა — ვარსკვლავთა უზარმაზარი კრებული, ჯგუფი.

გამორჩენა — სათავისოდ შეირჩენა.

გამოსაჩვენებლად — სხვათა დასანახად.

გამოფვლილვით — დაწვერილებით.

გამუდგებით — მუდამ.

განასახიერებს — გამოხატავს.

განაღო — გააღო.

განბრძნობილი — სიბრძნეშეძენილი.

განეშორა — განშორდა.

განიკითხება — გასამართლდება.

განიხვეწა — დაღვნილად იცხოვრე.

განიშორებდეს — თავიდან იცილებდეს, იშორებდეს.

განკაცდა — კაცად იქცა. „განკაცდა“ მარტოოდენ იესო ქრისტეს შესახებ

იტქმის.

განმსჭვალული — აღვისილი, მთლიანად მოცული.

განფენილი (სახელი) — შორს მოფენილი, განთქმული.

განძვარებადი — ისეთი, რაც განქარდება, გაქრება.

განცხრომა — კმაყოფილებასა და ნეტარებაში უზრუნველად ყოფნა.

გაოგნებული — გაკვირვებული, შემკრთალი.

გარდარეული — მეტისმეტი, გადაჭარბებული.

გარდათმეული — ახლებურად თქმული.

გაციოსკრება — გამთენიის ხანი.

გამსვას ცოლად — ცოლად გყავდეს.

გულამოცმული — უგულო.

გულდაჯერებული — დარწმუნებული, თავისთავის მოიხმედე.

გულმართალი — ალაღმართალი.

გულისხამყო — იაზრა, მიხვდა.

გულმხეცი — სასტიკი, დაუზოგველი.

გულშეუპყრელი — მტკიცე და შეუდრეკელი.

გუნდრუკი — ხის კეთილსურნელოვანი წვენი, რომელიც ჰაერზე მაგრდება.

ძველად სამეფო ძღვნად მიიჩნეოდა. საკმეველად იხმარება.

- დაბიტვეზიანთი — დაბიტოვებით, მიბიტოვებით.
 დათმინა — მოთმინა, გაეძლო.
 დაამოწაზა — მოწაფედ გაუხდა.
 დამცდენინებინათ — უნებურად ეთქმევინებინათ.
 დამრდომილი — ლოგინად ჩავარდნილი, დაუძლურებული.
 დავსკინოთ — ნათქვამს დაუმატოთ.
 დაითმინდა — მოითმინდა, გაუძლებდა.
 დაიმოწაზა — მოწაფედ გაიხდა.
 დაღურსმული — ღურსმანდანარტყამი.
 დანთქავდა — ჩაძირავდა.
 დანთქმული — ჩაძირული.
 დარკება — შეკავება, მოთოკვა.
 დასახავდნენ — შერაცხავდნენ, ჩათვლიდნენ.
 დაუნჯება — დაგროვება, შენახვა.
 დაუოკებაელი — შეუკავებელი, დაუმორჩილებელი.
 დაურვება — დამორჩილება.
 დაუტმვე — დატოვე.
 დაუცადებაელი — განუწყვეტელი, მუდმივი.
 დაჟიონი — ცის შეფერადება მზის ამოსვლის წინ.
 დაძცეული — დანგრეული.
 დაჟვაჟება — მოფერება.
 დაჟოჟინება — დამშვიდება.
 დაჟრება — დაღევა, დაშრობა.
 დახშა — დაკეტა.
 დახშული — დაკეტილი.
 დიდკალი — ბევრი.
 დინარი — რომაული ვერცხლის ფული.
 დრტვინავდნენ — აღშფოთებულნი უკმაყოფილებას გამოხატავდნენ.
 დღენიაღაზ — მუდამ.
- მამბორა — აკოცა.
 მბანი — ქნარის ან დაფის მავგარი საკრავი.
 მბონისტი — ისეთ კაცს ჰქვია, ვინც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და



ზრუნავს, სხვათა ბედი არ აღლევებს.

ეთაჰიღება – სასირცხოვდ, სათაჰილოდ მიაჩნია.

ეთანადება – ეხამება, ეთანხმება, შეესატყვისება.

ეპრაღებოდა – ერიდებოდა, ეხათრებოდა.

ენერგია – მოქმედების უნარი, მხნეობა, ძალა.

ეშმაკიული – ეშმაკისაგან შეპყრობილი.

ევაგორები – ვაკოცებ.

ევერცხლისმოყვარე – ფულის, სიმდიდრის მოყვარული.

ევიჰთ – ვაკეთებთ.

ეზარღაცემული – თავზარღაცემული.

ეზარაჰი – მსხვერპლი, მსხვერპლად შესაწირავი.

ეთავაღაკლული – თავგადაღებული.

ეთავითენობა – საკუთარი თავის მოწონება.

ეთანამინახე – სხვებთან ერთად სუფრაზე მჯდარი.

ეთანამინახე – მეუღლე.

ეთანახე – ის, ვინც თან ახლავს ვისმე.

ეთვალთახედვა – შეხედულება, თვალსაზრისი.

ეთვალთვაჰცი – ცბიერი, მზაკვარი, ფლიდი.

ეთვითმოყვარეობა – თავისთავის სიყვარული. თვითმოყვარეობა სხვაა, თავ-
მოყვარეობა – სხვა.

ეთვითმინიღველი – თავისი თვალთ მხილველი.

ეთვითმინიღვის ინსტიტუტი – თავის გადარჩენის ინსტიტუტი, ალღო.

ეთვინიერი – წყნარი, უწყინარი.

ეიპობის სახლი – ებრაელი ხალხი.

ეიღალი – უმაღლესი მიზანი.

ეიღალურად მოყვობილი – რაც კი შეიძლება საუკეთესოდ მოწყობილი.

ეიღუზია – მოჩვენებითი სინამდვილე.

ეიგპარია – დიდი და ძლიერი სახელმწიფო.

ეიგჰვალბოღენი – ერთი გრძნობით ივსებოდნენ.

ეიგხად ღასხდებიანი – სუფრას მიუსხდებიანი.

ინსტინქტი — ალღო.

იოტისოდენა — ერთიბეწო, სულ მცირე.

ირონიული — დამცინავი.

იუნჯებთ — ინახავთ, აგროვებთ.

იშვან — აკეთებენ.

იშმს — აკეთებს.

იყვინით — იყავით.

კაკილა — მძივების ასხმულა.

კაკრიზი — ჭირვეულობა.

კარისკატი — კარზე თანამდებობის მქონე პირი.

კეთროვანი, კეთრიანი — კანის მძიმე, უკურნებელი სნეულებით დაავადებული.

კეისარი — რომის იმპერატორი.

კვერს უკრავან — ემოწმებიან, ნათქვამს უდასტურებენ.

კვლიავი — სურნელოვანი მცენარეა.

კოლტი — ღორების ჯოგი.

კურთხეული — დალოცვილი.

ლამპარი — პატრუქიანი სანათი.

მალხინებელი (ცოდვათა მალხინებელი) — ცოდვათა შემამსუბუქებელი.

მანიქარება — ნაკლოვანება, ბიწი.

მაუწყებელი — მაცნობებელი.

მაცხოვრებელი მოძღვრება — მაცოცხლებელი მოძღვრება.

მაწყვარი — დამწყველელი.

მეღინი — რაც მუდამ მიედინება.

მევალე — ის, ვისიც მართებთ ვალი.

მეგრუმი — გარყვნილი, ცუდი ყოფაქცევის ადამიანი.

მეუშება — მეფობა, მბრძანებლობა.

მეფაგული — მუქი წითელი.

მთვარეული — ავადმყოფი, რომელიც მძინარე ღადის და უცნობოდ იქმს სხვადასხვა რამეს.

მიაბოთ — მისცეთ.



- მიაფარენ — იხ. ცნობანი მიაფერენ.
 მიბავლინებთ — გაგვზავნით.
 მიბახლენ — მიუახლოვდნენ.
 მიხსადაბაბა — შეესაბამება, შეესატყვისება.
 მიინავლება — ჩაიფერფლება.
 მიიძცევა — მიტრიადლება, შებრუნდება.
 მიიძურფავბოდნენ — საქციელწამხდარნი, კუდამოძუებულნი მიდიოდნენ.
 მიმდაბარე მხარეები — ახლო ადგილები.
 მიტევა — პატიება.
 მიუხეხელი — შეუხებელი.
 მოარული — საყოველთაოდ გავრცელებული.
 მოვალე — ის, ვისაც მართებს ვალი.
 მოვალს — მოდის.
 მოზარე — მოთქმით მოტირალი.
 მოთავა — წინამძღოლი.
 მოიწადინა — მოინდომა.
 მომავლინებელი — გამომგზავნელი.
 მომხდური — შემოჭრილი მტერი.
 მონანი — ვინც ინანიებს რასმე.
 მონება — ლითონის ფული.
 მოსაპაგებელი — შესაძაგებელი, შესაძულებელი.
 მოწამებარნი სიკვდილი — წამებით სიკვდილი.
 მოწყვედა — დახოცვა.
 მოვალბანმენილი — ის, რაზეც ბევრს ლაპარაკობენ მრავალნი.
 მსახურება — სხვათათვის სამსახურის გაწევა.
 მსწრფლ — სწრაფად.
 მსხერალად მისვლა — თავის განწირვა.
 მსჯავრი — განაჩენი, გადაწყვეტილება.
 მური — მეფეთა საცხებელი სურნელება.
 მლაღაღებელი — ის, ვინც ღაღადებს, მაღალი ხმით უბნობს.
 მღილი — მღრღნელი ჭია.
 მხევალი — ქალი მსახური.
 მხილება — უმსგავსობის გამოაშკარავება.

ნაბრაში — შთამომავლობა, მოდგმა.
 ნალურსმნევი — ლურსმნის ჩანაჭედები.
 ნაუბარი — ნათქვამი, ნალაპარაკევი.
 ნაშიმარი — შვილი, შთამომავალი.
 ნაჭღვი — ნაიარევი.
 ნელსაცხეპალი — სურნელოვანი საცხებელი.
 ნიბაბ — მუდამ.
 ნუპრი — ირემის, შველის შვილი.

ორინტირება — გაგნება.

ოსანა — აღტაცებული მისაღმების გამომხატველი ებრაული სიტყვა, დაახლოებით ჩვენი „ვაშას“ მსგავსი.

პათოლოგიური — ავადმყოფური.

პირველსაწყისი — დასაწყისი.

პირი უშალოს — ნათქვამი, შენაპირები არ შეუსრულოს.

პირმოთნე — პირფერი.

პირუთხელი — მიუკერძოებელი.

პირუკუ — პირიქით.

პროვინცია — ძველი რომაელები ასე უწოდებდნენ ამა თუ იმ ხალხის დაპყრობილ ტერიტორიას, რომელსაც რომაელი მოხელე მართავდა.

რაბი — ებრაულად: მოძღვარო.

რეგალიზმი — ხელმწიფის ძალაუფლების აღმნიშვნელი საგნები.

რემა — ცხენების ჯოგი.

რეშიმი — ზუსტად დადგენილი წესი.

რიალი — გაკრთომა, გაელვება.

საამსოვლო — ამქვეყნიური.

საბოძვარი — ნაბობები.

საზოგადოებრივი — საზოგადოებაში არსებული.

საზრდელი — საჭმელი.



- სათაკილო – სამარცხვინო, უკადრისი.
 სათნოება – სიკეთე.
 საირონო – დასაცინი.
 საკვრელი – ბორკილი.
 საგვამოვნება – სამპიროვნება ღმერთისა.
 სარამელი – საწოლი.
 სარწყული – წყლის ამოსაღები.
 საჩინო ხდება – აშკარავდება.
 სახილველად – სანახავად, შესახედად.
 სერობა – ვახშმობა.
 სეხნა, სეხნია – თანამოსახელე.
 სინაგოგა – ებრაელთა სამლოცველო.
 სიმკა – გარყვნილება.
 სკვატიკოსი – ყველაფრის ეჭვის თვალთ შემხედვარე კაცი.
 სოფლიური – ამქვეყნიური.
 სოციალური – ადამიანთა ცხოვრებასთან და მათს ურთიერთობებთან დაკავშირებული.
 სამატაკლი – თეატრალური წარმოდგენა.
 სარბლა – ერთობ სწრაფი სვლა, ქროლვა.
 სრულქმნილება – სისრულის, უნაკლობის მიღწევა.
 სტიქიონი – ბუნების მძლავრი მოვლენა.
 სუფევა – ბატონობა.
 სყიდვად – საყიდლად.
 უბადლო – შეუდარებელი, ბადალი რომ არ ჰყავს, ისეთი.
 უბირი – უსწავლელი, გაუნათლებელი.
 უბნობა – საუბარი, ლაპარაკი.
 უბვანი – უმსგავსო.
 უკეთურობა – ბოროტება.
 ულტობდა – უსველებდა.
 უმფიკვლო – უბიწო, წმინდა.
 უსაჩინოესი – საუკეთესო.
 უსუაი – ფუნჯი.

უტეპანი - სიგრძის საზომი, 143 ნაბიჯი.
 უშრეტი - დაუშრობელი, ჩაუქრობელი.
 უშურველად - გულუხვად, დაუნანებლად.
 უძვეველი - უცვლელი.

ფერხითი - ფეხებთან.
 ფრიად - ძალიან.
 ფსიქიკა - ადამიანის სულიერი ბუნება.
 ფუფუნება - მდიდრული და უზრუნველი ცხოვრება.
 ფშვება - დაქუცმაცება.

ქედმაღალი - ამაცი, მედიდური.
 ქერცილი - კანის მაგარი საფარველი.
 ქველი - კეთილი, მოწყალე.
 ქველი საძმე - კეთილი, სასიკეთო საქმე.

ღაღადი - მაღალი ხმით ნათქვამი სიტყვა.
 ღვთისმეტყველი - რელიგიის საკითხთა ღრმად მცოდნე.
 ღრუბელი - სითხის კარგად შემწოვი, ფორებიანი, რბილი რამ, დღესდღეობით დასაბანად ან რისაშე გასარეცხად რომ ვხმარობთ.

ყაიდა, ამ ყაიდის ადამიანები - ამ ხასიათის, ამ ბუნების ადამიანები.
 ყვრიმალი - ლოყის ზემო ნაწილი.
 ყულაბა - ხურდა ფულის შესაგროვებელი მომცრო კოლოფი.

ყაბილწავს - წაბილწავს, უწმინდურს გახდის.
 ყაფია - მიეხმარა.
 ყათანადგული - შეწყობილი.
 ყამოზარანი - მიდამო.
 ყამსჰვალული - თავმიცემული.
 ყამამუსრაჰი - გასანადგურებელი, მოსასპობი.
 ყამურყამული - გულდამძიმებული.
 ყამურყამარაჰი - მიუღებელი, უარსაყოფი.

შეფითილი — შეღესილი.

შეფხნარება — მოთმინებით მიღება.

ჩაძოლვა — ქვებით მოკვლა, ჩაქვავება.

ჩამალავდა — გულდასმით მალავდა.

ციკანი — თხის შვილი.

ცინღალი — კატის კნუტი.

ცნობანი ვიარაჟნი — გონება შეუფარდე, შეუწყე.

ცხელვა — ციებ-ცხელება, მძიმე ავადმყოფობა.

ცხოვარი — ცხვარი.

კალმოსილი — ძალის მქონე.

კალუათ — შეუძლიათ.

კპირს იზრახავს — ავს რასმე ფიქრობს.

კოფეული — ძვირფასი წითელი სამოსელი.

წარავლინა — გაგზავნა.

წარმოაჩინა — გამოხატავენ.

წარწყმედა, წაწყმედა — დაღუპვა.

წაპვარა — წართვა, მოსტაცა.

წინამორბედი — წინმსწრები, წინ მაგალი.

ხამლი — ფეხსამოსი.

ხარკი — დამპყრობელისთვის განკუთვნილი გადასახადი.

ხატოვანი სიტყვა — მხატვრული სიტყვა.

ხელაფიფაოდა — შექმლო.

ხელი მოეცარათ — არ გაუმარჯვდათ, საქმე ცუდად წაუვიდათ.

ხელმოცარული — მიზანმიუღწეველი, გაწბილებული.

ხელაფიფება — მეფობა.

ხილვა — ღვთაებრივი, ზებუნებრივი სახილველის ჭკრეტა.

კივიანა — ყოველდღიური მნიშვნელობით — სისუფთავის დაცვა.

კიპოსტასი — სამების ერთ-ერთი პირი.

საკუთარი სახელები

აბრაამი (მამამთავარი).

აღამი (პირველი კაცი).

ალფეზი (იაკობ მოციქულის, უმცროსის მამა).

ანა (ღვთისმშობელ მარიამის დედა).

ანანია (ერთი პირველი ქრისტიანთაგანი, ვისაც უფალმა დააუღალა საკლესიო მისვლა).

ანდრია მოციქული, პირველწოდებული.

ბარაბა (ავაზაკი).

ბართლომე მოციქული.

ბარნობი ვასილ

ბერსაბე (ურია ხეთელის ცოლი).

გაბრიელი (მთავარანგელოზი).

გალილეველი იხ. იესო ქრისტე.

გიორგი მთაწმინდელი (ათონელი).

გურამიშვილი ღვთის

ღვთის მფუძე, წინასწარმეტყველი

ღანიელ წინასწარმეტყველი

დიდი იხ. თომა მოციქული.

ევა (აღამის ცოლი).

ელია წინასწარმეტყველი

ელისაბედი (იოანე ნათლისმცემელის დედა).

ესაია წინასწარმეტყველი

ვარაძიელი (მთავარანგელოზი).

ზაქარია (იოანე ნათლისმცემელის მამა).

ზებადუს კენი იხ. იოანე მახარებელი, იაკობ მოციქული.

თადეოზ მოციქული

თომა მოციქული

იაბროს (სინაგოგის წინამძღვარი, რომლის ასულიც განკურნა იესო ქრისტემ).

იაკობ მოციქული (ზებედეს ძე).

იაკობ მოციქული (უმცროსი).

იაკობი (მამამთავარი).

ივზუდიელი (მთავარანგელოზი).

იესო იხ. იესო ქრისტე.

იესო ნაზარეველი იხ. იესო ქრისტე.

იესო ქრისტე

იეზუა იხ. იესო ქრისტე.

იოაკიმე (ღვთისმშობელ მარიამის მამა).

იოანე მახარებელი, მოციქული

იოანე ნათლისმცემელი

იოანე (მარკოზ მახარებელის მეორე სახელი).

იოანე ღვთისმეტყველი იხ. იოანე მახარებელი.

იოსებ არიმათიელი

იოსებ (იოსებ მართალი, ღვთისმშობელ მარიამის დანიშნული)

იოსებ (ქრისტეს მოწაფე, ვისაც მატათასთან კენჭი უყარეს იუდა ისკარიოტელის ნაცვლად მოციქულად შერაცხვისთვის).

ისააკი (მამამთავარი).

იუდა იაკობისა, იუდა მოციქული იხ. თადეოზ მოციქული.

იუდა ისკარიოტელი

კაიუსა მღვდელმთავარი.

კლეოპა იხ. ალფაი

ლაზარე (მარიამისა და მართას ძმა, იესო ქრისტეს მიერ მკვდრეთით აღდგენილი).

ლაზარე (გლაზაკი, ივავში გამოყვანილი).
 ლევი (მათე მახარებელის მეორე სახელი).
 ლუკა მახარებელი.

მათე მახარებელი, მოციქული.

მალაქია წინასწარმეტყველი

მართა (მარიამისა და ლაზარეს დაი).

მარიამ მადლალელი

მარიამ ღვთისმშობელი

მარიამი (იაკობ უმცროსის დედა).

მარიამი (მართასა და ლაზარეს დაი).

მარკოზ მახარებელი

მატათა (ქრისტეს მოწაფე, რომელიც მოციქულად შეირაცხა იუდა ისკარი-
 ოტელის ნაცვლად).

მიქაელი (მთავარანგელოზი).

მოსე (წინასწარმეტყველი და სჯულმდებელი).

ნათანაილი, ნათანაელი – იხ. ბართლომე მოციქული.

ნინო, ჴვინდა ნინო

ორბელიანი სულხან-საბა

პავლე მოციქული

პეტრე მოციქული

პილატე პონტოელი

ჟორდანი იოსებ

რაფაელი (მთავარანგელოზი).

რუსთაველი

საპლე იხ. პავლე მოციქული

სალომე (იოანე და იაკობ მოციქულების დედა).

სალომე (ჰეროდიადას ასული, ჰეროდეს გერი).

სარა (აბრაამის მეუღლე).

საულ ის. პავლე მოციქული.

სელიფიელი (მთავარანგელოზი).

სიმონ ზელოტი ის. სიმონ კანანელი.

სიმონი ის. პატრე მოციქული.

სიმონი (მოზუცებული).

სიმონი (ფარისეული, ვინც იესო ქრისტე მიიწვია სახლში).

სიმონის იუდა ის. იუდა ისკარიოთელი.

სიმონ კანანელი

სიმონ კეთროვანი (იმ წვეულების მასპინძელი, რომელზეც მარიამმა ნელ-საცხებელი სცხო იესო ქრისტეს).

სიმონ-პატრე ის. პატრე მოციქული.

სოლომონი (მეფე, დავითის ძე).

სტაფანე პირველმოწამე

ტაბიკე გალაკტიონ

ურია ხეთელი (დავით მეფის მეომარი, ბერსაბეს ქმარი).

ურიელი (მთავარანგელოზი).

ფილიპე მოციქული

ფილიპე (ჰეროდეს ძმა).

ფოტინე (სამარული ქალი, რომელსაც მაცხოვარი ესაუბრა).

წერეთელი აკაკი

ჭავჭავაძე ილია

პეროდე (ქრისტეს შობის ჟამს მეფობდა).

პეროდე (იოანე ნათლისმცემლის ჟამს მეფობდა).

პეროდიადა (ჰეროდე უმცროსის ცოლი).

გეოგრაფიული სახელები

ათქალაქი
არაბეთი

ბეთანია
ბეთლემი
ბეთსანიღა

ბაღილეა
ბაღილეის ზღვა, ტბა
ბაღილეის კანა
ბეთსეგანიის (ბეთსეგანეს) ბაღი
ბენესარეთის ზღვა, ტბა. იხ. ბაღილეის ზღვა, ტბა.
ბოლგოთა

ღამასკო

ეგვიატე
ეგაუსი
ეფესო

ჟეთისხილის მთა

თაბორი (სოფელი).
თაბორის მთა
თაბორის ქედე
თაბორის ციხე
თბილისი
თესალონიკე

იღუმეა	
იერიძონი	
იერუსალიმი, იერუსალემი	100-101
იორღანე	102-103
ისრაელის ქვეყანა	104-105
იუდეა	106-107
იუდეის უღაბნო	108-109
კანა	110-111
კაპერნაუმი	112-113
კედრონის ხევი	114-115
კილიკია	116-117
კორინთო	118-119
ლენხუმი	120-121
მაგდალა	122-123
მკვდარი ზღვა	124-125
მცხეთა	126-127
ნაზარეთი	128-129
ნაინი	130-131
ნიკოფსია	132-133
პალესტინა	134-135
რომი	136-137
სამარია	138-139
საქართველო	140-141
სიდონი	142-143
სირია	144-145
სპარსეთი	146-147

სუძარი

ტარსუსი

ტიბერიალის ჯღვა, ტბა. იხ. ბალიშის ჯღვა, ტბა

ტიროსი

ტუაფსე

ფინიკია

ქანაანის ქვეყანა

ქორაზინი

შუამდინარეთი

სამელთაშუა ჯღვა

11 28 / 1483



სარჩევი

ახალი აღთქმა	3
შობა უფლისა	9
ნათლისღება	22
სიყვარულის მოქმედება	33
მოწაფეები	58
მთასა ზედა ქადაგება	75
იბავები	85
თვალთმაცხთა მხილება	97
მსახურება	109
ჯვარცმა, აღდგომა, ამაღლება	131
სიტყვათა საღარო	159
საკუთარი სახელები	169
გეოგრაფიული სახელები	173

გარეგანის კირველ გვერდზე: ღვთისმშობლის მამის იოაკიმეს პორტრეტი. ატენის სიონის მხატვრობა.

გარეგანის ბოლო გვერდზე: სცენა „განკითხვის დღიდან“ – ღვთისმშობელი და ქრისტე. მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელი ხელოვანის მიქელანჯელო ბუონაროტის ნახატი.

სტამბა შ.პ.ს. „საქართველოს მაცნე“
რობაქიდის გამზ. 7^ა

F101-513
3

